# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 1 თებერვალი 2008 №3(55)

48
1516
2008



სტაინბეკის ბარათი კოლაუ ნადირაძეს

დავით წერედიანის „ფაუსტი“

ესეც ჩვენი მეოცე საუკუნე

რა ვუყოთ სილარიბეს?

ასორინის პირველი საოცრება

მეფე ერეკლეც რომ ცოცხალი იყოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1 თებერვალი
ერეკლე ტატიშვილის
ხსოვნის დღე

# წიგნის თარო


გალაკტიონის
ნაფერფალები


თამარ
შაიშმელაშვილი
ჩამოთოვლილი
ზარები


ზაზა აბზიანიძე


გაზაფხულიდან
დაზამთრებამდე


Lado Ataneli
ლადო ათანელი


რას ბუტბუტებს
მაშავერა


სოსო ნადირაძე
ხაკისფერი ჩადრი


სოსო ნადირაძე
ჩრდილში დარჩენილი
ლექსები


ქართული ხალხური
სიმღერის შემსრულებლობა
ედიშერ გარაყანიძე
PERFORMANCE OF GEORGIAN
FOLK SONG
EDISHER GARAKANIDZE

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ერი და ბედისწერა | 2 | როსტომ ჩხეიძე ესეც ჩვენი მეოცე საუკუნე |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 12 | პიროვნება „გამჭვირვალე ნაჭუჭიდან“ (საუბარი ნატო გაგნიძესთან) |
| პროზა | 15 | ზურაბ ლავრელაშვილი მღვიძარება |
| ჩვენი ყოფა. წუთისოფელი | 28 | ვლადიმერ პაპავა რა ვუყოთ სიღარიბეს? |
| პოეზია | 29 | თეა თოფურია მიჭედებული ბუხარზე ლურსმნით |
| პირველი შთაბეჭდილება | 31 | მალხაზ ივანიძე ტკივილის ორბიტა |
| პოეზია | 32 | ცირა ყურაშვილი ქრისტე, გაუღე შენი კარები |
| უცხოეთის ცხოვრებიდან | 33 | ჯონ სტაინბეკი ბარათი კოლაუ ნადირაძეს<br>სიტყვა წარმოთქმული ნობელის პრემიის მიღებისას<br>1962 წლის 10 დეკემბერს |
| მოგონებათა სკივრი | 35 | ელენე გუსევა 1914 წლის აპრილის თვე იდგა... |
| დეტექტივი | 37 | ჰენრი სლეზარი მისტერ დიუპრეს შურისძიება |
| რეპორტაჟი | 39 | ეკა ბუჯიაშვილი „მეფე ერეკლეც რომ ცოცხალი იყოს...“ |
| კრიტიკა | 43 | ნინო ვახანია თორმეტი დღის მარადისობა |
| ფელიეტონი | 45 | შოთა რუსთაველის სტიპენდია მეცნიერთათვის |
| ფიქრები | 46 | გივი ალხაზიშვილი შთაბეჭდილებათა ნაკვალევი |
| პოეზიის მერიდიანები | 52 | იოჰან ვოლფგანგ გოეთე სცენა „ფაუსტიდან“ |
| პარადოქსები | 57 | გუსტავ ფლობერი საყოველთაოდ მიღებული აზრების ლექსიკონი |
| უცხოური ნოველა | 60 | ხოსე მარტინეს რუისი (ასორინი) პირველი საოცრება |
| მოზაიკა | 63 | სტატისტიკასაც მისდევდნენ |



დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 93) 65-93-68
გავრცელება – (995 99) 93-18-52
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ელ გრეკო, „ტოლედოს ხედი“
ნატო გაგნიძე, მაკა ჩაგანავას ფოტოეტიუდი

დაბეჭდილია სტამბა "ომეგა ტექი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი +995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TECI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE +995 32 53 03 62



„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 15 თებერვალს



26020
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

# ესეც ჩვენი მეოცე საუკუნე

რამდენიმე ათწლეულის წინათ ასეთი ლიტერატურული შეჯიბრი გაჩნდებოდა ჩვენს რეალობაში, უფრო ნიშანდობლივად – „ცისკრელთა" წრეში", ოღონდ... ზეპირმეტყველებასა და არა სხვადასხვა გამოცემებში – პოეტები მინიპოემების შექმნაში შეერკინებოდნენ ერთმანეთს.

ცნება ახალი გახლდათ, მოვლენა – ძველი, ეგაა, იუმორისტული შინაარსი იმით მკვეთრდებოდა, რომ ეპიგრამებს დაარქმევდნენ მინიპოემებს.

ყველა ეპიგრამას, ცხადია, არა.

მხოლოდ ისეთს – ეპოქას რომ გამოხატავდა.

ესაა მისი არსიც და განსაზღვრებაც.

სულ რამდენიმე სტრიქონს უნდა ეტვირთა ეს ამხელა მისია და ცოდო იქნებოდა, ამხელა ტვირთქვეშ მოყოლილისთვისაც ისევ ეპიგრამა ეძახათ. თანაგრძნობას უსათუოდ საჭიროებდა ის რამდენიმე სტრიქონი და თანაგრძნობა კი ეს გახლდათ – ამაღლება მინიპოემამდე.

ხალისდებოდა ამგვარი შეჯიბრით ნაცრისფერი ყოფა, იატაკქვეშა დინებას შეერთვოდა, თავგამოდებული ადეპტებიც გამოუჩნდებოდნენ შემოქმედებითაც და თეორიულადაც და ერთხანს თვალისმომჭრელადაც გადაიელვებდა, ვიდრე ჩაინავლებოდა მხურვალე გატაცება და ეს ლიტერატურული შეჯიბრი ისტორიაში გადაინაცვლებდა.

მეხსიერებას – ცალკეულ პიროვნებათა და არა საზოგადოების – უფრო შემორჩებოდა საერთო განწყობილება და მინიპოემის მიმდევართა სახელები, თორემ მასალა თითო-ოროლა თუ დააღწევდა თავს დროის მსახვრალ ხელს.

თვითონ ცნებაც სადღაც მიიკარგებოდა და ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომები თუ ძიებანი არ ალივსებოდა მისი წარმოჩენის, ფესვებისა და მონაწილეთა სახელების შემონახვის სურვილით შთამომავლობისათვის და ვერც სხვადასხვა ლექსიკონებში მოიკიდებდა ფეხს.

ლიტერატურისმცოდნეობითი ლექსიკონი არ იცნობს არც ამ ტერმინს და არც ამ მოვლენას.

არც ჟარგონის ლექსიკონი – ბოლოსდაბოლოს, ლიტერატურული ჟარგონის ნიმუშადაც შეიძლება გამოდგეს.

დაჩემებით ვერაფერს დავიჩემებ, მაგრამ დასავიწყებელი რომ არ არის, ყველა ირწმუნებს, ვინც გულგარეთ არ გადაატარებს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, სწორედაც განსაკუთრებულს, თორემ ბევრს არაფერსაც რომ არ წარმოადგენდეს, დავიწყების მტვრის ნაყრას მაშინაც რას ვემართლებით.

ლიტერატურული შეჯიბრის სახით ამოვარდებოდა თვალსაწიერიდან, მაგრამ ხსენებით ჟამიდან ჟამზე ახსენებდნენ ხოლმე და სუფრასაც ხალისს მატებდნენ.

სალიტერატურო კრიტიკა თუ მემუარისტიკა განზე დატოვებდა ეპიგრამის ამ თავისებურ ნაირსახეობას, მაგრამ მთლადაც არ გაინირებოდა და რომანის ფურცლებზე გაიელვებდა – ოთარ ჩხეიძის „თეთრი დათვისა".

ვისაც გონების კუნჭულში ჩარჩენოდა, გაახსენებდა, ვისაც ყურიც არ მოეკრა, დააფიქრებდა და გარკვევას მოანდომებდა.

1993 წლის მარტის მღელვარებანი გადასულიყო რომანში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს გაწევრიანების ამბები დრამატულ სურათებად გადმოიშლებოდა და ეპიგრამაც იმ გულისშემძვრელ ეპიზოდს გამოხატავდა მძაფრი ტრაგიკომიკური იერით.

რომანის ავტორი თვითონ არა თხზავდა იმ ეპოქალურ ეპიგრამას, ჯანსულ ჩარკვიანის ეს პოეტური ნიმუში შემოეტანა თხრობაში და თვით შემქმნელიც პერსონაჟად გამოერია, რათა თავისი შთამბეჭდავი ექსპრომტი ბარემ მასვე წარმოეთქვა. რეალურ ყოფაში რასაც ეკითხებოდნენ, რომანის ფურცლებზე უშანგი გაუმეორებდა, მთავარი გმირი, და საყვედური მოისმოდა რეალობაშიც და მხატვრულ სინამდვილეშიც საყვედურადვე გადავიდოდა, როგორ მოხდა, რომ პარლამენტმა მხარი დაუჭირა „ესენგეში" შესვლას და შენ მაინც, პოეტმა კაცმა, ხმა როგორ მიეცი ამ გადაწყვეტილებასო.

საქართველოს პრეზიდენტს ცალკე გაეხმო უმრავლესობის წევრები, დაერწმუნებინა ამ გადაწყვეტილების აუცილებლობაში და ისე შემოებრუნებინა დარბაზში. მანამდე აჭრილიყო უმრავლესობაც, გაყოფილიყო მათი შეხედულებანი, ედუარდ შევარდნაძესთან იმ თათბირის შემდეგ კი ერთსულოვანი გამხდარიყო ყველა და საქართველოს ბედიც „ესენგესათვის" მიენდოთ.

რა გითხრა მაინც ასეთი ამ შევარდნაძემო, – გაკვირვებას ვერა ფარავდნენ იმ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანების მოწინააღმდეგენი, საბჭოთა კავშირში შებრუნებად რომ ესახებოდათ ეს პოლიტიკური ნაბიჯი, – ასე ერთბაშად როგორ დაგარწმუნათ, რა იყო ის სიტყვები, რა შთაგონება მოსდევდა, ეს მაინც გვაცოდინეთო.

პარლამენტის დერეფანში შებედავდნენ ამ საყვედურს ჯანსულ ჩარკვიანსაც და ის არც დაფიქრდებოდა, მაშინვე მოადევნებდა, ექსპრომტსა თუ კაფიას როგორც სჩვევია:

**ასე გვითხრა შევარდნაძემ,**
**ტრიბუნაზე შემდგარმა:**
**შეხვალთ – დედა გეტირებათ,**
**არ შეხვალთ და – დედ-მამა!**

მწარე სიცილი ამოსდევდა სახელდახელოდ შეთხზულ ეპოქალურ სურათს, საწყალობელი ბედისწერის შეუფერადებელ შეფასებას, გამოსავლად ისღა რომ გრჩებოდა, იქნებ მამები მაინც გადარჩენილიყვნენ. სალაღობო სტრიქონები დიდ ტრაგიზმს იტევდა და, რა გასაკვირია, რომ რომანის ავტორს ის მივიწყებული ჟანრი წამოეგონებოდა. მკითხველს კაფია ეგონა? არა, მცირე პოემა გახლდათ და უშანგი ერთი გაფიქრება იმასაც გაიფიქრებდა:

დიპლომატიური კორპუსი ბევრს იცინებს, თუმცა მთარგმნელზეა დამოკიდებულიო.

მერე კიდევ ჩაუკვირდებოდა რეალობას და გააცნობიერებდა იმ სავალალო სიმართლეს, რომ უცხოელები ყურს მოარიდებდნენ რეალობის ასე გაშიშვლებას; მათაც ერჩივნათ თავი ილუზიით მოეტყუებინათ, თითქოს რუსეთი თავის ნებას კი არ ახვევდა საქართველოს, არამედ ეს ქვეყანა საკუთარი ნებითვე მიისწრაფოდა თანამეგობრობაში გასაერთიანებლად. თარჯიმნებს ისედაც მოეხსენებოდათ უცხოელ პოლიტიკოსთა გუნება-განწყობილება და აღარც შეაწუხებდნენ ამ სტრიქონების გადატანით მათ ენებზე.

საკმაოდ გამჭვირვალეა იმ დღეების ეს ზოგადი შინაარსი ამ პასაჟიდან:

„თარჯიმანი აქ ბევრია. ყველა ამოსდგომია თავის უცხოელსა. ცდილობენ არ გამორჩეთ არცერთი სიტყვა, მაგრამ ტყუილია: ამისი მთარგმნელი არ არის არცერთი".

მცირე პოემაო...

„თეთრი დათვის" გასაღები ამ ეპიზოდში იმალებაო, – მიმტკიცებდა გიორგი გაჩეჩილაძე, ამ ეპიგრამა-პოემასაც რომანის ფურცლებზე გასცნობოდა და ის აზრი გაუჩნდებოდა, რომ ამ ყაიდის ეპიგრამები ხელშესახებად გამოხატავდნენ ეპოქის ტრაგიკომიკურობას და ერთად თავმოყრილნი შთამბეჭდავად წარმოსახავდნენ დრო-ჟამის ავბედით ტრიალს, ისე შთამბეჭდავად, სხვა მასალები იქნებ საერთოდაც აღარ დასჭირვებოდათ გვერდით ამოსაყენებლად, რათა მკითხველს საუკუნისათვის მიედევნებინა თვალი.



*ედიშერ მაღალაშვილი მერკუციოს როლში („რომეო და ჯულიეტა") მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე*

მეოცე საუკუნე ეპიგრამასაც მოექცია თავისი ჟანრის ჩარჩოებში.

ასე სახელდახელოდ გაიხსენებდა ეძგვერაძე ბარნაბას პარტიულობის გასარკვევად ამტყდარ დავიდარაბასა და იმ სავალალო ნაყოფს, მარქსიზმის მალულად თარგმნას რაც მოჰყოლოდა.

კიდევ იქნება ერთი-ორი, ასე უცებ არ მაგონდება, მთავარია, რომ ეპიგრამა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთელს ორომტრიალს გადასწვდებაო.

მცირე პოემა-მეთქი.

მინიპოემა იყოს, თუ გინდაო.

მინდა რა – მცირე პოემაა.

ტრაგიკომიზმი, მეოცე საუკუნის სინამდვილის შეცნობის ეს გასაღები, მცირე პოემის გულისგულია და ალბათ ამიტომაცაა, სულ რამდენიმე სტრიქონი ეპოქასაც რომ გადასწვდება. ტრაგიკომიზმი არ უხსენებია გიორგი გაჩეჩილაძეს, თუმც უსათუოდ იგულისხმებდა, რადგანაც მისი მომავალი ნარკვევი უმთავრესად თეორიულ ქარგაზე უნდა გაშლილიყო, თეორიული ქარგა კი უამგასალებოდ ვერ შეიკვრის.

ხანი გავიდოდა.

ეს ნარკვევი არსად გამოჩნდებოდა.

ალექსანდრე ყაზბეგის დაუშომმინებელი სული გამოიწვევდა თავისკენ და თანამედროვე ცხოვრების მწვავე პოლიტიკურ ფონზე გაიაზრებდა მისი მხატვრული ძიებების რამდენიმე რეალიას – ოღონდ არსებითსა და იმ მხრივაც საგულისხმოს, თუ რაოდენ აუცილებელია კლასიკური მწერლობის ხელახალი წაკითხვა, ნაცნობისა და მშობლიურისათვის განსხვავებული კუთხიდან შეხედვა, რათა იმ სიღრმეს კიდევ უფრო მიუახლოვდე.

მცირე ეპიგრამის თემა გვერდით ამიტომაც მირჩებოდა და მეხსიერების კუნჭულებში ჩაიძირებოდა.

იქნებ ამ ჩანაწერმა გაუღვივოს კვლავ ის ფიქრები, რის ირგვლივაც ასეთი გატაცებით მესაუბრა რამდენჯერმე.

ბოლოსდაბოლოს, ეს ჩანაწერიც რა არის – თავმოყრა მცირე პოემის ნიმუშებისა, ერთგვარი ჭაშნიკი, რაც შესაძლოა კიდევ შეივსოს და მასაც და სხვასაც გაუადვილოს ძიება და განსჯა ამ მიმართულებით. მაინც მთხოვა: სახიერი ნიმუში შენც ხომ არაფერი გეგულებაო.

მეგულება, რატომაც არა.

უცნობი პოეტის მიერ შეთხზული ეძგვერაძე ბარნაბას ლექსი (თითქოს არსენას ლექსი იყოს!) ციკლის სათავედ მოჩანდა ერთი შეხედვით, თუმც მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკების" გამოქვეყნება მოცილეს გაუჩენდა. იმხანად გაიელვებდა ეს მცირე პოემა, რომელიც, კიდევ კარგი, „უბის წიგნაკებში" მოხვედრილიყო, თორემ იატაკქვეშა დინებებში სადღაც გაირიყებოდა და ველარავინ გაიხსენებდა.

ბარნაბას ლექსი გადაყლაპავდა იმასაც, თითქოს ის საბედისწერო ჟამი ამ ერთი ეპიგრამის ანაბარა დარჩენილიყოს:

**წითლები რომ შემოვიდნენ,**
**ატყდა დავიდარაბა:**
**რომელ პარტიას ეკუთვნის**
**ეძგვერაძე ბარნაბა?**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპოქის შინაარსი თვალსაჩინოვდება ღიმილითა და თამაშ-თამაშით, ბარნაბობის არსი და მოქმედებისათვის ნოყიერი სივრცე ხელისგულზე გვიძევს და უპირველესად მაინც იმაზე გველიმება: რა ჟინიანი თამაში უყვარს ბედისწერასო.

ბარნაბებით გადატენილიყო საქართველოც, პარტიიდან პარტიაში მოგზაური და ყოველთვის გამარჯვებულის გვერდით დგომის მოწადინენი საკმაოზე მეტიც მოჩანდნენ, მაგრამ ყველა მათგანის სახე ამ ერთ ადამიანში გასიმბოლოვდებოდა, არც სხვაზე უკეთესში და არც სხვაზე უარესში.

მაშ რაღა ის გამოერჩია? იქნებ გვარ-სახელშია რაღაც კომიკური? ან იქნებ ის ანონიმი პოეტი მაინცდამაინც მისი ნაცნობი აღმოჩნდებოდა? ალბათ ერთიც და მეორეც. და ისე კი მოხდებოდა, რომ უკვდავ პერსონაჟად გადაიქცეოდა, ქართული სატირული პოეზიის ნარუშლელ სახე-სიმბოლოდ. ვინ იცის, რამდენი ნაბაძავდა ჰეროსტრატეს, იქნებ უკეთურობით მაინც მოვიხვეჭოთ სახელიო, მაგრამ ჩაიკარგებოდა მათი ვინაობა, უგვან საქმეთა ამ აღმსრულებელთ აღარავინ მოიგონებდა, ვერც სხვა ფარისეველნი შერჩებოდნენ საისტორიო ქრონიკებს, ეძგვერაძე ბარნაბა კი მშვიდად მოიკალათებდა ქართული პოეზიის პანთეონში.

კიდევ ერთი პარტიის გამოცვლაზე რომ ფიქრობდა, რას წარმოიდგენდა, თუ პირდაპირ უკვდავებაში შეაბიჯებდა.

თანაც მეოცე საუკუნის სატირულ-იუმორისტული პოეტური მატიანისთვისაც სათავე უნდა დაედო.

მოცილე გამოუჩნდებოდა?

არამცთუ მოცილე, ათეულს მილმაც რომ აღმოჩენილიყო ქრონოლოგიის მიხედვით, მის მხატვრულ ეფექტს ამით რა მოაკლდებოდა?

მითუმეტეს, „უბის წიგნაკების" ის პასაჟი შესაძლოა არც იყო მასზე უადრესი.

თვითონ მიხეილ ჯავახიშვილის შეთხზული არ უნდა იყოს, თუნდ ხალხური პოეზიის იმიტაციით. „ჯაყოს ხიზნების" შემოქმედს, რა ვუყოთ, სულ არ მოსდევდა პოეტური მადლი და მისი ის ორიოდ ლექსი ისეთი ძლივძლივობითაა ნაჩორკნი, ამ სილაღესა და შთამბეჭდაობას ვერაფრისდიდებით ვერ მიაღწევდა.

ეგაა, მოეწონებოდა ანონიმი პოეტის ეს შედევრი და ჩანაწერებშიც გაურევდა, ზეპირად როდემდე ვიმეორო, თანაც, ვინ იცის, ხვალ რა მელოდება, იქნებ საფლავიც არ გადარჩეს ჩემი და ეს მაინც რატომ უნდა დაიკარგოსო.

**ბოლშევიკის დედაცაო,**
**მენშევიკის მამაცაო.**
**ერთი წუთის სიცოცხლე მაქვს,**
**პატარა ხანს დამაცაო!**

მოგვიანებით, როდესაც საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ოაზისად, ბედნიერების წამიერ გაელვებად შემორჩებოდა ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებას, მენშევიზმიც ერთგვარი რომანტიკული ფერებით შეიბურებოდა, თუმც თავის დროზე მათ შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ამჩნევდნენ და მენშევიზმს, თავისი არსით, ბოლშევიზმის მოკავშირედ და მისთვის გზის გამკაფავად სახავდნენ.

ეს თვალსაზრისი და განწყობილება მკაფიოდ ამოიკითხება, ვთქვათ, ზურაბ ავალიშვილის, რევაზ გაბაშვილის, შალვა ამირეჯიბის მემუარებში, გალაკტიონ ტაბიძის პოემაში, და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების" გარეკანზე ორი ძაღლი რომ გამოიხატებოდა, სწორედ სოციალ-დემოკრატიის ეს ორი ფრთა იგულისხმებოდა, ერთმანეთის მოპირისპირენი, მაგრამ სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ერთიმეორისა.

„უბის წიგნაკებში" ლიტერატურულ-პოლიტიკურ ფორმულადაც ჩაინიშნებოდა: მენშევიზმი ფარია ბოლშევიზმის. მოიხმარეს და გადააგდეს. როცა დასჭირდებათ, ისევ ამოიფარებენო.

ანონიმი პოეტიც სხვას კი არაფერს ირწმუნებოდა.

ბოლშევიკის დედაცაო, მენშევიკის მამაცაო...

ამ მცირე პოემაში იგივე განცდა გამოხატულიყო, რასაც უილიამ შექსპირი „რომეო და ჯულიეტაში" მერკუციოს ამ სიტყვებით ათქმევინებდა: ჭირმა გასწყვიტოს ორივე საგვარეულოო.

მონტეგებისა და კაპულეტების დაუნდობელ ქიშპს უნდა შესწირვოდა ეს ლაღი ჭაბუკი.

– მაგათ მიზეზით გადვიქეცი მატლების საზრდოდო, – სულის ამოხდომის წინ ამ ნაღველსაც გაურევდა გამოსათხოვარ მონოლოგს, ენანებოდა საწუთრო, მაგრამ ხუმრობასა და სიცილს მაშინაც არ დაიშლიდა და, რომეო რომ ევედრებოდა: არ მოკვდე, ბიჭო, არ იქნება დიდი ჭრილობაო, – მაინცდამაინც ასეთი შედარებანი მოუვიდოდა გონებაში: არც ჭასავით ღრმაა და არც ტაძრის კარებივით ფართო, მაგრამ მაინც კმარა, თავისას იზამსო.

არ მოკვდე, ბიჭო! – შესთხოვდა მეგობარი, ის კი: ხვალ მიკითხე და განსვენებულს მნახავ. დამამარილეს: საამქვეყნოდ არ ვვარგივარო.

ჩემთვის „რომეო და ჯულიეტა" იქ მთავრდებოდა, მერკუციოს რომ გაიყვანდნენ ბენვოლიო და მსახურები და ბენვოლიო მალევე შემობრუნდებოდა: მოკვდა მამაცი მერკუციოო.

ვერ მოესწრო ეთქვა: ერთი წუთის სიცოცხლე მაქვს, პატარა ხანს დამაცაო! თუმც გინდ მოესწრო, ვინ აცდიდა, მისდა საბედისწეროდ გადაჰკიდებოდა ერთმანეთს ეს ორი საგვარეულო და მიხეილ ჯავახიშვილის მიერ შემჩნეულ მელექსეს კი არაფრისდიდებით არა სურდა, ამ გმირის ბედი გაეზიარებინა.

* * *

ალექსანდრე ყაზბეგის მცირე პოემა თავისებურ წინამორბედად წარმოგვიდგება ამ ნიმუშებისა, და თუმც მეოცე საუკუნის მიღმა დგას, მისი აღუნიშნაობა გაუმართლებელი იქნება. ბოლოსდაბოლოს, მეოცეც ზედაა მომდგარი, მოჩხუბარიძე კი, სნეულებით გათანგული, ველარაფერს წერს, თავისი კავკასიური საგა ველარ გაუგრძელებია და ამ სტრიქონებს კი მაინც წააწერს იმპერატორის სურათს:

**დავწვი შენი სამართალი,**
**შენი კანონდებულება,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენი აზრი, მოფიქრება,
შენი მირონცხებულება.**

„დავნვის" რომ გაიგონებს დღევანდელი ჩვენი მკითხველი, უსათუოდ გაიფიქრებს, ალექსანდრე ყაზბეგს სულ სხვა სიტყვა ენერებოდა და პუბლიკაციისას შეუცვლიათ ევფემისტური მოსაზრებითო. სხვა ეპიგრამების პუბლიკაციისას ასეც მოქცეულან სხვა გამომცემელნი და „დავნვი" კიდეც დამკვიდრდებოდა გინების მორიდებულ სახესხვაობად. მაგრამ არა – ალექსანდრე ყაზბეგი სნორედაც „დავნვის" ამჯობინებდა, რადგანაც მისთვის უხამსობა, უწმაწურობა ყოვლად მიუღებელი გახლდათ ყოველდღიურ ყოფაშიც კი, არამცთუ გამოცემის ფურცლებსა თუ თეატრალურ სცენაზე. მიაჩნდა, რომ გინება, უწმაწური გამოთქმები რუსი ჯარისკაცებისა და ჩინოვნიკების შემოტანილი იყო საქართველოში, ენას ძალიან ანაგვიანებდა და, თუკი მშობლიურ ენას პატივისცემით ეპყრობოდი, იმ გამოთქმებსაც უნდა მორიდებოდი.

უეცრად რომ ნამოუვლიდა სიბრაზე და ამ ეპიგრამას მიანერდა სურათზე, რას იფიქრებდა, მცირე პოემის ჟანრს თუ ეხმიანებოდა ან იქნებ სულაც ქმნიდა. ამ თვალთახედვით გადასახედია ქართული ეპიგრამის ისტორია და მასში მინიპოემის გამორჩევაც აუცილებელია.

ამჯერად კი იმის თქმა ვიკმაროთ, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრი კარგა ხანს განასხვავებდა იმპერატორს რუსეთის სახელმნიფოსაგან და ათასგვარ უკეთურობათა და უბედურებათა სათავედ ის კი არ ეგულებოდათ – მონყალე და მნყალობელი – არამედ ის ჩინოვნიკები, რომელნიც მის ბრძანებებს კი არ ალასრულებდნენ, არამედ პირადი ანგარებით მოქმედებდნენ.

თვით დიმიტრი ყიფიანიც ასდევდა ამ შეხედულებასა და განნყობილებას.

მაგრამ არსებობდა მოღვანეთა მეორე გუნდიც, რომელნიც რუსეთის სახელმნიფო პოლიტიკასა და იმპერატორს ერთმანეთთან აიგივებდნენ და ალექსანდრე ყაზბეგიც ამ განნყობილებას გამოთქვამდა თავისი მცირე პოემით.

ისიც იქნებ მხოლოდ ეპიგრამა ეგონათ, მნარე ღიმილით რომ იმეორებდნენ და ყველას აღარც მოეხსენებოდა პირველმთქმელი.

მნარე ღიმილი იმისა იყო, კიდევ უფრო სასტიკად რომ აუხდა ქვეყანას სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის განმტკიცება-გაბატონება და ბოლშევიკური ფრთის დიდი ხნით დამკვიდრების მოსალოდნელობაც. აღარც ნამსვლელებს ჰგავდნენ ასე ადვილად და აღარც დემოკრატიულ ღირებულებათა თუნდ მკრთალად, ფრაგმენტულად შემსრულებელთ.

თვითონ ყოველთვის რომ იჩემებდნენ დემოკრატობას, მათი მოქმედება იმთავითვე საფიქრებელს ხდიდა გონიერ კაცთათვის, რომ უფრო ნილბად მოერგოთ ეს სახელი, ყალბი ტიტულივით მიემაგრებინათ გულზე, თორემ თუ რაიმეს არ დაგიდევდნენ, სნორედ ძმობას, ერთობას, თანასნორობასა თუ სხვა ადამიანურ მოვალეობებსა და უფლებებს.

და მაინც – ასე სასტიკად თუ მოეპყრობოდნენ პიროვნებებსა და ერებს და ყველა დანაშაულებრივ პოლიტიკურ რეჟიმს ნააჭარბებდნენ კაცობრიობის ისტორიაში, ამის განჭვრეტა გაძნელებულიყო.

თუმც ჯერ კიდევ როდის გააფრთხილებდა ერს გაბრიელ ეპისკოპოსი და შეუმცდარად ინინასნარმეტყველებდა იმ რეალობას, რაც იმჟამად ჯერ მხოლოდ იატაკქვეშ ფუთფუთებდა და ადამიანისა და სამყაროს ხსნის ბაირაღით გამოკრთებოდა აქა-იქ.

ესეც ადამიანისა და სამყაროს ხსნა!..

და ის ეპიგრამაც თითქოს გაბრიელ ეპისკოპოსის მღელვარე ღაღადისის თავისებური გამოძახილიაო:

**ერების თვითგამორკვევა
ლოზუნგად ჰქონდათ ქცეული,
სუყველა ერი მოთხარეს,
ვინც ნახეს გამორკვეული.**

გულუბრყვილო ადამიანებს თუ ეიმედებოდათ ამ და ამგვარი ლოზუნგებისა, აკი ეჭვითაც შესცქეროდნენ ბევრნი მათ ფართი-ფურთს, მაგრამ მოთხრა?.. ეს უკვე სცილდებოდა ნარმოსახვის საზღვრებს, არადა, ნელი ნელს მისდევდა და უბედურებაც უბედურებას დაერთვოდა, 25 თებერვალი ულმობელ ნიშანსვეტად ამოჩენილიყო და 22 და 23 ნლის ტრაგედიებს, 24-ის აგვისტო-სექტემბერი ისეთი სისხლდაცრემლთაღვრით ნაებმოდა, მოთხრა სხვა კი არაფერს ჰქვია.

ესეც თვითგამორკვევისათვის ნაქეზების საზღაური.

ყველას აღარც მოეხსენებოდა პირველმთქმელიო...

ჩაკარგვით არ ჩაიკარგებოდა და შემოგვრჩებოდა შალვა შარაშიძის სახელი, ვინც ამჟამად თითქმის არაფრით განსხვავდება უცნობ ავტორთაგან, თავის დროზე კი საკმაო პოპულარობა მოეხვეჭა თაგუნას ფსევდონიმითა და სატირულ-იუმორისტული ლექსებითა თუ ეპიგრამებით, რომელთაგან ეს ნიმუში აშკარად გამოცალკევდება თავისი ეპიკური აღნაგობით და მცირე პოემათა ჟანრში ძალდაუტანებლად მოექცევა.

ეს ის შალვა შარაშიძეა, მნერალთა კავშირის ნმენდას რომ შეუდგებოდა ხელისუფლება და 1931 ნლის 17 მაისის სხდომაზე კომისიის ხელით სახიფათო განაჩენს გამოიტანდნენ, დამნაშავეთა ყველაზე მძიმე კატეგორია მასაც რომ შეეფარდებოდა.

აქ ისეთი სახელებია – იოსებ იმედაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და პავლე ინგოროყვა – შესაძლოა გაგიკვირდეს კიდეც, შალვა შარაშიძე აქ საიდან მოხვედრილაო, მაგრამ ხელისუფლებას უკეთ მოეხსენებოდა, ვის მიუძღოდა სხვებზე მეტი ბრალი ნინააღმდეგობის მოძრაობის შესაქმნელად სამნერლო – გნებავთ იდეოლოგიურ – ასპარეზზე და ამიტომაც არ დაინდობდა მეამბოხე თაგუნასაც.

რეაქციონერი და პოლიტიკურად მიუღებელიო, – ასე აღინიშნებოდა მისი გვარის გასნვრივ და ეს მკაცრი და შემაშფოთებელი გადანყვეტილება... კიდეც არგუნებდა უკვდავებას, როდესაც ნყალი ნაიღებდა ამ რეჟიმსაც.

ჯერ კი:

სუყველა ერი მოთხარეს, ვინც ნახეს გამორკვეულიო, – ერთდროულად გამოახვევდა გლოვასა და სარკაზმს სხარტ სტრიქონებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ლადო ასათიანი ისე გაინაფებოდა ეპიგრამების თხზვაში, თვითონ „ფუნაგორიად" მოხსენიება რომ ერჩივნა, ისე როგორ იქნებოდა, ამ სახალისო ციკლში მინიპოემაც არ გამოერია.

ჟანრობრივად ეს სტრიქონები სწორედ ასე განისაზღვრება, თორემ, აბა, დაუკვირდით:

**ყველა დაუჭირეს აპოლონს დის მეტი,**
**მაინც არ მოიშალა აპლოდისმენტი!**

ესეც 30-იანი წლების სურათი – სახელმწიფო ტერორი და ადამიანის განწირულება, და საბჭოური სისტემის აუცილებელი აკომპანიმენტი – ტაში, და ტაში რეპრესირებულთა ჭირისუფალთაგანაც.

ორიგინალური, ეფექტური რითმა და სალაღობო განწყობილება ყველაზე მკვეთრი კონტრასტი გახლდათ იმ ტრაგედიისა.

ამ სტრიქონებს კიდევ ორი ტაეპიც მოჰყვება:

**დასცხე და დასცხე ტაში, აპოლონ,**
**რომ შენიანებს არ მიგაყოლონ!**

აქ გაშიფრულია ის,რაც ეპიგრამის წინა ნაწილში ასე ოსტატობითაა მინიშნებული. და ამგვარი გაშიფრვა ზედმეტიცაა და მართლა ეპიგრამას ემსგავსება ეს სატირულ-იუმორისტული შედევრი. ორ ნაწილად დაიყოფა თუ არა, ეპიგრამაა, ჩამოაშორებ ბოლო ორ სტრიქონს და... მცირე პოემის საუკეთესო ნიმუშია.

ჩვენც ჩამოვაშოროთ.

რა უფლებით?

ზეპირმეტყველებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა ამგვარი ჩარევანი. და თუ ლადო ასათიანის პოეტურ კრებულში ცალკე განყოფილებად დართულ ეპიგრამებში ეს ნიმუში თავდაპირველი სახით გამოქვეყნდება, მინიპოემების ციკლში მხოლოდ შეკვეცილი მოექცევა.

* * *

გალაკტიონ ტაბიძის ღიმილსაც ამოჰყვებოდა მცირე პოემა.

მაინც რომელი იგულისხმება?

მის არქივში აღმოჩენილი ის სტრიქონები, რაც სხვა ამ ყაიდის ნიმუშთაგან განსხვავებით ეპოქას დაიტევდა, იმ საბედისწერო მისწრაფებას იმპერიისა, ქართული ენის წართმევასა და სრულ გადაგვარებას რომ ისახავდა მიზნად მთელი ორი საუკუნე, ოღონდ ერთხანს განსაკუთრებით გამწვავდებოდა ამგვარი სწრაფვა, და ეს მაშინ, როდესაც მთელს საქართველოს უპირებდნენ აყრას ერთ ღამეს და გადასახლებას ციმბირში.

გალაკტიონის ის ტრაგიკომიკური სურათი სწორედ ამ – ლამის აღსრულებულ – განზრახვას უნდა გაიაზრებდეს:

**ეს ვალიას, ეს თედორეს,**
**ეს ტარიელს, ეს კი მოსეს,**
**ჯერ ვითვლებით ქართველებად,**
**თუ არ გაგვაესკიმოსეს.**

ყელზე ყულფივით გვადგა ეს „გაესკიმოსების" საფრთხე.

* * *

ამ უმწვავეს ტკივილს, რომელთან გამკლავებაც ძალიან ძნელია – და კიდევ კარგი, შეუძლებელი არა – გალაკტიონი დრამატული ხილვებითაც გვაგრძნობინებდა, თითქოსდა პეიზაჟურ სურათს შმაგი ღაღადისი რომ გაფატრავდა; „თითქოსდა" იმიტომ, რომ ამ სტრიქონებში რუსული ლანდშაფტის მოლანდების მიღმა ხელშესახებად კრთის სწორედ ის გაესკიმოსების საფრთხე:

**მე არ მინახავს თოვლი იმდარი.**
**ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვართ რუსები,**
**მაგრამ კვლავ გაჩნდა მათი მინდორი,**
**მათი თოვლები და ბურუსები.**

„არ ვართ რუსები" ხომ ისედაც უმძაფრესი შეგრძნებაა, რადგან ამის მტკიცება მხოლოდ მაშინ გიხდება, როდესაც ლამის მართლა დაკარგო საკუთარი მეობა, თვითმყოფადობა, თავისებურება და შეერწყა უცხო მოდგმას; უმძაფრესია, მაგრამ ამ „რა თქმა უნდა"-ს ეს სიმძაფრე სულაც უკიდურესობამდე მიჰყავს, შთანთქმისწინა კივილამდე, რათა შენი არსებობის კვალი – სხვა რაღა დაგრჩენია – ჰაერში მაინც აღბეჭდო.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვართ რუსები...

ერთ მცირე პოემაში იგივე განცდა სარკასტული იერითაც წარმოდგება, იმ რეალობისათვის თვალის გასწორებად, ბედს შერიგება და რუსეთის განაპირა პროვინციობა სულ მალე რასაც გიქადის:

**საქართველო რუსეთია,**
**საქართველო ისე ქვია.**

ავტორი ჩაგვეკარგებოდა თვალსადახელშუა, ალბათ იმიტომაც, დიდი რამ მნიშვნელობა არ მიენიჭებოდა ამ ორ სტრიქონს არც გამომთქმელისათვის და არც მსმენელისათვის, რომლებიც უნებურად თუ გაიმეორებდნენ, როგორც პრიმიტივიზმს, თავისთავად რომ გამახსოვრდება ყველაზე ბანალურ მელოდიასავით, თუნდაც გონებიდან მისი ამოგდება ძალიანაც გსურდეს.

მაგრამ თუ პრიმიტივიზმია და მეტი არაფერი, მაშ რატომ თავსდება ასე ბუნებრივად მინიპოემათა ნაკადში და არ უერთდება თუნდაც ეპიგრამების რომელიმე მდარე სახეობას?..

კი გაარღვია ეპიგრამის ჩარჩო.

და გაარღვია ამ „ისე ქვია"-თი, რომელიც გალაკტიონის იმ ზუსტად მიგნებული „რა თქმა უნდა"-ს შესატყვისია სატირის ენაზე.

* * *

1958 წლის მარტის მიწურულს ქართული კულტურის დეკადა გაიმართებოდა მოსკოვში – თეატრი, კინო, მუსი-

კა, ქორეოგრაფია, მწერლობა. მწერლობა, ცხადია, გარკვეული სისრულისათვის, „ც" ნაწილაკ აკიდებული, თორემ სათავგამოსაჩენოდ ქორეოგრაფია და ის სხვა ხელოვნებანი ეგულებოდათ.ეს ათი დღე გალაკტიონ ტაბიძის რაკურსიდან დანახული შემოგვრჩებოდა მურმან ლებანიძის მემუარული ჩანაწერების მეოხებით, და დეკადის გამართვის მოტივი და მიზეზიც იქვე ასეა ახსნილი:

– ჩვენ უნდა ვაამოთ მოსკოვს, თავი მოვიკატუნოთ და ვუმტკიცოთ ხრუშჩოვს, რომ ალარც კი გვახსოვს გუშინდელი სილაქი – სისხლიანი ცხრაას ორმოცდათექვსმეტი...

ვაამოთ და თავი მოვიკატუნოთო და: ადვილი მისახვედრია, თუ როგორ მოემზადებოდა აქაური ხელისუფლება (მხოლოდ მოგვიანებით რომ შეერქმეოდა თავისი შესაფერისი სახელი: მარიონეტული!), რათა მცირეოდენი დაეჭვების საბაბიც არ მიეცა ახალი იმპერატორისა და მისი კარისათვის, ქართველ ხალხს წყენა ჯერაც აქვს გულში ჩარჩენილიო.

ზარ-ზეიმსა და უკიდურეს მაამებლობა-მლიქვნელობას ძალაუნებურად უნდა ჩაეხშო სისხლიანი დღეების გახსენება და კიდევ ერთხელ დადასტურებულიყო, რომ საქართველოს რესპუბლიკა განუხრელი კურსით მიიწევდენ წინ – კომუნიზმის ალაპლაპებული მწვერვალებისაკენ.

იდეა სულაც აქ ჩაისახებოდა და რარიგ ალფრთოვანდებოდნენ, კრემლი მათ მხურვალე თხოვნას რომ იყაბულებდა.

ოფიციალური პრესა თავისას შემოინახავდა, მაგრამ... თავისას შემოინახავდა მინიპოემაც – ოფიციალურისაგან განსხვავებით უტყუარსა და სანდოს, და მალამოსავით ნაეცხობოდა იმ ადამიანთა გულს, რომელთათვისაც ეს დეკადა კიდევ ერთი სამარცხვინო აქცია გახლდათ, რაკილა კულტურის მაგივრად პოლიტიკური კონიუნქტურა განსაზღვრავდა მის შინაარსს:

**შეიძრა ცეკა-ტეკა და:**
**უნდა გავმართოთ დეკადა,**
**უნდა წავიდეთ მოსკოვში**
**მუხლების მოსადრეკადა!**

ვისიაო, – პირველმთქმელის ვინაობის გამორკვევას რომ შეეცდებოდნენ ლიტერატურულ წრეებში... კარლო კალაძესთან მიიყვანდათ ძებნა-ჩხრეკა და... დაჯერება კი ძალიან გაუძნელდებოდათ.

თუ ვინმე იყო კომუნისტური რეჟიმის თავგადაკლული მეხოტბე, კარლო კალაძეც მათ შორის.

თუ ვინმეს სწყალობდა საბჭოთა ხელისუფლება და თავიანთ ბურჯად ეგულებოდათ, კარლო კალაძეც.

თუ ვინმე მიეშურებოდა სიხარულით მოსკოვში და თუ ვინმე არ დაიღლებოდა ამ დეკადის ქებით, კარლო კალაძეც.

ისიც მოაგონდებოდათ, მამას რომ დაუხვრეტდნენ და ის კი მეორე დღესვე ლავრენტი ბერიას სადიდებელ ლექსს გამოაქვეყნებდა: ხალხის მტრებსა და მოღალატეებს არ ინდობს შენი რკინის მარჯვენაო.

ასე გაამართლებდა რაჟდენ კალაძის სიკვდილით დასჯას შიშით შეპყრობილი, ვაითუ მეც ზედ მიმაყოლონო.

ახლა კი: მუხლების მოსადრეკადაო!..

თან რა სიხალისითა და ირონიით სუნთქავდა ეს ერთსტროფიანი ლექსი.

გონებამახვილობა, იუმორი არ აკლდა კარლო კალაძეს, წყაროსავით მოჩქეფდა ფრთიანი, ღიმილით გახსივოსნებული სიტყვები მის ბაგეთაგან და ახლო-მახლო წარმოთქმული ლამის ყოველი ფრაზისათვის შეეგებებინა მარჯვე პასუხი, მოხდენილი, კალამბურული შესატყვისი.

კომედიების წერისას არ გამოადგა ეს ნიჭი, არც ეპიგრამების შეთხზვისას, ვერავინ მოიგონებდა მის ასე თუ ისე რიგიან ექსპრომტს, მაგრამ ამჯერად თავისთავად რომ მოადგებოდა ენაზე ეს სტრიქონები, პირს არ აიკრავდა და, თავისი მრწამსის საპირისპიროდ, ამ მინიპოემად ჩამონაკვთავდა.

შეუძლებელია კარლო კალაძისა იყოსო, – უარობდა არაერთი.

შეუძლებელია თუ არა, მისია და ხომ არ ჩამოვართმევთ საეჭვო წარსულის გამოო, – არწმუნებდნენ საქმეში უფრო ჩახედული პირნი და... გული წყდებოდათ: რა ღირსია, ასეთი ეპიგრამა რომ შეეთხზა, ჩვენთვის უფრო უპრიანი არ იქნებოდაო!..

კიდევ რამდენჯერ შეიძვროდა ცეკა-ტეკა და...

მუხლებიც სულ გადატყავებულიყო მოდრეკისაგან!..

* * *

რასაც ოდესლაც ხარკის აკრეფა ერქვა, ახლა საწარმოო და სახელმწიფო გეგმების პირნათლად შესრულება დარქმეოდა, და ძარცვით ხომ გძარცვავდა რუსეთი, უკმაყოფილება გამოგეხატა კი არა, მადლიერებად და ქებადიდებად უნდა დაღვრილიყავი – რა კარგია, რომ მიეზიდებით, რა კარგია, რომ საბჭოთა რეჟიმის განმტკიცებას ახმარეთ საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრესაც, რა მარჯვედ, რა ენერგიულად შემატებთ ხოლმე თქვენს ქონებას ჩვენს იმ საკუთრებასაც, რაც თქვენია და მხოლოდ თქვენი, თქვენთვის უფრო ვარგისი და დაუყვედრებელიო.

ამ ყოველივეს თავისი სახელი პირად საუბრებში ერქვა, და კიდევ იმ ორტაეპედში, თურმე მინიპოემათა ციკლს რომ უნდა შემატებოდა:

**რა ყოფილან ეს რუსები –**
**შეგვიჭამეს რესურსები.**

ეფექტური რითმა და უფრო მეტად კი გაოცების ინტონაცია, ვითომ შემთხვევით გამხდარიყავი შემსწრე ჩვენი რესურსების გაზიდვისა და თითქოს 25 თებერვალი იმთავითვე არ განსაზღვრავდა ამ ახლებურ სახელდებასაც.

რა ყოფილანო – ესეც მწარე ღიმილად ითქმის.

ემანუილ აფხაიძის გულისმომკვლელ სიცილად.

ალარაფერი გვრჩებოდა და!..

კომედიური ჟანრის მსახიობად იცნობდნენ და აღიარებდნენ ემანუილ აფხაიძეს – თეატრის სცენაზე გნებავთ, კინოეკრანზე გნებავთ... თუმცა პოპულარობა უფრო საესტრადო გამოსვლებით მოეპოვებინა, საკუთარ სატირულ-იუმორისტულ ლექსებს რომ წარმოთქვამდა, საერთო სახელწოდებად კი... „აჯაფსანდალები" შეერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩია. ნაცვლად ცალკეული დასათაურებისა, სწორედ ასე აცხადებდა: აჯაფსანდალი ნომერი პირველიო, მეორეო, მესამეო...

ოვაციებით ეგებებოდნენ მის გამოსვლებს.

იმ სიხარულსა და ხალისს მემუარები თუ შემოინახავდა, და მიხეილ ჭაბაშვილი იმ სურათსაც აღადგენს, გამოსვლის იმ ორიგინალურ მანერასაც, მსახიობი ერთი აჯაფსანდალის დამთავრებისთანავე რომ შეტრიალდებოდა, თავს ოდნავ გვერდზე გადასწევდა და ტაშის გრიალში ვითომდა გასასვლელისაკენ გაემართებოდა, მაგრამ გამოცდილმა მაყურებელმა უკვე იცოდა, რომ იგი სცენაზე ფართო წრეს შემოუვლიდა, ისევ ძველ ადგილს დაუბრუნდებოდა და ახალ აჯაფსანდალს წარმოთქვამდა.

მხოლოდ ერთი, ერთადერთი აჯაფსანდალი არ გაისმოდა სცენიდან.

ანკი რანაირად – მისი გახმიანება იქვე დაამთავრებდა მსახიობის კარიერას, უარესს თუ გადაურჩებოდა.

მაინც რა ყოფილან ეს რუსები, ასე რომ შთაენთქათ ჩვენი რესურსები!..

დაე მისი ადგილიც იატაკქვეშეთი ყოფილიყო, ვიდრე სამზეოზე ამოაღწევდა.

ბედის ირონიით კი ისე მოხდებოდა, რომ ემანუილ აფხაიძეს მრავალრიცხოვანი როლების შესრულებისას... სერგო ორჯონიკიძის თამაშიც მოუწევდა ერთ რუსულ ფილმში („სექტემბრის დღე"), ის გრიმი უნდა მოერგო და იმ რევოლუციონერს დამგვანებოდა, ვის მიერ მოტანილ ცხოვრებასაც მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა.

ბედის ირონიაც სხვა რა ყოფილა!..

* * *

ვახუშტი კოტეტიშვილი მთელ ციკლს მოუყრიდა თავს კაფია-გალექსებებისა და, რათა მკითხველისათვის ყოველივე უფრო მკაფიო ყოფილიყო, აუცილებელ ცნობებს დაურთავდა. ეს ის ფონია, ურომლისოდაც ხან ეპიგრამა სრულიად ბუნდოვანი ხდება გარეშე კაცისათვის, ხანაც იუმორის მარილი იკარგება. ასე შეიქმნებოდა ორიგინალური ყაიდის თხზულება „სალაღობოდ – სათრეველად", უმთავრესად ალექსი ჭინჭარაულის მახვილსტყვაობასა და კაფიის ხელოვნებაზე აგებული, მის გვერდით კი სხვათა ცალკეული ნიმუშებიც შემოერეოდა.

სახალისოა ალექსი ჭინჭარაულის იუმორისტული მინიატურები, ათასგვარი თვალსაზრისით საგულისხმო, მაგრამ მცირე პოემა არსად შეინიშნება.

სამაგიეროდ, ლაფანყურელი ცნობილი ვეტექიმისა და უფრო ცნობილი მელექსის, სერაპიონ რუსულაშვილის, იგივე სერას, რეპერტუარიდან მოხმობილ ეპიგრამებს შორის ერთი უდავოდ მინიპოემაა.

თვითონ ეგონა, მთავარ აგრონომს მხოლოდ ლექსი გამოვუთქვიო, და ვახუშტი კოტეტიშვილიც ლექსად იხსენიებს:

**აგრონომი გვყავს – ვანია,**
**მუშაობს დიდი ხანია,**
**მიწაზე სახნავ-სათესი**
**ქალალდზე მოუყვანია.**

არადა, შორს გასცილებია ეს სტრიქონები კაფიასა თუ ეპიგრამას.

ეპოქა ამოდის თვალდათვალ – თავისი სიყალბითა და მიწერებით, სოციალიზმის იმ უჩვეულო, არნახული თავისებურებით, რომ მიწაზე სახნავ-სათესი მართლა შეგეძლო ქალალდზე მოგეყვანა. ეს არ არის ერთი აგრონომის, ერთი ადამიანის მაქინატორობა, ეს სოციალიზმის გულისგულია და კიდევ ერთი ხელშესახები დადასტურება მიხეილ ჯავახიშვილის აღმოჩენისა: რა ძალა აქვს ქაღალდს რუსის ქვეყანაშიო.

მეტი ძალალა გაგიგონიათ!..

* * *

პოპულარობით კი ეს ორსტრიქონედი ლამის ყველას წააჭარბებდა და ავტორობა ხან ვის მიეწერებოდა და ხან ვის, ვერაფრისდიდებით ვერ იჯერებდნენ, რომ ფილოსოფოსს შეეთხზა, ვინც პოეტური ტალანტით დიდად არ გამოირჩეოდა. ეს მცირე პოემა კი მართლაც წარმატებული გამოსვლოდა და იქნებ თვითონაც საგონებელში ჩავარდნილიყო, ნეტა მე მომაფიქრდა თუ სხვისას ვიმეორებ უნებურადო. გვარი იშვიათი პოეტურობით აღბეჭდილი ჰქონდა – ტაბიძე, ოთარ ტაბიძე, მინიპოემა კი ეფექტური, ორიგინალური რითმის გარდა ეპოქალური სიღრმითაც გამოირჩეოდა:

**რადგანაც ვთარგმნეთ მარქსი მალულად,**
**მიტომაც გვიჭირს მაქსიმალურად!**

„გვიჭირს" ჟარგონული შესატყვისებით უფრო ტრიალებდა – პირვანდელი იქნებ სულაც ის იყოს, იქნებ გახალხურებამ ძალაუნებურად მოითხოვა ის უფრო მძაფრი გამოთქმა... მაგრამ მთავარი რაც არის ამ ეპიგრამა-პოემაში, ის ხელუხლებლად რჩება.

ეს მცირე პოემა თავისთვის არსებობდა, ლიტერატურულ შეჯიბრში მონაწილეობა არ მიუღია და ავტორს იქნებ არც არასდროს სმენია, ასეთი იატაკქვეშა კონკურსი თუ გამართულიყო, მაგრამ იმ შეჯიბრების მონაწილენი ძალიან დააფასებდნენ ამ ნიმუშს და დროშასავით ასწევდნენ – სწორედ მასთან გათანაბრებასა თუ ჯობნას განიზრახავდნენ და ახალ-ახალ მინიპოემებს სთავაზობდნენ ერთმანეთს. ვერა, ახლოსაც ვერ მივიდოდნენ, და ერთხელაც ტარიელ ჭანტურია ამგვარ ეპიგრამას რომ წარმოთქვამდა „ცისკრელთა" წრეში:

**ბელადმა უთხრა კაამოს:**
**გაამოს, ძმაო, გაამოს!**

მოუწონებდნენ და ერთსულოვნად აღიარებდნენ მცირე პოემის ჩინებულ ნიმუშად, მაგრამ... მეორე ადგილს არგუნებდნენ.

სილაბი მიმატებოდა რევოლუციონერ-ტერორისტის ფსევდონიმს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ არა, პოეტურ საზომში ჩატეულიყო – შეგნებულად მახინჯდებოდა, და ისე გრძელდებოდა, მაინცდამაინც „გაამოს" გარითმვოდა. ყველასათვის ცხადი გახლდათ, რაც „ეამა" სახელოვან რევოლუციონერს, ვის მიერ გატაცებული ფულითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმაგრებდა ნელს ბოლშევიკური პარტია. „გაამოსო" – უმადლებდა თვით ბელადი და ეს გახლდათ გამართლება კამოს (თუ კაამოს?) საქციელის, ციხისაგან თავის ასარიდებლად უკადრისობასაც რომ იკადრებდა.

ნეტა ციხეში უარესი რა უნდა დამართოდა?!.

შორს დარჩებოდა ის პოეტური შერკინება და „დანყვეტილი სერპანტინის" ციკლში ტარიელ ჭანტურია ამ ეპიგრამასაც რომ ჩართავდა, აღარც არავინ შეუფასებდა მცირე პოემად და იქნებ თვითონაც აღარ განესაზღვრა ამ ჟანრული თვალსაზრისით:

**ხომ დაგიფასდა, ჩემო კარგო,**
**შენც ამაგი და:**
**ხომ დაამარცხა „მრგვალმა ბალმა"**
**„მრგვალი მაგიდა"!**

სამხედრო გადატრიალება და მისი მამამთავარი ასე უბრალოდ და გამჭვირვალედ მინიშნებულიყო. ბელადისაგან კამოსათვის მხარზე ხელის დაკვრა ამ ეპოქალურ მოვლენასთან რას მოვიდოდა, და კიდევ ბევრი რამ ვერ შეეტოლებოდა მინიპოემათა რიგში. რამხელა ტრაგედია ჩანურულიყო ღიმილით გაკვესებულ სტრიქონებში, და „ამაგდაფასებულთ" რომ ნაკრავდა ირონიულ ნესტარს, „მრგვალი ბალის" სიმბოლიკაში იმ შორეულ ხელს იგულისხმებდა, უკვე მოსკოვიდან გადმონვდენილს, თუმც დავიწყებით არავის ავიწყდებოდა, მისი პოლიტიკური კარიერა, შეუფერხებელი აღმასვლა ზემოთ მრგვალი ბალის წინ აღმართული შენობიდან რომ დანყებულიყო.

„მრგვალი მაგიდა" თვითონვე გამოიხმობდა „მრგვალი ბალის" ასოციაციას, თუმც შენც არ უნდა გამოგრჩენოდა ეს იდუმალი ძახილი.

აკლებულიყო ედუარდ შევარდნაძის ბინა, ჩადიოდნენ და ჩადიოდნენ რჩევისა და მოქმედების გეგმისათვის ზვიად გასახურდიას ხელისუფლების დამხობის მონადინენი და მისი კარის ზღურბლს გადმოსცილდებოდნენ თუ არა, იქიდანვე აიკლებდნენ ტელევიზიასაც, რადიოსაც, გაზეთებსაც – გამოაშკარავებულია ედუარდ შევარდნაძისა და ზვიად გამსახურდიას ფარული ალიანსი და ამ ხელისუფლებასთან შეგუება ჯერ მარტო ამიტომ არ შეიძლება, შევარდნაძესთან რომ ეძიებს დაახლოების გზებს, და ეს ალიანსი კი დაღუპავს საქართველოსო.

უარობდა საქართველოს პრეზიდენტი, ისინი კი დაბეჯითებით იმეორებდნენ და: დოკუმენტებსაც წარმოვადგენთ, როცა კი ინებებთო, – ხალხს არწმუნებდნენ. დოკუმენტები არსად ჩანდა, მაგრამ დიდად არ დაგიდევდნენ – იმეორებდნენ და იმეორებდნენ.

ესეც ერთ-ერთი რჩევა გახლდათ.

თანაც – ზედ კარის ზღურბლზევე უნდა თქმულიყო, დრო რომ არ დაეკარგათ.

დაუფასდებოდათ ამაგი, ცხადია.

და ახალი ხელისუფალი ისეთი სახით მოგვევლინებოდა, თითქოს სამხედრო გადატრიალება უიმისოდ მომხდარიყოს და თვითონ მხოლოდ გასაჭირში ჩავარდნილი ქვეყნის გადარჩენა ევალებოდა.

მცირე პოემა ღაღადებდა, სინამდვილეში რაც მომხდარიყო.

* * *

ეს მაინც როგორრიაო? – გამუდმებით იკითხავდა იმ პოეტური კონკურსის ჟამს ჯანსულ ჩარკვიანი, ახალ-ახალ ეპიგრამა-პოემებს რომ გამოაჩენდა. ურიგო არ არისო, – დანუნებით ვინ დაუნუნებდა, მაგრამ სამეულში მოხვედრა გაუჭირდება, ჰა-და-ჰა როგორღაც მოხვდესო. ეს არა თანხმდებოდა სამეულს მიღმა დარჩენას, არც იმ „ჰა-და-ჰას" და საუკეთესო მცირე პოემის შექმნის ჟინი არ მოასვენებდა. მაინც არა და არა. და სადღაც შორს რომ ჩაიძირებოდა ის გატაცება, ისე შეიქმნებოდა ის სტრიქონები: შეხვალთ, – დედა გეტირებათ, არ შეხვალთ და დედმამაო, – თვითონ ეპიგრამა ეგონა და საუკეთესო მცირე პოემა კი შეგვრჩებოდა ხელთ, წლების წინათ ამაო მიზნად დარჩენილი და რა მოულოდნელად ამომსკდარი.

კიდევ?

ზაურ ბოლქვაძეს ისე ემარჯვებოდა მახვილი სიტყვა, სხარტი, მოსხლეტილი სტრიქონი, იუმორისტული მინიატურა, წარმოუდგენელია მცირე პოემის ჟანრისთვისაც არ დაეჩნია თავისი მადლი. და კიდეც მოაქცევდა სიცრუეზე ამოშენებულ სახელმწიფო ნყობას დანურულ განცდაში:

**ვისაც ლანძლავს მასმედია,**
**ხალხის ნდობა მას მეტი აქვს.**

რაოდენ დაშორებია ერთმანეთს ხალხი და ოფიციალური აზრი, ორ მოპირდაპირე ნაპირზე გარიყულან და უფსკრული ისე საბედისნეროდ გადახსნილა, ამოვსება, ნაპირთა დაახლოება ყოვლად შეუძლებელი გამხდარა.

განსხვავებული თვალსაზრისები შეურიგებლობად ქცეულა და, თუკი ვინმეს ნინააღმდეგ ნამონყებულ სასტიკ ლაშქრობას შეესწრები პრესის ფურცლებზე, უკვე დარწმუნებული უნდა იყო, რომ რაღაც სასიკეთო ფიქრი გაჩენილა, რაღაც სასიკეთო მცდელობა ისახება და ხელისუფლებას კი მისი ჩაკვლა განუზრახავს.

სულ რომ არაფერი გსმენოდეს საბჭოთა რეჟიმსა და მმართველობაზე, ეს ორად ორი სტრიქონი ძალდაუტანებლად მიგახვედრებს ყირაზე დამდგარი სინამდვილის არსს, ღიმილ-ღიმილით გადმოფარჩავებულ ტოტალურ სიყალბეს. აბა, რა ქვეყანაა ის ქვეყანა, სადაც მასმედიის ლანძღვამ მეტი გავლენა უნდა მოგიხვეჭოს ხალხში.

კიდევ?

სახელმწიფო გადატრიალება მოხდებოდა ჩილეში.

ეს ჩვენ საიდან და რატომ გვეხება?

შეგვახებდნენ.

კომუნისტური ხელისუფლება დაემხობოდა, სალვადორე ალიენდეს დაუმთავრებდნენ პოლიტიკურ კარიერას და პინოჩეტი მოევლინებოდა ჩილეს ახალ მმართველად.

ჰოი, რას გამწარდებოდა საბჭოეთი, როგორი ასატანი იყო დასაყრდენის გამოცლა ხელიდან და გადაივსებოდა ტელევიზია და პრესა ახალი რეჟიმის ლანძღვითა და დამხობილი ხელისუფალის ქება-დიდებით.

რეალობა ჩილეში აღარ შეიცვლებოდა.

ქართული ეპიგრამული პოეზია კი უცნობი ავტორის ბაგით ასე გამოეხმაურებოდა ამ ეპოქალურ მოვლენას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სალვადორე ალიენდე,**
**კომუნისტებს რატომ ენდე?**
**ენდე?**
**ენდე!**

მახვილსიტყვაობის ჩინებული ნიმუში, დამხობილი ხელისუფალის გვარის ნაწილი თავისთავად გამოიხმობდა ნდობისა და ნიშნისმოგების ეფექტურ შეთამაშებას და მხოლოდ შორეული ქვეყნის პოლიტიკურ ყოფას კი არ გაიაზრებდა, ჩვენს ბედისწერასაც გამოხვევდა სულ რამდენიმე სიტყვაში.

კომუნისტების ნდობას ეს მოსდევდა – გარდუვალი კრახი და დაცემა ადრე თუ გვიან. და გაფრთხილება გახლდათ ყველა ალიენდესი – ნუ აჰყვებოდნენ ცდუნებას და სულს ნუ წაიწყმედდნენ, თორემ სხვას ვერაფერს მიაღწევდნენ, გარდა იმისა, ჩილელ სოციალისტ ბელადს რისთვისაც მიეღწია და ქართველი ეპიგრამისტი დაუფარავად დასცინებდა: ენდეო!

ეპიგრამისტი?

მცირე პოემის ავტორი უფრო ეთქმის მასაც, საერთაშორისო გამოცდილებით რომ გაამდიდრებდა ამ ჟანრს.

სალვადორე ალიენდეს კი ესლა დარჩენოდა დიდ იმედთა სანაცვლოდ – სრული გვარ-სახელით გამოჭიმულიყო ქართულ ლექსში, ეძგვერაძე ბარნაბასი არ იყოს.

თუმც სხვას ესეც არ ეღირსებოდა.

თითქოს აქ უნდა მოთავდეს მცირე პოემათა ეს ციკლი, მაგრამ ის მინიპოემა როგორ უნდა გამოიტოვოს – კვლავ საერთაშორისო მოვლენათა გამოძახილი, „ნაკვესების" სერიაში უკვე რომ ჩაერთვოდა, ოღონდ სურათის სისრულე გვავალებს აქაც განმეორდეს.

ივანე ამირხანაშვილი ტელეეკრანს მისჩერებია და ახალ ამბებს უსმენს. აგერ დიქტორი გვამცნობს, რომ ჯოჰარ დუდაევს დაპირისპირებია მამადაევი, ვინც რუსეთს სანდო კაცად ეგულება და კიდეც შეპირებიან გახელისუფლებას, თუკი ჩეჩნეთის პრეზიდენტისა და მის მომხრეთა განადგურებას თავის თავზე აიღებს.

ისიც ძალიან მონდომებულა და ახლა უნდა გამოჩნდეს – ვინ ვის.

ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარია ივანე, კრიტიკოსიცაა და მის ნარკვევებსა და სტატიებს რომ ეცნობი, ისეთ მკაცრ ლოგიკასა და საბუთიანობაზეა აგებული მსჯელობა, ვერც იფიქრებ, მათი ავტორი ღიმილით თუ ილიმება მაინც. და იქნებ არც დაიჯერო, რომ საკმაოდ ეხერხება კალამბურიც, პალინდრომიც, სიტყვათთამაშის ოსტატია და ამ მხრივაც საგულისხმო მასალა დაგროვებია, თუკი ოდესმე მოიცლის და ცალკე კრებულად მოამზადებს.

ახლა ეკრანს რომ მისჩერებია და მამადაევის გვარს მოჰკრავს ყურს, ძალდაუტანებლად წამოაგონდება, რომ მაჰმადს, ალაჰის მოციქულსა და წინასწარმეტყველს, ძველი ქართული ტექსტები მამადად იხსენიებენ. და ეს ბიძგი საკმარისია, რათა ჩინებული სტროფი ჩამოისხას, თითქოსდა მაჰმადისა და მამადაევის დიალოგიაო, მამადაევისა, ვისაც, პერსონაჟად გარდასახულს, მამადად გადაუკეთდება გვარი:

**– ადე, გასწიე, მამადო,**
**ხალხს შენ უნდიხარ მამადო!**

**– რომ გავიწიო, მამადო,**
**ვაითუ დუდამ მამადო!**

ბრძოლის ველზე გალაღებულიყო რუსთაგან წაქეზებული ოპოზიციონერი, ლექსში სევდა შერეოდა მის სიტყვა-პასუხს, და ეს სევდა აუცხადდებოდა იმ გალაღებულ პროტოტიპს, ვისზეც ზედგამოჭრილი აღმოჩნდებოდა ქართული ანდაზა: წააქეზეს მურია და შეაჭამეს მგელსაო.

ჯოჰარ დუდაევს მაინც მგლად იხსენიებდნენ! ეს სიმბოლო მისადაგებოდა...

როგორი ეპიგრამააო, – იკითხავდა ივანე ამირხანაშვილი და, როდესაც შევუსწორებდი: ეპიგრამა კი არა, მინიპოემა-მეთქი, – ეგ რაღას ნიშნავსო, შეფიქრიანდებოდა. ლიტერატურული ჟანრები არ ეშლებოდა, მაგრამ ოთხი სტრიქონი სადაური მინიპოემა უნდა ყოფილიყო?! მასაც კოლუმბივით დამართნოდა – სულ სხვას ეძიებდა, სულ სხვას მიაგნებდა, და ეს აღმოჩენა გაცილებით უფრო დაუფასდებოდა, ვიდრე ის სწორი გზით მისვლა იქნებოდა. საუკეთესო ეპიგრამები უამრავი იცის ქართულმა მწერლობამაც, მაგრამ მცირე პოემა?!

დაპირისპირებანი არა ცხრებოდა, ჭიდილი ქცეულიყო საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმად და თუ ამ ტალღების აყოლა არ გენება, საშველს იმ ფიქრში ეძიებდი: ერთი წუთის სიცოცხლე მაქვს და ცოტა ხანს მაცალონ, მაინცდამაინც ამ სასტიკ რკენა-შეჯახებებში რატომ უნდა ჩავერიო, ულმობელობა და სისასტიკე მეც რატომ უნდა გადმომედოსო.

და რაღაც იმგვარსაც მიაყოლებდი ამგვარ ფიქრებს, იმ უცნობ პოეტს ამ სიმძაფრით რომ გამოეთქვა: ბოლშევიკის დედაცაო, მენშევიკის მამაცაო...

ამ ჭიდილით ჩათავდებოდა მეოცე საუკუნე, ამ ჭიდილითვე გადავდგებოდით ოცდამეერთეში.

* * *

ნელ-ნელა იცვლებოდა ის დრო, როდესაც უმთავრესად ერთი აგენტურა მოქმედებდა თუ დასუნსულებდა საქართველოში. დროის ცვლილება იმ აგენტურას კი არ გააქრობდა, უბრალოდ შემოერეოდა ახალი ნაკადიც, სულ უფრო და უფრო მომძლავრდებოდა და ლამის არანაკლებ გამოკვეთილ ქსელად გამოჩნდებოდა.

და დგებოდა ახალი ჟამი, რომლის სატირული სურათიც ამ მცირე პოემით ასე გამოითქმოდა:

**საქართველო – „გრუზია",**
**სანახევროდ „გრუ"-სია,**
**ხოლო დანარჩენი კი**
**უკვე „ცეერუსია".**

რომ არ იცოდე ავტორი, იქნებ სხვა პოეტებისაკენ უფრო გაგიწიოს ფიქრმა, ვიდრე... გივი ალხაზიშვილისაკენ, ვისი მედიტაციური თუ დრამატული ხილვებიც უპირველესად აღმსარებლობით სტილისტიკას ამჟღავნებენ ლირიკულ გარსად. თუმც ღიმილი, ირონია, პაროდია უცხო რომ არ არის მისი პოეტური ბუნებისათვის, ჯერ მარტო „ქაცვიას დღიური" ადასტურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც, უფრო ლადო ასათიანის ტრადიციის მიმდევარია – სიტყვათთამაშს, კალამბურს, ეპიგრამულ სტრიქონებს ზეპირმეტყველებისას კმარობს ანდა თავისთვის ინიშნავს და აუცილებლობად არ ესახება მათი გამოქვეყნება.

მაგრამ, აი, დადგებოდა დრო, როდესაც კიჩი რაღაც სიახლედ გამოცხადდებოდა ჩვენს ლიტერატურაში და პოეტური ნელთაღრიცხვის ათვლაც 90-იანი წლებიდან დაიწყებოდა, როგორც ქართული პოეზიის დიდი გარდაქმნიდან თუ გადახალისებიდან, რომლის გადასახედიდანაც თითქოს სულ სხვაგვარად მოჩანდა ყოველივე – დრომოჭმულად, მოძველებულად...

ტყუილად ირწმუნებით, თითქოს კიჩი დასავლეთიდან შემოსულიყოს ჩვენში და სრული უპირატესობაც ამიტომ მოუპოვებია სხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებზე, ის ყოველთვის არსებობდა ქართულ ანდერგრაუნდში, ეგაა, კიჩის ნაცვლად ფუნაგორია ერქვაო, – მშვიდად დაუსაბუთებდა კიჩის მიმდევართ ამ უბრალო ჭეშმარიტებას გივი ალხაზიშვილი, ოღონდ საჭიროდ კი მიიჩნევდა ზოგიერთი ეპიგრამა – ცალკე ციკლად თუ არ დაბეჭდავდა – ლიტერატურულ-კრიტიკული ჩანაწერების ციკლში („შთაბეჭდილებათა ნაკვალევი") მიმოებნია. და სწორედ ამ მიმობნევისას გამოერეოდა ეპიგრამულ ნიმუშებს მცირე პოემაც, თუ როგორ გაენაწილებინა საქართველო „გრუ"-სა და „ცეერუ"-ს.

* * *

ცხოვრების დინება ისე ატრიალდებოდა, საზოგადოებრივი მოვლენები ისე ნაენყობოდა ერთმანეთს, პოპულარულ პოეტთა სიას კოტე ყუბანეიშვილი მოექცეოდა სათავეში და ლამის ეპოქის მესიტყვედაც ის შეერაცხათ... მახვილსიტყვაობა, ეპიგრამა, პოეტური მინიატურა აღმოჩნდებოდა მისი პოეზიის უმთავრესი განმსაზღვრავი და, აი, ერთხელ მინიპოემაც გამოერეოდა მის ეპიგრამათა ნაკადში... თუმცა... თუმც ის, რომ ეს ეპოქალური ორსტრიქონედი სცილდება მეოცე საუკუნის ჩარჩოს – ქრონოლოგიურადაც და იდეურადაც. ოცდამეერთე საუკუნის პირმშოა და, ასწლეულის შემდგომ თუკი ვინმე მოინდომებს XXI საუკუნის გააზრებას მინიპოემათა ხერხემალზე დაყრდნობით, უსათუოდ ის მცირე პოემა გახსნის იმ ჟამის ბედისწერას – ვინატროთ, რომ ტრაგიკომიკურს აღარ... მთელ ასწლეულს ნულა გადაწვდება ეს დამთრგუნველი, ლამის სასოწარმკვეთი სულისკვეთება.

ჩვენი XX საუკუნის ბედისწერის წარმოსახვის დროს კი ძალაუნებურად უნდა გამოვტოვოთ კოტე ყუბანეიშვილის სახელი.

მინი პოემა სპეციფიკური ჟანრია და ურიცხვ, თუნდ ერთიერთმანეთზეც უკეთეს, ეპიგრამაში იქნებ ერთიც არ გამოგერიოს მცირე პოემის ნიმუში, აგერ, ალექსი ჭინჭარაულისა არ იყოს, და კიდევ – ზეზვა მედულაშვილის, რუსლან მიქაბერიძის... და კიდევ – ვახტანგ ჯავახაძის, ემზარ კვიტაიშვილის... და კიდევ...

იქნებ კიდეც მოეპოვებოდეთ ან ამათ, ან სხვათ და უნებურად გამომრჩა?

ძიება, კვლევა განა აქ მთავრდება!..

* * *

ამ ჭიდილით ჩათავდებოდა მეოცე საუკუნე, ამ ჭიდილითვე გადავდგებოდით ოცდამეერთეშიო...

გავენაწილებინეთ აქეთ „გრუ"-ს და იქით „ცეერუ"-ს, მინიპოემა როგორც გვიდასტურებდა.

ოცდამეერთე, რასაკვირველია, თავის სიახლეს შესძენს მცირე პოემის ჟანრსაც, თავის სიმდიდრეს დააგროვებს ამ გზაზე, მეოცე კი აქ დასრულებულა, გივი ალხაზიშვილის მინიპოემას მოუთავებია ის ტრაგიკომიკური ციკლი, მას შეუკრავს იმ იუმორისტულ-სატირული მატიანის კომპოზიციური ქარგა, ერთი გზით რომ ისტუმრებდნენ მენშევიკებსაც და ბოლშევიკებსაც, ეძგვერაძე ბარნაბას ირგვლივ დავიდარაბა ატეხილიყო, ნეტა ახლა რომელ პარტიაშიაო; თვითგამორკვევა, თვითგამორკვევაო, და ყველა ერს მოთხრიდნენ, ვისაც გამორკვეულს ნახავდნენ; აპოლონს კი ხელები გადაეტყავებინა ტაშისკვრით, გაესკიმოსებას არაფერი გვიკლდა, ბელადი კი კამოს ამხნევებდა: გაამოსო, – რა ყოფილიყვნენ ეს რუსები, ჩვენი რესურსები შეესანსლათ და ტუჩებს ილოკავდნენ; საქართველო რუსეთი იყო, ეგაა, საქართველი ისე ერქვა; ცეკა-ტეკაც შეიძვროდა და მუხლების მოსადრეკად მოსკოვს მივდიოდით; გაგლანძლავდა მასმედია და ერთბაშად გაიზრდებოდა შენი გავლენა ხალხში; მინაზე სახნავ-სათესს ფურცლებზე მოვიყვანდით; გულს სალვადორე ალიენდესათვის ნიშნისმოგებითაც მოვიოხებდით, მრგვალი ბალი პოლიტიკური ასპარეზიდან ისტუმრებდა მრგვალ მაგიდას და ახალი ხელისუფალი უკეთეს პერსპექტივას ვერაფერს გვისახავდა, გარდა იმისა, რომ „ესენგეში" შესვლა დედას გვიტირებდა, შეუსვლელობა კი – დედმამას. და: ვაითუ დუდამ მამადოო, – გული უგრძნობდა ხალხის სახელით წამოტივტივებულ მოქიშპეს ჩეჩნეთის პრეზიდენტისა, პერსონაჟ მოქიშპეს, ვინც თავის რეალურ პროტოტიპზე უფრო გონიერი აღმოჩნდებოდა.

ესეც ჩვენი მეოცე საუკუნე.

როგორ – ეს არის, სულ ეს არის ამხელა ტრაგედიები, ამხელა ტკივილები, ამხელა ვნებათაღელვანი თუ ათასგვარი სწრაფვანი და გაქანებანი?

მისი თუნდ ერთი მხარე ვითომ ახეც შეიძლება გამოიყურებოდეს?

გამოიყურება და ეგაა, და სწორედ ეს არის და სულ ეს არის – ჩვენი მეოცე.

ისე ნეტა სხვას რას ველოდით?

ჭრილობა არ ყოფილა მაინცდამაინც დიდი, არც ჭასავით ღრმა გახლდათ და არც ტაძრის კარებივით ფართო, მაგრამ მაინც კმაროდა, თავისას იზამდა.

– არ მოკვდე, ბიჭო!

– ჭირი, განყვეტა ორივე გვარს, მაგათ მიზეზით მატლების საზრდოდ გადვიქეციო, – სიცილიც ამოსდევდა სიმწარეს და რომეოს ამიტომაც ეგონა, რაღაცას თამაშობს მერკუციო, ახალი სალაღობო მოუგონია და ჩვენს გახალისებასაც ლამობს, თორემ საიქიოსაკენ მიმავალი ხუმრობის გუნებაზე როგორ იქნებოდაო.

თან რაღაცაც მოეჭიდებოდა გულზე ავ წინათგრძნობად:

– არ მოკვდე, ბიჭო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– შენ რალა ეშმაკმა ჩაგაყენა ტიბალტსა და ჩემს შორის, სწორედ შენს მკლავქვეშ გამოაცურა ხმალიო, – თითქოს საყვედურობდა მერკუციო, თან ისე შეჰლიმოდა და მგონი თვალსაც ჩაუკრავდა, პირდაპირ არ გაიგო ჩემი ნათქვამი და არაფერი მიწყინო, ხუმრობა, აბა, რა საწყენიაო.

ვცდილობდი ჩხუბი კეთილად დამესრულებინაო, – თავს იმართლებდა რომეო, შენ თვითონ არ მიწყინო, შენს საზიანოდ არ ჩაგვარდნივართ შუაში, მხოლოდ სიკეთე მამოძრავებდაო.

– არ მოკვდე, ბიჭო!

ვედრებას მერკუციოს გადარჩენა არ შეეძლო, მისი ბედისწერა სადღაც უკვე ამოტვიფრულიყო და ველარავინ შეცვლიდა, მოკლე დროჟამს ველარავინ გაუხანგრძლივებდა და, სიცილით რომ გამოგვემშვიდობებოდა, შექსპირისთვისვე მოულოდნელად პიესის ერთ ფინალს უკვე შექმნიდა. მესამე, ხელოვნურ ფინალს – პრინცის გამოჩენა მოსისხლე გვართა საბოლოო შერიგებას რომ ინვევს და საყოველთაო ბედნიერებასაც ამკვიდრებს – თვითონ ტრაგიკოსი დაუმატებდა და რომეოსა და ჯულიეტას აღსასრული რაღაც შუალედური ფინალივით გამოდიოდა.

გვემშვიდობებოდა მერკუციო და ქართველი მელექსე თითქოს მის სევდას, ტკივილსა და ღიმილს შეზელდა ერთმანეთში: ერთი წუთის სიცოცხლე მაქვს, პატარა ხანს დამაცაო.

ქართველი მერკუციოების.

და ჩვენი მეოცე საუკუნე კი, როგორ, მართლა ეს არის?

ამ ლირიკულმა ჩაცინებებმა განა რა უნდა დაიტიოს?

რა არის მცირე პოემის ჟანრი ამისთანა – რომანები ხომ არ არის, საუკუნე ასე მოიცვას?

ყოფილა და ეგაა.

და ძალიანაც თავს ნუ გამოვიდებთ და ჰიპერბოლიზების იმედად ნუ ვიქნებით. ილუზიები იქნებ არც დაიძრახებოდეს, მაგრამ გაიფანტება თუ არა, ასეთი რეალობის მოწმენი შევიქნებით, ამ ნატეხ-ნატეხ სტრიქონებში რომ ჩანურულა და ავტორებისთვისაც ყოველთვის ველარც მიგვიგნია, ძველი რაფსოდებისა არ იყოს, გულისთქმას უშურველად რომ გვიტოვებდნენ, მაგრამ სახელებს ქარში გასაფანტად გაიმეტებდნენ.

ეძგვერაძე ბარნაბას გვარ-სახელი არ უნდა დაკარგულიყო, თორემ იმათი – რა მოხდა, არა?!

იჯდა ბარნაბა მორჭმით პოეზიის პანთეონში და მხოლოდ სალვადორე ალიენდეს მიეხმატკბილებოდა: შენი ხათრით თუ ჩავიჩოჩებ გვერდითო.

ჩვენ კი შეგვრჩენოდა ერთი წუთის სიცოცხლე.

და ჯერაც ვითვლებოდით ქართველებად.

ჯერაც... თუ არ გაგვაესკიმოსებდნენ.

* * *

ისე მეგონა, აქ უნდა გამოვთხოვებოდით ერთმანეთს, მსჯელობა დასრულებულია, კომპოზიციური ქარგა ამოხვეული, მაგრამ რაღაც ხმა ჩამძახის, რომ ჩაქრება იდუმალი სხივი, თუკი პოეტური სტრიქონებით არ შემოვრკალავთ მეოცე საუკუნის საქართველოს ტრაგიკომიკურ სურათსა და ბედისწერას. უამისოდ მოთავება მოთავებად არც ითქმის. ამიტომაც ისევ რომელიმე მცირე პოემას ვუხმოთ და მის იუმორისტულსა და სევდიან სხივებში ამოვევლოთ ემბაზივით.

რომელს?..

რომელს და:

> ბოლშევიკის დედაცაო,
> მენშევიკის მამაცაო.
> ერთი წუთის სიცოცხლე მაქვს,
> პატარა ხანს დამაცაო.

ექსპრეს-ინტერვიუ

# პიროვნება „გამჭვირვალე ნაჭუჭიდან“

•

### საუბარი ნატო გაგნიძესთან

**– თქვენს პიესას „Ecce Femina“ დიდი ხნის ისტორია ჰქონია. იქნებ გაიხსენოთ როგორ გაჩნდა იდეა მისი დანერისა. ეს ძალზე საინტერესო იქნება – თქვენ ხომ ოთხი უმნიშვნელოვანესი ქალის ფიგურას გამოარჩევთ საქართველოს ისტორიიდან და სწორედ მათ შესახებ გვიამბობთ პიესაში.**

– „ფემინა“ ჩემი პირველი პიესაა. ერთ მშვენიერ დღეს უთეატროდ დავრჩი, გავმწარდი და მოვიგონე ჩემთვის პიესა. საერთოდ, რეჟისორებთან კონტაქტი ჩემთვის ყოველთვის ძნელი იყო და არის – თანამოაზრედ ყოფნა არ მღირსებია, ანუ, ასეთი რეჟისორებში არავინ შემხვედრია. სცენა, მოგეხსენებათ, განსანმენდელია: აქ შენმა სიმართლემ ცეცხლს უნდა გაუძლოს. რეჟისორი თანამოაზრე თუ არ არის და თავისას გახვევს, მუშაობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენში ხომ ასეა: ვინც ჩემთან არ არის, ჩემი მტერია. ერთი სიტყვით, მარტო დავრჩი და მოვიგონე ჩემთვის ის, რაც თქვენ ნახეთ. რატომ მაინცადამაინც ეს ოთხი ფიგურა? იმიტომ, რომ ეს ოთხი ფიგურა ჩვენი ისტორიაა. მეც, როგორც ქართველი, ტრაგედიის შვილი ვარ, შესაბამისი დამოკიდებულებით ჩემი ქვეყნის ისტორიისადმი.

**– თქვენ არაერთი საინტერესო პიესის ავტორი ბრძანდებით, თუმცა მონოსპექტაკლისთვის სწორედ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„Ecce Femina“ გამოარჩიეთ. რატომ? (იქნებ აქვე სათაურზეც გვითხრათ ორიოდ სიტყვით).**

– არ გამომირჩევია. „Ecce Femina“ ერთი მსახიობის თეატრის ჟანრში დაიწერა. მე ის ჩემთვის დავწერე. დავწერე, რათა დამედგა და მეთამაშა. მაქვს კიდევ ერთი პიესა ამ ჟანრში: „ეპიტაფია (აბელარს-ელოიზე)“. დანარჩენი, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი პიესებია. საერთოდ, არ მიყვარს ეს მონო-ჟანრი. მიყვარს მრავალ და ნაირ-ნაირ პერსონაჟიანი პიესა – ის, რაც არის ნამდვილი თეატრი. გამოთქმა „Ecce Femina“ სახარებისეული „Ecce Homo“-ს ალუზიაა, ცხადია, იმ სარკაზმის გარეშე, რომლითაც მას პილატე წარმოთქვამს. Ecce Femina! – იტყვიან ქალზე, რომელმაც რაღაც დიდი, საკაცობრიო იტვირთა და აღასრულა. იმ შემთხვევაში, თუ იტვირთა მხოლოდ და ვერ აღასრულა, პილატესეული ინტონაცია ბრუნდება წარმოთქმაში. ასე რომ, როგორც იდიომას, მას გააჩნია ეს ორი მნიშვნელობა...



სცენა მონოსპექტაკლიდან „Ecce Femina“

**– პიესაში რეალური პერსონაჟები თავად გვიამბობენ თავიანთ თანამედროვეთა შესახებ. ამიტომ მის დასაწერად ისტორიული ცნობების მოძიება მოგიწევდათ. თუმცა, ბევრი რამ, ალბათ, თქვენეულიც არის. იქნებ გვითხრათ, რა მასალას ეყრდნობოდით როცა წერდით პიესას და რა დოზით არის მასში მწერლის ფანტაზია?**

– „ცნობების მოძიება“ არასოდეს მიცდია. მე მკვლევარი არ გახლავართ. საქმე, უბრალოდ, ასე ვთქვათ, „გამლიზიანებელშია“ – რაღაცამ ყელში უნდა წაგიჭიროს, ეს არის და ეს. მაგალითად, ავიღოთ „ანასტო“. ამ ანასტოზე „მოქცევაი ქართლისაი“-ში ერთი სიტყვა წერია: რომ იგი მცხეთელი მებალის ცოლი იყო, იმ მებალისა, რომლის ქოხსაც შეაფარა თავი წმ. ნინომ. ერთი სიტყვით, ეს ანასტო ჩემდამოულოდნელად გაცოცხლდა და გახდა ის, რაც თქვენ ნახეთ და მოისმინეთ.

**– ამ რამდენიმე წლის წინათ გამოიცა როსტომ ჩხეიძის „ეკლიანი და პატარა გზა“, რომელშიც ილიას თანამედროვენი მის შესახებ მოგვითხრობენ და, თითოეული ამბავი დამოუკიდებელი ნოველაა. როცა სპექტაკლს ვუყურებდი, არაერთხელ გამახსენდა ეს წიგნი. იმის თქმა მინდა, რომ პიესის ფორმა სიახლე არ არის, თუმცა მონოსპექტაკლისთვის ძალზე მომგებიანი აღმოჩნდა. აქ ბევრი პერსონაჟია, მსახიობს მრავალგვარი გარდასახვა უწევს სცენაზე და ეს ყველაფერი ძალზე კარგად ავლენს თქვენს ნიჭს და შესაძლებლობებს, მაგრამ მუშაობის პროცესი უთუოდ ძალზე რთული იქნებოდა...**

– დიდი მადლობა! როგორც ჩანს, სპექტაკლმა მართლა იმოქმედა თქვენზე. შესაძლოა, იმ თვალსაზრისით, რომ ჩემი სათქმელი აქ თითქმის თითოეული ჩვენთაგანის სათქმელს ემთხვევა. პიესა მართლაც „მომგებიანია“ (თუმცა, უნდა ვაღიარო, ამ ბოლო დროს ამაში ეჭვი მეპარება: ჩვენს საზოგადოებას არა და არ ეღირსა დაბრძენება – ქართველს გულწრფელად არასოდეს არ აინტერესებს, საიდან მოდის, ვინ არის და სად მიდის). რაც შეეხება ზოგადად ერთი მსახიობის თეატრის სპეციფიკას, თუ სცენა, ჩვეულებრივ, აშიშვლებს არტისტს (ზემოთ განსაწმენდელზე მოგახსენებდით), აქ არა მარტო „შიშვლდები“, არამედ ტყავი გძვრება – როლის „ნაჭუჭი“ მეტად გამჭვირვალეა და წინა პლანზე შენი პიროვნება მოდის. მუშაობის პროცესი ძნელია, ცხადია, მაგრამ ის, რომ თავად ილებ გადანყვეტილებებს, ამსუბუქებს ვითარებას.

**– ეს მონოპიესა რამდენიმე თეატრის სცენაზე ითამაშეთ და, ალბათ, ყველგან სხვადასხვანაირად, თავისებურად. ხომ არ გამოარჩევდით რომელიმეს? და ისიც საინტერესოა იცვლებოდა თუ არა რამე სპექტაკლში ამ წლების მანძილზე?**

– მახსოვს ერთხელ „თეატრალურ სარდაფში“ (მაშინ ახალი გახსნილი იყო) ვითამაშე: მართლაც რაღაც სარდაფში ჩამიყვანეს – გული კინაღამ გამისკდა! – ჭუჭყიანი, დაულაგებელ-მოუწესრიგებელი დარბაზი, ბეტონი, გაჯი და ა.შ. მუსიკა ძლივს ჩავრთეთ და ძლივს გავანათეთ. ქვეყნის ხალხი მოვიდა. ვღელავდი. თანაც, სპექტაკლი ნედლი იყო ჯერ. გავალე თუ არა პირი, არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ ვიგრძენი, რომ ვფლობ სიტუაციას, დრო სადღაც გაქრა. შევმსუბუქდი და ყველაფერი უზუსტესად გავზომ-გავიანგარიშე ხმის და ემოციის თვალსაზრისით. სპექტაკლი ლაზათიანად შეიკრა და აჟღერდა ამ სარდაფში მართლაც როგორც ნამდვილი „დე პროფუნდის...“. მე ხშირად ვფიქრობდი ხოლმე მერე, ახლაც ვფიქრობ, რა მოხდა-მეთქი მაშინ. ვერ გეტყვით. არ ვიცი. ცხადია, ეს სპექტაკლი არასოდეს დამავიწყდება. რაც შეეხება თქვენი შეკითხვის მეორე ნაწილს. დიდ დარბაზებშიც მითამაშია და კამერულ სიტუაციაშიც, პატარა ხალიჩაზე. დეტალები იცვლება ხოლმე გარემოების მიხედვით, ძირითადში კი იგივე რჩება. მთავარი რიტმია და ემოციურობის ხარისხი: სიმაღლე უნდა შეინარჩუნო რადაც უნდა დაგიჯდეს, რათა მაყურებელს ამოსუნთქვის საშუალება არ მიეცეს. ვერ

ვიტყვი რომ ყოველთვის ვახერხებ ამას – უსაშველოდ ძნელია...

**– ამჟერად მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე დგახართ. რას ნიშნავს ეს თქვენთვის? ხომ არ იქნება სხვა თეატრებთან შედარებით გაცილებით უფრო რთული ამ სცენაზე თამაში? თქვენ ხომ კონკრეტული ასაკის მაყურებლის წინაშე უნდა წარსდგეთ – მოზარდებს უნდა ესაუბროთ ძალზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებზე?**

– უპირველეს ყოვლისა მინდა ულრმესი მადლობა ვუთხრა მოზარდ მაყურებელთა თეატრის დირექტორს, – ჩემს ძვირფას მეგობარს **მიხეილ ანთაძეს**, რომელმაც ჩემი კრიზისის ჟამს დახმარების ხელი გამომიწოდა: თეატრში მიმიწვია და სპექტაკლი რეპერტუარში ჩართო. რაც შეეხება დარბაზს, სცენა არ მომწონს, რაც მართალია – მართალია: სიმყუდროვე აკლია და უშნოდ წაგრძელებულია... არ ვიცი... ახალგაზრდობა თუ მოვა და მოისმენს, გამიხარდება. მე ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ ახალგაზრდებს. მინდა გამიქარწყლდეს ეს სკეპსისი.

**– მონოსპექტაკლის სპეციფიკა ასეთია – მსახიობი მთელი წარმოდგენის მანძილზე მარტო რჩება მაყურებლის პირისპირ. მისი ყოველი მოძრაობა, ჟესტი შეუმჩნეველი არ არის დარბაზისათვის. ასეთ დროს მნიშვნელოვან „პარტნიორობას“ უთუოდ დეკორაცია და, კიდევ უფრო მეტად, ალბათ მუსიკა გიწევთ...**

– ჟანრის სპეციფიკაზე უკვე მოგახსენეთ. მუსიკა პარტნიორად მევლინება მართლაც, – უძვირფასეს პარტნიორად: ტვირთის ორმოცდაათ პროცენტს თუ არა, ოცდაათს უეჭველად ეზიდება, რაც მონო-პირობებში უზარმაზარი შეღავათია. ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა განცდა, რომ მუსიკის ავტორი, **დათო მალაზონიასა** და **ზაზა მიმინოშვილთან** ერთად, ჩემი ძმა – **ზურაბ გაგნიძეც** არის.

**– მონოსპექტაკლის სპეციფიკიდანვე გამომდინარე მისი დადგმა შესაძლებელია ნებისმიერ სცენაზე. სულაც ღია ცის ქვეშ შეგიძლიათ თამაში, საჭირო დეკორაციები და აქსესუარებიც ალბათ ცოტაა. ამ თავისებურების გამო მოსახერხებელი იქნებოდა მისი გატანა რეგიონებში. ხომ არ გეგმავთ რამეს ამ თვალსაზრისით?**

– ცდებით: ყველა მონოსპექტაკლს ვერ ჩაატევ ერთ ჩემოდანში და ზურგზე ვერ მოიკიდებ! ეს – ჩემი სპექტაკლია ასეთი. მე მინახავს მონოსპექტაკლები, საათნახევარში, ასე, 50 გადაცმით: სცენაზე ერთი კაცი, კულისებში – 150! ასე რომ, „სპეციფიკა“ არ არის ეს. ამას ჰქვია უსახსრობა. მე ფული არ მქონდა და გავაკეთე ის, რაც გავაკეთე. სპექტაკლი მდიდრული უნდა იყოს. თეატრის არსი, ასე ვთქვათ, „სიბრძნის დღესასწაულშია“. დღესასწაულს და ზეიმს კი უყვარს და უხდება ფუფუნება. სხვა საქმეა, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ „ფუფუნების“ დრო არა და არ დადგა. რაც შეეხება რეგიონებში გატანას, ჩვენ თხოვნით მივმართეთ საქართველოს საპატრიარქოს და მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსს: გვსურს სპექტაკლი სამცხეში და ტაო-კლარჯეთში ვითამაშოთ. მოგეხსენებათ, თურქეთში სამი მილიონი ქართველია. ვნახოთ, რა გამოვა...

**– თქვენი პიესების კრებულის წინასიტყვაობაში ამბობთ: წერა იმიტომ დავიწყე, რომ მინდოდა საკუთარი თეატრი მქონოდაო...**

– მართლაც მაქვს ასეთი სურვილი (ოცნება!) და არა მგონია ამაში რაიმე უჩვეულო და უცნაური იყოს. დრამატურგი ყოველთვის იყო რეჟისორიც და აქტიორიც იმავდროულად. და თქვენ ვერ დამისახელებთ ვერცერთ დრამატურგს – სოფოკლეთი და ესქილეთი დაწყებული – თეატრი არ ჰქონოდეს. ეს ბუნებრივია: თეატრი თვალია დრამატურგის. მის გარეშე ის ბნელშია და ხელების ფათურით აქეთ-იქით აწყდება. ცხადია, მე იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ პიესა ლიტერატურა არ არის! არამც და არამც! – პიესა ლიტერატურაა უპირველეს ყოვლისა, რადგან ის მარცვალი, რომელიც სცენაზე ხორცს ისხამს და მშვენდება, პიესაში ლივდება – უნდა გალივდეს. მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ თეატრის ავტორი სიტყვებს ამოსათქმელად წერს, ანუ, ის წერს ნოტებს, რომლებმაც მეტამორფოზა უნდა განიცადონ და სცენაზე ბგერებად უნდა მოგვევლინონ. და, ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვინ „ალმოიტყვის ამ სიტყვათ...“. ამიტომ იტყვიან ხოლმე, თეატრი არტისტის არისო, ამიტომ იყო ხოლმე ავტორი თავად რეჟისორიც და აქტიორიც. მე არ მიხსენებია შემთხვევით „მეტამორფოზა“: მართლაც სასწაულს ჰგავს ის ამბავი, რომ შენი დაწერილი, შენს მიერ ათიათასჯერ გაზომილ-აწონილი და განცდილი, რეპეტიციაზე ხშირად ისეთ იერს იძენს და ისე უცხოდ გამოიყურება, რომ ვერ ცნობ და თავი სიზმარში (ხშირად: კოშმარში!) გგონია. ეს იმიტომ ხდება, რომ ცოცხალ კაცს სცენაზე თავისი, ასე ვთქვათ, „შლეიფი“ შემოაქვს. უყურებ და ხედავ, რომ თვისობრივად სულ სხვა რამესთან გაქვს თურმე საქმე... ერთი სიტყვით, როდესაც პიესას ამთავრებ და წერ „ფარდა“, ეს ნიშნავს, რომ გზის მხოლოდ ნახევარია გავლილი. დარჩენილი ნახევარი სცენაზეა გასავლელი: პიესაზე მუშაობა სცენაზე სრულდება. აქედან – თეატრის ავტორის საწუკვარი ოცნება და სურვილი, ჰქონდეს საკუთარი თეატრი.

**– და ბოლოს გეგმების შესახებ გკითხავთ: რა სიახლეებს უნდა ელოდონ ნატო გაგნიძის თაყვანისმცემლები მისი მოღვაწეობის სხვადასხვა ასპარეზზე?**

– უახლოეს მომავალში მოზარდ მაყურებელთა თეატრში დავიწყებ ჩემი პიესის „დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომის“ დადგმას. ეს მრავალპერსონაჟიანი კარგა მოზრდილი პიესაა. მე იგი ერთხელ უკვე დავდგი ქუთაისის თეატრში. სპექტაკლის კრედო, ცხადია, არ შეიცვლება, მაგრამ ახალ ანსამბლში და ახალ ვითარებაში მისი, ასე ვთქვათ, „გადმონერგვა“, ალბათ, არ მოხერხდება. და რომც მოხერხდეს, არ იქნება ჩემთვის საინტერესო. ვნახოთ... სხვამხრივ, სიახლის რა მოგახსენოთ. დღევანდელი სიტუაცია რთულია მრავალი თვალსაზრისით. შემოქმედება კი ერთადერთია, რასაც შეუძლია მომძლავრებული სკეპსისი დროებით მაინც განდევნოს და ცოტა ამოგასუნთქოს, ამიტომ, შეძლებისდაგვარად, ვცდილობ ვიმუშაო...

ესაუბრა
**ანა ბერძენიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ლავრელაშვილი

# მღვიძარება

* * *

უცაბედმა შემთხვევამ მიშველა, თუმცა ახლაც არ ვიცი, მართლა შემთხვევა იყო თუ განგება! ხე-ტყის საჭრელიდან მუშებს კაცი გამოეგზავნათ, ფრედი ავად არის და იქნებ უმკურნალოთო. ლომოური და მე ის იყო მორიგი ნადირობიდან თუ სეირნობიდან დავბრუნდით, ეს ამბავი რომ დამახვედრეს. გამოგზავნილი კაცი კოტეჯის წინ იჯდა მდელოზე. დაგვინახა და მაშინვე წამოვარდა, ნაბდის ქუდი მოიშვლიპა.

– ესეც თქვენი იღბალი, ექიმო, – ლომოურმა თოფი მხრიდან ჩამოიღო, ამას ჰქვია ღვთის წყალობა. ახლა ეგ ბიჭი ველარსად წაგვივა.

– განა თქვენც წამოხვალთ ფრედის სანახავად?

– შერეკილებთან რა მესაქმება! – მომიტრიალდა ინსპექტორი, – იმან დაგაფრთხოთ, ის ბიჭი ჩვენად რომ ვიგულისხმე?! რა გეგონათ! ნადავლს ეგრე იოლად დაგითმობდით?

– ვერ გამიგია, მაინც რა გინდათ მაგნატის ოჯახისაგან?

– კოლექციას ვავსებ გადაგვარებულ ბურჟუათა ტიპებით. მგონი, საინტერესო გასართობია! – ლომოური გაილრიჯა და ცხენის კბილები გამოაჩინა, – იცით, რა აზრი მომივიდა თავში? უდიდესი სიამოვნება ძალაუფლება ან ვნებათა დაცხრომა კი არა, ადამიანებზე დაკვირვებაა. თქვენ რას იტყვით? ერთი შეხედვით გულგრილი დამკვირვებელი ყველაზე ხარბი ჰედონისტია. გირჩევთ, ეს აზრი კარგად აწონ-დაწონოთ.

– ანუ ფრედის მკურნალობაზე უარი ვთქვა?

ლომოური დაიჯღანა.

– ვაღიარებ, კუთხეში მიმიმწყვდიეთ! თუმცა ეგ ამბავი თქვენი გადასაწყვეტია. თუ ცივსისხლიანობა გეყოფათ, იმ ბიჭს ჯანდაბაშიც გაგზავნით, ოღონდ მე არაფერი დამაბრალოთ. ასეა თუ ისე, გზაჯვარედინზე დგახართ, ზლაპრის გმირივით, ყოველ მხრივ უბედურება რომ ელის.

– ესე იგი, საითაც უნდა წავიდე, მაინც ხათაბალაში გავებმევი, არა?

– ეგ ადამიანური ბედისწერაა, ექიმო, ვერაფერს გახდებით! – ხელები გაშალა ლომოურმა, თითქოს ქვეყნიერებას უნდა შემოსწვდესო. – ადამიანებს შორის თუ ცხოვრობ, ხიფათს მუდამ უნდა ელოდო. თუ დარვინის მიმდევარი ხართ, ესეც უნდა იცოდეთ. კარგად ბრძანდებოდეთ!

მან ხელი გამომიწოდა და, როგორც სჩვეოდა, ცბიერად გამიღიმა. მე კი გულმა რეჩხი მიყო, როგორც ხრამის წინ მოთამაშე ბავშვს, მარტო რომ დარჩა და არავისი იმედი აღარა აქვს.

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა" №1, 2

* * *

ფრედისთან ჩემი მეორედ შეხვედრა და ნაცნობობა არც იმდენად ნაყოფიერი გამოდგა, როგორსაც მოველოდი. ლომოური მართალია – ეს ბიჭი მართლაც შერეკილია, ოღონდ სულიერად ჯანმრთელი. ეგ არის, რომ მისი ქცევა თუ აზრები ჩვეულებრივ ადამიანურ ფარგლებში ვერ თავსდება. ჩემთვის ის უინტერესო ტიპია, მაგრამ სიეზმანის გამო იძულებული ვარ, მასთან ვიმეგობრო. საბაბი მშვენიერი მაქვს: ფრედი და კიდევ რამდენიმე კაცი ტყის კენკრით მოწამლულან, დიეტა და მსუბუქი აბები დავუნიშნე და დროდადრო მათი ჯანმრთელობის შესამოწმებლად ბანაკში დავდივარ – ეს ორმხრივ მოსახერხებელია ჩემთვის, რადგან არც ფრედის გვერდით დიდხანს ყოფნა მიწევს და არც მას ვაძლევ საშუალებას, დამაკვირდეს. ლომოურიც მეყოფა. ბანაკში მკაცრი წესრიგია და უცხოს არ აჭაჭანებენ, მაგრამ მე გამიშინაურეს. ფრედიმ ბოდიშიც კი მომიხადა, ამას წინათ ასე უცერემონიოდ რომ გამაპანღურა. თავი კვლავ ყინჩად უჭირავს, თუმცა ზოგჯერ საუბარსაც არ თაკილობს ჩემთან. სასაუბრო ბევრი არაფერია – ფრედისთან გამუდმებით მისი ბანაკელები ტრიალებენ და შემთხვევა არ მეძლევა ავგუსტ სიეზმანთან უთანხმოებაზე სიტყვა ჩამოვუგდო. მისი პოლიტიკური თუ სოციალური უტოპიები კი არ მხიბლავს, თანაც ამით ფრედი დიდად როდი განსხვავდება თანამედროვეებისაგან – აკი ყველას პირზე ან რევოლუცია და მშრომელი ხალხის ხსნა აკერია, ან ანარქისტია, ან კიდევ რელიგიური ფატალისტი; ვინ ქრისტეს მეორედ მოსვლას მოელის, ვინ ახალი იერუსალემის მეუფებას, ვინ მიწიერ სამოთხეს ელამუნება, ვინ კლასთა ბრძოლას ან სახელმწიფოთა გადაშენებას.

დავილალე.

სიეზმანი რომ არა, აქაობას წამსვე მივატოვებდი.

ჩემი მარცხი ხომ აშკარაა – ფრედის ვერაფერს ვუშველი, რადგან საშველი არაფერი სჭირს – ერთი გაზულუქებული ყმაწვილია, ცოტათი ტლუ, ცოტათი ფანატიკოსი, უფრო მეტად კი სიკვდილის მოშიში და ცრუმორწმუნე, მაგრამ ამნაირნი ხომ ყველა ვართ! გულისგულში თითოეული ჩვენგანი შერეკილია, ოღონდ უმეტესობა ამის დამალვას ვახერხებთ. ამიტომ არის, ამ ბიჭს ვერაფერი მოვუხერხე. ალბათ სიეზმანს უარი უნდა შევუთვალო და შეთანხმებაც დავარღვიო – ფრედის ვერ ვუმკურნალებ. რაც მაგას სჭირს, თანამედროვეობის სენია, საყოველთაო სენი, ხოლო თუ ვცდები და ბიჭი ჭკუაზე აფრაკად არი, მკურნალად მაინც ვერ გამოვდგები, რადგან ლომოური მართალია (უკვე მერამდენედ!) – ბოლო დროს ჩემს თავს ვამჩნევ, რომ ადამიანი მძულს; არა კონკრეტულად რომელიმე ქალი ან კაცი, არამედ ადამიანთა მოდგმა, როგორც ბუნების წყევლა და შეჩვენება, როგორც ცხოველთა სამყაროს უმახინჯესი სახეობა, როგორც ღმერთის შეცდომა.

მარია?!

ის ხომ ხიდია ჩემსა და ქვეყნიერებას შორის...

თუ მარია ჩემი არ იქნება, ხიდი ჩაინგრევა...\ხიდის აქეთა ბოლოს მე ვდგავარ, იქით – ფრედი.

ეჭვიანობა მკლავს.

ვმალავ, თავს არ ვუტყდები, მაგრამ როგორ შევეთვისო იმ კაცს, ვინც მარიას მისაკუთრებას აპირებს თუ უკვე მიისაკუთრა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ დროს ფრედის დუელში ან საბრძოლველად გამოვიწვევდი და ხმლით ან მუშტით შევეცდებოდი მამრის უფლება დამეცვა, მაგრამ კულტურულ ადამიანს პასიური წინააღმდეგობის მეტი იარაღი აღარ შერჩა – კუდამოძუებული უნდა გავეცალო აქაურობას.

ავაზა ღრინავს და ლაშებზე დუჟი ადგება.

ფრედის კომუნაც და საყოველთაო ძმობაც ფეხებზე მკიდია – ეგ ყველაფერი მირაჟია, როცა მდედრის ნდომა მძლავრობს და ნახდენით იმუქრება.

სისხლი საფეთქლებში მცემს.

თუ გადმოსკდა, ნარღვნას ველარ შევაჩერებ.

ჩემთვის ეს მეორედ მოსვლაზეც მეტია და საყოველთაო ნარღვნაზეც, რადგან სტიქიას შეიძლება გადაურჩე, მაგრამ საკუთარ თავს ვერსად გაექცევი.

ან თავი უნდა დავიურვო, ან ფრედი მოვიცილო.

და რადგან თვითგადარჩენის ინსტინქტი ყალყზე დგება, ვამჯობინებ ფრედი გავიმეტო.

ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა.

მარტო მარიასთვის როდი ვიბრძვი.

ბოლო შანსია, ქვეყნიერებას შევურიგდე.

ხიდი თუ ჩატყდა, უფსკრულში ჩავიჩეხები.

მეშინია?

არა, შიში არაფერ შუაშია, – ეს ჩემი ბოლო შანსია, ხანმოთეული ინტელიგენტის ბოლო გაფართხალება, სანამ არყოფნის მორევში ჩავიძირები.

დიდი ხანია მარია არ მინახავს.

აბობოქრებულ ვნებას ვიმშვიდებ და გულის მრუმე კუნჭულში იმედი ჭიატებს – იქნებ მარიამ უბრძოლველად გადაწყვიტოს ჩვენი ქიშპი; იქნებ მდედრის, ძუკნას, დედლის არჩევანმა გასჭრას გორდიას კვანძი, ცივილიზებულ გონებას რომ ვერ გამოუხსნია.

მარია უნდა ვნახო.

თუ არადა, ან მე დავიხლი ტყვიას, ან ფრედის გამოვჭრი ყელს.

სიეზმანის რუს მუშას საიდუმლო ბარათი გავატანე და ველი: სადაცაა მარია უნდა გამოჩნდეს, უსათუოდ უნდა გამოჩნდეს, რადგან ამდენის მოთმენა უკვე შეუძლებელია.

* * *

ლომოური გორში წავიდა და მარტო დავრჩი. როგორც იქნა! ახლა შემიძლია აზრებს თავი მოვუყარო, თუმცა ვერაფერზე ვფიქრობ – მარიას მოლოდინი მკლავს.

ბანაკში მითხრეს, ფრედის დაბადების დღე ახლოვდება თურმე. დიდ ზეიმს აპირებენ. ამის გამო ხომ მაინც მოვა მარია, რათა ან მაცოცხლოს, ან მომკლას.

მოუთმენლად ველოდები.

ფრედი საბოლოოდ მომჯობინდა და ჩემთვისაც მოიცალა. თავის სამფლობელოში დამატარებს, კომბალს თუ კვერთხს ეყრდნობა, ღრმააზროვანი სახე აქვს – ასეთი გამომეტყველება იმ ხალხისთვის შემიმჩნევია ხშირად, ვისაც გულში ფარული შურისძიების ნდომა უდუღს.

ფრედიც დაბოღმილია.

ვისზე ან რაზე?

უპირველესად მდიდრები სძულს – ამით რევოლუციონერებს ენათესავება. ავგუსტ სიეზმანი საძულველთა სიაში პირველია, რადგან ძალზე მდიდარია. ფაბრიკანტს ისიც კი არ შველის, ფრედის ალალ ბიძად რომ ერგება.

– რას აპირებთ? – ვეკითხები ფრედის და ვცდილობ საუბარი იქით წავიყვანო, რომ ამ ბიჭმა გულისნადები გამიმხილოს.

– უსამართლობა უნდა მოისპოს, – მპასუხობს ფრედი და გოროზად მიყურებს, – როცა მდიდარი და ღარიბი გათანასწორდება, ცხოვრება მშვენიერი იქნება.

– ატენში იელოველები ცხოვრობენ, კარგად იცი, – ვეუბნები მოიარებით, – მაგათაც ეგ ლოზუნგი აქვთ, ოღონდ ქვეყნის ხსნა თუ დანგრევა ღმერთის საქმეა.

– ღვთის სამართალი უგზოდ ვერ ივლის. სავალი ჩვენ უნდა მოვუსწოროთ.

– მარქსისტი ხართ?

ფრედიმ ეჭვით გადმომხედა.

– სამოთხეში ცხოვრება ცუდი როდია, თანაც, თუ ეს სამოთხე მიწაზეა, მაგრამ პროლეტარიატი ამ სამოთხეს ვერ ააშენებს. გინახავთ, თავის მაგივრად ხელი ან ფეხი ფიქრობდეს? ხალხს მეთაური სჭირდება.

– ჰყავს კიდეც – მარქსისტული პარტიის სახით.

– მაგ ხალხს არ ვიცნობ. მე თემის უფროსობას ვგულისხმობდი.

– მაპატიე, ფრედი, მაგრამ თემებად დუხობორებიც ცხოვრობენ, – კვლავ ვცდილობ, ბიჭი არ გავალიზიანო, – იქნებ მაგათი წესები მოგწონს? შენი ხალხიც ამ წესრიგით ცხოვრობს?

– ცუდი რითია? – შემომიბრუნდა და კომბალი ორივე ხელით ჩაბღუჯა, – ყველა შრომობს და ყველა მაძღარია.

– სულ ეგ არის?

– მეტი რაღა გინდათ. სამართლიანობა და მშვიდობა მხოლოდ შრომით მიიღწევა.

– მაგნაირი შრომით ხალხს როგორ გამოკვებავ?! ხელით შრომით შორს ვერ წავალთ. მოუსავლიანობა, გვალვა, ჭირი მოსახლეობას გაანახევრებს. თუ ტექნიკა და მრეწველობა არ გვექნა, ბუნება დაგვჩაგრავს, დავნიავდებით.

– მრეწველობა და ვაჭრობა სატანის მოგონილია, რადგან ფუფუნება ადამიანს რყვნის. უსაქმური კაცი ცოდვილია.

– მერე, განა შენს ხალხში არ მოიძებნება ხარბი და ავგული? იმას კი ცდილობ, უსაქმოდ არავინ გაჩერდეს, მაგრამ კაცისგან კაცის ჩაგვრას ვერ მოსპობ.

– სწორედ მაგისთვის არის საჭირო წინამძღოლი.

შეპასუხებას ვაპირებდი, მაგრამ სიტყვა უცებ მოვსხიპე – ფრედი თვალღერილი იდგა და მე აღარც ვახსოვდი, საკუთარი რჩეულობის ოცნებას გაეტაცნა; ალბათ მომავლის იმ დღეებს ელამუნებოდა, როცა რკინის ხელით სამართალს დაამკვიდრებდა დედამიწაზე.

– ფრედი! – დავუძახე ჩუმად, – იქნებ იმაზე გვეფიქრა, ადამიანი როგორ გაგვეხადა უკეთესი, რათა ერთმანეთი არ სძულდეთ.

– ჩვენს შორის სიძულვილი გაქრა, – მომიგო თავდაჯერებით.

– ტყუილია, ფრედი, შენი ეშინიათ და თავს იკატუნებენ, თორემ პირველივე შემთხვევისას ორ გროშად გაგყიდიან.

– სიმართლის მქნელი მუდამ განწირულია, – მიპასუხა ამაყად და მის ხმაში კვლავ ფანატიკოსის გახელება დავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

26020

ჭირე, – თუნდაც მომკლან, ჩემს ბედისწერაზე უარს ვერ ვიტყვი. ჩემს შემდეგ კი სხვა გააგრძელებს დაწყებულ საქმეს.

რაღა მეთქმოდა?

ამ ბიჭს უთუოდ მანია სჭირდა და ვერაფერს გადავათქმევინებდი. მთავარია, ის შემეტყო, ახლო მომავლისთვის რას აპირებდა.

– ატენში არ დაბრუნდები? – ვკითხე დახანების შემდეგ და გვერდით გავიხედე, რათა ჩემი დადარაჯებული მზერა არ შეენიშნა.

– ბიძაჩემთან? არასოდეს.

– მისმინე, ფრედი! თუ ბიძაშენი მემკვიდრეობით ფაბრიკას და შემოსავლიან საქმეს დაგიტოვებს ან ახლავე გადმოგცემს, განა ღარიბებს ამით უფრო არ შეეწევი? ქონება იმატებს და თემსაც უფრო გააფართოვებ.

ფრედის დამცინავი ღიმილი აესახა ბაგეზე.

– იქ, ბარში, ყველა ერთნაირად ფიქრობთ; ოღონდ ქონება მოიხვეჭოთ და არაფერი გადარდებთ. აბა, ნახე, როგორ გაანახევრა ბიძაჩემმა აქაური ტყეები! რისთვის? იმისთვის, რომ უსარგებლო ქაღალდის ფულად აქციოს ეს მშვენიერი ნაძვები თუ სოჭები.

– ბიძაშენიც მშრომელია. უსაქმოდ ისიც ვერ ისვენებს. თუ შენს ნათქვამს მივყვებით, არც ცოდვილი ეთქმის.

– სხვისი ჩაგვრა და ქონების მიტაცება ეშმაკის მსახურთა საქმეა. ბიძაჩემიც ეშმას ემსახურება.

– დაფიქრდი, განა მან ვინმეს მოსტაცა ქონება? მან ხომ თავისი ნიჭისა და ენერგიულობის წყალობით შექმნა ეს სახერხიც და სხვა სამუშაოც, სადაც იგივე ღარიბი მუშები ლუკმა-პურს შოულობენ; ბიძაშენი რომ არა, ეს ხალხი შიმშილით დაიხოცებოდა.

ფრედიმ უეცრად მხარში მტაცა ხელი და თითქმის ჩამყვირა:

– როგორ არ გესმის?! ბიძაჩემმა ქონება ხალხს კი არა, ღმერთს მოსტაცა. ეს ტყე, ეს მიწა უფლის საკუთრებაა. მან კი გვითხრა, რომ ქონება სამართლიანად მოვიხმაროთ. ბიძაჩემი თუ მართლა უცოდველია, რატომ მუშებსაც ისე არ აცხოვრებს, როგორც თავად ცხოვრობს? ეშმას მსახურია და იმიტომ. ნულა მეკამათები. შენც მაგათნაირი ხარ, – დაუმატა ბოლოს და ხელი მკრა, პირი იბრუნა.

ეს საუბარი ბანაკიდან არც ისე შორს, ტყისპირას მოხდა. ფრედი ძუნძულით თუ კოჭლობით დაეშვა ბანაკისაკენ. მე კი კვლავ მარტო დავრჩი, ოღონდ მარტოობის გასაღები თან მქონდა – ფრედიმ ხომ გულისნადები მაინც გამიმხილა. ახლა უკვე ვიცოდი, როგორ მემოქმედა.

• • •

მარია ამოვიდა.

ბანაკში ვეძებ, მაგრამ ვერ მივაკვლიე.

გული გამალებით მიცემს.

ვის გამო მოვიდა: ჩემი თუ ფრედის?!

მაცახცახებს.

ვნებამ ყელჭირვებასავით გამთანგა. მზად ვარ ადუღებულ ვულკანში ჩავხტე ან სადმე მორევში თავი დავიხრჩო.

თანდათან ვრწმუნდები, რომ მარიამ ფრედის ამოაკითხა.

ასე რომ არ იყოს, აქამდე ვნახავდი.

მაინც სად დაიკარგა?

ბანაკში ფრედის დღეობისთვის ემზადებიან. დიდი მისვლა-მოსვლაა, ფაციფუცი. ხორაგი მოაქვთ და საკლავი მოჰყავთ. როგორც ჩანს, თავიანთი წინამძღოლის ამქვეყნად მოვლინებას დიდად გაუხარებია ეს ხალხი, მე კი ლამის ჯანდაბაში გავისტუმრო ფრედიცა და ეს დაფეხვილი სექტანტებიც, ოღონდ მარია ვნახო.

დავძრწი, დავეძებ.

ათასჯერ მაინც ვუვლი გარშემო ბანაკს, სამზადისით გართულ ხალხს ფეხებში ვებლანდები, აქეთ-იქით დავბორიალობ და ჩემი მზერა უნუგეშოდ იკარგება ტყის სიმწვანეში.

ტყის იქით მწვანე ქედებია, მთები, მთები და უსასრულო სივრცე...

სხეული ამიმჩატდა, უსასრულობაში მინდა ჩავიკარგო.

მარია ხიდია ჩემსა და ქვეყნიერებას შორის.

თუ ხიდი ჩატყდა, დავილუპები.

ამიტომაც ხვადი ავაზასავით დავსუნსულებ ტყისპირებში, ყოველი ბუჩქის ქვეშ ვიხედები, თითქოს მარია ყვავილი ან ნატვრისთვალი იყოს და იქ ვიპოვნი.

თუ ეჭვიანობა მაიძულებს ასე მოვიქცე?!

ერთხელ ხომ უკვე ვნახე ფრედისთან ერთად ხელჩაჭიდებული – საღამოს ფონზე განმარტოებულნი, მიწისა და ცის ქვეშ წყვილად მდგარნი...

განა მაშინვე არ ვიგრძენი, რომ ზედმეტი ვარ?

რაღას ვიბრძვი, რაღას მიველტვი?

რისი იმედი მაქვს?!

ვიცი, რომ ბრძოლა წავაგე და ამაოდღა ვფართხალებ.

ჰო, ეგრეა: დავმარცხდი.

თუ ეს ბრძოლა არ იყო და ჩემმა შემკრთალმა გონებამ მონათლა ეს ყველაფერი დიდ ომად?

განა ქვეყნიერება არ მებრძვის?

ადამიანის წინააღმდეგ მთელი სამყარო აღსდგა. ის მარტოა და ამიტომაც ეშინია. გამემტყუნება განა, რომ მეც შევშინდი?

მეც ხომ ადამიანი ვარ – პატარა, სუსტი...

ჩემს გარშემო უზარმაზარი მთებია და უსასრულო სივრცე.

რა უნდა ვქნა, ვის გავაგებინო ჩემი კნინი ვნებები თუ ჭია-ჭუასთვის შესაფერი აზრები?

ვის შევჩივლო, რომ ისე დავეცი, ერთი ახტაჯანა გოგოს გამო ლამის თავი მოვიკლა! ეს არის განა ცივილიზებული ადამიანის ნებისყოფა და გონების სიმტკიცე?!

გონება ვერაფერს მშველის.

გონებას მხოლოდ სურვილების მოთოკვა ძალუძს, მაგრამ ქვეყნიერებასთან ვერ შემარიგებს – ხიდად ვერ ივარგებს.

ხიდი მხოლოდ მარიაა.

თუ ვცდები და ესეც მონამლული გონების მორიგი ოინია?!

თითქოს ჰიპნოზი მაბრუებს.

ილუზიების ტყვე ვარ.

ლომოური აქ რომ იყოს, მაშინვე მეტყოდა, რაც მჭირს.

თუმცა უიმისოდაც ვიცი, რა მემართება.

ოღონდ ძალა აღარ მაქვს, ამას შევეწინააღმდეგო.

დავმარცხდი, საბოლოოდ დავმარცხდი!

ნელი-ნელ ვიჩოქებ, მიწას ვემთხვევი და უხმოდ ვღრიალებ. ვიგლოვ ჩემს დაღუპვას, რომელსაც ვერავინ გაი-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებს. ცრემლი სახეს მისველებს და ტუჩებზე სიმლაშეს და სიმწარეს ვგრძნობ, როგორც ჩემი მოშხამული ცხოვრების ნაყოფს.

* * *

ბანაკში ზეიმია.

ფრედის დაბადებას დღესასწაულობენ.

სუფრა პირდაპირ მწვანე ბალახზე გაუშლიათ, როგორც ხატობისას

იციან ხოლმე. თავად ფრედი საყვარელ ალაგას – მუხის ძირას ზის, ისევ ის ტაკიმასხარული სამოსი აცვია, ხელში კვერთხი უჭირავს და მოლოცვებს ამაყად იღებს. მე გვერდით ვუზივარ, რაკი ბოლო დროს ფრედის უჩემოდ ვერ გაუძლია. არ ვიცი, გულში რა უდევს, მაგრამ აშკარად გამომარჩია და აღარ მიშორებს, იმ მელასი არ იყოს, თავისი მახრჩობელა რომ უყვარდა.

– დიდი მრევლი გყოლია, – მისკენ ვიხრები, – ამხელა სუფრას რომ გაშლი, ქონებაც და მუშა ხელიც უნდა მოგდევდეს.

– ესენი ყველანი მშრომელები არიან, – თავმოუბრუნებლად მომიგო ფრედიმ, – ბანაკში როდი ცხოვრობენ. ერთად მხოლოდ დღეობებზე და ლოცვისას ვიკრიბებით ხოლმე.

– ლოცვისას? ქრისტიანები ხართ თუ რომელიმე სხვა უცნობ ღმერთს ეთაყვანებით?

– გვნამს მამა ღმერთი, უფალი ჩვენი, და საუკუნო ცხოვრება.

– ეგ ხომ ქრისტიანული ღმერთია. სხვას რას უქადაგებ შენს ხალხს?

– ძმობას, სიყვარულს, შრომას, პატიოსნებას.

– ეგეც ქრისტიანული მცნებებია. მაგნაირ ქადაგებას ეკლესიაშიც მოისმენ.

ფრედის უცებ სახე შეეცვალა და მრისხანედ შემომიბრუნდა.

– ეკლესია გაირყვნა და ფარისევლების ბუდე გახდა. მისი სიტყვა საქმეს დაშორდა. ეკლესიური რწმენა ქვიშაზე აშენებულ სახლს დაემსგავსა. უნდა დაინგრეს.

– მერედა, ვინ დაანგრევს, ფრედი? თქვენ ხომ არა?

ჩაფიქრდა და თავი ჩაღუნა.

– ვინ იცის, თავისითაც დაინგრეს, ოღონდ, თუ საჭიროა, იქნებ ჩვენც მოგვიხდეს სიცრუის სამეფოს რღვევა.

– არ გეშინია?

– არა.

– ვინ გამოგყვება, ფრედი? ამ ტლუ გლეხების იმედად ხარ? გმირად ვერ ივარგებენ, რადგან რიგითი კაცის ძალლონე კუჭზე ჰკიდია. გიღალატებენ.

– ცდები! მაგათ არ იცნობ. ოქროს გული აქვთ. თავს განაცვალებენ.

– მეცოდები, ფრედი, დაიღუპები. გირჩევ, დამიჯერო და ოჯახს დაუბრუნდე.

პირველად იყო, ფრედის ასე პირდაპირ რომ ვუთხარი სათქმელი. მეგონა, სიბრაზის შადრევანი ამოხეთქავდა, მაგრამ ფრედიმ თვინიერად შემომხედა:

– იქ ვილას იმედი უნდა მქონდეს? შენნაირების?

მზერა მოვარიდე. ბედად, მომლოცველები მოჯარდნენ და ფრედი მომაშორეს. ისეთი სახე მივიღე, თითქოს რალაცის თქმას ვაპირებდი, მაგრამ სათქმელი არ მქონდა. ფრედის ქეშად გავხედე. ბედნიერი და ამაყი, ნამდვილი ნინამძღოლივით იფერებდა ხოტბას. არ ვიცი რატომ, მაგრამ გული მწარედ მომეწურა და ფრედი ძალიან შემეცოდა – ამ ბიჭის მომავალმა შემაწუხა, მომავალმა, რომელიც ამ წუთას მკაფიოდ დავინახე, თითქოს სარკეში ვიყურებოდი.

* * *

შელამდა და სერობა ეშხში შევიდა.

ფრედის ხალხი თავისუფლად იქცევა: ღვინოსაც სვამენ, გლეხურადაც მხიარულობენ და ცეკვა-თამაშიც გააჩაღეს. სექტანტობისა არაფერი ეტყობათ – რომ არ ვიცოდე, თემად რომ ცხოვრობენ, სოფლელებისაგან ვერც გამოვარჩევდი. მართალი ითქვას, ფრედისა დიდად არ დამიჯერებია, თითქოს ამათი თემი რაიმეთი განსხვავდებოდეს ქრისტიანული მრევლისაგან. ფრედი ხომ ერთი ამბიციური და პატივმოყვარე ბიჭია, ამდენ ხალხს თვალში ნაცარს რომ აყრის და თავს გარდანქეშანად აჩვენებს! ამქვეყნად ყველა ტირანი ერთნაირად იქცევა: თავად არასოდეს მუშაობს, სხვების ხარჯზე ცხოვრობს და თან ამაღლის, ღვთის რჩეული ვარ და თავი ისე დავიმდაბლე, შენს ხსნას ვცდილობო!

დავიქანცე.

დაღლილობისა და ვნებათა სიჭარბისაგან თვლემა მერევა. თვალი მებლიტება, მზერა კოცონზე მიშტერდება, თითქოს ცეცხლში ჩახტომა და განლევა მინდა. ხალხის სიცილი და მხიარულება ყრუ ზუზუნად ჩამესმის. გარმონი ჭყვიტინებს, დოლი ლამის გაიხეს ბაგუნისაგან. მოცეკვავენი მოლზე გადასულან და საღამოს ბინდში ავსულებივით დახტიან აქეთ-იქით.

მარიას აღარ ვეძებ.

ვიცი, აღარ მოვა.

სიკვდილი მიახლოვდება, თუმცა ჯერ ცხელება მივლის და ტანში მამტვრევს.

თვლემა სიკვდილის მოციქულია.

თანატოსის ელჩი.

ჯერ თვალი დამეხუჭება, მერე შიგნით ჩაქრება რაღაც და წყვდიადი ჩამონვება.

მე აღარ ვიქნები.

ეგ საიდან ვიცი?!

იქნებ არც არაფერი ქრება?

წყვდიადი ხომ მაინც მეუფებს...

ბნელს ვერაფერი გაარღვევს...

მარტო აქა-იქ კრთიან კოცონის ნაპერწკლები და ჩემს მოშხამულ გონებას ჩინჩხვარივით ეშხეფებიან...

ვილევი, ვქრები, ვინავლები...

თუმცა მაინც არ მოვკვდი, რადგან წყვდიადიდან რალაც თეთრით მოსილი ლანდი ამოიზიდა და ნაცნობი სიცილი გავიგონე:

– გამარჯობათ, ექიმო!

სუნთქვა შემეკრა, დავდამბლავდი, ხელ-ფეხი ნამერთვა, ყურს არ ვუჯერებ, თუმცა თვალის გახელისა მეშინია. ასე მგონია, ამიტაცეს და ცეცხლზე შემომდეს; ასე მგონია, ჩემი წამება საუკუნე გაგრძელდა, მაგრამ ბოლო ყველაფერს ჰქონია – უხილავი ლანდი მხარზე მეხება და წკრიალა ხმაც რაკრაკით მეღვრება ტანში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რა მოგივიდათ, ექიმო, ველარ მცნობთ?!

ნელ-ნელა თვალს ვახელ, თითქოს უფსკერო სიღრმიდან ვიზიდები, სიცოცხლის დაუძლეველ ძალას ამოვყავარ სამზეოზე, თვალისჩინი თანდათან მიბრუნდება და მე ლანდი გავარჩიე.

მარია!

– მე ვარ, ექიმო! – მიღიმის ლანდი და ეს ღიმილი ჩემი აღსასრულის ნიშანია, თუმცა მარია ფიქრს აღარ მაცლის, ხელში ხელს მკიდებს და საცეკვაოდ მეპატიჟება.

– წამომყევით, ვიცეკვოთ.

როგორ ვუთხრა, რომ მიცვალებულები არ ცეკვავენ?

მე ხომ ეს ხანია გავცოცხლდი.

მაგრამ მარიას ეს არ ესმის, თითქმის ძალით მიმათრევს მდელოსაკენ, სადაც სამ მის დობილს ფერხული ჩაუბამს და რუსულ განდაგანას უვლიან, – ეს თავისუფალი როკვაა, განსხვავებით ქართულისაგან, როცა შეგიძლია პარტნიორის ხელი წელზე შემოიხვიო და ცეკვის ქარიშხალში დატრიალდე.

სწორედ ამისი მეშინია.

აღსასრული მიახლოვდება.

მარია ამას ვერ გაიგებს. ამიტომაც ჩემს ხელს წელზე ისალტავს და ფერხულში ებმევა.

ხელი დამნვარივით მიხურს. მარიას სუნთქვას ვგრძნობ და ვბარბაცებ, ფეხი მეშლება, მერე მისი მკვრივი ტანი მეხლება მკერდზე და მინდა გახელებული პირუტყვივით ვიბღავლო, მაგრამ ხმა სადღაც ჩამკარგვია.

მარია ისევ მელამუნება, კატასავით მეგლასუნება, არ ვიცი რამ გააგიჟა. ამძუვნებული მდედრის ნდომა იგრძნობა მის მიმოხვრაში, მის თხა-ნალებურ ხლტომაში. დახტის და მეც აქეთ-იქით დამატარებს, სანამ ფერხულს შეუმჩნევლად არ გავცდით (იქნებ შეგნებულად!). გოგო უსურვაზივით მკიდია კისერზე, მისი სიმძიმე თავს მახრევინებს და მის სახეს ვუახლოვდები. მარია აგზნებული შემომყურებს და მისი თვალებიდანაც იფრქვევა ცეცხლის ჩინჩხვრები, ვით კოცონის ნაპერწკლები.

– მარია! – ვჩურჩულებ და მინდა რაღაც ვუთხრა, თუნდაც რამე სისულელე, რაც ჯერ არავის წარმოუთქვამს დედამიწაზე, მაგრამ გოგო ბაგეზე თითს მადებს გაფრთხილების ნიშნად და ვხვდები, რომ ყველაფერი იცის; რომ ქალური ალღოთი უფრო მეტს ხვდება, ვიდრე მახვილი ჭკუა იგუმანებდა; ალო მეც მკარნახობს, მარიას ვუნდივარ, უეცარი გახელება ხელს მაქნევინებს და მარიას თითებს ვიშორებ ბაგიდან, მერე გაშმაგებული ვაცხრები მის ტუჩებს და ვკოცნი, ვკოცნი დაუსრულებლად. გულში ვიხუტებ, ვჯგვლემ, ვეალერსები, ლამის შევსვა, ჩავყლაპო, შევისრუტო; გოგო არ მეპუება, არ დრკება, თავადაც მეკვრის, კოცნაზე კოცნით მპასუხობს, ბუჩქებისკენ მეზიდება. მეც მივყვები და ესაა უნდა წავიქცე, რომ მარია კატასავით შემომახტა თეძოებზე. ხელში ატატებული მყავს და უეცრად მახსენდება, რომ სიბნელის იქით ხალხია. ამის შეგნებამ მომადუნა და მარიას ხელი ვუშვი. გოგოს ოხვრა აღმოხდა, საყვედურით ამომხედა.

– მარია, ხვალ მოდი ჩემთან კოტეჯში! – ჩავჩურჩულე და ყურზე ვაკოცე.

– რატომ?

– ფრედის შესახებ მინდა გელაპარაკო.

– მოხდა რამე, ექიმო?

– მგონი, საფრთხე ემუქრება! – უსინდისოდ ვტყუი და ისევ ყურზე ვკოცნი. გოგო ხელით მიშორებს, გარინდებული დგას.

– მითხარით, ნუ დამიმალავთ, – მეხვეწება ისიც ჩურჩულით და კვლავ მის მხურვალე სუნთქვას ვგრძნობ; საბოლოოდ რომ არ დავბნდე, ერთხელაც დავაცხრი ბაგეებზე და უკანმოუხედავად გადავეშვი ბარდებში. ბუჩქები მხრით გავარღვიე და სიბნელეში ჩავიკარგე. არ დამინახავს, მარია ისევ იქ იდგა და თვალს მაყოლებდა, თუ დობილებს მაშინვე შეუერთდა და მეც ისევე უცაბედად დაავიწყდი, როგორც გაახსენდი.

* * *

უეცარი გაქცევიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მარიამ ჩემთან აგარაკზე ორი დაუვიწყარი ღამე გაათია, ატენში დავბრუნდი. ძებისაშვილის სახლში ყველაფერი ძველებურად დამხვდა. კეკემ წყალი გამიცხელა და მეც ნახევარ საათში ჩამოვირეცხე სიველურის ნიშატი. წვერი გავიპარსე, გახამებული პერანგი ჩავიცვი, ოდეკოლონი ვისხურე – ერთი სიტყვით, ისევ რიგით ფილისტერად ვიქეცი. სად წავიდა ჩემი გახელება და გატყიურება?! როგორც ჩანს, ცივილიზებულ ყოფას დიდი გამძლეობა ჰქონია – კულტურული კაცი ბოლომდე ვერასოდეს გაგიჟდება. ეს ჩვენი სისუსტეა ან სიძლიერე. არ ვიცი, რა ვიფიქრო. ამიტომ, ფიქრს რომ დავემალო, სიეზმანთან მივიჩქარი, მაგრამ მრეწველი შინ არ დამიხვდა – გორში წასულიყო ხეტყის ექსპორტის მოსაგვარებლად.

მადამ კატერინემ ყავა შემომთავაზა, მაგრამ ზრდილობიანად ვიუარე, იქაურობას გავეცალე. აღარსად გული აღარ მიდგება. აღარც ჩემს დროებით სადგომში მიმესვლება. ისევ ტანას ნაპირს გავუყევი და უნებურად ლომოურის ბაღს მივადექი. ბაღში არავინ ჩანდა. კუტიკარის რაზა ავწიე და ბაღში შევედი. ნაცნობი თუთის ქვეშ ჩამოვჯექი. ფიქრი არ მინდოდა, გარინდებული ვიჯექი და ველოდი, როდის დაიძვრებოდა ჩემი არსების წიაღიდან ამაოების ღრუბელი. არაფრის ფიქრი არ მინდოდა. ვიჯექი და ბალახს დავჩერებოდი, როცა შარიშური გავიგონე.

მივტრიალდი და ლომოური დავინახე.

– ინსპექტორო, აქ ხართ? შუა კვირაში?

– დაგავიწყდათ განა, სკოლაში არდადეგები რომ დაიწყო? – გამიცინა ლომოურმა და ხელი მაგრად ჩამომართვა, – ამას რას ველირსე, ექიმო, თქვენი ნებით მესტუმრეთ. ხილი და არაყი ხომ არ გინდათ?

და რაკი უხმო დასტური შემატყო, ლომოურმა ქოხიდან მყისვე გამოიტანა ხილი, არაყი, თონის პური და გუდის ყველი. თითო დავლიეთ.

– დაიგვიანეთ თუ დროზე ადრე ჩამოხვედით? – ლომოური კვლავ კვარტიან ბოთლს მისწვდა, ჭიქებში არაყი ჩამოასხა, – მიხვედით, ნახეთ და გაიმარჯვეთ, თუ...

გამეცინა.

– გატყობთ დიდი ხანია არავისთან მოგიფხანიათ გული, – არაყმა ენა გამიხსნა და მზად ვარ, ყველაფერზე ვილაქლაქო, ოღონდ შინაგან ხმას ყური არ ვუგდო, – რაც შეეხება თქვენს კითხვას, ვფიქრობ, უფრო საინტერესოა, აქ რა ხდება: რომის იმპერია ყანყალებს თუ უკვე დაეცა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– უთქვენოდ ეგ როგორ მოხდებოდა! – ლომოური ჭიქას მინვდის, – სცენაზე თქვენი გამოსვლის ჟამია, ექიმო! ახალი ერა იწყება.

მან ჭიქა მომიჭახუნა და სულმოუთქმელად გადაჰკრა.

– ისევ ხუმრობთ? – არაყი მეც დავლიე და მწარე სითხემ ხახა დამწვა, – მეგონა თქვენი გაქანების კაცს რევოლუციის დროშა მაინც გეჭირებოდათ ხელში.

ინსპექტორს ბოთლისკენ ნალებული ხელი გაუშეშდა.

– აკი ერთხელ უკვე გითხარით, რევოლუციაში ვერ გავერევი-მეთქი, თუმცა მინისძვრა მაინც გვიახლოვდება. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ავად თუხთუხებს, ექიმო, ვინძლო ვულკანის შხეფები ჩვენც მალე მოგვწვდეს.

– თქვენც ეგ არ გინდათ?

– ქაოსი კი არა, წესრიგი, ექიმო! რამდენჯერ უნდა აგიხსნათ, – ლომოური მოულოდნელად გაცხარდა და ზეზე წამოვარდა, თავს წამომადგა, – გგონიათ, სიეზმანის პირადი მტერი ვარ ან შური მალაპარაკებს? მე ზოგადად ექსპლუატატორი მძულს. აი, ეგ არის ჩემი კრედო.

– საოცარია, ინსპექტორო, ის ბიჭიც, ფრედი, თქვენნაირი შეხედულებისაა მდიდრებზე.

ორატორივით გაჯგიმული ლომოური უეცრად დაიძაბა.

– ფრედი? – შეჰყვირა მერე, – ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ ამ შერეკილ ბიურგერებს და მათ შტერ მემკვიდრეებს! რით ვერ გაიგეთ, რომ მე ახალ ძმობას, კაცობრიობის ახალ ერთობას მოველი, სადაც მე და თქვენ უცხონი აღარ ვიქნებით.

– მერე რა ჰქენით, მიაკვლიეთ?

პასუხის ნაცვლად ლომოური დაიხარა და თვალებში ჩამხედა.

– თქვენ რაღა ჰქენით, ფრედი მოარჯულეთ?

– ჯერ ვერ დავიყოლიე, მაგრამ, ვფიქრობ, მარიას დახმარებით აქ ჩამოვიყვან. მართლა, ინსპექტორო, მინდა მოგილოცოთ: თქვენი რჩევა უტყუარი გამოდგა. მარია ძალიან დამეხმარა, – ველოდები, მარიას ხსენებაზე რამე მწარეს იტყვის, მაგრამ მოვტყუვდი.

– ოჯახს დაუბრუნებთ? – ლომოური კვლავ წელში გაიმართა და გვერდულად გადმომხედა, – ბრავო, ექიმო! ჩანს, წინ მიიწევთ.

ინსპექტორი ისევ დაჯდა და მესამე ჭიქა არაყი დაასხა.

დავლიეთ.

მცირე ხანს ვდუმდით. მერე ლომოურმა გაიცინა და მკვეთრად მობრუნდა ჩემკენ.

– ის იგავი თუ გახსოვთ, ექიმო, გლეხმა წეროს ფრთები რომ დააჭრა? როგორ არ გემახსოვრებათ, სკოლაში ისწავლიდით. მაგ თქვენს ფრედისაც ქათამს ხომ არ დაამსგავსებთ? უნდა გითხრათ, ფრიად სასაცილო ბურჟუა იქნება.

– თქვენი აზრით, ტყე-ტყე წანწალი უკეთესია?

– იცით, რა მიკვირს? – ლომოურმა ამოიქშინა, – რატომ ვერ ხედავთ ვერც თქვენ და ვერც თქვენნაირები, რომ განვითარების მიხედვით ადამიანი ერთნაირი არ არის: ზოგი იმ თქვენი ნაქები ევოლუციის თავშია, ზოგი – შუაში, თქვენ კი გინდათ ყველა ერთ ტაფაში შეხრაკოთ.

– მაგ აზრს თუ მივყევით, ინსპექტორო, ქაოსი გარდაუვალია, რისიც ასე გეშინიათ. ვისაც რა მოუნდება, ის რომ აკეთოს, ადამიანთა საზოგადოება გადაშენდება.

ლომოური წუთით ჩაფიქრდა.

– მაინც იმ აზრზე ვარ, მაგ ბიჭს გააუბედურებთ, – თქვა ბოლოს, – იქ პირველი კაცია, ლამის აღმერთებენ, ქალაქად კი ჩვეულებრივი ფილისტერის ბედს უნდა დასჯერდეს. იცოდეთ, თუ ამბიციებს მოუსპობთ, გინდ მოგიკლავთ და დაგისამარებიათ, გინდაც სასიკვდილოდ გაგიწირავთ.

– მაშ ისევ ილუზიების ტყვეობაში დავტოვოთ? – ვთქვი და ენაზე ვიკბინე, არაყმა მათქმევინა, თორემ ამას რა წამომაცდენინებდა, რადგან ვიცოდი ლომოური მყისვე ისარგებლებდა ჩემი სისუსტით.

მართლაც, არ დაუხანებია და უცებ როყიოდ გაიცინა, როგორც სჩვეოდა.

– სჯობს თქვენს ილუზიებს მიხედოთ, ექიმო! თქვენს ადგილას მაგ ბიჭის ბედი დიდად როდი ამაღელვებდა. ნეტავ რისთვის წვალობთ? გასამრჯელოს გამო? არა მგონია, მაშ, მითხარით, სხვა რა მიზეზია?

– ეს ჩემი პროფესიული მოვალეობაა, – მივუგე ცივად.

ინსპექტორმა სწრაფად შემომხედა და ლამის გამბურღა მზერით.

– დაგიჯეროთ? – მკითხა მერე.

– თქვენი ნებაა. მე ჩემი პროფესიული კოდექსის მიხედვით ვირჯები.

ლომოურმა ისევ გაიცინა.

– რაც ადამიანმა სხვისი მოტყუება ისწავლა, მას აქეთ ბევრი თაღლითი და ოინბაზი უნახავს ამ ჩვენს ბებერ მიწას, – მან გაშვერილი თითი მიწას არტისტულად დაალირა, – მაგრამ ცივილიზებული ადამიანის თავისმოტყუებას ვერაფერი შეედრება! კარგი, ეგრე იყოს, დავზავდეთ, – ხელი გამომიწოდა, – იმედია, შედეგებზე პასუხისმგებელი იქნებით.

– ფრედის ადვოკატი როდის აქეთ გახდით? – გავცხარდი უცებ და ვიგრძენი, ბრაზი არაყივით მხურვალედ მომედო ტანში, – აკი დიდად არ გეხატებათ გულზე ეგ ბიჭი!

– მართალი ხართ, ბიჭი დიდად არ მაღელვებს, – არხეინად მომიგო ლომოურმა, – მე თქვენი მორალური მდგომარეობა უფრო მაინტერესებს.

– მაინც რას ელით? შუბლზე ტყვია დავიხალო თუ თოკს ჩამოვეკონწიალო?

– მაინტერესებს, რას იზამთ, საით წახვალთ, როცა ფრედის გაუსწორდებით?

– ვერაფერს გეტყვით, – მხრები ავიჩეჩე, – ყველას თავისი გზა აქვს, თუმცა, თქვენგან განსხვავებით, მაინც არ მგონია, რომ ოჯახში დაბრუნება ფრედისთვის უბედურება იყოს. ეგ თქვენ გეჩვენებათ, ინსპექტორო, თითქოს ბიჭმა ცხოვრების მართალ წესს მიაგნო. ნამდვილად კი იმ ტყეში პირუტყვივით ცხოვრობს.

– სამაგიეროდ, თავისუფალია, მე და თქვენგან განსხვავებით.

– თავისუფალი?

– დიახ, ექიმო! გამოტყდით, რომ გულისგულში თქვენც შენატრით ფრედის ყოფას.

– აი, მანდ კი ცდებით. რომ მნდომოდა, განა იქ არ დავრჩებოდი? რა შემიშლიდა ან ვინ დამიშლიდა?

– კულტურული ადამიანის ისტორიული მახსოვრობა! ერთი მითხარით, რა გაიძულებთ დამთმობი იყოთ? მორალი?

– გაინტერესებთ, კანიბალივით სადილად რატომ მოყვასს არ მივირთმევ?

– ჰო, მაინტერესებს, – თვალებში მომაჩერდა ლომოური, – ვინ გიშლით, თუნდაც მარიასთან ერთად ორი-სამი თვე მაინც გელაღობათ ტყეში? აქ რატომღა დაბრუნდით?

გამაცია.

ნამდვილად სატანაა ეს ლომოური!

– ღმერთი თქვენ არ გნამთ, ეშმაკი არ გჯერათ, სულიერი ცხოვრება თქვენთვის ფიქციაა... თუ ყველანი მაიმუნისგან წარმოვიშვით, თუკი უმაღლესი პრიმატების სახეობათა პირამიდის წვეროკინაზე ვდგავართ, მაშინ რაღა ჯანდაბა გაიძულებთ, ისევ აქაურ ბეჩავ ყოფას დაუბრუნდეთ?! – ეგზალტირებული განაგრძობდა ლომოური, – განა ვნებათა თუნდაც ხანმოკლე ფეიერვერკი მრავალი წლის უამურ ყოფას არ სჯობს? ვინ გაიგებს, ექიმო, თქვენს ცოდვილ ქცევას, ან ვის წინაშე ხართ პასუხისმგებელი?



მხატვარი აიკენგო ჭელიძე

– ნუ სულელობთ, ინსპექტორო! განა არ იცით, რომ ვნებათა დაცხრომა ცხოვრება არ არის?

– მაშ, რაღაა?

– თუნდაც ჩემი და თქვენი ახლანდელი საუბარი! ადამიანი მარტო ინსტინქტით ვერ იარსებებს.

ლომოურმა ისევ გაიცინა.

– აი, ეგ არის – ცივილიზებული ადამიანის მზვაობრიობა! ინტელექტის ვერაგ ბრჭყალებს შეუპყრიხართ, ექიმო! თორემ რა სჯობს ბუნების წიაღში უპრობლემო ყოფას?! ნამდვილი კაენიტი ხართ და ეგ არი. სამოთხეზე ნებით უარს როგორ ამბობთ? რა საუბარი აგიტყდათ, როცა ცხოვრება მშვენიერ შანსს გაძლევთ ბედნიერებით დატკბეთ?

– თქვენი მსჯელობა მაკვირვებს, ინსპექტორო! თანაც, გულახდილად მითხარით, ჩემს ადგილას ისე მოიქცეოდით, რასაც მიქადაგებთ? ფრედი განა ტყეში არ ცხოვრობს, მაინც რომ აძაგებთ და კაცთა მოდგმის ნაბოლარა ვინმედ მიგაჩნიათ?

– თქვენ გონიერი ადამიანი ხართ, ფრედისთან რა მესაქმება! – აგდებით მომიგო ინსპექტორმა, – ფრედის თუნდაც იმიტომ ვერ შეგადარებთ, რომ თქვენსავით მგრძნობიარე ვერ არის.

– და მაინც სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს?

ინსპექტორს სახე დაემანჭა, რაც გაცინებას ჰგავდა.

– ეგ არავინ იცის! არავინ იცის, რა არის სულიერი ცხოვრება, რადგან ამის მასწავლებელი არავინ არი. მე და თქვენ კი ნებისმიერი რამ შეგვიძლია მოვიგონოთ ჩვენი ეგოიზმის გასამართლებლად. აი, თუნდაც ხვალ რომ ნყალმაშველთა საზოგადოება შევქმნათ და ამას სულიერი ცხოვრება ვუწოდოთ. რა გგონიათ, არ დაგვიჯერებენ? მთავარია, რიხი და არტისტობა არ დაგვაკლდეს.

– მაშ, რაღად მიკიჟინებთ, რომ ფრედი თავისუფალია?

– იმიტომ, რომ ის ნიმუშია, მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება კაცმა დახავსებულ წარმოდგენებსა და ცხოვრებაზე უარი თქვას. თუ ფრედი შეუგნებლად იქმს ამას, რატომ არ შეგვიძლია, მე და თქვენ ეს შეგნებულად გავაკეთოთ?

– ანუ მორალზე უარი ვთქვათ?

ლომოურმა ხარივით ამოიქშინა.

– რა გული გაანყალეთ ამ მორალით, ექიმო! აკი წელან გკითხეთ, პასუხისმგებელი ვის წინაშე ხართ-მეთქი და ვერაფერი მიპასუხეთ. გაიგეთ, რომ თქვენი დამშლელი არავინ არი. თავისუფალი ხართ! – მან ისევ ბოთლს წამოავლო ხელი, არაყი დაისხა და სულმოუთქმელად გადაჰკრა.

წუთით დუმილი ჩამოვარდა.

– თუ თქვენს ლოგიკას გავყვებით, შემიძლია აქვე სული გაგაფრთხობინოთ და პასუხსაც ვერავინ მომთხოვს? – განვაგრძე შემდეგ, – სწორად გაგიგეთ, ინსპექტორო?

– ჰო, – ჯიქურ მომიგო ლომოურმა და თვალებში მომაჩერდა, – პასუხს ვერავინ მოგთხოვთ, თუ, რა თქმა უნდა, სასამართლოს განაჩენის არ გეშინიათ. ალბათ მიხვდით, რომ მე ჩვეულებრივ ადამიანურ სამართალს არ ვგულისხმობ.

– მერედა, ეგ არის თავისუფლება? თქვენი ნაქები უმაღლესი პრინციპები რაღა იქნა?

ინსპექტორმა წამით იყუჩა და მერე გიჟივით გაიცინა.

– გგონიათ, გამომიჭირეთ? მთვრალი გგონივართ? უმაღლესი პრინციპები ბავშვის საჟღარუნოა. დროა, ინსტინქტებს დანებდეთ, ექიმო! თავს ისე ბედნიერად იგრძნობთ, სიზმარი გეგონებათ.

ამჯერად მე გამეცინა და ინსპექტორს შემრიგებლურად ვუთხარი:

– ეს საუბარი სხვა დროისთვის იყოს. ახლა კი მეჩქარება.

მასპინძლობისთვის მადლობა მოვახსენე და ავდექი. ლომოური ბალის კარამდე მომყვა.

– ფრედი როდისთვის დაიბარეთ? – მკითხა გამომშვიდობებისას.

– რა გითხრათ, იქნებ არც ჩამოვიდეს, – მე კვლავ მხრები ავიჩეჩე, – იქნებ არც ჩამოვიდეს, ინსპექტორო!

– მარია იქ დატოვეთ? – ლომოურმა ახლა რატომღაც თვალი აარიდა, – იმედია, ის გოგო თქვენი მეკავშირეა.

– დიახ, ინსპექტორო, სწორად მიმხვდარხართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მაშინ ნუ შიშობთ, ფრედი აქ გაჩნდება, – დამაიმედა ლომოურმა და კუტიკარი მიიხურა, – ჩემი სიტყვა დაიხსომეთ, ექიმო: ქალმა თუ გაინია, წინ ვერაფერი დაუდგება. ვერც თქვენ.

მიბრუნდა და მაშინვე წავიდა, თითქმის გაიქცა. ზურგი მიჩვენა, სანამ რამის თქმას მოვასწრებდი.

დიდი ვირეშმაკაა ეს ლომოური!

* * *

ქანქარა მესიზმრა:

უსასრულო სივრცეში გატყორცნილი ციფერბლატიანი საათი, რომლის იქითაც ისევ უსასრულობა მოჩანს. საათი ხან მიიკარგება ბნელში, ხან გამოჩნდება და როცა გამოჩნდება, მოქანავე ქანქარაზე დედიშობილა ჩვილი ჰკიდია. ვიძაბები, მინდა ბალღის სახეს დავაკვირდე, მაგრამ საათი სწრაფად უჩინარდება ბნელში. ბოლოს, მაინც ვახერხებ ჩვილის სახეს შევხედო და ჰოი, საკვირველებავ!

ყრმის მაგივრად ბებრის დალმეჭილი ნაკვთები.

მხცოვანის თმა მოსავს ჩვილს.

დანაოჭებული უპეებიდან მოხუცის თვალები შემომყურებს.

შეშინებული ვხუჭავ ძილში თვალებს და ვითომ ვიმალები, მაგრამ ფარული ძალა მაიძულებს ბნელიდან ამოზიდულ ახალ სურათს ვუმზირო.

ჩემი სოფლის საყდარს ვხედავ.

ნახევრად დანგრეული გალავნის ძირას ქალი და კაცი წვანან და ლალობენ. მე იქვე ვდგავარ, შურით შევყურებ. მერე კარგად ვაკვირდები და...

ჩემი თავი ვიცანი.

ჭაბუკი ვარ და უცხო ქალთან ვწევარ.

ჯერ არ ვიცი, ის ქალი ვინ არი.

არც მინდა ვიცოდე.

ახლა იმას ვარიდებ მზერას.

ღმერთო, ნუ გამაგებინებ!

მაგრამ ფარული ძალა მაინც მძლავრობს, ქალიც ღიმილით იბრუნებს ჩემკენ სახეს და...

* * *

უგუნებოდ გამელვიძა.

სიცარიელეს ვგრძნობ.

მარია მენატრება.

რაც ერთმანეთს დავშორდით, თავს ძალას ვატან, მასზე არ ვიფიქრო, მაგრამ თუ დღისით ვახერხებ ამას, ღამით მარია მძლავრობს – ძილში მეცხადება და გონებით ნაგებ გალიას, სადაც ახურებულ ავაზას ვამწყვდევ, წამში ნამცეცებად ამტვრევს.

გავითანგე.

მისი სახე, მისი კანი, მისი თმა მელანდება...

ლომოური მართალია – მარიასთან უნდა დავრჩენილიყავი, მე კი შემეშინდა...

ჰო, შეშინებული გამოვიქეცი.

თუმცა ჩემი გამოქცევა გონებით მშვენივრად გავამართლე.

ვითომ ფრედის გამო მოვიქეცი ასე.

ვითომ მარია ფრედის დაიყოლიებს და ატენში ჩამოიყვანს...

მერე?

არც არაფერი.

წყალსაც წაუღია აქაურობაც და სიეზმანის ძმისშვილიც...

მე ხომ ვიცი, რომ ფრედის განკურნება კი არა, მისი მოხრჩობა უფრო მინდა!

მაშ, მარია იმას რად დავუტოვე?

ვიწვი, ვიხრაკები, შურისგების ცეცხლზე ვტრიალებ...

ბანაკში რომ დავრჩენილიყავი, ფრედი უეჭველად შემომაკვდებოდა – ეს ნამდვილად ვიცი.

ისე ვარ ვნებით ატანილი, ვინც გზად გადამიდგება, აუცილებლად ჯანდაბაში გავისტუმრებ.

ფრედი ჩემი მტერია – მოსისხლე.

დრო გავიხანგრძლივე და ეგ არი, თორემ მართლა რომ ჩამოიყვანოს ატენში მარიამ, ჩემი წერა გახდება.

უფრო გონივრული იქნება, თუკი აქაურობას გავეცლები და ისევ სადმე გავიქცევი.

მძულს ეს ბანალური სასიყვარულო ინტრიგები.

ხათაბალაში მაინც გავები.

ნებისყოფა მღალატობს.

სანამ დროა, ატენს უნდა მოვშორდე.

ამ დილით სწორედ ეს გადავწყვიტე – რამდენიმე დღის წამებისა და ტანჯვის შემდეგ.

სიეზმანთან მივალ და ვეტყვი, თქვენს ძმისშვილს სამკურნალო არაფერი სჭირს და თავი დაანებეთ-მეთქი.

ვითომ ტყუილი იქნება?!

განა თავადვე არ მჯერა, რომ ფრედი ფსიქიკურად ჯანმრთელია?!

რაღად ვაყოვნებ?

ახლავე, ახლავე ავდგები და ფაბრიკანტთან წავალ.

გაჭირვებით ვითრევ ტანს და ლოგინიდან ვდგები, ფანჯარაში ვიხედები. ტანა ძველებურად მიედინება, ოღონდ მარია აღარ ავლებს სარეცხს მის ნაპირას.

თვალს ვხუჭავ, რომ ის არ დავინახო, ვინც ცხადად თვალწინ მიდგას, მაგრამ მარია არ ქრება – ყველგან არი, საითაც უნდა მივმართო მზერა: შიგნით თუ გარეთ.

ალბათ ჭკუაზე შევიშლები!

გაგიჟებას ბევრი არაფერი მიკლია. ამიტომ სწრაფად ვიცვამ და თითქმის მივრბივარ მრეწველის სახლისკენ.

კარი საკვირაო სკოლის შეგირდმა გამიღო, მაღლა ავედი. სიეზმანი გამომეგება.

გამოღებულ კარში ჩანს: მაგიდას ოთხი თუ ხუთი კაცი უზის – ტაძრის დეკანოზი, სიეზმანის ორი ინჟინერი და ჟანდარმის ფორმიანი ულვაშა ვინმე.

ჩემს დანახვაზე საუბარი მოსხიპეს და მომაჩერდნენ.

მრეწველი ნაცნობ გვერდითა ოთახში შემიძღვა.

წვრილად მოვუყევი, რაც ვნახე და გავიგონე.

მშვიდად, დაფიქრებული მისმენდა.

მერე ის მკითხა, რასაც ველოდი – ახლა რას აპირებთო.

– იქნებ მოვახერხო და ფრედი აქ ჩამოვიყვანო, – მივუგე პასუხად, – ვფიქრობ, მძიმე საუბარი მოგველით.

– გგონიათ, მოვრიგდებით?

– ფრედი უგუნური როდია. დრო შეიცვალა, ავგუსტ იაგორის ძევ, ალბათ რაღაც მაინც უნდა დაუთმოთ.

ეჭვით შემომხედა, მერე ნელა გადააქნია თავი.

– თქვენ ხომ ყველაფერი არ იცით, ჩემო კარგო! – მითხრა მერე და ჩვეული მოძრაობით პორტსიგარი ამოიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიბიდან, – გვერდით ოთახში ჟანდარმი დაინახეთ? ამ დილით ამოვიდა გორიდან. არა, მე როდი მომიწვევია, – თითქოს ჩემს უხმო შეკითხვას უპასუხა მასპინძელმა, – ტფილისში რევოლუციონერთა საიდუმლო ორგანიზაცია დაურბევიათ და კვალმა აქ მოიყვანა ეს ხალხი. თურმე ჩემს ფაბრიკაშიც არიან ბუნტისთავები. ფრედიც ერთი იმათგანია.

– დაუჯერებელია, – აღმომხდა უნებურად, – ფრედი და რევოლუციონერი?

სიეზმანმა თავი დამიქნია და თვალები დახუჭა. მეგონა, ფეხზე ჩამოეძინებოდა. სიგარეტი ხელში ეჭირა და ნელა ატრიალებდა, როგორც მოწყვეტილი ყვავილის ღეროს. მერე თვალი გაახილა და თითქოს გააჟრჟოლაო, წელში ისე გაიმართა.

– უნდა მაპატიოთ, ექიმო, – თქვა დუნე, მორღვეული ხმით, – თავიდანვე უნდა მეთქვა ეს თქვენთვის, მაგრამ ვარჩიე, სათქმელი ბოლოსთვის შემომენახა. დაბრძანდით, გთხოვთ!

– იყოს, ნუ წუხდებით.

პირისპირ ვიდექით.

– ადრევე ვიცოდი, ფრედი იმათ რომ დაუახლოვდა. აკი გითხარით, ევროპიდან შეცვლილი, თითქმის გადარეული დამიბრუნდა. მთავრობაში ბევრი ნაცნობი მყავს. ერთიორმა სიტყვა გადამიკრა, შენი ძმისშვილი საეჭვო ხალხს მოაშორეო. ვერ ვიჯერებდი, ფრედი თუ იმ ბუნტისთავებში გაერეოდა, მაგრამ ჟანდარმერიამ უტყუარი ცნობები მომაწოდა და დავრწმუნდი, რომ ჩემი ძმისშვილი ხათაბალაში გაბმულიყო.

– დაუჯერებელია, – ვთქვი ისევ.

– ჩემი არ გჯერათ? – თითქმის გაცხარდა უცებ ყოველთვის მშვიდი სიეზმანი.

– დაუჯერებელია, ფრედი რევოლუციონერების იდეებს იზიარებდეს, – ვთქვი საჩქაროდ, მასპინძელი რომ დამემშვიდებინა, – რუსი მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც რელიგიის მტრები არიან, ფრედი კი ღვთისმოშიშია.

– აქ იმისთვის დაგიბარეთ, რომ ფრედის ჭკუასუსტობა დაგედასტურებინათ, – ჩემი ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია ფაბრიკანტს, – წინასწარ კი იმიტომ არ გაგაფრთხილეთ, რომ დიაგნოზი უფრო ბუნებრივი ყოფილიყო.

– ავგუსტ იაგორის ძევ, რატომ არ გინდათ დაიჯეროთ, რომ მართალს გეუბნებით?! – ახლა მე გავცხარდი, – შეუძლებელია თქვენი ძმისშვილი მარქსისტების ბანაკში იყოს, რადგან ის უფრო სექტანტია, ვინემ რევოლუციონერი.

– ჰო, მაგრამ ის გოგო... – ჩუმად თქვა სიეზმანმა.

გავშრი.

– გოგო?

– მარია, ექიმო. აკი გაგაფრთხილეთ, რა ეშმაკის კერძიცაა.

გამაცია.

– მაპატიეთ, მაგრამ ვერ გამიგია, ბრიანსკის ქალიშვილი რა შუაშია?

– სწორედ ის არის რევოლუციონერების მეკავშირე, – თავდახრით მომიგო სიეზმანმა, – ფრედისაც იმან აურია გონება.

ნერვიული მოძრაობით საფეთქელზე ხელისგული გადაისვა და შემომხედა.

– ველარაფერს დავმალავთ. თქვენი იმედილა მაქვს. ფრედი თუ აქ გამოჩნდება, მასაც დააპატიმრებენ.

– მაშ, მე... – ვთქვი და ველარ დავასრულე, – გამოდის, რომ უნებურად თქვენი ძმისშვილის დაღუპვას ხელი შევუწყე?

– ჩემი ბრალია, – ხელის გაქნევით შემაჩერა სიეზმანმა, – თავიდანვე რომ ყველაფერი მეთქვა, ეს არ მოხდებოდა.

– იქნებ მთაში ავიდე და ფრედის აქ ჩამოსვლა გადავაფიქრებინო?

– გვიანლაა. თუ ის გოგო შეუჩნდა, მაინც ჩამოიყვანს.

უცებ თვალი ამიჭრელდა და სკამის საზურგეს ხელებით დავეყრდენი.

მარია, მარია!

როგორ მოვტყუვდი!

ფიქრის დრო ალარ იყო, მრეწველი თვალებში მომჩერებოდა.

– მეგონა, ამ გზით დავიხსნიდი! სადმე უცხო კლინიკაში გავგზავნიდი და როცა ყველაფერი ჩაივლიდა, ფრედი ისევ ცხოვრებას დაუბრუნდებოდა. თქვენი იმედილა მაქვს, ექიმო, უნდა მიშველოთ.

– როგორ, რანაირად? – სკამის ზურგზე ხელებდაყრდნობილი მრეწველს მივჩერებოდი. ზურგზე კი ჭიანჭველები დამირბოდნენ.

– ფრედი გიჟად უნდა გამოაცხადოთ, თორემ ველარც ჩემი ფულები და რეპუტაცია უშველის რამეს და ველარც სადმე სხვაგან გაქცევა.

წუთით ნერწყვი გამიშრა პირში, ზურგზე კი ჭიანჭველებმა სირბილს მოუხშირეს.

– ავგუსტ იაგორის ძევ, ნუთუ...

– კარგით, ჩემო კეთილო! – თავისთვის ჩაილაპარაკა მრეწველმა და კარისკენ მიბრუნდა, – მაშინვე უნდა მცოდნოდა, რომ ამას არ იზამდით. მაინც მადლობელი ვარ თქვენი!

ხელი გამომიწოდა და ზლურბლზე შეყოვნდა.

– თუკი ეს რამით დაგეხმარებათ, – ვთქვი და ენაზე ვიკბინე, რადგან წამით მომეჩვენა, რომ ვილაც უხილავმა სერთუკის კალთაზე დამწია, მაგრამ სინდისის ხმისთვის ყურადღება არ მიმიქცევია – ჭიანჭველები უკვე ზურგის ტვინში მიძვრებოდნენ.

– მაშ, თანახმა ხართ? – ცქვიტად მომიბრუნდა მრეწველი.

– იცით, რა მიკვირს, ნუთუ აქამდე ვინმე ნაცნობი ექიმი ვერ მონახეთ?

– ფრედი ახლოს არავის იკარებს. ძალზე ეჭვიანი და ფრთხილია.

– მე რალად ამირჩიეთ, თუ საიდუმლო არ არის?

– მაპატიეთ, მაგრამ ნამეტანი პატიოსანი სახე გაქვთ, ექიმო, – სიეზმანმა წამით შემომხედა და მაშინვე მზერა ამარიდა, მაგრამ მაინც შევნიშნე მის გუგებში რუხი ნაპერწკლები, – თანაც თავადმაც მომწერა თქვენს შესახებ. მის რეკომენდაციას კი ყოველთვის ვენდობი. მაშ შევთანხმდით?

მან ისევ გამომიწოდა ხელი. მეც გავუწოდე და უცებ ვიგრძენი – ხელისგული ისე მიხურდა, თითქოს საკირეში შემეყოს, მაგრამ გვიანლა იყო – ეშმაკთან უკვე ზავი მქონდა დადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მძიმე წვეთები ეცემოდა მორევს, ბუშტულებს აჩენდა, მერე მოუხშირა, წყლის ზედაპირი ააჩქაფუნა, წვიმა ხმაურობდა ფოთლებში, ფეხქვეშ ღვარად მოედინებოდა, და თუმცა ხეებქვეშ ვიჯექი, წყალი მაინც დამდიოდა თავზე. მე კი ვერაფერს ვგრძნობდი. არ მახსოვს, სიზმანისგან წამოსული მორევს როგორ მოვადექი, ან აქ რა მინდოდა...

ალბათ მარიას ვეძებ...

მგონია, აქ დამხვდება.

მთელი ცხოვრება თავს ვიტყუებ – ესეც მორიგი საცთურია...

მარია!

ვცდილობ, გონებიდან განვდევნო, რაც სიზმანისგან მოვისმინე...

მარიამ მომატყუა?

კი მაგრამ, მე ხომ არაფერი მიკითხავს!

რატომ მგონია, რომ მომატყუა?!

მარიას არ ვიცნობ.

ეს სიახლე როდია ჩემთვის.

არც არასოდეს მიცდია შემეცნო ეს გოგო, რადგან... მეშინოდა!

როგორც ყოველთვის, მეშინოდა, რომ მარია ის არ იქნებოდა, ვინც მე მეგონა...

რაც გონებით შევთხზე და შეთხზულს მარია ვუწოდე...

ცხოვრება სხვაა.

ის ჩვენს წარმოსახვას არ ემორჩილება.

წვიმა ავბედითად ხმაურობს, თითქოს მართლა წარღვნა იწყება.

უკვე დიდი ხანია ვნებებმა წამლეკეს.

წარღვნა ვერაფერს დამაკლებს.

პოეტი რომ ვიყო, ვიტყოდი, რომ ცა ისევე სტირის წვიმის ცრემლით, როგორც უბედური მიჯნური მოღალატე სატრფოს გამო...

მაგრამ მე თანამედროვე დეგრადირებული ადამიანი ვარ, – კულტურული თაობის შვილი, ექსპერიმენტული მეცნიერების მომხრე...

ამიტომაც ჩემს სულიერ დრამას ვერავის დავაბრალებ.

ყველაფერი მე შევქმენი და მევე მომეზღო...

ბედი, ფატუმი, კარმული არტახები მალემრწმენი ხალხის მოგონილია.

სოციალური იერარქიის კანონები დავარღვიე და დავისაჯე კიდეც.

მარიას არ უნდა ავყოლოდი.

ვნებებს ვერ შევეწინააღმდეგე.

გონებამ მიღალატა.

ნებისყოფა მაკლია.

ერთ ჭირს კი მეორეც დაერთო – სიზმანს სიტყვა მივეცი, რომ ფრედის დავიხსნი.

ნეტავ, რა ჯანდაბამ მათქმევინა?!

ეს შეპირება რომ არა, ახლავე წავიდოდი და აქაურობა ისევე დამავიწყდებოდა, როგორც უჟმური სიზმარი.

გაქცევა ხომ ჩემი ხელობაა.

ექიმთა შორის თვითმკვლელთა რაოდენობა თურმე სხვა პროფესიებს აჭარბებს.

მაცოდინა მაინც, ასე რად ხდება?!

ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ, ექიმები, სამყაროს სხვებზე ფხიზლად ვუყურებთ.

სანტიმენტებისა და გულისამრევი პიეტიზმის თვინიერ...

შიშვლად დანახული სამყარო კი არც იმდენად გულმისავალია.

ადამიანთა უმრავლესობას წვიმა მართლა ცის ტირილი ჰგონია, ჩემთვის კი წყალი ჟანგბადისა და წყალბადის ნაერთია, ადამიანი – უმაღლესი კლასის ძუძუმწოვარი.

ამიტომ არ შემფერის მარიას გამო ვჭმუნვიდე.

გონება უტყუარად ირეკლავს ფაქტებსა და მოვლენებს, როგორც პრიალა სარკე.

რაღა საჭიროა სარკე გავაბუნდოვანო?

ეს რას მიშველის?

თუ აქაურობას არ გავეცალე, მართლა დავიღუპები.

ჯანდაბას სიზმანიცა და მისი ძმისშვილიც!

უნდა წავიდე.

ბედად, წვიმამ უეცრად გადაიღო, თითქოს ზეცაც მანიშნებდა რამეს – ფატალისტი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ამ წუთას გულით მინდოდა დამეჯერებინა, რომ სტიქია იმისთვის მიყუჩდა, ჩემთვის გზა გაეხსნა.

მაშ, უნდა ვისარგებლო ზეცის წყალობით და ატენს გავეცალო.

ბარგს ჩავალაგებ და გორამდე თუნდაც ფეხით ვივლი.

გზად რომ უკაცრიელ ალაგას დამიღამდეს, მაინც არ ვჩივი.

ღამეს მორიელებსა და მგლებთან გავათევ, ოღონდ აქაურობას მოვშორდე.

უნდა ვიჩქარო.

წვიმით დამბალი ბუჩქები გავწი-გამოვწიე და ჭალიდან გამოვედი. მდინარის მორიყულ ნაპირს გამოვუყევი ჯებისაშვილის სახლისკენ.

ნებისყოფა დამიბრუნდა.

ახლა ველარაფერი შემაჩერებს.

ცხენოსანთა პოლკი რომ გადამიდგეს წინ ან ჩინური კედელი აღიმართოს, მაინც გავარღვევ და წავალ, გავეცლები აქაურობას.

ყოჩაღად მივდივარ, თითქმის მივრბი.

ნახევარი გზაც არ მქონდა გავლილი, წვიმამ რომ ისევ უცაბედად დასცხო.

ცივი თქეში დამდის თავ-პირზე, ბეჭებს მისველებს, თვალებს მიბნელებს.

ზაფხულში ასეთ ცივ წვიმას არ შევსწრებივარ.

სულს ველარ ვითქვამ, ფეხები ფუთასავით დამიმძიმდა, თითქოს წებოში ვაბიჯებდე.

სადმე უნდა შევეფარო, გადავიდარო.

წასვლას მაინც ველარაფერი დამიშლის.

საჩრდილობელ ადგილს ვეძებ.

თურმე ლომოურის ბაღს მივდგომივარ უკანა მხრიდან.

ღობეში საძრომია. დავიკუზე და ძეძვებში გავძვერი, ქოხს მივადექი.

წვიმის ხმაურში ქოხიდან მაინც ისმის რაღაც კვნესა თუ ოხვრა.

კედელს ავეკარი და სმენა დავძაბე.

არა, ყური არ მატყუებს: ფიცრულის იქიდან ქალისა და მამაკაცის მოგუდული, ვნებიანი ხმაური მოდის.

მერე ქალმა შეჰკივლა – ვნებით, თავაწყვეტილად, გაგრძელებით.

რალაც მეხამუშა.

ის იყო ქოხს უნდა მოვცილებოდი, რომ ანაზდად ხველა ამივარდა, თითქმის ჩავბჟირდი.

დიდხანს წვიმაში დგომამ თავისი ქნა.

ძლივს მოვიბრუნე სული, ქოხის კარი რომ მოფრიალდა და ზღურბლზე ნიფხვისამარა ლომოური გამოდგა.

– ექიმო, თქვენ ხართ? – ისე ჩვეულებრივი, წყნარი ხმით მომმართა, თითქოს სიეზმანის მდიდრულ სასტუმრო ოთახში შევხვედროდით ერთმანეთს და არა თქეშში.

– მაპატიეთ, ინსპექტორო, თუ ხელი შეგიშალეთ.

– არა უშავს, ნუ იბოდიშებთ, – ლომოური კარში მთლიანად ჩადგა და თითქოს დააბნელა იქაურობა, – საბოდიშო მე ვარ, რომ ვერ გიპატიჟებთ. ალბათ ხვდებით, მარტო არა ვარ.

სერიოზული სახით მომჩერებოდა.

მე თავი დავუკარი და გავტრიალდი.

– რალაც მინდა გითხრათ, – დამადევნა ლომოურმა, – იმედია, ხვალ დილით გეცლებათ. აუცილებლად გინახულებთ.

– ხვალ? – შევდექი.

– წასვლას აპირებთ სადმე? – ვიგრძენი, როგორ დაიძაბა ინსპექტორი, მაგრამ შემობრუნებას მაინც ვაყოვნებდი.

– ეს ერთი დღე მაჩუქეთ, ექიმო, ნურსად წახვალთ, – დამიძახა ლომოურმა, – პირობას გაძლევთ, დიდხანს არ დაგაყოვნებთ, თუკი წასვლა მაინც გადაგიწყვეტიათ. მპირდებით?

– გპირდებით! – ვთქვი უკანმოუხედავად და იმავე წამს მივხვდი, რომ ველარსად წავიდოდი.

ვერც წავედი.

* * *

ოცდარვა აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღეს, ხალხი ისევ მარიამობას რომ ეძახის, ტაძრის წინ ვიდექი.

ტაძარში წირვაა.

ეზოში ყოველ წუთს მლოცველები მატულობენ. ხალხი ეკლესიის ღია კარს აწყდება. ყველას უნდა, ხატები სწრაფად მოილოცოს და სადღესასწაულო სუფრას მალე მიუჯდეს.

ნამდვილი ნარმართული ზეიმია.

რაც ამ დღეებში ცხვარ-ძროხა იკვლება, ათ ამისთანა სოფელს ეყოფოდა. გლეხები ბოლო გროშებს იმეტებენ, რათა დღეობა დაიყენონ.

მძიმე შრომითა და გარჯით სავსე მათ ბეჩავ ცხოვრებაში ასეთი დღეები მართლა შვებაა.

თანაც, ხალხურ კრებაში კარგად ჩანს თემის ერთობა.

ეკლესიას ძალუძს ადამიანთა გაერთიანება.

თუნდაც ეს "რწმენის" ფასად ხდებოდეს.

არ მიკვირს, რადგან ადამიანთა ყოველნაირი ერთობა ტყუილს და ილუზიას ემყარება.

ამიტომაც მუდამ ადამიანებისაგან შორს ვიდექი.

ახლაც ვგრძნობ, ამათ შორის ზედმეტი რომ ვარ.

აქ რა მინდა – ბრმა თაყვანისცემისა და მსხვერპლშეწირვის საზარელ ადგილას?!

არც მოვიდოდი, ამას წინათ ლომოურს რომ არ შეეტყობინებინა, მარიამობა დღეს ფრედი და მისი თანამოაზრენი ჩამოსვლას აპირებენო.

– ვფიქრობ, ეს ამბავი დაგაინტერესებთ, – მითხრა და რატომლაც თვალი ამარიდა.

ვინ გითხრათ-მეთქი, ვკითხე.

ჩიტმა მომიტანა ამბავი, – გაილრიჯა ინსპექტორი, რაც უმარილო გაცინებას ჰგავდა.

ძალზე ერთგული ჩიტი გყოლიათ-მეთქი.

– ძალიან, ექიმო, – ინსპექტორმა ახლა კი შემომხედა, – ოდესმე გაგაცნობთ კიდეც.

მეტი აღარაფერი მიკითხავს და არც ლომოურს გამოუჩენია საუბრის წადილი. მისი მხრივ, ეს უცნაური იყო, რადგან, ჩვეულებრივ, ჩემთან ქაქანს საათობით შეჰყვება ხოლმე და ერთი თუ გააჭენა თავისი საყვარელი ცხენი, მერე აღარ ჩამოდის, არ ჩერდება.

მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია – ფრედიზე ვფიქრობდი.

ვფიქრობდი მარიაზეც, სიეზმანზეც და ჩემს უცნაურ ყოფაზეც...

თუმცა მარიაზე ფიქრს უფრო ცეცხლში დგომა ჰქვია.

ისე უცაბედად დავშორდით, რიგიანად ვერაფერზე შევთანხმდით. მარტო ეგ იყო, მარია დამპირდა, ფრედის დავიყოლიებ და ატენში ჩამოვიყვანო.

თურმე მატყუებდა.

მე რომ მეგონა, ფრედის უნდა დაეხმაროს და მეც საქმე გამიადვილოს-მეთქი, პირიქით კი გამოდგა: მათ მე გამომიყენეს თავიანთი მიზნებისათვის.

სათამაშო აღმოვჩნდი.

ვხვდები, ისეთ ამბავში გავები, ჩემი ნებით ველარაფერს ვიზამ.

თამაშის მიზანი თუ საჩუქარი ფრედია.

ყველანი მისთვის ვიბრძვით: მარიაც, მეც, სიეზმანიც...

თითოეულს თავისი მოტივი აქვს – ვითომ კეთილშობილური, ქველი, ნამდვილად კი ჩვენივე მდაბალ ზრახვებს ვმალავთ.

სიეზმანს იმისთვის უნდა ძმისშვილი დაიცვას, რომ მის ქონებას და რეპუტაციას ჩრდილი არ მიადგეს, მარიას კი სურს რევოლუციონერებს მდიდარი მრეწველის მემკვიდრე ჰყავდეთ დამფინანსებლად.

მე?

მე რისთვის ვიბრძვი?

უპირველესად, ჰონორარისათვის, რადგან ბიძასთან ფრედის შემორიგება ჩემს გათხელებულ ჯიბეს გვარიანად შეავსებდა; მეორე და უმთავრესი კი ისაა, რომ ფრედი მარიასთან მისასვლელ გზაზე წინ მეღობება.

საბრალო ბიჭი!

განა იცის, რა ხაფანგში გაება.

ადრე თუ გვიან რომელიმე მახეში მაინც გაიხლართება.

მაგრამ მე უფრო ის მაწუხებს, რომ ჩემი და მარიას მიზნები ერთმანეთის საწინააღმდეგოა.

ბოლოსდაბოლოს, ფრედის შუაზე ხომ არ გავხერხავთ?

თანაც, მათი საქმე წინასწარ განწირულია – როდი იციან, მათ ყოველ ნაბიჯს ჟანდარმები რომ უთვალთვალებენ. ალბათ, მომლოცველთა შორისაც დაძრწიან მთავრობის აგენტები.

იქნებ მეც მითვალთვალებენ?

ესეც გასათვალისწინებელია, რადგან სიეზმანის სახლში გორიდან ამოსულმა ჟანდარმერიის ჩინოვნიკმა შემამჩნია. ამას გარდა, მეც ხომ ჩათრეული ვარ ამ უგვან თამაშში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკი ლომოურმაც გამაფრთხილა, მუშებს შორის ერთიორი ჟანდარმერიის თანამშრომელი ყოველთვის მოიძებნება და ნინდახედულად იმოქმედეთო.

იქნებ თავად ლომოურიც ერთი იმათგანია?

არც ეს ვარაუდი უნდა იყოს უსაფუძვლო – მარტო ჭრელ-ჭრელი საუბრებით და პატრიოტიზმის ხსენებაზე მკერდში მუშტის ბაგუნით კაცი ვერ შეიცნობა.

ისიც საეჭვოა, სიეზმანი ასერიგად რომ სწყალობს მას!

უფრო მეტად საფრთხო ისაა, რომ ლომოურმა ყოველთვის ნინასნარ იცის რა მოხდება.

უეჭველია, აგენტურის ქსელთან აქვს კავშირი.

ასე რომ არ იყოს, საიდან ეცოდინებოდა დანამდვილებით, ფრედი ჩამოსვლას როდის აპირებს?

ჰო, მითვალთვალებენ!

ფრთხილად უნდა ვიყო!

ყურადღებას ვძაბავ და აქეთ-იქით ვიხედები, თუმცა ჯერ-ჯერობით საეჭვო არაფერია – მომლოცველები ისევ კრებად დგანან ტაძრის გარშემო; მოდიან და მოჰყავთ ცხვრები, ძროხები, ცოლ-შვილი, ნათესავები თუ მოკეთეები, მოაქვთ ხელადები, ჩაფები, სანთლები, ჩარდახიანი ურმები მოჩანს ტანას ნაპირას – ესენი გორიდან ამოსული მლოცველები არიან, ღამისსათევად დარჩენილნი. ნაცნობს ვერავის ვხედავ: სიეზმანი რწმენით კათოლიკეა, რუსი მუშები იელოველები არიან, ლომოური კი სადღაც გაქრა და მე მარტო დავრჩი ხალხში. ბოლო დროს ტატომაც გადამივიწყა, თანაც იმას ტყეში სიარული უნინდელზე ხშირად უხდება; ჯებისაშვილი, როგორც ყოველთვის, საქმეებზეა, მისი ცოლი კეკე კი შინ ტრიალებს.

აი, ეგ არის სულ ჩემი აქაური ნაცნობობა!

ხალხში დავდივარ, ვილაცეებს ვაკვირდები, ჩემი ჭკუით მინდა, ვინმე აგენტი ამოვიცნო, მაგრამ თვალში ტლუ, უბირი გლეხები მხვდებიან. ტანას ნაპირას უკვე იშლება სუფრები, ქალები მდინარეში ჭურჭელს რეცხავენ, ყველა ფუსფუსებს, რაღაცას საქმიანობს. შეღამდება და აქაურობას დოლ-გარმონის ხმა გააყრუებს, რადგან მლოცველებმა სალვთო ვალი უკვე მოიხადეს და ახლა თავიანთ სიამოვნებას უნდა მიხედონ.

როგორც ჩანს, ლომოური შეცდა: ფრედი არსად ჩანს.

ვინმემ ხომ არ გააფრთხილა და იმიტომ არ ჩამოვიდა?

იქნებ სიეზმანმა გეგმა შეცვალა და ფრედის ტატო აუგზავნა ბანაკში, რომ აქაურობას გარიდებოდა?!

საცა სამართალია, ეს მე უნდა მექნა, მაგრამ...

ალბათ მეც მითვალთვალებენ.

ეგეც არ იყოს, ფრედის დაპატიმრებას რა უნდა – მის ბანაკს ყველა მნყემსი და შემისმჭრელი მიასნავლის მთავრობის კაცებს. თანაც, ისიც უეჭველია, რომ ბანაკშიც იქნება ჟანდარმერიისაგან შეგზავნილი აგენტი...

უცებ ისე შევკრთი, თითქოს მუგუზალზე ხელი მომიხვდა.

რაღაც ბუნდოვანმა მიხვედრამ შემაკრთო.

მარია!

არა, დაუჯერებელია!

სიმწრით თვალები დავხუჭე, ვითომ ამით ფიქრს დავემალებოდი, მაგრამ უშედეგოდ.

მარია!

ვითომ რატომ არ შეიძლება მარიაც აგენტი იყოს!

ეგ ხომ არ არის ლომოურის მეკავშირე?

მაშ, რად მარიდებდა თვალს ინსპექტორი, როცა ვეკითხებოდი, ფრედის ჩამოსვლის ამბავი ვინ შეგატყობინამეთქი?

ეჰ, მარია, მარია!

სიყვარულისა და ნატვრის მთელი სიმწარე ჟღერდა ამ სახელში, უხმოდ რომ ვიმეორებდი.

მარია – მოღალატე?

თუ მე მომატყუა, ფრედის ვერ უღალატებდა? ხომ ცნობილია, რომ ყველა ჯაშუშური საქმე უმეტესად ქალის ხელით კეთდება? მარიას ნრისა და მდგომარეობის გოგოს გადაბირება ძნელი არ უნდა ყოფილიყო...

მარიას არ ვიცნობ.

მე ის ისეთი მახსოვს, როგორიც მინდოდა ყოფილიყო.

ახლაღა მახსენდება ჩვენი ნაცნობობის ნვრილმანები:

რა ადვილად მომენდო, რა სწრაფად შემომიძვრა ლოგინში...

მეძავისგან ეს გასაკვირი როდია (თუმცა ჩემი გონება უარობს მარიას მეძავი ვუნოდო – მე ხომ ამის დამადასტურებელი საბუთები არაფერი მაქვს, გარდა ლომოურის ბილნი ჭორებისა!), მაგრამ ფრედისადმი მისი დაუოკებელი ინტერესი.

რატომ არ შეიძლება მარია მეძავიც იყოს და ჯაშუშიც!

აგენტების უმრავლესობა ხომ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებია!

თვალთ მიბნელდება, ვბარბაცებ.

თურმე რა რეგვენი ვყოფილვარ! რა იოლად გავები ობობას ქსელში!

ჩემი თავი უვნებო და ცივი ანალიტიკოსი რომ მეგონა, უცებ მეძავი გოგოს კლანჭებში აღმოვჩნდი!

ადამიანი მუდამ კვლევის ობიექტად მიმაჩნდა.

მაშ, როგორ მოხდა, რომ მარიამ ასე ადვილად მომაქცია თავისი კაბის ქვეშ?!

აკი სიეზმანმა გამაფრთხილა, მაგ გოგოს ერიდეო!

მე კი არ დავუჯერე და შედეგიც ვინვნიე.

ჩანიხლულმა გრძნობამ შური იძია და მაინცდამაინც მეძავი გოგო შემიყვარდა.

ვითომ ეგრეა? განა მარია მიყვარს?

უეჭველია, მასთან თავს ბედნიერად ვგრძნობ, მაგრამ სიყვარული...

თუმცა, რატომ არ უნდა იყოს ეს სიყვარული?

მხოლოდ იმის გამო, რომ გონებას დასტური არ მოუცია?

ვინ მოიგონა, ვინ მოჭორა?

მარიასთან პირუტყვივით ლალი ვარ – მარტო ის ვერ გამიგია, იმას როგორ შეუძლია ასე მიამიტად მომაჩვენოს თავი?!

იმ დროს, როცა თითქოს ერთმანეთს კანით შევეზრდებით ხოლმე, გონებით სხვაგან იყოს?!

ნარმოუდგენელია!

ნუთუ ისეთი გულუბრყვილო ვარ, რომ ამის დაჯერება მიჭირს?

ხალხს ვეხლები და აქეთ-იქით დავდივარ. სადაცაა დაღამდება და ჩემი ტანჯვაც დასრულდება – თუ ფრედი არ გამოჩნდა, გადანყვეტილი მაქვს, ატენს უკანმოუხედავად გავეცალო.

* * *

ტაძარსა და მდინარეს შორის კვლავ ხალხი ფუსფუსებს. ამაოდ ვაპყრობ მზერას თრიალეთის ქედებს, სადაც ფრედი დარჩა. მოვალეობის თუ სინდისის ქენჯნის მტანჯველი გრძნობა გულს მიღალავს, მოღრეობე ადამიანებს შორის დავბორიალობ და ფრედის ველოდები.

იქნებ არ მოვიდეს!

იქნებ ლომოური გამტყუნდეს და მეც შვება ვიგრძნო, რადგან ამით მარიას ბრალდების ტვირთი ჩამოსცილდება მხრებიდან...

იქნებ...

მაგრამ კაცის სურვილი ერთია, რეალობა – მეორე...

ფრედი მოვიდა.

რომ არ ველოდი, იმ მხრიდან გამოჩნდა – მუშათა ბარაკებიდან ეკლესიისკენ წითელი ბაირაღებითა და ქსოვილზე წარწერილი რევოლუციური ლოზუნგებით შეიარაღებული ბრბო მოიწევს. მუშები ტაძრის ახლო შემაღლებაზე ნახევარწრედ დადგნენ, მათ წინ კი ვიღაც ქუდოსანი ორატორი გადმოდგა და ლაპარაკი დაიწყო.

– ამხანაგებო! – ქუდი მოიხადა და რუსულად დასჭექა ორატორმა, – მჩაგვრელთა განკითხვის დღე მოახლოვდა. .მზად იყავით, ამხანაგებო...

დემონსტრანტებს მივუახლოვდი. თვალით ფრედის ვეძებ.

აჰა, ისიც, წინა რიგში დგას, მუშური სამოსი აცვია, რომ ვერავინ იცნოს. შორიდან ვერ ვარჩევ, რას აკეთებს, მაგრამ ხელების მოძრაობაზე ეტყობა, ორატორს თანაუგრძნობს.

ბრბოში ღრმად შევიჭერი. მინდა მარიაც ვნახო.

თან შეუმჩნეველი დავრჩე.

ფრედიმდე ისე უნდა მივაღწიო, მარიამ ვერ დამინახოს.

მაგრამ ვერ ვახერხებ, რადგან ორატორმა სიტყვა დაასრულა და მუშებს მოუწოდა, წავიდეთ და ჩვენს მოძმე გლეხებს გავაგებინოთ, რელიგიურ ცრურწმენებს არ აჰყვნენო.

– წინ, ამხანაგებო! – სჭექდა ორატორი, – ხუცები და მღვდლები ეკლესიიდან გამოვყაროთ და ამ ტაძარზე თავისუფლების დროშა აღვმართოთ...

ბრბო ექოდ გამოეხმაურა მოწოდებას, პირი იბრუნა და ტაძრისკენ დაეშვა.

გავყევი.

ვხვდები, რაც მოხდება, მაგრამ ტალღა აგორდა და ვერაფერს შევცვლი.

ფრედი დამეკარგა.

მუშები უწესრიგოდ გაიშალნენ და ტაძრის ეზოს მიაწყდნენ. ტაძრის კარი ისევ ღიაა. მომლოცველთა დიდი ნაწილი ურმებთან ღრეობს მდინარის პირას, ამიტომ დემონსტრანტებს თავიდან წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. ისინი უკვე კიბეებთან იდგნენ, როცა ზღურბლზე მამა დანიელი გამოჩნდა.

დეკანოზს ორატორი მიუახლოვდა და მათ რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს.

მერე მამა დანიელი ტაძარში შებრუნდა.

სტიქაროსნებმა ტაძრის კარი მოხურეს.

ორატორი ხალხისკენ შებრუნდა და რაღაც დაიძახა.

ბრბო ტაძარს მიაწყდა.

ყვირილი, ზუზუნი მესმის.

ცოტა ხნის შემდეგ ყვირილი ქვემოდანაც გაისმა – ეს უკვე კეტებით შეიარაღებული მთვრალი გლეხები მორბიან ტაძრისაკენ.

რამდენიმე წუთიც და ორი ბრბო ერთმანეთს შეეტაკა.

გინება, კივილი, კვნესა ერთმანეთში აირია.

გააფთრებულმა გლეხებმა დემონსტრანტები კედელთან მიიმწყვდიეს და უმოწყალოდ ურტყამენ. მათ თანდათან ემატებათ მომხრეები, მუშები კი, რომელთა შორისაც ქალები და ბავშვები არიან, როგორც შეუძლიათ, აქეთ-იქით იფანტებიან.

ხუთიოდე წუთში ბრძოლის ველი დაჭრილ-დასისხლიანებული ხალხით მოიფინა.

მერე ტაძრის კარი კვლავ გაიღო, ისევ მამა დანიელი გამოჩნდა.

დეკანოზმა ხელები აღაპყრო.

როგორც ჩანს, ღმერთს მადლს სწირავს გადარჩენისთვის.

გლეხები დაშოშმინდნენ.

დაჭრილ-დასახიჩრებული დემონსტრანტები ნელ-ნელა მიიძურწებიან ტაძრის ეზოდან. მე კვლავ ფრედის ვეძებ, ეზოში დავდივარ.

უცებ ის დავინახე: მიწაზე გდია, თავი გაუტეხიათ და სისხლი შეხმობია სახეზე.

უგონოდ უნდა იყოს.

მინდა მივიდე, მივეშველო, მაგრამ რაღაც მაკავებს.

გულისგულში ვზეიმობ, ასე რომ მოხდა.

პროფესიული ეთიკა, ექიმის მოვალეობა კი სხვას ჩამძახის...

ადგილზე ვწრიალებ, ნაბიჯი ვერ წამიდგამს.

იქნებ...

იქნებ ფრედი მოკვდეს და ყველაფრისგან გავნთავისუფლდე...

ფიქრს ვემალები, პირს ვიბრუნებ, თითქოს ამით ფრედი გაქრება, როგორც მირაჟი ან უამური რამ ჩვენება...

ჩემი არსების ბნელ წიაღში რაღაც იძვრის.

მერე თვალნათლივ დავინახე: ავაზა გამოძვრა სიბნელიდან, კუდს ირკალავს და ჩასისხლიანებულ თვალებს აბრიალებს, ლაშს ილოკავს სისხლისფერი ენით.

მსხვერპლი სწყურია.

ისიც აქვეა – რამდენიმე არშინის იქით მიწაზე გართხმული.

ახლა მთავარია, გულჩვილობამ არ მძლიოს და მოყვასის დასახმარებლად არ დავიხარო, რადგან ერთი თუ შევუშვი გულში სიბრალული, მერე უთუოდ დავილუპები...

უნდა გავმაგრდე.

აქამდე მუდამ სისუსტე და სიბრალული მძლევდა, ამიტომაც ვიყავი სხვისი სათამაშო...

უნდა გავმაგრდე.

თუ სიმტკიცეს გამოვიჩენ, ცხოვრების სადავეებს ხელთ ვიგდებ.

ჰო, უნდა გავმაგრდე.

გავმაგრდი კიდეც: დინჯად გავემართე შინისაკენ, თან ვცდილობდი, უკან არ მიმეხედა, რათა ფრედის მზერას არ წავწყდომოდი, რადგან კაცი ყველაზე მეტად მაშინ არის მოწყვლადი, როცა მეორე ადამიანს პირისპირ, თვალებში შეჰყურებს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ პაპავა

# რა ვუყოთ სიღარიბეს?

სიღარიბე თანამედროვეობის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა. არ არსებობს ქვეყანა, სადაც სიღარიბე არ იყოს. თვით აშშ-შიც კი სიღარიბის ზღვარს (აშშ-ში ღარიბად ითვლება საშუალო ოთხსულიანი ოჯახი, რომლის წლიური შემოსავალიც 20 ათას დოლარს არ აღემატება) მიღმა მოსახლეობის 12 პროცენტი ცხოვრობს. საერთაშორისო სტანდარტებით მსოფლიოს ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებში ღარიბად ითვლება ადამიანი, რომელსაც დღეში შეუძლია მოიხმაროს არაუმეტეს 2 აშშ დოლარი, ხოლო ღატაკად კი – არაუმეტეს 1 აშშ დოლარი.

მაგრამ სიღარიბეზე მსჯელობა ციფრების გარეშე უბრალოდ შეუძლებელია. აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ყველა ქვეყანას ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით სიღარიბის დონის შეფასების განსხვავებული კრიტერიუმი აქვს.

საქართველოში პრობლემის აქტუალიზაცია 2001-2002 წლებში დაიწყო. 2003 წლის ზაფხულში ქვეყნის პრეზიდენტმა კიდეც დაამტკიცა "ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა", რომლის განხორციელების თავი იმ დროის მთავრობას, სამწუხაროდ, არ ჰქონდა, ხოლო ვარდების რევოლუციით ხელისუფლებაში მოსულმა მთავრობამ "შევარდნაძის ეპოქის" პროგრამა ყურადღების ღირსადაც კი არ ჩააგდო. ასეა თუ ისე, იმ დროისათვის დადგინდა, რომ საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 52, ხოლო სიღატაკის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 25 პროცენტი ცხოვრობდა.

პოსტრევოლუციური მთავრობის მიერ სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი "ქმედითი" ხერხი სიღარიბის ზღვრის მეთოდიკის შეცვლა აღმოჩნდა: შეამცირეს "საარსებო კალათაში" გასათვალისწინებელი პროდუქტების კალორიულობა, ხოლო საცალო ფასების ნაცვლად აიღეს საბითუმო, და დიდი ზარ-ზეიმით გვაუწყეს, რომ 2004 წელს სიღარიბის ზღვარმა 35 პროცენტამდე დაიწია. საინტერესოა, რომ ამ ახალი მეთოდიკით ჩატარებულმა გათვლებმა 2005 წელს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის 39 პროცენტი დააფიქსირა, რაც მთავრობისათვის არა მარტო მოულოდნელი, არამედ მიულებელიც აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ 2006 წლის მონაცემები საერთოდ არ გამოაქვეყნეს, თუმცა როგორც "ბოროტი ხმები" იძახიან სიღარიბის ზღვარი კიდევ უფრო გაეზარდათ და 42 პროცენტი შეადგინაო...

უმაღლეს დონეზე კი ორიოდე თვის წინ გაიჟღერა სულ ახალმა მაჩვენებელმა; კერძოდ, ითქვა, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა ჩვენი მოსახლეობის 28 პროცენტიაო. საიდან იქნა მოტანილი ეს ციფრი კი, როგორც იტყვიან, "ეშმაკმა უწყის"...

ჩვენს ხელისუფლებას საერთაშორისო სავალუტო ფონდი არათუ არ ჩამორჩა, არამედ აჯობა კიდეც, როცა 2007 წლის შემოდგომაზე ხმამაღლა განაცხადა, რომ საქართველოში სიღარიბის დაძლევის პროგრამა წარმატებით დასრულდაო... ასე, რომ პროგრამა კი დასრულდა (თანაც წარმატებით), მაგარამ სიღარიბე მაინც დაგვრჩა!

ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩვენი ეკონომიკის უმთავრესი სნეულებანი – საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისები რომ დაძლეულ იქნა, ხოლო გზების მშენებლობას ფართო გასაქანი მიეცა, ეს, რა თქმა უნდა, არა მარტო ზოგადადაა წინ გადადგმული ნაბიჯი, არამედ აუცილებელია ეკონომიკის განვითარებისათვის, რაც საბოლოო ჯამში სიღარიბის შემცირებასაც შეუწყობს ხელს.

საპრეზიდენტო არჩევნების მარათონში კანდიდატების უდიდესი ნაწილი ერთმანეთს იმაში ეჯიბრება, თუ ვინ უფრო მეტს დაპირდება შეჭირვებულ მოსახლეობას სხვადასხვა სახეობის სოციალური დახმარებებს. თუ კი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 2008 წელს საპარლამენტო არჩევნებიც გველის და იმ დროისათვის უკვე არჩეული პრეზიდენტი თავისი პარტიის პარლამენტში უმრავლესობით გაყვანის მიზნით წინასაარჩევნო პერიოდში სოციალურ დახმარებათა მორიგ გაზრდას განახორციელებს, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ქართული ლარის მსყიდველობითი უნარი უახლოეს მომავალში კიდევ უფრო შემცირდება.

და ბოლოს, აუცილებელია პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი სიღარიბის აღმოფხვრა. ეს პრობლემა უშუალოდ უკავშირდება სიღარიბის ზღვრის განსაზღვრის კრიტერიუმს. რა თქმა უნდა, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში სიღარიბის ამა თუ იმ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმის მიხედვით ამ ზღვრის ნულამდე დაყვანა შესაძლებელია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომიკური განვითარების კვალობაზე დღის წესრიგში დგება თავად ამ კრიტერიუმის გადასინჯვის აუცილებლობა, რადგანაც სიღარიბე უწინარეს ყოვლისა ფარდობითი მოვლენაა და საზოგადოებაში ეკონომიკური სიმდიდრის ზრდის კვალობაზე ღარიბებად უკვე ის ადამიანები ჩაითვლებიან, ვინც წინა კრიტერიუმით სულაც არ იყო ასეთი. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგება ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია აშშ-ის შესახებ: დღევანდელ საქართველოში ოთხსულიან ოჯახს წელიწადში 20 ათასი აშშ დოლარის შემოსავალი თუ აქვს ის გვარიანად მოლხენილიც კი არის, მაგრამ გავა დრო და ისევე როგორც დღევანდელ აშშ-ში ეს შემოსავალი უკვე სიღარიბის ზღვარი გახდება.

ასე, რომ სიღარიბის სრული აღმოფხვრა ისევეა შეუძლებელი, როგორც პერპეტუმობილის შექმნა, თუმცა ნეტარ არიან მორწმუნენი...

ეროვნული ბიბლიოთეკა



თეა თოფურია

* * *

ნითელი აგურით ნაგები შენობა...
მას ორასზე მეტი სართული აქვს
და მრგვალია, როგორც ბაბილონი.
მივფოფხავ ზევით,
ვებღაუჭები კედლებს, ფანჯრებს,
რადგან ამ შენობას არც კიბე აქვს და არც ლიფტი.
თავიდანვე ვიცი, ავალნევ...
ავალნევ, რადგან ჩამოვარდნა დიდი ფუფუნებაა,
რადგან უკვე აღარ მჯერა ინკარნაციების,
და არც იმ სპირიტული სეანსების,
რომლის დროსაც სანტა კლაუსივით ვიძახებდით სულებს...
აღარ მხიბლავს მუსიკა,
რომელსაც ხანდახან ისეთი ძალა აქვს,
რომ მანქურთივით აქლემების მნყემსად გაქცევს;
აღარ მხიბლავს გარდაცვალება,
რადგან დეიდაშვილივით ახლოს გავიცანი სიკვდილი,
ხოლო საიქიო დიდუბესავით მაქვს შესნავლილი.
ზუსტად ვიცი, არც ბაბილონშია რაიმე ეგზოტიკა,
უბრალოდ, ის ყველაზე მაღალი კორპუსია
და თუ სახურავამდე აფოფხდი, იმას მაინც დაინახავ,
როგორ მნიფდება ფორთოხლები აფხაზეთში.

* * *

არც ეცადო გაიგო, რატომ,
არც ეცადო, მიხვდე,
რატომ არ გათენდა ეს დღეც ისე, როგორც გუშინდელი.
ბოროტებას ლოგიკა არა აქვს,
და არც თუ ისე ძნელია,
ერთი მხიარული და პერსპექტიული ადამიანიდან
იქცე იმად, რადაც იქეცი.
ეს ქალა, ჩემხელა ლერნმებით და სიჩუმით
გაუვალია და ნაფეხურებსაც არ იტოვებს...
მე მხოლოდ გეტყვი,
ნუ დახარჯავ სულის კუპიურებს ყველაფერზე,
მითუმეტეს თუ ცოტა გაქვს
და მითუმეტეს
თუ ბევრი გაქვს.

## ყუთში

რა დევს ამ ყუთში?
მითხარით ვინმემ, რა დევს ამ ყუთში!
ნინ მიდევს და ვერ ვხსნი,
ნინ მიდევს და არ იხსნება,
აქ ვიპოვე,
მას შემდეგ, რაც ყველაფერი ჩავალაგე,
ყუთებში ჩავალაგე,
ზოგში ნივთები ვყარე,
ზოგში – ადამიანები.
ზოგი ადვილად შეიკრა,
ზოგს ძლივს დავუნებე პირი.
ზოგს ბოლი ასდის,
ზოგს ლაქები დაეტყო,
ალბათ, მანდ რამე გასატეხი ჩავდე და გატყდა.
ალბათ ნაკვერჩხლები რომ ჩავყარე, ნაეკიდა.
ნლები ვანყობდი,
ძლივს მოვრჩი და
ძლივს ვდგავარ ფეხზე,
უფრო სნორედ ვზივარ ოთახში
ნინ მიდევს ყუთი,
უცხო ყუთი
ვზივარ და ვერ ვხსნი,
მამაღმერთს ვეკითხები:
მამავ, რა დევს ამ ყუთში?
ამ საშუალო ზომის ყუთში?
არც მძიმე როა და არც მსუბუქი,
არც ჩხრიალებს და არც ყრუ ხმა აქვს,
რა დევს მამავ,
პაატას თავი დევს?
პაატა რომ ჩემი შვილი არ იყო?!
პაატა რომ ერთანმინდაშია დამარხული?!
ნეტავ თავია დამარხული თუ ტანი?
ნეტავ თავია ადამიანი თუ ტანი?
რაც ქათმის დაკვლას ვუყურე, სულ მაგას ვფიქრობ.
ქათამს რომ თავი ნააცალეს,
თავი ნისკარტს აფჩენდა,
თვალებს ატრიალებდა,
მე კი ტანს დავსდევდი დასაჭერად,
ეზოში მოფართხალეს.
რა არის მამავ ამ ყუთში?
არც დიდსა და არც პატარაში,
არც მძიმეში და არც მსუბუქში,
კიდევ რა არის ამ ყუთში?
მითხარი, მამა,
შენ ჩადებდი, შენ გეცოდინება!

## დამნვრის სუნი

ხელის ცეცებით,
როგორც ჩინელი ნერტილს ზურგზე,
ზუსტ ნერტილს,
ზუსტ ნერვს აგნებს,
ვეძებ ჩემს გაორებულ თუ გაოთხებულ არსებაში,
რომელი გული ფეთქავს ასე სნრაფად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სისხლის ნახევარს გადაუტუმბავს ტოვებს.
ადგილი, რომელიც ბოლავს, ოდესმე გაქცევის მიზეზი
გახდება.
ხანდახან, მართლა მთავარია, გაექცე საკუთარი სულის
მოსახლეობას,
რომ შენს ამდენ სახეცვლილებას, ერთადერთმა ნალდმა,
მართლა აბორიგენმა გამოასწროს.
გამოასწრო თავქუდმოგლეჯით და უკანმოუხედავად,
რადგან უკან მოხედვა რომ შეიძლებოდეს,
ლოტის ცოლი მარილის სვეტად არ იდგებოდა სოდომის
პირას...

როცა გარბიხარ,
ნუ აარჩევ ცხენზე შეჯდე თუ სახედარზე,
რა წაიღო და რა დატოვო.
გაქცევა ექსკურსია არ არის, აქეთ-იქით იყურებოდე.
ყველაფერი შენს უკან უნდა დარჩეს, შენს მიღმა –
მთელი წარსული, რომელშიაც, როგორც ყველა,
შენც ლობე-ყორეს ედებოდი;
მთელი ქალაქი, აყეფებული ძაღლის ჩათვლით და
შენი შეყვარებულიც, ჯერ კიდევ მძინარე.
ჰაერში დამწვრის სუნი – ეს გაქცევის ნიშანია
და არ არის დრო, გულისცემა ითვალო,
დაელოდო, როდის გაიჭედება მდორე სისხლი ძარღვებში.
შეძლი გაიქცე ისე, არაფერი დაგენანოს.
თორემ მომავალი ხანდახან წარსულზე უფრო ცნობილია –
იმ სვეტივით გაქვავდები,
ყოველდღე რომ ათვალიერებენ ტურისტები,
იმ ქალივით, რომლის შესახებაც არავინ არაფერი იცის,
გარდა იმისა, რომ უკან მოიხედა.

* * *

**„უთხრა უფალმა სატანას: საიდან მოდიხარ?
მიუგო სატანამ უფალს: ქვეყნად წანწალიდან
და ხეტიალიდან".**

***იობი: 1.7***

ნეტა, სადა ვარ?!
არ მახსოვს, გზა ამრეოდეს,
სადაც გზაა, იქ მე რა მინდა.
შვიდი ნაპირი აქვთ კასტრულ მდინარეებს;
აქედან სამი მარჯვენაა,
ოთხი მარცხენა,
როგორ გინდა, რამეს გააგნო.
დასაფიცად გამოდგება,
ისეთი ზუსტია ის მომავალი,
დღენახევრის მერე რომ უნდა დადგეს.
წლებია, ასე ვცხოვრობ
დღენახევარით,
არასოდეს ვიცი, სად ვარ,
იქნებ ყარაყუმის უდაბნოში,
საგზაო ნიშნებით:
„არ გააჩეროთ ავტობუსი, ველური აქლემებია",
იქნებ უფრო აქეთ,
„შუადღისას ზვავის პირს არ იაროთ"...
ან კიდევ აქეთ, პურის მაღაზიაში,
ქართველს ხომ ზუსტად იმდენი დღე აქვს ნაცხოვრები,
რამდენჯერაც პურის მაღაზიაში ჩავიდა.
პურის მაღაზია და სახლი – ეს ორბიტაა.
არის რიტუალიც:
ყოველ დილას ჩაის სმა...
ნეტავ, სად ვარ, ღმერთო?!
მეც მიკითხავს შენსავით, საიდან მოდიხარ.
მეც მიპასუხია, ქვეყნად წანწალიდან.
რა გავიგო, რომელს დაგემსგავსეთ.
ალბათ უფრო იმ მობილურს,
ორ ლარად რომ არის ჩართული
და დღენახევრის შემდეგ ითიშება.
დღენახევარა ვარ,
მეტს ვერ ვძლებ,
მეტის იქით ვერ ვიხედები,
დღის და ნახევრის შემდეგ ისევ უნდა მომხედო
და კიდევ დღენახევრის სიცოცხლე ჩამირიცხო,
მერე კიდევ,
მერე კიდევ,
რადგან ეს ორბიტა უსასრულოა,
მომავალი – ზუსტი,
პური – მოსატანი.

* * *

ცას ვეხახუნებით
სოფელი კი გვცვეთს.
ომშიც და მშვიდობაშიც
ერთნაირად ვნყდებით.
ფესვებდანაღმული
სისხლიანი მიწა
მჭადივით მოიზილა,
დარჩენილი წლებიც.
მიწას ჩავაღუნე
ხანჯალი და ხიშტი.
დღესაც დაღამდება,
როგორადაც გუშინ.
ვხმები, თითქოს ვიყო
მარჯვენა ქისტის,
მიჭედებული ბუხარზე
ლურსმნით.

* * *

უზარმაზარი დერეფნის ფილაქანი ვარ
პოლიციელივით გზაჯვარედინზე გახირულ ქვეყანაში.
ამ გრძელ გზაზე გაჭყლეტილი კატა ვარ,
შუქნიშნის ანთებული თუ გადამწვარი ნათურა.
ვიჭამ, ფრჩხილებს, ვიჭამ და მერე
მოჭმული ფრჩხილებით წარსულს ვეპოტინები,
იმ შუშაბანდა წარსულს,
მუდმივი ორპირით ძვლები რომ გაუცია წინაპრებს.
სხვა რა გზაა?! ვაკოწიწებ ამ შუშაბანდს,
დაგლეჯილია პეტრე მოციქულის ბადესავით,
თევზებივით სცვივა მიწები.
სულ თავზე უნდა ედგე, თითქოს რძეს ადუღებდე.
იქ რამე უნდა ააფარო, ეს დაამაგრო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ ახალ წლამდე მიგყვეს, რაც გაქვს.
და ასე ყოველ წელს,
სანამ ამ შუშაბანდიდან,
უფრო ადრინდელ სამშობლოში დაგაბრუნებენ
და იმ ერთოთახიან ბინას მოგცემენ,
არავისთვის რომ არ ენანებათ.

## ხრამზე გათხოვილი

ხრამს გავყევი,
ოხრახევის ხრამს.
ფართეა, ოხერი,
ფსკერი ხომ საერთოდ,
არ ვიცი, შეიძლება აქვს კიდეც.
რაღას არ ვშვრები, რომ ამოვავსო.
ჯერ ყვავილებს ვყრიდი,
მერე კენჭებს,
ახლა ლოდებსაც ვაგორებ,
მორებსაც,
ღრუბლებს ვერეკები,
იქნებ წვიმამ დაატბოროს,
ქვებს ვეფერები ციცაბოზე,
სადამდეც ვწვდები.
მაინც ქვაა, ჩემზე ადრე გაჩენილი ქვა.
ხანდახან ფერდობებს ჩაიქცევს,
აჩხარუნდება,
ხანდახარ ძერა ამოფრინდება უფსკრულიდან,
ეს არის მისი სიხარული,
მისი ალერსი.
სხვა მხრივ ხრამია, ჩემი ქმარი,
დიდი ნაპრალი.
ვერც კამხლად ვაქცევ წვიმისაგან,
ვერც მინდვრად ვაქცევ.
არ აივსება...
მერე რა, რომ მე არა მჯერა.
მერე რა, თუ
მიწიანი ხელებით ვდგავარ,
პეშვებში ვათბობ ზოლიან ქვებს,
ფსკერისკენ ვუშვებ,
ვიღაც კენჭებით ჰაერს კაწრავს
მისთვის რა არის...
მისთვის რა არის ყოველ დილას
სიტყვები ექოდ:
„ოხრახევის ხრამო,
ჩემი ცოდვა სადაც დაგეწევა,
იქ წაგაქცევს".

* * *

სად, მაინც სად?
გეფიცები, ყველგან ვეძებე,
მაგიდაზე,
უჯრებში,
ინტერნეტში,
კარადაში,
კარადის უკან,
ფეხსაცმლის ყუთში,
მეზობლის ეზოში,
კაქტუსის ფესვებში,
ტელევიზიის პროგრამაში,
მანაწწალა ძაღლის მუცელში,
ჩემთანაც,
ჩემს შემდეგაც,
საზღვარს იქით,
იმის იქითაც.
ვერსად მივაგენი.
არსად იყო,
მართლა არსად.

პირველი შთაბეჭდილება

# ფიქრის ორბიტა

ამ ლექსებში არის ბევრი ისეთი უცნაურობა, რაც საცნაურს ხდის ვერლიბრის, როგორც პოეტური მოვლენის ტრადიციულ შინაარსს.

აქ ჩანს სტილი, გამოხატვის თავისუფლება და თავდაჯერება – ვერლიბრის მწერალი პოეტის აუცილებელი თვისებები.

თეა თოფურიას ლექსი არის მოძრაობა, პოეტური Aktion, სადაც ყოველი დეტალი სიმბოლოა, ყოველი საგანი რაღაც შინაარსის წინა პლანს წარმოადგენს, ისე, როგორც ცხოვრებაში, ისე, როგორც ფიქრში, ისე, როგორც პოეზიაში.

თეა თოფურია საგნებში ხედავს თავის თავს, გარემომცველ სამყაროს, მის არსსა და მთლიანობას, არსებობის აზრსა თუ უაზრობას.

არსებობის ტკივილიდან შობილი ფიქრი სხვა სიმაღლეებს სწვდება.

ფიქრის დიალექტიკა აქ იმაზე შორს მიდის, ვიდრე ამას პოეტური განწყობილების საზღვრები იძლევა, თუმცა რაც უფრო შორს მიდის, რაც უფრო ვითარდება და იშლება, მით უფრო უახლოვდება ადგილს, საიდანაც დაიწყო მოძრაობა.

სად წავა ლირიკული გმირი, თუ მართლა გაექცა თავის დანაწევრებულ სულს, „საკუთარი სულის მოსახლეობას", თავის წარსულს, თავის მომავალს? კითხვა, რომელმაც შეიძლება დააფიქროს მკითხველი და არა პოეტი, რადგან პოეტისათვის მთავარია გაქცევა, მოძრაობა და არა გაჩერების ადგილი.

ფიქრის მოძრაობა ყოფიერების ორბიტაზე!

უცნაური კიდევ ის არის, რომ თეა თოფურიას ლექსი რაც უფრო უახლოვდება პროზას, მით უფრო პოეტური ხდება, რაც შესაძლოა დასტური იყოს იმ ჭეშმარიტებისა, რომ კარგი ვერლიბრი პროზისკენ კი არა, პოეზიისკენ არის ყოველთვის მიმართული.

თეა თოფურიას ყოველ ლექსს აქვს ტრაგიკული დრამატურგია, ყოველი ლექსი არის რეკვიემი არსებობის ამაოებისთვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბნელი ვერ ფარავს ნათელს, სითბოს ვერ სძლევს სიცივე. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ პერსპექტივა არის, განათების მომლოდინე პერსპექტივა, ისეთი ზუსტი და უბრალო, როგორსაც პოეტის სიტყვები მიგვანიშნებს:

**დასაფიცად გამოდგება,**
**ისეთი ზუსტია ის მომავალი,**
**დღენახევრის მერე რომ უნდა დადგეს.**

**მალხაზ ივანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ყოფიერების უდაბნოში თვეობით ჩაკარგვით“ მოგვრილი მძიმე განცდა შემოქმედებითი ბუნების მქონე ადამიანების ხვედრია.

ცირა ყურაშვილის ლექსებსა თუ მოთხრობებში ამ განცდისადმი შეუგუებლობა ნინსვლისა და პოეტური აღმოჩენების მასტიმულირებელია.

მისი ბიბლიური ალუზიები („მომხსენი ფრთებიდან ქვამარილის მხრები“) განუწყვეტლივ სულის თავისუფლებას ელტვის. მუდმივ მზადყოფნაშია ყოფიერების აუტანელი სიმძიმე ხელოვნების ესთეტურ საბურველში გახვიოს და შრომის კულტად აქციოს.

სნორედ ამ ესთეტიკით იქმნებოდა მის შემოქმედებაში „ალმართის ქალბატონის“ მეტად შთამბეჭდავი, ადამიანური სახე ლექსში „ქრისტე, გაუღე შენი კარები“.

ეს მშვენიერი რეფრენი თვალნათლივ მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორ კარგად იცნობს ცირა ყურაშვილი ცხოვრებას, როგორ უყვარს და ენანება ადამიანი და ამქვეყნიური ტანჯვის საზღაურად, როგორ ემეტება მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო მაცხოვრის კარი.

ცირა ყურაშვილი

## სარკის დამსხვრევა

ერთადერთი დიდი სარკე დამემსხვრა.
მხვდებიან დიდსარკიან სახლში მცხოვრებნი
სიტყვებით-კარგად გამოიყურები.
ვიცქირები ვიტრინებში, ავტომანქანათა სარკმლის
მინებში,
ახალ ფოტოსურათებში, სარკის ძველ ნამსხვრევებში
და მაშფოთებს მათი ბებრული მზერა.
ერთადერთი, დიდი სარკე დამემსხვრა
და როცა სამოსის ლაქების სიძველეც კი გულს მილონებს,
მხვდებიან დიდსარკიან სახლში მცხოვრებნი
სიტყვებით- ახალგაზრდულად იმოსები.
უცნაური და გაუგებარი ხალხია
დიდსარკიან სახლში მცხოვრებნი,
რას გაუგებენ ჩემს დალონებას,
მე ხომ სნორედ ასეთ, მოულოდნელ ამბებს ველოდი,
როცა დიდი და ერთადერთი სარკე დამემსხვრა.

## ომის გამოცხადება

ომი გამოვუცხადე
ჩემს თვალგაშტერებულ მზერას,
ლანვებიდან უპეთა კუთხეებამდე
ბრჭყალებით შეფრენილ,
შებუდრებულ ტრაგიკულ იერს,
მარტოობის მდუმარე სანგარი ავუფეთქე,
სიცილის ჭურვები ვესროლე,
ბავშვების ყიჟინით დავბომბე,
გადავუფრინე ტკბილ მოგონებათა
რეაქტიული თვითმფრინავებით.
ომი გამოვუცხადე
თვალგაშტერებული მზერის სახლს და შევაზანზარე.
დაუნანებლად, დაუნდობლად გამოვაგდე
უპეთა კიდეებიდან,
შეშინებული და ვერაგი ფრინველივით
გამოვაძევე.

## ქვამარილის პატიმარი

მომხსენი ფრთებიდან ქვამარილის მხრები, რჯულისა და ტრადიციის ხელბორკილებიც. გულის ძარღვებში გამლღვალ სანთელივით გამიარე, ცაში აზიდე ჩემი ლოდები.

მაშინ ნახავ, მსუბუქი ტანის მძიმე ქანდაკება ზურგს თუ შეგაქცევს, ყოფიერების უდაბნოში თვეობით თუ ჩაგეკარგება. მომხსენი მხრებიდან ქვამარილის ფრთები, ჩემი მარილიანი ტბებიც დაშრიტე და მაშინ ნახავ, იმ აკლდამიდან, შენ რომ ჩუმჩუმად დასცინი და ყოფიერების უდაბნოში თვეობით კარგავ, რა თეთრფრთება და კოპლიანი პეპელა გამოფრინდება, ნყნარი პეპელა, თითქოს საოჯახო ალბომიდან ჩემი ოცი ნლის ნინანდელი ფოტოსურათი გადმოფარფატდა. ის პეპელა თუ იტვირთავს შენთვის განკუთვნილ მძიმე ამბორს და ჩამოტვირთავს მის სიმძიმილს შენს თვალებს ქვემოთ... შენი კისრის და შენი მხრის გადაკვეთასთან.

## ქრისტე, გაუღე შენი კარები

ჩემი მოთხრობის გმირი მოდის, აღმართის ქალბატონი. მე ჩამიხუტა იმ საღამოს ბოლოჯერ და უკანასკნელად, რომ შენ გაგიღოს ჯავრით შეჭმული გულის კარი, პირველად და სამარადისოდ.

ქრისტე, გაუღე შენი კარები, ჭინჭარნაჭამი ჭუკების ქალბატონი მოდის, აღმართ-დაღმართში გადენილი ნვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვთა ქალბატონი მოდის, მათ ნვრილ და მსხვილ ფეხებთან ბანარგათრევით არაერთხელ ნაქცეული ქალბატონი მოდის.

ქრისტე, გაუღე შენი კარები, გმირი ქალბატონი მოდის. ყანა-ვენახის ბარვა-თოხნის, აკვრა-მორჩვის, ვაზიდან ძროხებისთვის ალერდის გადამზიდი, პამიდვრის ჩითილების და კარტოფილის „ბუდნების“ მზადების გმირი; თხილიანი გოდრებით და დაფნის ნედლი ტოტების სიმძიმით ნელში გადრეკილი გმირი ქალი.

ქრისტე, გაუღე შენი კარები, მხევლობით დაღლილი უფასო მოჯამაგირე მოდის; გულნანყვეტი მოდის ქვემოურებზე, მოჯამაგირედაც არ გინდივართო.

გაკვანძულ ცხვირსახოცს გამოხსნის და ფულს მოგცემს ბარვა-თოხნით გაუხეშებული თითებით, თხილის და დაფნის კრეფით გაუხეშებული თითებით, ძროხის რძით დატკბილული თითებით, სიმინდის ნაქურჩალ-ნაკორტალა-კოტიათი გაქლიბული ფრჩხილებით, ფელამუშგადასმული ფრჩხილებით.

ქაღალდის ნვრილ ფულს ჩაგიკუჭავს ხელში მიკერძოებით და ხაზგასმულად, როგორც მე მიკუჭავდა, ავ თვალს რომ არ დაენახა.

ავი თვალი ნულარ დაინახავს.

შავი თავსაფარი მოუხდია და ჭრელით ნამოსულა.

ქრისტე, გაუღე შენი კარები.

ჯონ სტაინბეკი

## ბარათი კოლაუ ნადირაძეს

ძვირფასო მეგობარო:

მე და ჩემი მეუღლე ელენი, თქვენთან სტუმრობის შემდეგ, თბილისიდან შინ რომ დავბრუნდით, იქედან მოყოლებული თქვენზე და თქვენს დიდებულ ქალაქზე ფიქრში ვატარებთ. რამდენი თბილი, სასამო და ამაღელვებელი რამ გამოგვატანეთ თან. ისინი ჩვენი მოგონებებიდან არასდროს ამოიშლება.

მართალია ვიკამათეთ, განსხვავებული მოსაზრებანიც გამოვთქვით, თუმცა ყველაფერი ამით ამოიწურა და ჩვენი მეგობრობისათვის ამას ზიანი არ მიუყენებია. მჯერა, ამ აზრთასხვაობის არსმა დაგვარწმუნა, კეთილ ადამიანებს მიზნები და მისწრაფებები ყველგან ერთნაირი რომ აქვთ. ჩვენ მხოლოდ საშუალებანი წარმოგვიდგენია ოდნავ სხვაგვარად. ამიტომ, ვფიქრობ, მუდმივად უნდა ვიფხიზლოთ, რათა საშუალებებმა მიზანი არ გაბუნდოვნოს.

მადლიერების ნიშნად, იმ პატივისათვის თქვენ რომ დამდეთ, გიგზავნით ერთადერთი სიტყვის ასლს, რომელიც წარმოვთქვი ან მომავალში წარმოვთქვამ. ამ თვალსაზრისით ის უნიკალურია. მე ასე მწამს. მიუხედავად ამისა, ახლა რომ მისი შესწორება შემეძლოს, ალბათ მწერლის მოვალეობებს იმას დავუმატებდი, რომ სამყაროს ოდნავ მეტი მხიარულება, ოდნავ მეტი სილაღე შესძინოს და ოდნავ მეტი სიცილით აავსოს. ამით არაფერი დაშავდებოდა. ალბათ ეს იმის დასტურიცაა, რაც ყველას გვნამს: კაცები მაშინ ხდებიან ერთმანეთის უახლოესნი, როცა ერთად იცინიან. მახსენდება თბილისში ერთად ძალიან ბევრს რომ ვიცინოდით, ვცეკვავდით და ვმღეროდით კიდეც.



იმედი გვაქვს, რომ ოდესმე გვესტუმრებით და გაორკეცებულ იმედს გამოვთქვამთ, დაახლოებით მაინც, ისეთივე გულუხვი სტუმარ-მასპინძლობა გაგიწიოთ, თქვენი ხელგაშლილობის დარი რომ იქნეს.

ელენი ჩემს სურვილებს უერთდება. გისურვებთ ბედნიერებასა და ჯანმრთელობას.

თქვენი მეგობარი,

**ჯონ სტაინბეკი**

*9 მაისი, 1964წ.*

---

## სიტყვა
## წარმოთქმული ნობელის პრემიის მიღებისას 1962 წლის 10 დეკემბერს

მადლობა შვედეთის აკადემიას, ჩემი შრომა ამ უმაღლესი ჯილდოს ღირსად რომ სცნო. გულის სიღრმეში ვეჭვობ, ნობელის პრემიას იმ მწერლებზე მეტად ვიმსახურებდე, რომელთა მიმართაც პატივისცემითა და მოწიწებითა ვარ განსმჭვალული – თუმც, უდავოა, მე რომ მერგო, მიხარია და მეამაყება.

ამ პრემიით დაჯილდოებული ჩვეულებრივ მეცნიერულ ან საკუთარ კომენტარებს გვთავაზობს ლიტერატურის არსისა და მდგომარეობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობ, ამ განსაკუთრებულ დროში იქნებ სჯობდეს, ლიტერატურის შემქმნელთა მაღალი დანიშნულებისა და პასუხისმგებლობის შესახებ გვესაუბრა.

ნობელის პრემია და ადგილი, სადაც მე ვდგავარ, ისეთი პრესტიჟულია, მაგულიანებს მადლიერი და აპოლეგეტური თაგვივით კი არ ვიწრუწუნო, არამედ ლომივით ვიბრდღვინო იმგვარი სიამაყით, რასაც ჩემი პროფესიისა და იმ ბრწყინვალე, ნიჭიერი ადამიანების გამო განვიცდი, საუკუნეთა მანძილზე ამ ასპარეზზე რომ ილვწოდნენ.

ლიტერატურა არ გაუვრცელებია ფერმკრთალ და დასაჭურისებულ, ცარიელ ეკლესიებში ლიტანიების მომღერალ შარიან სამღვდელოებას – არც მონასტერში გამომწყვდეულ რჩეულების, უიმედოდ სასოწარკვეთილი, ტრაბახა მათხოვარი ბერების საქმე ყოფილა.

ლიტერატურა მეტყველებასავით ძველია. ის ადამიანთა მოთხოვნილებამ აღმოაცენა, რაც დღემდე არ შეცვლილა, პირიქით, უფრო საჭირო გახდა. სკალდები, ბარდები, მწერლები არ ყოფილან განცალკევებულნი და კარჩაკეტილნი. დასაბამიდანვე მათი დანიშნულება, მოვალეობები, პასუხისმგებლობანი ადამიანთა მოდგმამ დააკანონა.

კაცობრიობა თავგზააბნეულია იმ პირქუში და უკაცრიელი დროის გამო, რომელშიც გამოვლა უხდება. ჩემმა დიდმა წინამორბედმა უილიამ ფოლკნერმა აქ გამოსვლისას, ამ დროებას უწოდა ყოვლისმომცველი შიშის ტრაგედია, რომელიც იმდენხანს გაგრძელდა, რომ სულიერებაც კი დაგვავიწყა. ამიტომ ადამიანს მხოლოდ თავის გულთან ჭიდილში შეეძლო ამის შესახებ დაეწერა. ფოლკნერმა კი ყველაზე მეტად უწყოდა, როგორც ადამიანის ძლიერების, ასევე მისი სისუსტის შესახებ. მან იცოდა, რომ შიშის შეცნობა და დაძლევა მწერლის არსებობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

ეს არახალია. მწერლის უძველესი რწმუნებულება არ შეცვლილა. მისი ვალია ჩვენი უამრავი მტანჯველი მარცხი და შეცდომა გამოააშკარაოს, გამოსამზეურებლად ამოზიდოს ჩვენი ბნელი სიღრმეებიდან საშიში წარმოსახვანი მათი გამოსწორების მიზნით.

გარდა ამისა, მწერალი უფლებამოსილია საჯაროდ განაცხადოს და დიდებით შეამკოს ადამიანის აღიარებული უნარი – მისი გულისა და სულის სიდიადე – მარცხის ვაჟკაცურად აღიარება, სიმამაცე, სიბრალული და სიყვარული. სისუსტისა და სასოწარკვეთის წინააღმდეგ დაუსრუ-

ლებელ ბრძოლაში ესენია მოცილეობისა და იმედის კამკამა ალმების კრებული. მიმაჩნია, რომ მწერალს, რომელსაც მგზნებარედ არ სწამს ადამიანის სრულყოფილებისა, ...არც მოწოდება აქვს და არც ადგილი ლიტერატურაში.

დღევანდელი ყოვლისმომცველი შიში ჩვენს ცოდნაში ახალი მოზღვავებული ტალღისა და მატერიალურ სამყაროში ერთგვარად სახიფათო მოვლენათა ბრუნვა-ტრიალის შედეგია. მართალია, ურთიერთგაგების სხვა ფაზებმა ჯერ ფეხი ვერ აუწყეს ამ უზარმაზარ ნაბიჯს, მაგრამ არ არსებობს მიზეზი ვივარაუდოთ, ისინი ვერ ან არ ივლიან გვერდიგვერდო. რა თქმა უნდა, ესეც მწერლის მოვალეობის ნაწილია, რათა უზრუნველყოს მისი აღსრულება. კაცობრიობას ხანგრძლივი, საამაყო ისტორია აქვს ბუნებრივი მტრების წინააღმდეგ მტკიცედ დგომისა, ზოგჯერ თითქმის დამარცხებისა და გაქრობის წინაშეც მდგარა. ჩვენ ვიქნებით მშიშრები და უგუნურნი ბრძოლის ველი რომ უდიდესი გამარჯვების წინადღეს მივატოვოთ.

გასაგებია, ალფრედ ნობელის ცხოვრებას გავეცანი; როგორც წიგნებში ამოვიკითხე, განდეგილი და მოაზროვნე ყოფილა. მან შექმნა ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელსაც უნარი აქვს შემოქმედებითი სიკეთის ან დამანგრეველი ბოროტებისა, არჩევანის უქონლობის შემთხვევაში გონება და საღი აზრი რომ ვერ წარმართავს.

ნობელმა დაინახა, რომ თავის გამოგონებებს სისასტიკისა და სისხლისღვრის ჩასადენად ბოროტად გამოიყენებდნენ. ეგებ წინასწარ განჭვრეტილიც კი ჰქონდა თავის გამოკვლევათა საბოლოო შედეგი – უკიდურესი ძალმომრეობისა და საბოლოო ნგრევის მისაწვდომობა. ამბობენ, ცინიკოსიც გახდაო, მაგრამ არ მჯერა. ვფიქრობ, ის შეეცადა ზემოქმედების – უსაფრთხოების სარქველის გამოგონებას, რაც, ჩემი აზრით, საბოლოოდ მხოლოდ ადამიანის გონებასა და სულში ჰპოვა.

მე მგონი, მისი მოსაზრება ნათლადაა გამოხატული ამ პრემიების ნომინაციაში. ისინი შემოთავაზებულია ადამიანის ცოდნისა და მისი სამყაროს მუდმივი განვითარებისათვის – **ურთიერთგაგებისა და კომუნიკაციისათვის** – რაც ლიტერატურის დანიშნულებაა და თავის მხრივ მშვიდობის შესაძლებლობის დემონსტრირებას გულისხმობს, ყველაფრის მწვერვალს რომ წარმოადგენს.

ორმოცდაათ წელზე ნაკლები გავიდა მისი გარდაცვალებიდან, რაც ბუნების კარი გაიხსნა და არჩევანის საშინელი ტვირთის წინაშე დაგვაყენა. ჩვენ ბევრი იმ ძალის უზურპირება მოვახდინეთ, რაც თავის დროზე ღმერთს მივაკუთვნეთ. შეშინებულებმა და მოუმზადებლებმა მთელი სამყაროს ყველა ცოცხალი არსების სიცოცხლესა და სიკვდილზე ძალაუფლება ვიტვირთეთ, თავზე ავილეთ. საფრთხე, გამარჯვება და არჩევანი საბოლოოდ ადამიანზეა დამოკიდებული. მისი სრულყოფილების გამოცდა ჩვენს ხელთაა.

ვიტვირთეთ რა ღვთიური ძალა, ვალდებულნი ვართ საკუთარ თავში მოვიძიოთ პასუხისმგებლობა და სიბრძნე, რასაც ერთ დროს ვილაც ღვთაებას ვევედრებოდით, გვეგონა, ის იქნებოდა მათი მფლობელი. ადამიანი გახდა ჩვენი უდიდესი საშიშროება და ერთადერთი იმედი. ასე რომ, დღეს შესაძლოა წმინდა იოანე მოციქულის პერეფრაზირება მოვახდინოთ: ბოლო არის სიტყვა და სიტყვა არის ადამიანი, და სიტყვა ადამიანთანაა.

**ინგლისურიდან თარგმნა**
**ვახტანგ ამაღლობელმა**

## მთარგმნელისაგან

ჯონ სტაინბეკის მიერ კოლაუ ნადირაძისადმი მიწერილი წერილის დედნის ასლის გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება, რომ რუსული თარგმანი შემოკლებული ვარიანტია, რაც თავისთავად დანაშაული არ გახლავთ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ დედნის შინაარსი დამახინჯებულია, ეს ძალიან ბევრ კითხვას ბადებს და გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ თარგმანი განგებაა ფალსიფიცირებული. თავისთავად ჩნდება პირველი კითხვა: რატომ შესრულდა თარგმანი რუსულად და არა ქართულად?

სამადლობელი წერილის თავი და ბოლო დედნის შესატყვისია. რაც შეეხება მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელსაც ეს წერილი შეიცავს და რითაც ჩვენთვის წარმოადგენს ფასდაუდებელ დოკუმენტს, სწორედ ის ნაწილია დამახინჯებული. სახელდობრ: ორიგინალიდან ირკვევა, რომ სტაინბეკმა კოლაუ ნადირაძეს გამოუგზავნა სტოკჰოლმში ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმული სიტყვის ასლი. რუსულ თარგმანში კი ჩანს, რომ რაღაც გამოუგზავნა, მაგრამ რა – არ წერია. მის მაგივრად მრავალი წერტილია დასმული.

ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ის ერთი სიტყვა ვერ ამოიკითხა და გამოტოვა, მაგრამ შემდეგ მთარგმნელი ისეთ რამეს წერს, რაც დედნის ტექსტს სრულებით არ შეესაბამება. მიჭირს ვივარაუდო, რომ ასეთი სერიოზული წერილის თარგმნა არაკომპენტენტურ სპეციალისტს მიანდვეს. მაშინ საფიქრებელია, რომ სტაინბეკის სიტყვა ალბათ თავიდანვე კგბ-ს მიერ იქნა ამოღებული, რადგან ის კოლაუ ნადირაძის პირად არქივში არ ინახება.

მაგრამ ბუნებრივად ჩნდება კითხვები: საერთოდ რატომ დატოვეს თარგმანში, რომ სტაინბეკმა კოლაუ ნადირაძეს რაღაც გამოუგზავნა, მაგრამ რა – მიჩქმალეს? ანდა რა სჭირდა მისაჩქმალი ათეისტური სულისკვეთებით განსმჭვალულ სიტყვას, რომელიც საბჭოური იდეოლოგიისათვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა? თუ ეს კგბ-ს დავალებით შესრულებული თარგმანია, როგორ მოხვდა ის პოეტის პირად არქივში და თან იქვე არსებობდა წერილის დედანი? კითხვები შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ამ კითხვებზე პასუხების ძიება იმდენად მნიშვნელოვნად არ მიმაჩნია, მთავარია, რომ განგების ძალით ეს დედანი გადარჩენილია.

ამ ფაქტს იმიტომ ვანიჭებ ასეთ მნიშვნელობას, რომ ეს წერილი არ არის შეტანილი წიგნში: „სტაინბეკი: ცხოვრება წერილებში", რომლის ერთ-ერთი შემდგენელი და რედაქტორი სტაინბეკის მეუღლე, ელენ სტაინბეკია. მან ამ წიგნში მხოლოდ ერთი – საქართველოს მწერალთა კავშირისადმი გამოგზავნილი წერილი დაბეჭდა. საგანგებოდ დავუკავშირდი კალიფორნიის სან ხოზეს სახელმწიფო უნივერსიტეტის, მარტა ჰისლი კოქსის სახელობის სტაინბეკის შესწავლის ცენტრს, რომელსაც მწერლის ქვრივმა, ელენ სტაინბეკმა საჩუქრად გადასცა მეუღლის მთელი არქივი, და აღმოჩნდა, რომ წერილი რომელიც ახლა ქვეყნდება, არც მათ არქივებში ინახება. დღეს კი ჩვენ შეგვიძლია სრულად გავეცნოთ სტაინბეკის მიერ ნადირაძისადმი მოწერილ წერილს, რომელიც არ წარმოადგენს ჩვეულებრივ მადლიერი სტუმრის მიერ სტუმართმოყვარე მასპინძლისადმი გამოგზავნილ სამადლობელ ღია ბარათს.

ალნიშნული წერილი აშკარა დასტურია იმისა, რომ საქართველოში მეორედ მოგზაურობამ სტაინბეკს კიდევ უფრო გაუღრმავა ამ ქვეყნისადმი ინტერესი. განსაკუთრებით აღფრთოვანებულია ქართველ მწერლებთან ურთიერთობით. მიუხედავად აზრთა სხვაობისა, უდავოდ კმაყოფილია, რომ მათი სახით თანამოაზრეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოეთის ცხოვრებიდან

შეიძინა: "მართალია ვიკამათეთ, განსხვავებული მოსაზრებანიც გამოვთქვით, თუმცა ყველაფერი ამით ამოიწურა და ჩვენი მეგობრობისათვის ამას ზიანი არ მიუყენებია. მჯერა, ამ აზრთასხვაობის არსმა დაგვარწმუნა, კეთილ ადამიანებს მიზნები და მისწრაფებები ყველგან ერთნაირი რომ აქვთ. ჩვენ მხოლოდ საშუალებანი წარმოგვიდგენია ოდნავ სხვაგვარად. ამიტომ, ვფიქრობ, მუდმივად უნდა ვიფხიზლოთ, რათა საშუალებებმა მიზანი არ გააბუნდოვნოს", – წერს კოლაუ ნადირაძეს.

მაგრამ ამ წერილს, ჩემი აზრით, ფასდაუდებელ მნიშვნელობას ანიჭებს ის ფაქტი, რომ მაშინ უკვე საყოველთაოდ აღიარებული მწერალი და ნობელის პრემიის ლაურეატი, ჯონ სტაინბეკი გულწრფელად აღიარებს, ქართველ მწერლებთან ურთიერთობამ მასზე ძლიერი ზეგავლენა რომ მოახდინა. ამას კი აშკარად ადასტურებს თავისი სტუმართმოყვარე თბილისელი მასპინძლისადმი მიწერილი შემდეგი სიტყვები: „მადლიერების ნიშნად, იმ პატივისათვის თქვენ რომ დამდეთ, გიგზავნით ერთადერთი სიტყვის ასლს, რომელიც წარმოვთქვი ან მომავალში წარმოვთქვამ. ამ თვალსაზრისით ის უნიკალურია. მე ასე მწამს. მიუხედავად ამისა, ახლა რომ მისი შესწორება შემეძლოს, ალბათ მწერლის მოვალეობებს იმას დავუმატებდი, სამყაროს ოდნავ მეტი მხიარულება, ოდნავ მეტი სილაღე შესძინოს და ოდნავ მეტი სიცილით აავსოს. ამით არაფერი დაშავდებოდა. ალბათ ეს იმის დასტურიცაა, რაც ყველას გვწამს: კაცები მაშინ ხდებიან ერთმანეთის უახლოესნი, როცა ერთად იცინიან. მახსენდება თბილისში ერთად ძალიან ბევრს რომ ვიცინოდით, ვცეკვავდით და ვმღეროდით კიდეც."

მართალია ირაკლი აბაშიძე თავის მოგონებაში ვერ იხსენებს გაცინებულ სტაინბეკს: „საერთოდ ეს კაცი გაცინებული არ მინახავს. არ ვიცი, თავის ქვეყანაში გაუცინია თუ არა ოდესმე." მაგრამ, სამაგიეროდ, მოცეკვავე სტაინბეკის შთამბეჭდავ სცენას დიდებულად აღწერს: „სტაინბეკი გოლიათივით წამოდგა. ცოლს ხელზე ემთხვია და დაიწყო ცეკვა. ცეკვავდა მთელის მონდომებით და სერიოზულობით, ნამდვილი გატაცებით, როგორც შეუძლია უცხო, არაკავკასიელმა კაცმა იცეკვოს ეს ურთულესი ცეკვა. ცეკვავდა თავისთვის და არა ჩვენთვის, მაყურებლისთვის, არც თავისი მეუღლისათვის; ცეკვავდა გამართული, ხაზგასმულად თავაწეული, ამაყად, თავისუფლად. მხოლოდ მემუსიკეებს თუ ჩაჰხედავდა ხანდახან თვალებში – ხომ არაფერი მეშლებაო. მემუსიკეები კი მას შესციცინებდნენ და დიდი სიამოვნებისაგან ლოყები უსკდებოდათ. ცეკვავდა თავისთვის და ვილაცასთვის, ვინც აქ არ იჯდა და მგონი საერთოდ ამ დედამიწაზეც არ დადიოდა. მერე დაიქანცა და დაჯდა."

ვახტანგ ჭელიძე კი იგონებს, ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა როგორ მოიყვანეს სტაინბეკი სიმღერის ეშხზე: „თვითონაც მოვიდა ეშხზე და როცა ქეიფი გახურდა, ითხოვა, მეც ვიმღერებო. ვერ ვიტყვი, კარგი სასიმღერო ხმა ჰქონოდეს, ჰანგიც მონოტონური იყო და იმ დიდებული სიმღერების შემდეგ არ შეიძლებოდა კაცს მოსწონებოდა. მაგრამ ეს ხომ სტაინბეკი იყო, სტაინბეკი მღეროდა!"

აშკარაა რომ ქართულმა სუფრამ, ხალხურმა ცეკვამ და სიმღერამ და, რაც მთავარია, გულღია და მხიარულმა თანამოაზრე მწერლებმა განუმეორებელი ზემოქმედება მოახდინეს ამერიკელ შემოქმედზე. ეს ზემოქმედება იმდენად დიდი იყო, რომ ქართველ მწერლებთან შეხვედრამდე, დაახლოებით ნელინადნახევრის წინათ, ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმული სიტყვის გადაკეთების სურვილიც კი გაუჩნდა, სიტყვისა, რომელშიც მან თავისი მრწამსი ჩამოაყალიბა მწერლობისა და მწერლის დანიშნულების შესახებ.

## მოგონებათა სკივრი

ელენე გუსევა

# 1914 წლის აპრილის თვე იდგა...

ვორონცოვის ხიდზე მიმავალი შიომღვიმის მონასტრის ბერი – მამა ისე, ერობაში ივანე სუხიშვილი – მონასტრის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ათას რამეზე ფიქრობდა. ყველაზე მეტად იმ სურვილის განხორციელება უნდოდა, რომელიც 1912 წელს ქართლ-კახეთის მონასტრების მოლოცვისას დაებადა. კერძოდ კი ბოდბეში, წმინდა ნინოს მონასტრის ერთ სვეტზე ალექსანდრე პირველის სურათის ნახვამ გამოიწვია. გადაწყვიტა შიომღვიმის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესიაში ეპისკოპოს ალექსანდრეს სურათი ვინმესთვის დაეხატვინებინა (ალექსანდრე ოქროპირიძე 1822-1907 შიო მღვიმის ლავრას ღრმა მოხუცებულობამდე ხელმძღვანელობდა და 1907წ. 9 ნოემბერს გარდაიცვალა). ეპისკოპოს ლეონიდეს, ალექსანდრეს ძმისშვილის თხოვნაც გაახსენდა, რომელიც იმხანად გურია სამეგრელოს ეპარქიას განაგებდა.

„არ გაშორდე შიოს მონასტერს, და ბიძაჩემის საფლავს უპატრონე, შენ შიოს მონასტრისთვის ხარ ზვარაკად გადადებული, მანდ უნდა გალიო შენი დღენი"-ო.

მღვდელ-მონაზვნად კურთხევის შემდეგ, 1914 წლის ზამთარში, მამა ისე ფოთში ჩავიდა და ეპისკოპოს ლეონიდეს გაანდო ის ჩანაფიქრი, რომელიც წლების მანძილზე აწვალებდა. ეპისკოპოსმა თანადგომა და ფინანსური დახმარება აღუთქვა: „ბიძაჩემი დიდად მიყვარდა და დღესაც მიყვარს, მაგრამ ასეთი კეთილი აზრი მე არ დამბადებია, მაშ, როგორც იფიქრე, ისე კეთილად განახორციელე და, რაც დაჯდება, ფულს მე არ დავზოგავო," – უთხრა ახალგაზრდა ბერს.

არქიმანდრიტმა პიროსმა, ალექსანდრე ეპისკოპოსის ძმის შვილის შვილმა, კი რატომღაც თავი შეიკავა, არ უნდოდა ამ ამბავს საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოეწვია. შეიძლებოდა ვინმეს ეთქვა: „არქიმანდრიტმა პიროსმა, შიოს მონასტერში თავისი წინაპრის ფრესკა მოახატვინაო", მაგრამ როცა შეიტყო ბიძის, ეპისკოპოს ლეონიდეს, სურვილიც და თანხმობაც, უკმაყოფილოდ უთხრა:

-„მაშ მე რაღა ვყოფილვარ, თუ შენ და ლეონიდე, როგორც გინდათ ისე მართავთ შიოს მონასტერსაო".

ამ ფიქრებში გართულ მამა ისეს ვორონცოვის ხიდზე მხატვარი გიგო ზაზიაშვილი წამოეწია. ძალიან გაუხარდათ ერთმანეთის ნახვა. იქვე ჩუღურეთის მოსახვევში მდებარე პატარა სასადილოში დასხდნენ და სხვადასხვა თემაზეც ისაუბრეს. სალაპარაკო და გასახსენებელიც ბევრი ჰქონდათ. ბერმა მხატვარს გაანდო თბილისში ჩამოსვლის მიზეზი, არქიმანდრიტ პიროსთან შეხვედრის ამბები, და დახმარება სთხოვა:

– „შენ მამულიშვილი ხარ, და მასთან პატრიოტი, ვიცი პატივს სცემდი ეპისკოპოს ალექსანდრეს, დიდად აფასებ ლეონიდესაც. მსურს ალექსანდრეს სურათი დაგახატვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნო შიომღვიმის დიდი ტაძრის სვეტზე. თუ დრო გაქვს წამოდი, ნახე და მოვრიგდეთ. იმედია ერთ თვეში დაიხატება".

გიგო ზაზიაშვილი დაფიქრდა, მისთვის მოულოდნელი და საპასუხისმგებლო იყო მამა ისეს შემოთავაზება, ხანმოკლე დუმილის შემდეგ კი მიუგო:

-დახატვით ერთ კვირაში დავხატავ, საქმე ის არის, რამდენ ხანში გაშრება პირველი და მეორე პირი.

შეთანხმდნენ.

მაისის დასაწყისში მხატვარი ცოლ-შვილით, დამხმარე ახალგაზრდა შეგირდითა და ზეთსაღებავებით ავიდა შიოში, მამა ისემ დააბინავა ისინი, ყოველდღიურად აწვდიდა რძეს, მაწონს, პურს, ყველს, და უქმნიდა სამუშაო პირობებს.

გიგო ზაზიაშვილმა მუშაობა იმ სვეტზე დაიწყო, სადაც ალექსანდრე ალექსანდრიელი იყო გამოსახული, მის ქვემოთ კი ეპისკოპოსი ალექსანდრე განისვენებდა. ძველი გამოსახულება ჩქარა მოისპო, მას მხატვარმა პირველი ფენა საღებავი გადაუსვა, კონტურები მოხაზა. ეპისკოპოსი მთელი სიმაღლით გამოსახა. შესაფერი სამოსით შემოსა, მარცხენა ხელში კვერთხი დააჭერინა, მარჯვენა კი ისე ჰქონდა შემართული, თითქოს მნახველს ლოცავსო, ფიგურა მომრგვალო ფორმის არწივისგამოსახულებიან ხალიჩაზე დააყენა, რომელიც მიწიერიდან ზეციურ ამაღლებას მიანიშნებდა. ქვედა ნაწილში ფონი მომწვანო მონაცრისფრო ტონიდან ყავისფერში გადადის, ზევით მხრების არედან კი ლაჟვარდისფერში.


ეპისკოპოსი ალექსანდრე
ფრესკა გიგო ზაზიაშვილისა

თავდაპირველად შიომღვიმეს ბერები უიმედოდ უყურებდნენ დაწყებულ საქმეს. მამა ისეს ახირებად მიიჩნევდნენ, ხოლო როცა ალექსანდრე ალექსანდრიელის ნაცვლად ეპისკოპოს ალექსანდრეს ნათელი სახე დაინახეს მოეწონათ, მის წინ მუხლს იყრიდნენ ლოცულობდნენ და სანთელს ანთებდნენ.

ეპისკოპოს ლეონიდეს ძლიერ უნდოდა ბიძამისის დასრულებული ფრესკა ენახა. მამა ისე, თავის მხრივ, ბარათებით ატყობინებდა სამუშაო ვითარებას.

მხატვარმა ნამუშევარს მარცხენა კუთხეში მიაწერა: „გიგო ზაზიაშვილი – 1914წ.", ზედა ნაწილში კი: „ყ დ სამღვდელო ალექსანდრე აღმდგენელი შიო მღვიმის ლავრისა".

მუშაობა ორთვენახევარში დასრულდა.

გიგო ზაზიაშვილის მიერ შესრულებულმა ნამუშევარმა სასულიერო და საერო პირთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ეპისკოპოს ალექსანდრეს სახით მხატვარი შეეცადა გადმოეცა მისთვის სათაყვანებელი პიროვნების კეთილშობილი და სათნო ბუნება. კედელზე გაეცოცხლებინა სწორედ ისეთი როგორსაც იცნობდა და როგორიც უყვარდა. ჭეშმარიტი მამულიშვილი და ეროვნული მოღვაწე.

ეპისკოპოსმა ლეონიდემ მხატვარი გიგო ზაზიაშვილი ოცდათხუთმეტი თუმნით დააჯილდოვა. მამა ისემ კი მეგობრის დახმარებით ნანატრი ოცნება აისრულა.

ასე შეიქმნა და სამუდამოდ გაცოცხლდა შიომღვიმის ლავრაში ნიკო ფიროსმანაშვილის მეგობრისა და თანამეფუნჯის გიგო ზაზიაშვილის მიერ შესრულებული სულმნათი ეპისკოპოსის – ალექსანდრეს – სახება.

## ჩვენი ფოსტა

ძვირფასო ბატონო პაატა ჩხეიძე,

ვფიქრობ, ძალიან დაკავებული იქნებით თქვენს ქვეყანაში მიმდინარე მღელვარე პროცესების გამო. იმედი მაქვს კარგად ბრძანდებით.

მე ვამზადებ ლექციებს და ვემზადები საქართველოში სტუმრობისათვის. წინასწარ მაქვს რამდენიმე შეკითხვა.

1. რა სახის აუდიტორია იქნება ჩემს ლექციებზე? სპეციალისტები თუ ლიტერატურის მოყვარულნი?

ამას იმიტომ გეკითხებით, რომ მინდა ვიცოდე, თუ რა ყაიდის ლექციები მოვამზადო.

2. როგორი იქნება ლექციების ზუსტი თარიღები?

შეგახსენებთ ლექციათა სათაურებს:

ა) თორნტონ უაილდერი;

ბ) ახალი კრიტიკა VS. პოლიტიკური კორექტულობა;

გ) ამერიკული კონსერვატიზმი და ლიბერალიზმის დიალექტიკა;

დ) „ანგლოსფეროს" ბუნება და მსოფლიო პოლიტიკა.

მათგან რომელი უნდა წავიკითხო თბილისში და რომელი ქუთაისში?

თუ შეიძლება დროულად მაცნობეთ.

მეგობრული გრძნობით, გულწრფელად

**ვერჯილ ნემოიანუ**

*ვაშინგტონი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰენრი სლეზარი

# მისტერ დიუპრეს შურისძიება

როდესაც მისის ბევერლი ჰაზარდმა თავისი სახლისა და მამულის მოურავი აიყვანა, მის ქმარს იუჯინს შავი დღეები დაუდგა. აქამდე მედგრად და მოურიდებლად მისდევდა განცხრომას, ხოლო მოურავის გამოჩენა ასპარეზზე ნიშნავდა მის ცხოვრებაში მთელი ეპოქის დასასრულს – მომხიბლავი ეპოქისა, როდესაც თავისი ცოლის დოვლათს ანიავებდა და ამ მარტივ საქმიანობაში გამოიჩინა არაჩვეულებრივი განაფულობა, დახვეწილი გემოვნება და სინდისის ქენჯნის სრული უქონლობა.

– ამაზე დიდი უაზრობა არაფერი მსმენია ჩემს სიცოცხლეში, – განუცხადა იუჯინმა ცოლს. – ჩვენი ყველა ანგარიშის გასტუმრებას კიდევ აიტანს კაცი, მაგრამ ახლა პატარა ბიჭივით რომ უნდა ვიმათხოვრო ჯიბის ფული, – ეს კი მეტისმეტია!

– ჩემი მეგობრები აღტაცებულ არიან ჩვენი მოურავით, – დაუდევრად ჩაილაპარაკა ბევერლიმ, რომელიც იპრანჭებოდა ქალაქგარეთ მდებარე სახლში განლაგებული ოცდარვა სარკიდან ერთ-ერთი მათგანის წინ. – მისტერ დიუპრე ძალზე გონიერი მოურავიაო, ერთხმად ამტკიცებენ.

მისტერ დიუპრე იმდენად გონიერი გამოდგა, რომ პირველი შეხვედრისთანავე გადაიმტერა იუჯინი. სქელმინიანი მასიური სათვალის ქვემოდან თვალი შეავლო მას, მზერა ოდნავ შეაჩერა ფაფუკ ულვაშზე და მერელა თქვა:

– რას ნიშნავს ცოტაო? მე ყოველთვის მეგონა, რომ კვირაში ასი დოლარი ჯიბის ფულად სავსებით საკმარისია ნებისმიერი მამაკაცისათვის.

– ჯიბეს გააჩნია, – მედიდურად წარმოთქვა იუჯინმა. – ჩემი ჯიბე საკმაოდ ღრმა არის. და მე მოვითხოვ ხარჯების გაზრდას.

– ვწუხვარ, – გადაჭრით მიუგო მისტერ დიუპრემ. – მაგრამ ვერაფრით ვერ დაგეხმარებით.

– ვინ მოგცათ უფლება, რომ უარს მეუბნებით?

– ვინა და ჩემმა დამქირავებელმა, – მოუჭრა მისტერ დიუპრემ. – თუკი არ გამიწყრებით, სწორედ ახლა აუარება საქმე მომაწყდა და თქვენთვის არა მცალია. ჩემი მდივანი მოგართმევთ ჩეკს მთელი კვირისათვის.

ორი დღის შემდეგ იუჯინმა ტელეფონით დაურეკა მისტერ დიუპრეს და უთხრა:

– კიდევ ასი მჭირდება. შეიძლება მივიღო ჩეკი?

– რაში უნდა დახარჯოთ?

– არა მგონია, რომ ეს თქვენ გეხებოდეთ.

– მომიტევეთ, მისტერ ჰაზარდ, მაგრამ ვიდრე არ ამიხსნით, რისთვის დაგჭირდათ ფული, ვერაფერს ვერ გაგიხერხებთ.

– ანგარიში ბარიდან გაწყობთ? – გალიზიანებით თქვა იუჯინმა. – ჩემს კლუბში?

– მე ყველა ანგარიშს ვისტუმრებ. კლუბში განკარგულება გაეცით, რომ გადმომიგზავნონ.

– თქვენ როგორ არ გესმით, რომ ჩემს განკარგულებებს აღარ დაენდობიან, ვიდრე ანგარიშს არ გავუსწორებ!

– რა გაეწყობა, მაშინ შინ მოგიწევთ სმა, – გულგრილად მიუგო მისტერ დიუპრემ.

იუჯინმა შეისმინა მისი რჩევა. როდესაც ბევერლი საღამოს შინ დაბრუნდა და ქმარს თავზე დაადგა, იგი უჩვეულო საქმიანობით იყო გართული: თავდავიწყებით და გულისყურით ყველაფერი თავდაყირა დაეყენებინა სახლში უპატრონო ფულის საპოვნელად და მისთვის ხელის შეშლა შეუძლებელი იყო.

ვითარება დღითი დღე უარესდებოდა. ბევერლის ახარებდა ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის ნინსვლა, მაშინ როცა იუჯინს უფულობის გამო იმდენად შეუთხელდა სიამენი, რომ თავისდაუნებურად შურისგების შავბნელი ზრახვები უმწიფდებოდა თავში.

ერთხელ იუჯინმა საჯარო ბიბლიოთეკაში ნასვლაც კი იკადრა – ეს ისეთი სიამოვნება იყო, რომ თავისი სიიაფის წყალობით უეჭველად დაიმსახურებდა მისტერ დიუპრეს უსაზღვრო მოწონებას. იუჯინი სამკითხველო დარბაზში მოკალათდა და კეთილსინდისიერად დაამუშავა „დანაშაულთა საერთო კლასიფიკაციის" ოთხივე ტომი, მაგრამ პასუხს თავის შეკითხვაზე ვერსად წააწყდა.

ორი თვის შემდეგ ხელსაყრელი შემთხვევა გამოუტყვრა. ბევერლიმ, ხანმოკლე სათხილამურო გასეირნებისას, ფილტვების სერიოზული ანთება აიკიდა. თეატრალური მანჭვა-გრეხით ჩანვა ლოგინში და იუჯინი დატოვა ულმობელი მისტერ დიუპრეს საქმიანობის მძიმე უღელქვეშ.

იუჯინის სულში დღითი დღე იზრდებოდა ნადილი, რომ თავისი ცოლი მიეხრჩო. მაგრამ ამის ჩადენა იმგვარად, რომ სხეულზე კვალი არ დარჩენოდა, უბრალოდ წარმოუდგენელი იყო და აქ იუჯინი უჭოჭმანოდ ენდობოდა „დანაშაულთა საერთო კლასიფიკაციას". საჭირო იყო მოეძია სხვა ხერხი, უფრო მარტივი, უსაფრთხო და შესაბამისი ბევერლის სნეულებისა. და მან იპოვა იგი, როდესაც ბიბლიოთეკაში ფურცლავდა წიგნს „მკვლელობანი და მათი გამოძიება", „ა" ასოზე სტატიაში „ასფიქსია":

„... ასფიქსიის სიმპტომებს დახრჩობისას, ჩამოხრჩობისას ანდა გაზით მოწამვლისას, აგრეთვე ზოგიერთი სნეულებისას, როგორიცაა ფილტვების ანთება, ბევრი რამ აქვთ საერთო: ლორწოვანი გარსის ლილისფერ-ნაცრისფერი შეფერილობა, მოლურჯო და ლამის გაშავებული ტუჩები, თითები და ფრჩხილები. დაზარალებულის გარეგნობაში, როგორც წესი, არ აღმოჩნდება ხოლმე არაფერი, რაც აშკარად მიუთითებდეს ძალადობრივ სიკვდილს. ამიტომაც, ასფიქსიის შემთხვევათა გამოძიებისას, აუცილებელია დავეყრდნოთ სხვა, უფრო თვალსაჩინო და ზუსტ ნიშნებს".

პარასკევ საღამოს, როდესაც ცოლს უკვე ეძინა თავის ოთახში მეორე სართულზე, იუჯინმა მსახურნი შინ დაითხოვა გამოსასვლელ დღეებში. შაბათ დილით თავად აუტანა საუზმე მწოლიარე ცოლს. ბევერლი გაოცებული წამოძახილით შეეგება:

– იუჯინ, რა მოხდა?

იუჯინმა ნაძალადევი ღიმილით უპასუხა:

– ჩემო საყვარელო, განა არ გსურს, მე თვითონ რომ დაგაპურო კოვზიდან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევერლიმ პატარძალივით, სულელურად და ალტაცებით, ჩაიხითხითა. იუჯინი კმაყოფილი დარჩა, რომ დილამ, ცოლის უკანასკნელმა დილამ ასე ჩინებულად ჩაიარა.

დაელოდა, ვიდრე ბევერლი ყველა წამალს იგემებდა და სნეულის მძიმე ძილს მისცემდა თავს, ათ საათზე კი ოთახიდან გავიდა.

სულ რაღაც ნახევარი საათი დასჭირდა იუჯინს, რათა ყველა ფანჯარა შეემოწმებინა ორივე სართულზე. სახლის უკანა ტერასაზე გასასვლელ კარს ძირში ფართო ხვრელი ჰქონდა, საიდანაც სუფთა ჰაერი შემოდიოდა სახლში. იუჯინმა პირსახოცი ჩაჩურთა ხვრელში და სამზარეულოს კარსაც იგივე გაუკეთა. მერელა მიუახლოვდა გაზქურას, წინა პანელზე ბოლომდე მოაბრუნა შავი, კრიალა ონკანები და ბეჯითად ჩააქრო ცეცხლი. გაზის მძაფრი სუნი ეცა ცხვირში, მაგრამ იცოდა, რომ გარკვეული დრო უნდა გასულიყო, ვიდრე მკვლელი-გაზი თავის გზას გაივლიდა ზევით, ბევერლის ოთახისაკენ. დრო საკმარისად ექნებათ – მთელი უიკენდი, არასგზით ნაკლები.

რამდენიმე წუთის შემდეგ სახლი დატოვა, წინა საღამოს წინდახედულად ჩალაგებული პორტფელი ეჭირა ხელში, თავისი ორი ავტომობილიდან ის ამოარჩია, უფრო მომცრო რომ იყო და გაემგზავრა ქალაქში, ოტელში დასაბინავებლად.



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

კვირას, გვიან საღამოს, დაბრუნდა შინ. შესასვლელ კართან მდგომმა გულმოდგინედ გასრისა ფეხით სიგარეტის ნამწვი, კარი გაალო გასაღებით და სახლში შეაბიჯა.

გაზის სქელი და მწველი ღრუბელი შემოეხვია თხემით ტერფამდე. ცხვირსახოცი აიფარა პირზე და რის ვაივაგლახით მიაღწია ბევერლის საძილე ოთახს.

იგი ზუსტად იმავე პოზაში იწვა, როგორც გუშინ დილით დატოვა. ოღონდ ახლა იუჯინის დაბრუნება ველარ გაალვიძებდა.

ამ წუთიდან იუჯინს ყველაზე მეტად აღელვებდა გარშემომყოფთა დამოკიდებულება ბევერლის სიკვდილისადმი. მით უფრო ეამა, რომ დაეჭვებისა და გულცივი გაუცხოების ნაცვლად ყოველი მხრიდან ხვდებოდა გულთბილი თანაგრძნობა და სიმპათია.

სამძიმართა და ნუგეშისცემათა ქორის არ შეეხმატკბილებოდა მარტოოდენ მისტერ დიუპრეს დამოკიდებულება, მაგრამ იუჯინი საამისოდ მზად იყო. ბევერლის დაკრძალვიდან სამი კვირა რომ გავიდა, მოურავმა მიიღო მოკლე უწყება სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. მან მაშინვე დაურეკა იუჯინს და უთხრა:

– თუ ნებას მომცემთ, მისტერ ჰაზარდ, მინდა მოგახსენოთ, რომ თქვენ ჩემი სამსახური ახლა უფრო გჭირდებათ, ვიდრე ოდესმე დაგჭირვებიათ. ამას კარგად უნდა დაუფიქრდეთ.

– ყველაფერი უკვე ავწონ-დავწონე, – იუჯინი თავისი ტრიუმფით ტკბებოდა. – თქვენ თავისუფალი ბრძანდებით, ძმობილო.

– დაახლოებით ერთი თვე მჭირდება, რათა ყველა საქმე წესრიგში მოვიყვანო.

– კეთილი, იყოს ერთი თვე. მაგრამ დაიმახსოვრეთ, ჩემო კარგო, ახლა მე ვარ თქვენი უფროსი. და პირველი, რაც უნდა მივიღო თქვენგან, – ეს არის ჩეკი ხუთი ათას დოლარზე.

ფული დახარჯულ იქნა იუჯინისთვის ჩვეული ლაზათითა და გაქანებით. საკუთარ თავს აჩუქა ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარი დასვენება ბერმუდის კუნძულებზე. როგორც კი ჩაფრინდა იქ, მყისვე გადაჩქმალა ნიშნობის ბეჭედი, სამკლაური და თავფეხიანად ჩაეფლო სტუმრად ჩამოსული მდიდარი მარტოხელების ზნე-ჩვეულებათა შესწავლაში. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ დიდებულად გაატარებდა დროს ბერმუდებზე?

ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა შინ, სამგლოვიარო სამკლაური ეკეთა სახელოზე და ნიშნობის ბეჭედი – თითზე. ჩამოსვლიდან ერთი საათიც არ იქნებოდა გასული და ერთბაშად ორი ვიზიტიორი ეწვია. ორივენი მიეკუთვნებოდნენ საოლქო პროკურორის უწყებას.

– არაფერი მესმის, – თქვა იუჯინმა. – თქვენ გნებავთ, რომ წამოგყვეთ? მაგრამ ნეტავი რისთვის, რატომ?

– ეს ეხება თქვენს ცოლს, – უპასუხა ვიზიტიორთაგან ერთ-ერთმა. – მისტერ ჰაზარდ, ჩვენ რამდენიმე შეკითხვა უნდა დაგისვათ მისი სიკვდილის გარემოებათა შესახებ.

იუჯინი აცახცახდა. მშვენივრად ესმოდა, ეს არ ეგებისო; იცოდა, რომ ამით თავს გასცემდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ცახცახს. ახლა თვით ოლქის პროკურორი უპირისპირდებოდა. იუჯინმა თავი ველარ შეიკავა და ყვირილი აღმოხდა:

– მე არაფერი მაქვს საერთო მის სიკვდილთან!

– არავის უთქვამს, გაქვთო.

– მაშ რაღას მერჩით?

სტუმრებმა მხრები აიჩეჩეს.

– ჩვენ გვესმის, მისტერ ჰაზარდ, თქვენ ბრძანდებოდით ბერმუდებზე.

– დასვენება მესაჭიროებოდა.

– როგორც ყური მოვკარით, ურიგოდ როდი დაგისვენიათ იქ.

– შეიძლება, შეიძლება. რა ვქნა, გათიშვას ვცდილობდი. და მერე, რა თქვენი საქმეა, რას ვაკეთებდი ბერმუდებზე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რა თქმა უნდა, თქვენ მართალი ბრძანდებით, მისტერ ჰაზარდ! ეს ჩვენი საქმე არ არის. თუკი ამის უკან რაიმე სერიოზული არ იმალება. მაგალითად, მკვლელობა.

– ბევერლის პნევმონია სჭირდა! – იყვირა იუჯინმა. – ფილტვების ანთებით მოკვდა! მე რა შუაში ვარ?

– სხვა ხერხებიც არსებობდა, მამა-პაპებთან ნასასვლელი გზა რომ გეჩვენებინათ. – დააზუსტა ოლქის პროკურორმა. მაგიდაზე გადაიხარა და ხმას დაუწია, ლამის ჩურჩულით უთხრა. – და ჩვენ ვიცით, თქვენ რომელი ხერხიც აირჩიეთ, მისტერ ჰაზარდ. თქვენ გაზით დაახრჩეთ იგი, გან არა? გაზი აუნთებლად ჩართეთ ქურაში და ცოლს იმქვეყნად სამგზავრო ბილეთი გამოუწერეთ. ხომ ასეა?

უეცრად იუჯინმა ასფიქსიის სიმპტომები შეიგრძნო. ტუჩები გაულურჯდა, მკვეთრი სპაზმი სწვდა ყელში და გრძნობაც დაკარგა. როდესაც გონს მოვიდა, ნაიჩურჩულა:

– ღვთის გულისათვის, მითხარით, როგორ მიხვდით?

პასუხი თავის შეკითხვაზე მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც მისი აღიარება ოქმში შეიტანეს და ხელიც მოაწერინეს.

– სიმართლე რომ გითხრათ, მისტერ ჰაზარდ, ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავით. ჩვენ ხელთ გვქონდა ჩვენებანი კაცისა, გვარად დიუპრესი, რომლებიც მკვლელობაში გამხელენ. თქვენ იცნობთ მას?

– მისტერ დიუპრე? – იუჯინს ისევ ეხუთებოდა სული.

– დიახ, დიახ, თქვენს მოურავზე მოგახსენებთ. მან თავაზიანად გვაცნობა ყველაფერი, რაც კი იცოდა თქვენს ურთიერთობაზე ცოლთან. მაგრამ ეს არ გახლავთ მთავარი. სამსახურიდან დათხოვნის წინ თქვენს ქაღალდებს რომ არჩევდა, ერთ ძალზე საინტერესო დოკუმენტს წააწყდა.

– რა იყო ეს, რა იყო? – იყვირა იუჯინმა.

– გაზის ანგარიში. უზომოდ დიდი გამოდგა. ყველაზე დიდი ანგარიში იყო, რომელიც კი თქვენ ოდესმე გქონიათ. გაგვიკვირდა, ასე რამ აახტუნაო. და თავად თქვენ დაადასტურეთ, რომ ამ შეკითხვაზე მართებულ პასუხს მივაგენით.

თარგმნა
**თემურ ღვინერიამ**



ეკა ბუჟიაშვილი

# „მეფე ერეკლეც რომ ცოცხალი იყოს..."

„ბურჯიეროვნებისა" – ასე ჰქვია **როსტომ ჩხეიძის** ახალ ბიოგრაფიულ რომანს, რომლის წარდგინებაც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" სალონში გაიმართა.

ქალბატონმა **მაია ჯალიაშვილმა** როსტომ ჩხეიძის გზა მწერლობაში ჰაგიოგრაფებისას შეადარა და აღნიშნა:

იაკობ გოგებაშვილი ის მოღვაწეა, ვინც აკაკისთან და ილიასთან ერთად, თითქმის კუბოში ჩაჭედილი ერი გადაარჩინა სიკვდილს, დასამარებას და ფეხზე დააყენა ქართველობა.

და, აი, როსტომ ჩხეიძემ ამ წიგნში უამრავ საინტერესო მასალას მოუყარა თავი და გააცოცხლა არა მხოლოდ პიროვნება, არამედ მთელი ის ეპოქა. ეს არის წიგნი წარსულზე და ამავე დროს მომავალზე, იმაზე, თუ რა სულიერი საზრდოთი უნდა ვიცხოვროთ, მამულიშვილებად რომ ვიწოდებოდეთ.

მწერალი ბეჯითად აგრძელებს გზას, რომელიც არანაკლებ მძიმეა, ვიდრე ჰაგიოგრაფებისა, მოწამეთა შესახებ რომ წერდნენ. ამ წიგნების გმირებიც ხომ მოწამენი არიან თავიანთი ქვეყნისა და ერისა. და, თავისთავად, გზაც, რომელიც ბატონმა როსტომმა აირჩია შემოქმედებაში, არის ის, რასაც ქართული მწერლობის სამსახური ჰქვია.

* * *

წარდგინებაზე ბატონმა როსტომმა თავად ისაუბრა წიგნის შესახებ და შეკრებილებს რამდენიმე ეპიზოდიც მოუთხრო წიგნიდან. ზოგიერთს უკვე იცნობს კიდეც „ჩვენი მწერლობის" მკითხველი ვარიანში მოგზაურობის ამსახველი რეპორტაჟიდან. მაშინ მან გორის მუზეუმში შეკრებილ საზოგადოებას უამბო რამდენიმე მღელვარე ეპიზოდი იაკობ გოგებაშვილის თითქოსდა მდორე, უფერული ბიოგრაფიიდან. პირადად ჩემთვის მაშინ ძალზე შთამბეჭდავი იყო 1905 წლის რევოლუციის ამბები – როგორ გაურბის იაკობი ხმალამოღებულ ყაზახს... და თითქოს ხედავ სურათს: მიფრინავენ, მიფრინავენ მისი კალოშები...

ერთი აქეთ, მეორე – იქით.

ამ ეპიზოდს ბატონი როსტომი წიგნის წარდგინებაზეც გაიხსენებს და არანაკლებ შთამბეჭდავი იქნება სალონში შეკრებილთათვისაც. მე კი, ამჯერად, მისი ნაუბარიდან მხოლოდ იმ ამბებს შემოგთავაზებთ, რომლებიც უცნობია ჩვენი ჟურნალის მკითხველისთვისაც:

**როსტომ ჩხეიძე:**

მინდა ორიოდ სიტყვა გითხრათ წიგნზეც, თავად ჟანრზეც... ევროპაში მხატვრულ-დოკუმენტური პროზა ძალზე პოპულარული იყო და ვფიქრობდი, რომ ჩვენთანაც დადგებოდა ასეთი დრო. მგონი ახლა სწორედ ის პერიოდია, როცა ამ ჟანრმა საქართველოშიც მოიპოვა თავისი მოქალაქეობა. მეც ვცდილობ პოპულარიზაცია გავუწიო მხატვრულ-დოკუმენტურ ჟანრებს: ლიტერატურულ პორტრეტს, დოკუმენტურ ნოველას, დეტექტიურ ცდასა თუ ბიოგრაფიულ რომანს, მითუმეტეს, რომ ისინი ჩემი ბუნებისთვის შესაძლოა ყველაზე უფრო მახლობელიც იყოს.

როცა გამოიცა ჩემი წიგნი პავლე ინგოროყვაზე, მაშინვე განვიზრახე, რომ ეს იქნებოდა არა გამონაკლისი, არამედ ნაწილი ციკლისა, რომელსაც უნდა მოეცვა XIX-XX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სურათი, წარმოსახულიყო არა მხოლოდ პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვნება, არამედ ზოგადი ფონიც. „პავლე ინგოროყვას“ შემდეგ გამოიცა რომანები ალექსანდრე ორბელიანზე და ალექსანდრე ყაზბეგზე; „ბურჯი ეროვნებისა“ ამ ციკლის მეოთხე წიგნია და მინდა გითხრათ, რომ კიდევ ორი ბიოგრაფიული რომანი მზად მაქვს გამოსაცემად. ერთი ელიზბარ ერისთავის შესახებ, მეორე კი არჩილ ჯორჯაძეზე.

* * *

იაკობ გოგებაშვილის სახელი ჩემთვის ბავშვობასთან, იმდროინდელ ფიქრებთან და სიზმრებთან არის შეზრდილი. ვარიანი უნდა გაგევლო, ჩემს სოფელში, ყელქცეულში რომ ჩასულიყავი.მამას ძალიან უყვარდა იაკობი და ისე არ ჩავიდოდით მშობლიურ სოფელში, იაკობის სახლთანაც რომ არ გაგვევლო, მისი წყაროები არ გვეპკურებინა.

მამას უყვარდა-მეთქი...

და თუ შეიძლება ზომის დაცვა სიყვარულშიც, ბიძაჩემისთვის, **ავთანდილ ჩხეიძისთვის** იყო ეს სახელი ძალზე ძვირფასი. იგი იყო დაუცხრომელი პოპულარიზატორი იაკობის შემოქმედებისა არა მხოლოდ ჩვენთან, ახალგაზრდებთან, არამედ ყველგან. ათწლეულების მანძილზე გორის განათლების განყოფილებას ხელმძღვანელობდა და პატრონობდა სკოლას, იაკობის სახელს, მის სახლ-მუზეუმს... და არ დაუწერია პუბლიცისტური სტატია, სადაც ეს დიდი მოღვაწე არ დაუმოწმებია. შესანიშნავი მთხრობელი იყო – აქ უფროსი თაობის ადამიანებიც არიან და ეხსომებათ, რომ მაშინ არსებობდა ზეპირი თხრობის ტრადიცია და ბიძაჩემი ამ საქმის დიდოსტატი იყო. ბავშვებს ხშირად გვესაუბრებოდა იაკობ გოგებაშვილზე და ისტორიულ ამბებს რომ გვიყვებოდა, ამასაც იაკობის საყმანვილო ისტორიული ნოველების სტილში. გეგონებოდათ მომსწრე იყო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. ბიძაჩემია შთამაგონებელი ამ ბიოგრაფიული რომანის დაწერისა და ამიტომაც სწორედ მას ეძღვნება ეს წიგნი.

იაკობ გოგებაშვილის ფიგურა კი ჩემთვის ყოველთვის უიგივდებოდა ჰეროიკულ აქტს. როცა ის ძალიან გაამწარეს, როცა იმპერიული რეჟიმი სულს უხუთავდა, რომ როგორმე გამოეძევებინათ სემინარიიდან, დანვა ატესტატი, დიპლომი... იმ ქვეყანაში, სადაც ქაღალდს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს იარაღიც მოიშორა და მარტოკაცი დადგა უზარმაზარი იმპერიის პირისპირ. ასეთ უთანასწორო ბრძოლაში მან გაიმარჯვა – გარუსებული სკოლა გააქართულა, ერი გადაგვარებას გადაარჩინა... და ეს შეძლო კაცმა, რომელიც ბავშვობიდან მძიმე სენით იყო ავად, თუმცა მისიამ, რომელსაც საკუთარი ცხოვრების მიზნად მიიჩნევდა, ესეც დააძლევინა, 70 წლამდე აცოცხლა და ტრიუმფით დაავგვირგვინებინა ჭიდილი იმპერიასთან.

* * *

მუდმივად შეფუთნული დადიოდა, ჯანს დაპკანკალებდა – იცოდა, ბევრი რამ ჰქონდა მოსასწრები და გასაკეთებელი. ხშირად კომიკურადაც გამოიყურებოდა მისი საქციელი.

იყო ასეთი პოეტი – პოლიო ირეთელი.შეხვდა ერთხელ იაკობი და ეუბნება:

– ეგ ფსევდონიმი – „ირეთელი“ – სწორი არ უნდა იყოს, ირეთი კი არა, ჰერეთიაო.

– არა ბატონო, ჰერეთი ვიცი, გადასახლებული რომ ვიყავი ციმბირში, იქ ვცხოვრობდი სოფელ ირეთში და ფსევდონიმიც ასე შევარჩიეო.

ჩაფუთნულა თურმე უცებ იაკობი ციმბირის გაგონებაზე:

– არ უნდა იცოდე, რას ახსენებ ჩემთანო?

ამ ავადმყოფობის გამო იყო, ცოლი რომ ვერ შეირთო. ბოლომდე წუხდა ამაზე, აკაკის შესჩიოდა. არადა, ეშინოდა, მისი მძიმე სენი შთამომავლობაზე არ გადასულიყო და თავს ოჯახის შექმნის უფლებას ვერ აძლევდა, თუმცა კი იყო ადამიანი, ვინც მას ძალიან უყვარდა – დარია მამაცაშვილი, იოსებ მამაცაშვილის – 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილის ქალიშვილი. იოსები სოლომონ დოდაშვილთან ერთად იყო გადასახლებული და იქიდან დაბრუნებულმა დააარსა სალონი, რომელმაც შემდგომში საფუძველი დაუდო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

* * *

კომპოზიციურად წიგნი იწყება არა დაბადებით, არამედ იმ ეპიზოდით, იაკობი მტკვარში რომ იხრჩობს თავს. სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ იკრებს იგი ძალას, იწყებს ბრძოლას მიზნის შესასრულებლად და ერთბაშად ხდება წინამძღოლი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. მისი ყოველწუთიერად გათვლილი, მკაცრი რეჟიმით დაგეგმილი ყოფაც ამ მნიშვნელოვან საქმეს სჭირდებოდა. საოცნებოდ რჩებოდა კახეთში წასვლა.

– მივდივარ, მივდივარო, – გაიძახოდა, მაგრამ გადიოდა წლები და ვერ კი ახერხებდა.

– რა გახდა ამისთანა კახეთში წასვლა, რა შეუძლებელი რამეც ეს არისო, – უკვირდა არტურ ლაისტს.

არტურ ლაისტი დალხინებული ქვეყნის შვილი იყო. მისთვის გაუგებარი იყო, როგორ ან რატომ უნდა გამოგეზომა შენი წუთისოფელი ისე, რომ მძიმე ვითარებაში მყოფი სამშობლოს სამსახურს გასწვდომოდა.

* * *

1905 წლის რევოლუციური ამბების ტალღას იაკობიც აჰყვა, ოღონდ თან მაინცდამაინც არ მოსწონდა ეს სოციალ-დემოკრატები. ისინი, ილიასგან განსხვავებით, იაკობს ერიდებოდნენ, თუმცა მათი შეჯახება მაინც მოხდა – ეს იყო ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების შემდეგ. იაკობი ძალიან პატრონობდა ლოგინად ჩავარდნილ ეგნატეს, ფულს უგზავნიდა, ნაწერების დაბეჭდვაში ეხმარებოდა. პოდა, გამოედავა ფილიპე მახარაძე:

– ეგნატეს სახელზე კი არა, საკუთარ მოგებაზე ფიქრობსო.

აბა, რა ფული უნდა ეშოვნა იმ ნაწერებით, თითქოს არ იცოდნენ, იმ დროს წიგნი შემოსავლის წყაროდ რომ ვერ ივარგებდა. თანაც, ეგნატეს გარდაცვალების შემდეგ მისმა ძმისშვილმა გამოიდო თავი: რაც კი ჰონორარია, ჩემი უნდა იყოსო.

– იყოსო, – უთქვამს იაკობს, – მე არაფერი მინდა, თვითონ ეგნატემ შემომჩივლა თავისი გაჭირვება და მეც ვუპატრონე, სხვა არც არაფერზე მიფიქრიაო.

თუმცა, ფილიპე მახარაძის ცინიკური წერილი მაშინ მაინც დაიბეჭდა. არადა, იაკობი ეხმარებოდა ალექსანდრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგსაც, როცა ის მძიმე სენით დაავადებული საშინელ ყოფაში იყო, ნაწარმოებებსაც გამოუცემდა.

ბუნება იყო ასეთი იაკობ გოგებაშვილისა.

* * *

წლების წინათ ვახტანგ ჭელიძემ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოაქვეყნა წერილი ეტიკეტის და ეთიკის შესახებ. ის წერდა, რომ წინათ საქართველოში სხვა ვითარება იყო, სხვაგვარი მორალი არსებობდა. მაგალითად, სავსებით ბუნებრივი იყო ის, რომ თავადი ილია ჭავჭავაძე გლეხ იაკობ გოგებაშვილს ბატონობით მიმართავდაო. საერთოდ, მიმართვის ასეთი ფორმა ქართულ სინამდვილეში ილიას შემოღებულია. მართლაც, როგორი ვითარებაა – იაკობს ბატონობით მიმართავს ვახტანგ ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი (ბოლოსდაბოლოს, მასზე აღმატებული კაცი იმდროინდელ საქართველოში არ არსებობდა)... მაშინ ვახტანგ ჭელიძე ამბობდა: სადღაც წამიკითხავს ეს, მინახავს ამის დამადასტურებელი დოკუმენტიო, ოღონდ ვერ იხსენებდა სად – ივანე მაჩაბელზე რომ ვწერდი ბიოგრაფიულ რომანს, მგონი იმ მასალებშიო. ეს დოკუმენტი მან ვერ ნახა, მაგრამ ამბობდა: თუნდაც არ არსებობდეს, ხომ ვიცით, რომ ასე იქნებოდა და ყურს არავის მოხვდებოდაო.



როსტომ ჩხეიძე

ბატონი ვახტანგის ეს სიტყვები სულ მახსოვდა და მას მერე, ბიოგრაფიულ რომანებზე მუშაობისას სხვადასხვა მასალას რომ ვეცნობოდი, მუდმივად ვეძებდი ამ საბუთს, მაგრამ ვერ ვპოულობდი. და აი, დავამთავრე „ბურჯი ეროვნებისა", დაიწყო აწყობა, კორექტურის კითხვა და უცებ ვნახე: აკაკი შანიძეს გამოუქვეყნებია თავის დროზე: ქართული ენის დადგენაზე მუშაობენ, კომისიაა შექმნილი და ილია სწერს გოგებაშვილს:

– ბატონო იაკობ, ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე იქნებ კომისიის სხდომაზე მობრძანდეთო.

* * *

ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს სოციალ-დემოკრატიისა და მაშინდელი საზოგადოების ურთიერთობა:

იმ დროს ვითარებას სრულად ფლობდა სოციალ-დემოკრატია, არავინ დაიჯეროს, თითქოს ეს მერე მოხდა. ცხრაასიან წლებში ამ პარტიამ დათრგუნა მთელი საზოგადოებრიობა. იყო სრული ტერორი და ეს განწყობილება იაკობსაც გადმოსწვდა.

მაშინდელ საზოგადოებაში კარჩაკეტილად არავინ ცხოვრობდა, მითუმეტეს იაკობს შიში არ უნდა ჰქონოდა. მას ყველა საზოგადოებრივი ფენა აფასებდა, ისევე, როგორც თავის დროზე ალექსანდრე ორბელიანს, ქურდებისაც კი. იაკობსაც ასეთი გავლენა ჰქონდა მოპოვებული, ერთნაირად ეთაყვანებოდა ყველა. და აი, გვიან ღამით მისი სახლის კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ადგა იაკობი, უნდა გაეღოს კარი, მაგრამ უცებ მიბრუნდა და ფანჯრიდან გაიხედა. ვერ დაინახა ვინ იყო გვიანი სტუმარი და არ გაუღო.

აი, ეს ერთი ეპიზოდიც – სხვა რომ არაფერი ვიცოდეთ – კარგად გვიხატავს მაშინდელ ვითარებას.

* * *

იაკობი უკვე შუა ხნის არის. დიდი სახელი და ავტორიტეტი აქვს. მის მოღვაწეობას ძალიან აფასებს ყველა. და უცებ იგი გადაწყვეტს, მოთხრობა დაწეროს. მალე ქვეყნდება მისი „ივანანამ რა ჰქმნა"... იგი ღელავს ისე, როგორც არასდროს – აინტერესებს, როგორ მიიღებს საზოგადოება. ხუმრობა ხომ არ არის, ამოდენა გავლენა აქვს და უცებ – სხვა ჟანრი. ხომ არ გაუტეხს ეს ყველაფერი სახელს.

აღფრთოვანებით შეხვდება ყველა და ისიც დაიწყებს ისტორიული მოთხრობების წერას.

რამდენიმე დღის წინათ ბატონი ემზარ კვიტაიშვილი იხსენებდა ვახტანგ ჭელიძეს და ჩარლზ დიკენსს – მის „ინგლისის საყმაწვილო ისტორიას", და ამბობდა: ვახტანგ ჭელიძეს ამ თარგზე აქვს მოჭრილი თავისი ისტორიული ქრონიკებიო.

ბატონი ვახტანგი არც მალავდა ამას. თავის ახლობლებს სულ ეუბნებოდა, რომ დიკენსმა ბევრწილად განსაზღვრა ამ წიგნის აღნაგობა და შინაარსი. და მე მაქვს ეჭვი, რომ თავის დროზე იაკობზეც მან იქონია გავლენა. ეს ისტორიული მოთხრობები კიდევ უფრო მეტი რომ დაეწერა, საქართველოს საყმაწვილო ისტორია შეიკვრებოდა. იაკობი დიდი გაქანების კაცი იყო, დიკენსიც ეცოდინებოდა, მითუმეტეს რუსული თარგმანი უკვე არსებობდა და მასაც ყველაფერზე მიუწვდებოდა ხელი.

ცხადია, ეს მხოლოდდამხოლოდ ჩემი ვარაუდია, თქვენ, შესაძლოა გაიზიაროთ, შესაძლოა – არა.

* * *

„ბუნების კარის" დასაწყისში იაკობ გოგებაშვილი აქვეყნებს ოთხ პორტრეტს – მთავარი მგოსნები ქართული ლიტერატურისა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი და ვაჟა-ფშაველა. თავისებური რეიტინგლისტია, რომელსაც, საერთოდ, ყველა გაურბის, ერიდებიან, ზოგს არც ეჭაშნიკება ასეთი ოთხეულები თუ ხუთეულები... უნდა ვაღიარო, რომ პირადად მე ძალიან მომწონს, მითუმეტეს, რომ ამის სათავე არის შოთა რუსთაველთან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამირან დარეჯანის-ძე მოსეს უქია ხონელსა“ – პირველი რეიტინგ-ლისტია (მეოთხე აქ თვითონ არის).

ასეთივე რეიტინგ-ლისტები ჰქონდათ დავით გურამიშვილს, ვახტანგ VI, გალაკტიონს, გიორგი ლეონიძეს... და აი, იაკობმაც შეადგინა. ამ ოთხეულმა დიდი მღელვარება გამოიწვია მაშინდელ საზოგადოებაში. სილოვან ხუნდაძემ წერილიც მისწერა:

– მე ხომ მთელი ცხოვრება ყველა მავიწროვებს და მამცირებს, მაგრამ შენგან ამას არ ველოდი. აკაკი – კარგი, მაგრამ ვაჟა-ფშაველა?! ეს შაირების მწერალი უნდა იყოს და მე არა?! მაგრამ არა უშავს, შთამომავლობა დაალაგებს ყველაფერსო.

შენუხდა იაკობი:

– რას ამბობთ, ბატონო სილოვან, თქვენი დიდი პატივისმცემელი ვარ როგორც პედაგოგის, პუბლიცისტის, მკვლევარისო...

– აჰ, ე.ი. პოეტი არა ვარო...

* * *

ყველაფერი გათვლილი ჰქონდა და სიკვდილზეც ხომ უნდა ეფიქრა.

– ნეტავ სად აჯობებს ჩემი დასაფლავება, მთაწმინდაზე თუ დიდუბეშიო?

თავზარს დასცემდა ეს კითხვა მეგობრებს მოულოდნელობისაგან, თუმცა რჩევით კი მაინც ურჩევდნენ:

– მთაწმინდა მაინც ვერანი ადგილია, ფეხი ნაკლებად ხვდება და დიდუბე აჯობებს ალბათო...

და 1912 წლის 3 იანვარს ლუარსაბ ბოცვაძეს მისწერს პატარა ბარათს:

– დიდუბის ეკლესიის წინამძღოლი დეკანოზი თალაკვაძე ინახულე და სთხოვე ჩემს მაგივრად ნიკო ლოლობერიძის საფლავის გვერდით დამიტოვოს ადგილი, თან ისე, რომ შუაში ვიწრო გასასვლელი დარჩეს, რომ ჩვენს შორის ვინმე ოხერი არ ჩაეჩხიროსო.

დიდუბეში დაასაფლავებდნენ.

ოღონდ დრო მაინც თავის ადგილს მიუჩენდა მის სამარეს.

სიკვდილისწინა დღეებში ძმისწულს, შალვას მიმართავს:

– მოვრჩი ჩემი სამსახური ხალხისათვის, მისი სიკეთისათვის. რაც რჩება ჩემი სიკვდილის შემდეგ, დიდი ნაწილი ხალხსავე უნდა მოხმარდეს. მგონი, ნათესავებიც არ დავემდურებით, ცოტ-ცოტა ყველას გავაწვდინე. მხოლოდ ის მაფიქრებს, წერა-კითხვის საზოგადოებამ კარგად მოუაროს „დედაენას“ და გონივრულად მოიხმაროს მისი შემოსავალი. თუ ახლა სიკვდილს გადავურჩი, შეიძლება ცოტა შესწორება შევიტანო ამ მხრივ და შენ, როგორც ეკონომისტი, ამ საქმეში დამეხმარები. „დედაენა“ კი დიდი რამეა ჩვენი ერისთვის. მეფე ერეკლეც რომ გვყოლოდა, ეს სახელმძღვანელო ისეთივე იქნებოდა, როგორიც დავტოვე ამ ბოლო დროსო.

იაკობს საამაყოდ ჰქონდა, რომ თავისუფალი ქვეყნის შესაფერისი სახელმძღვანელო შეექმნა. დამოუკიდებელ სახელმწიფოში რაზეც უნდა გაზრდილიყვნენ ახალგაზრდები, იმ სახით აღესრულებინა ჩანაფიქრი და არანაირ კონიუნქტურისათვის არ გაეწია ერთიბეწო ანგარიშიც.

ჯავრად არ დარჩენოდა: იმპერიის მარწუხები, ულმობელი წნეხი რომ არაო...

არაფერი სჭირდა თავის სამართლებელი ისტორიის წინაშე.

* * *

და კიდევ ერთი ეპიზოდიც:

იაკობი უკანასკნელ დღეშია. ლოგინს მიჯაჭვული სასიკვდილოდაა გადადებული. აკაკის შესჩივლებენ:

– მძიმედ არის იაკობი, დიდხანს ვერ გაატანსო.

– არ დაიჯეროთო, – პასუხობს აკაკი, – ყველაფერი რომ დაიჯეროთ, ეგ – არა! რაც მაგას ვიცნობ, სულ კვდება, რამდენჯერ გამოვიტირე, მაგრამ მეორე წუთს სალსალამათი მხვდებოდა. აი, ნახავთ, ყველას გაგვისტუმრებსო.

ძალიან მინდოდა ეს ფრაზა გამეთამაშებინა, თითქოს თავისთავად გიწვევს საამისოდ. და, აი, გარდაიცვლება იაკობი, მისტირის მთელი ერი, რა გვეშველებაო, – შესჩივიან აკაკის. ის კი:

– არ დაიჯეროთ, ცოცხალიაო.

და, კაცმა რომ თქვას, მართლაც რა დასაჯერებელია.

* * *

კითხვა დარბაზიდან:

– ბატონო როსტომ, რამდენ ხანს წერდით ამ ბიოგრაფიულ რომანს?

– ოთხი თვე და მთელი ცხოვრება, ისე, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე.

* * *

წიგნის წარდგინებაზე შეკრებილ საზოგადოებას ბატონმა **სოსო ჭუმბურიძემ** ასეთი რამ ამცნო:

– მინდა ერთი სასიამოვნო ინფორმაცია მოგაწოდოთ: საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი განვითარების ცენტრთან, რომლის ხელმძღვანელია მეუფე სტეფანე, ჩამოყალიბდა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება (თავმჯდომარეა მამა **კონსტანტინე გიორგაძე**, თანათავმჯდომარე **გიორგი გოგოლაშვილი**). მისი მიზანია იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის დაცვა, „დედაენის“ ეროვნულ მემკვიდრეობად გამოცხადების საკითხის სახელმწიფოებრივ დონეზე დაყენება, ქართული ენის ომბუდსმენის ფუნქციის შესრულება.

ის, რომ ამ საზოგადოებას სათავეში მამა კონსტანტინე უდგას, თავისთავად ბევრს ნიშნავს – მის ბიოგრაფიას ხომ საეკლესიო მოღვაწეობის გარდა, საერო საქმიანობის არაერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ამშვენებს. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ქართული სკოლის გახსნა სანკტ-პეტერბურგში.

რაც შეეხება თანათავმჯდომარეს, ბატონ გიორგი გოგოლაშვილს, მას ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს. თუ ამ ბოლო წლებში ვინმეს უბრძოლია თავგამოდებით ქართული ენის დასაცავად, ერთ-ერთი პირველთაგანი ბატონი გიორგია.

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება ბევრ საინტერესო პროექტს გეგმავს და აქ შეკრებილთაგან ყველას ისურვებდა თავის წევრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მამა კონსტანტინე გიორგაძე:**

იაკობ გოგებაშვილი ძალზე დიდი ფიგურაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. საქართველო ყოველთვის იმაზე იდგა, რის გადარჩენასაც ამ დიდმა მოღვაწემ მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა, და მერეც ამით გააგრძელებს არსებობას ის ყველაფერი, რასაც საქართველო ჰქვია.

გარდა ამ საზოგადოებისა, გვაქვს მასთან არსებული გამომცემლობა „დედაენა", თავისი ლოგოთი. აქ მომზადდა „დედაენის" უნიკალური გამოცემა, რომლის შესახებაც პედაგოგები ამბობენ: გარდა იმისა, რომ ეს ქართული საქმეა, რაღაცნაირი, სხვანაირი მადლი გადმოდის ამ წიგნიდანო.

ბატონო როსტომ, თქვენ თქვით: იაკობს ჭლექი ჰქონდა, სულ ავად იყო, მუდმივად სიკვდილს ებრძოდა, მაგრამ ამ ჭიდილში 70 წელს მიაღწია და თავისი საქმე გააკეთაო. ეს ყველაფერი მან უფლის ანგელოზის, თავად უფლის დახმარებით შეძლო. თუ გავიხსენებთ ჩვენს ისტორიას, ასეთი შემწეობის მაგალითებს უამრავს ვნახავთ. როცა ძალიან გვჭირდებოდა, ღმერთი ყოველთვის ჩვენთან იყო. ეს ყველაფერი იმის მანიშნებელია, რომ საქართველო კვლავ და კვლავ იტყვის თავის სათქმელს, აი, ასეთ უცნაურ და ქაოტურ დროშიც კი, როცა თითქოს სიტყვა ფასს კარგავს. მჯერა, ის წიგნიც გაიკვლევს თავის გზას, თქვენ რომ დაწერეთ და ჩვენი საზოგადოებაც, იაკობ გოგებაშვილის სახელს რომ ატარებს.

„დედაენამ" კი...

„დედაენა" უკვე დიდი ხანია თავისი გზით მიდის.



ნინო ვახანია

# თორმეტი დღის მარადისობა

რა არის ჩვენი სიცოცხლე? რისთვის მოგვავლინა ღმერთმა ამქვეყნად? რა გვევალება, რა დანიშნულება გვაქვს? ღირს კი ეს სოფელი იმად, რომ კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა? ამ მარადიულ კითხვებზე პასუხის გაცემის კიდევ ერთი ცდაა ერიკ-ემანუელ შმიტის მოთხრობა „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი", რომელიც, როგორც წარწერა იუწყება, ეძღვნება დანიელ დარიეს. ეს შესანიშნავი ნაწარმოები ფრანგულიდან თარგმნა მერაბ ფიფიამ.

ორიგინალური ფორმისა და შინაარსის მოთხრობაში ავტორს საკაცობრიო პრობლემები თავისუფლად, მსუბუქად, ხან ლაღი იუმორითა და ხან სერიოზული განსჯით, ოღონდ ყოველთვის ძალდაუტანებლად მოაქვს მკითხველამდე.

მაინც რა არის ადამიანური ყოფის მთავარი მიზანი? აქვს კი იგი გაცნობიერებული ყველას ან თუნდაც ვინმეს? თუ მაინც შევთანხმდებით, რომ საბოლოო მიზანი სულისთვის ზრუნვა, სულის განწმენდა, ამაღლება და ამ გზით ღმერთთან მიახლებაა, პასუხგაუცემელ შეკითხვებად რჩება: რა დრო, სიცოცხლის რა მონაკვეთი სჭირდება ან ყოფნის ადამიანს საამისოდ? ასი წელი, ორასი, რვაასი, მეტი თუ ნაკლები? რომელია რეალური სამყარო – ფიზიკური თუ წარმოსახვითი? და სხვა და სხვა.

შმიტის მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, ოსკარი, ათი წლის ბიჭუნაა, რომელიც განუკურნებელი სენითაა შეპყრობილი, ცხოვრობს საავადმყოფოში, როგორც თვითონ ამბობს, მხიარული ხალხით დასახლებულ დაწესებულებაში და სიცოცხლის თორმეტი დღელა დარჩენია. თავს დამნაშავედ გრძნობს იმის გამო, რომ ცუდი ავადმყოფია („მე ვარ პაციენტი, რომელიც ხელს უშლის იმის აღიარებას, რომ მედიცინა შესანიშნავი რამ გახლავთ..."). ბიჭი წერილებს სწერს ღმერთს და ამ ნაწერებში აისახება მთელი მისი თავგადასავალი, განცდა, გრძნობა, დამოკიდებულება ღმერთთან, მშობლებთან, სატრფოსთან, მეგობრებთან, საერთოდ, ადამიანებთან. თუმცა ბიჭი დამოუკიდებლად მიდის დასკვნამდე, რომ „წერა მხოლოდ... სიცრუის შელამაზებაა და მეტი არაფერი", მაინც წერს.

იდეა მიაწოდა და მის განხორციელებაში დაეხმარა მომვლელი ქალი, ვარდისფერი ქალბატონი (რომელიც მარტო ტანსაცმლის ფერის გამო არ არის ვარდისფერი) – დედა-როზა.

„კვერცხთავა" ოსკარი დარწმუნებულია, რომ ნამდვილ საავადმყოფოს არაფერი საერთო სინამდვილესთან არა აქვს. ყველას ავიწყდება, რომ საავადმყოფოში მარტო განსაკურნებლად კი არ მიდიან, არამედ იმისთვისაც, რომ მოკვდნენ. სიკვდილის გაგონებაზე აქ ყველა ნაყრუებას ამჯობინებს, ყველას აშინებს ეს სიტყვა და მის მიღმა დაფარული ბუნდოვანება. ექიმები თავს დამნაშავედ გრძნობენ ათი წლის ბიჭუნას წინაშე იმის გამო, რომ მისი განკურნება არ შეუძლიათ.

მხოლოდ სათნო და გულისხმიერი ქალბატონი ბედავს ბავშვისთვის სიმართლის თქმას და ცდილობს, დაეხმაროს, შეუმსუბუქოს დარჩენილი 12 დღის სიცოცხლე. „ადამიანებს ავიწყდებათ, რომ წუთისოფელი წამიერი, ხანმოკლე და წარმავალია. ჩვენ ყველანი თავს ვიკატუნებთ და ვიჯერებთ, რომ უკვდავნი ვართ". დედა-როზა ღვთის რწმენასა და სასოებას უნერგავს პატარა პაციენტს და ამით მისი სულის გადარჩენაზე ზრუნავს. „ყოველ ჯერზე, როცა ინამებ, ის უფრო და უფრო დიდხანს იარსებებს, თუ გულს არ აიცრუებ, ის მარადიული გახდება. ღმერთი შვებას მოგგვრის".

ბიჭისთვის შვების მოგვრას მომვლელი ქალბატონი მომხიბვლელი ტყუილითაც ცდილობს. – კეტჩისტი ვიყავიო, – ართობს დედა-როზა ბიჭს და საინტერესოდ უყვება გამოგონილ, შეთხზულ, წარმოსახულ ამბებს, არადა, კეტჩისა არაფერი გაეგება. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მიზანი ხომ ოსკარის გამხნევებაა, მისი გრძნობებისა და ემოციების გამოწვევა და არა კეტჩის შესახებ პროფესიული საუბარი. კეთილშობილური განზრახვა აღსრულებულია. პატარას ეჭვიც კი არ შეაქვს მოსმენილის სიმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თლეში და ექმნება სრული შთაბეჭდილება, რომ თვითონაც ესწრება და შეჰყურებს ამ დაძაბულ ორთაბრძოლებს, სადაც, რა თქმა უნდა, ღმერთის და ბიჭის მეგობარი, ვარდისფერი დედა-როზა იმარჯვებს.

„ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს რინგზე მე ვდგავარ. ამ დროს ძალა მემატება და ჯავრს ვიყრი ხოლმე," – ასეთ ზემოქმედებას ახდენს მასზე მონათხრობი.

„კვერცხთავა" 1 დღეში 10 წელს იცხოვრებს და განცდებს ღმერთს გაუზიარებს, – ასეთი თამაში შესთავაზა მომვლელმა ქალმა. ოსკარი ხალისით აჰყვა მას და, ჰოი, საოცრებავ, მან მართლა იცხოვრა თითო დღეში ათი წლის სიცოცხლით (მაინც რომელია ნამდვილი – რეალური თუ წარმოსახვითი?). გარდატეხის ასაკი ცოტა რთულად გაიარა. როგორც ხდება ხოლმე, მასაც შეუყვარდა. მისი რჩეული ცისფერი გოგონა, პეგი ბლუ იყო. მანაც სხვა ჯანმრთელი და საღ-სალამათი ჭაბუკებივით იეჭვიანა, ულალატა, იჩხუბა სიყვარულის გამო და ცისფერ გოგონას მთელი გულით მიენდო. რა პოეტური და ამაღლებულია ოსკარის განსჯა საყვარელი გოგონას უჩვეულო ფერის გამო. ის, რაც ჩვეულებრივ ადამიანებს, მათ შორის ექიმებსაც, უშნო, ანომალიური, ავადმყოფური ჰგონიათ, ასე მოსწონს ბიჭუნას. ექიმები იმედოვნებენ, რომ ოპერაციის შემდეგ გოგონას ნორმალური ფერი დაუბრუნდება, სუფთა და ნათელი სულის ოსკარისთვის კი სიცისფრე ბევრად უფრო მომხიბვლელი და მიმზიდველია.

ჩუმი, წყნარი პეგი თანახმაა, ის მოჩვენებებისგან ოსკარმა დაიცვას. ოსკარი გამარჯვებულია, ამის გამო – გაამაყებულიც. წარმატება მიღწეულია და ქალ-ვაჟის დაქორწინებასაც წინ ალარაფერი ელობება. თავისებურად იქორწინა ოსკარმა პეგიზე, თუმც ბავშვურად, მაგრამ ისე, რომ არ დაკლებია გრძნობა, განცდა იდუმალებისა, მშვენიერებისა, ამაღლებისა, საყვარელ ადამიანთან ერთ სულ და ერთ ხორც არსებობისა. ბედნიერია ბიჭუნა. სხვა რაა ადამიანური ცხოვრების მიზანი და დანიშნულება?

დედა-როზას დახმარებით მან ღმერთი შეიცნო. ადამიანებისთვის ტანჯული, ჯვარცმული, უბედური ღმერთი.

ვარდისფერი ქალბატონის ერთი შეგონება ასეთია: „ორი სახის ტანჯვა უნდა განასხვავო ერთმანეთისაგან, ჩემო პატარა ოსკარ. ფიზიკური და სულიერი ტანჯვა ერთმანეთში არ უნდა აურიო. ფიზიკურს იტან, სულიერს კი თავად ირჩევ... ვერავინ გაექცევა ტანჯვას – ვერც ღმერთი და ვერც შენ. ვერც შენი მშობლები და ვერც მე".

თავისებური, რთული დამოკიდებულება აქვთ მშობლებს ავადმყოფ შვილთან. ისინი ცდილობენ, დაუმალონ სიმართლე ბავშვს, არ დაანახონ თავიანთი მწუხარება. მის სიყვარულს იმით ავლენენ, რომ არ ელაპარაკებიან სიკვდილზე, გარდაცვალებაზე, სულზე, ღმერთზე. ეშინიათ. ოსკარმა შეიძულა ისინი სილაჩრისა და გაუბედაობის გამო. დედა-როზამ კი ტაქტიანად, ზედმეტი შენიშვნებისა და მითითებების გარეშე მოახერხა მასში სიძულვილის ჩაქრობა. უფრო მეტად შეიძულეო, – ურჩია. ეს სიძულვილი შენთვის სალღონელი ძვალივით იქნებაო. იცის ღვთისნიერმა ქალბატონმა, რომ მთელი კაცობრიობის სიყვარულს ასწავლის ბიჭუნას. ისიც რამდენიმე დღეში ისე შეიცვალა, ისე მიეახლა ზეციერს, რომ ზოგი მთელი სიცოცხლეც ვერ ახერხებს ამას.

თამაშის დაწყების პირველ დღეს, როცა დედა-როზამ უთხრა: „ოსკარ, შეგიძლია სხვების მფარველობაც შესთხოვო (ღმერთს)", ბიჭის სრულიად ბუნებრივი პასუხი იყო: „დღეში ერთი სურვილი მაქვს, დედა-როზა, რას მიედ-მოედებით! ამ უფლებას ჯერ ჩემთვის დავიტოვებ". გავიდა სულ სამიოდე დღე (თუ 30 წელი) და მე-4 წერილის ბოლოს ოსკარი ღმერთს საყვარელი გოგონას გადარჩენას სთხოვს: „იქნებ შეძლო, რომ ხვალ პეგი ბლუს ოპერაციამ მშვიდობით ჩაიაროს". სხვისთვის ლოცვა ხომ სულის გამწმენდი და გამამშვენიერებელია. ამაზე ფაქიზი და სასურველი ჯერ არაფერი შეუქმნია ყოვლის შემოქმედს.

რა არის სიცოცხლე? სიკვდილი? რწმენა? ღმერთი? შეიძლება ამ სიტყვების ახსნა რომელიმე ლექსიკონში იყოს? რატომაც არა, ხომ არსებობს ფილოსოფიური ლექსიკონი, სამედიცინო ლექსიკონისაგან განსხვავებით, იქ უთუოდ იქნება ახსნილი ამ სიტყვების მნიშვნელობა. ოსკარი აუცილებლად ნახავს მას და ზუსტად ეცოდინება რა რა არის". სხვის სულში მწვდომი დედა-როზა არც ამჯერად უიოლებს საქმეს, მოტყუებისა და ენის მოჩლექის გარეშე ეუბნება: „სიტყვა „სიცოცხლეს" არაერთი განმარტება აქვს... ყველაზე საინტერესო კითხვები ისევ და ისევ კითხვებად რჩება; კითხვები საიდუმლოს მალავენ. ყოველ პასუხს აუცილებლად უნდა დაურთო „შესაძლოა". მხოლოდ უინტერესო კითხვებს მოეპოვებათ პასუხი".

დედა-როზას დახმარებით ბიჭმა გაიგო, რომ სიცოცხლე საჩუქარი კი არ ყოფილა, არამედ – ვალი. მიხვდა იმასაც, რომ ღმერთი სადღაც ახლომახლოა და თავის საიდუმლოს გვიზიარებს.

ოსკარმა იზრუნა მშობლებსა და დედა-როზაზე. დაინდო ისინი და მაშინ გარდაიცვალა, როცა უფროსები ყავის დასალევად გავიდნენ.

ოსკარმა გაახალისა და სიცოცხლე გაუთბო დედა-როზას. მანვე ჩაუსახა ღვთის რწმენა მომვლელ ქალსაც, მშობლებსაც, ექიმებსაც და ჩვენც – მკითხველსაც. მარადისობად ქცეულმა თორმეტმა დღემ გაზარდა სულიერად და გონებრივად ოსკარი (მან ხომ წარმოსახვით 120 წელი იცხოვრა). მასთან ერთად გავიზარდეთ, ავმაღლდით და განვიწმინდეთ ჩვენც.

ამ წიგნს სიამოვნებით გაეცნობა ნებისმიერი ასაკის მკითხველი – ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებული ადამიანიც და ყმაწვილიც, რომელიც ეს-ესაა იწყებს სამყაროს შეცნობას (თუ ვერშეცნობას). ოსკარის თავგადასავალი, „პოეზიით ალსავსე და იუმორით გაჟღენთილი" თორმეტი დღე გულგრილს არავის დატოვებს.

## რედაქციისაგან

თუ რომელიმე თხზულებაა გახმაურებული თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში, მათ შორის ერთი პირველთაგანი ბელგიელი მწერლის ერიკ-ემანუელ შმიტის „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი", რომელზეც უკვე ქართველ მკითხველსაც მიუწვდება ხელი მერაბ ფიფიას წყალობით.

ეს არის ჩვენი სამწერლო და საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენა, რომელსაც ჩვეული ოპერატიულობითა და პროფესიონალიზმით გამოეხმაურა გაზეთი „რეზონანსი" ლელა ოჩიაურის სტატიით „ეს ნანარმოები ყველამ უნდა წაიკითხოს" (2007, 17 ოქტომბერი).

და მართლაც რწმუნდები, რომ სათაური ოდნავადაც არ არის გადაჭარბებული.

ამასთან, სტატიაში უხვადაა ცნობები ჩვენთვის ახალაღმოჩენილ, არადა, მსოფლიოში სახელგანთქმულ მწერალზე, ვისი მხატვრული ქმნილებანიც აქამდე 40 ენაზე იყო თარგმნილი და ახლა ქართული ენაც შეემატა.

შმიტის ნოველებსა და რომანებს ელვისუსწრაფესად იტაცებენ.

პიესებს გამოქვეყნებისთანავე დგამენ ევროპისა და ამერიკის თეატრები.

თავზე აბერტყავენ პრემიებსა და ჯილდოებს, თუმც განზე დგომას ამჯობინებს ლიტერატურული და პოლიტიკური წრეებისაგან.

ყველაზე წარმატებული მის მრავალრიცხოვან თხზულებათაგან აღმოჩნდა ციკლი, საერთო სახელწოდებით „უხილავი", რომელშიც შევიდა მსოფლიო რელიგიათა თემაზე შექმნილი ნაწარმოებები:

„მილარეპა" – ბუდიზმზე;
„ბატონი იბრაჰიმი და ყურანის ყვავილები" – სუფიზმზე;
„ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი" – ქრისტიანობაზე;
„ნოეს ბავშვი" – იუდაიზმზე.

შმიტმა მიაღწია იმ რანგს, რომ მის ქმნილებებს ერთნაირი გატაცებით კითხულობენ ყველა თაობის მკითხველები – ვთქვათ, ჯონათან სვიფტის, დანიელ დეფოს, უოლტერ სკოტის, მარკ ტვენისა თუ ჯერომ სელინჯერისა არ იყოს.

ლელა ოჩიაურის სტატია გვაწვდის ერთ საგულისხმო ცნობასაც:

ლიტერატურულ ჟურნალს „ილიდ" (კითხვა) გაუმართავს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა თემაზე: ლიტერატურული ნაწარმოებები, რომელთაც თქვენი ცხოვრება შეცვალეს. პასუხად დასახელდა: ბიბლია, „სამი მუშკეტერი", „პატარა უფლისწული" და „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი".

და კიდევ ერთი ვიკმაროთ, თორემ ასე ნელ-ნელაობით მთელი სტატიის გადმოწერა მოგვიხდება:

ერთხელ წიგნის მაღაზიიდან გამოსულ ერიკ-ემანუელ შმიტს ბავშვი მისჭრია და უთხოვია: თუ შეგიძლიათ, ჩემ წიგნზე ხელი მომიწეროთო? თურმე „ოსკარისა და ვარდისფერი ქალბატონის" წაკითხვა ფრანგულის გაკვეთილზევე მოუსწრია.

შმიტი აღფრთოვანებულა: მწერლისათვის იმაზე დიდი შექება, რაც ამ ბავშვისაგან მოვისმინე, ჩემი ნაწარმოები ერთბაშად რომ „გადაუყლაპავს", არც არსებობს, ეს არის ნამდვილი ბედნიერებაო.

ამ წიგნის პირველად წაკითხვის ბედნიერების განცდა ჩვენ მკითხველებს წინ ელოდებათ, მითუმეტეს, თარგმანი შესანიშნავია, ლაღად მდინარი და შინაგანად დამუხტული, და გვიკვირს მერაბ ფიფიას განათლების, გემოვნებისა და ნიჭიერების პიროვნებისაგან, თარგმანს თარგმანზე რომ არ ახვავებს.

თუმც აგერ შმიტის კიდევ ერთი თხზულებაც უთარგმნია ამავე ციკლიდან „ბატონი იბრაჰიმი და ყურანის ყვავილები", ის ორიც განუზრახავს და, წარმატებით შეგულიანებულმა, იქნებ მართლაც დაგვილაგოს თვალსაჩინო ფრანგული წიგნები.

ვულოცავთ

# შოთა რუსთაველის სტიპენდია მეცნიერთათვის

სსიპ – „ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდმა (რუსთაველის ფონდმა)" გამოავლინა 2007 წლის 28 ნოემბერს მეცნიერთათვის შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგები.

კონკურსი მიზნად ისახავდა იმ მეცნიერთა (დოქტორები ან / და მათთან გათანაბრებული პირები) წახალისებას, რომლებიც მუშაობენ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითსა ან / და აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული, სოციალური ან ეკონომიკური მეცნიერებების განხრით და გამოირჩევიან აქტიური და წარმატებული სამეცნიერო საქმიანობით.

საკონკურსო შერჩევის საფუძველზე 2008 წლის იანვრიდან ერთი წლის მანძილზე 5 მეცნიერი მიიღებს ყოველთვიურ სტიპენდიას 400 ლარის ოდენობით. კონკურსანტთა შესარჩევი კრიტერიუმები იყო: კონკურსანტის აქტიურობა, მონაწილეობა საერთაშორისო გრანტებსა და კონფერენციებში, პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში.

2007 წელს, სულ კონკურსის შედეგად, დარეგისტრირდა 16 განაცხადი. სსიპ – „ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის)", საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და აკრედიტებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლების ერთობლივმა საკონკურსო კომისიამ შეარჩია 5 საუკეთესო აპლიკანტი, რომლებიც დაამტკიცა ფონდის სამეცნიერო საბჭომ.

*ლიტერატურის თეორია*

**ირმა რატიანი** – შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგია.

*ფილოლოგია*

**ვახტანგ იმნაიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

*ხელოვნებათმცოდნეობა*

**კიტი მაჩაბელი** – გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი.

*ისტორია*

**გოჩა საითიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

*რუსთველოლოგია*

**ელგუჯა ხინთიბიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ალხაზიშვილი

# შთაბეჭდილებათა ნაკვალევი

## ზოგიერთი საქმეში ჩაუხედავი მოყვარულისთვის!

„ლექსის ანყობა" იცოდა წარსულში ყველა კულტუროსანმა ადამიანმა, მაგრამ ისინი პოეტები არ იყვნენ. „ლექსის ანყობა" ვინც იცის, არ ნიშნავს, რომ ის პოეტია. „ლექსის ანყობა" არ იცის ბევრმა ნიჭიერმა და უნიჭო

ლექსის მწერალმა და ვერსიფიკაციის არცოდნა არ ნიშნავს, რომ ისინი პოეტები სწორედ ამიტომ არიან.

ვერსიფიკაციის სწავლა შეიძლება, პოეტობის – არა. როცა ვოკალისტს ხმა აქვს, მისი დამუშავება აუცილებელია, როცა ხმა არ გააჩნია, მაშინ უაზრობაა. ახლა ზოგი ფიქრობს, რომ ლექსის დასანერად არაფრის სწავლა არაა საჭირო, არც მსოფლიო ლიტერატურული გამოცდილების, არც სწორი გრამატიკული ფორმების, საერთოდ არაფრის. მთავარია, როგორც გინდა ისე ამოილუღლუღო მხოლოდ სხეულებრივი იმპულსები. ვისაც ასე სჯერა, დაე ასე გააგრძელოს. ასეთ „შემოქმედებით" ანარქიას „ავტოფსიქოთერაპია" ჰქვია.

რაც შეეხება სულის განსაკუთრებული მდგომარეობის პერმანენტულობას, უწყვეტლობას, იგი ყოველთვის აქვთ ფსიქიკურად დაავადებულ „ავტორებს", რომლებზეც წერდნენ ფსიქიატრები, და რომლებსაც ინტენსიურად მკურნალობდნენ. დროდადრო აქვთ პოეტებსაც, მაგრამ სხვაობა მათ ნაწერებს შორის ის არის, რომ პოეტთა ტექსტები უფრო ლოგიკურია და მთლიანი, ხოლო ავადმყოფებისა – სრული აბდაუბდაა, სადაც დროდადრო გაკრთება ხოლმე გენიალური ხილვებიც კი.

სულის განსაკუთრებული მდგომარეობის პერმანენტულობამ არაერთი ნიჭიერი ადამიანი იმსხვერპლა. ვინ დაადგინა, რომ ჰარმონიული სულის ადამიანი ნაკლები პოეტია, ვიდრე დემონიზმით შეპყრობილი? უვიცობა ჩემთვის ყველაზე სამარცხვინო პროვინციალიზმია.

ამ თემაზე მეტს არ შევჩერდები, რადგან ოდნავ განსწავლულმა ადამიანმა არ უნდა დასვას შეკითხვა არცოდნის მხარდასაჭერად. ამასთან, მსგავსი შეკითხვის ავტორთან საუბარი აკვიატებასთან საუბარი გამოვა და არა არგუმენტებთან. დასაბამიდან ცნობილია, რომ არსებობენ პოეტები ღვთით, ხოლო მეორენი დემონით. დიდი პოეტები იქაც და აქაც არიან. რომელ გზას აირჩევს ავტორი, მისი ნებაა. კონვენციური ლექსი არ სჯობს ვერლიბრს, ვერლიბრი კონვენციურს. მთავარია, ჭურჭელში რა ასხია – მთხლე თუ ნამდვილი ღვინო?!

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა" №2

ამჟამად ამერიკის საუნივერსიტეტო ლიტგაერთიანებებში კონვენციური ლექსის გამოცოცხლება შეინიშნება. ჩვენში ეს ერთი საუკუნის მერე ჩამოაღწევს. პოეტი ნებისმიერ სალექსო ფორმას უნდა ფლობდეს, მაგრამ ყველა ელიოტი ან ოდენი ვერ იქნება.

•˙•

კონტექსტიდან ამოგლეჯილი სიტყვების ჯამია ლექსიკონი, რომლის კითხვაც ძალიან მიყვარს.

რაც შეეხება ჩემი აზრის დამონმებას, მგონი არასწორად გაიგე: თუ კონტექსტს გავაუკუღმართებთ, იმავე სიტყვებით მივიღებთ მკრეხელობას, მაგრამ ეს ლექსი შესაძლოა ბოლომდე მკრეხელური იყოს იმ მკითხველისთვის, რომელიც სიტყვების გამოყენებაზე ანესებს ლიმიტს და ლექსიკას ყოფს ბინძურ და სუფთა სიტყვებად. წარმომიდგენია, რა რეაქცია გექნებათ პოეზიაში სლენგის გამოყენებაზე.

რას ნიშნავს ბინძური ლექსი? აბა, ჩაიხედე „ვეფხისტყაოსანში", გულდასმით წაიკითხეთ გურამიშვილის „ქაცვია". ალარაფერს ვამბობ ხალხურ პოეზიაში სკაბრეზზე.

მთავარია პოეზიის ხარისხი და არა ცალკეული სიტყვები.

•˙•

ეს, ფაქტობრივად, ნარატივია, პოეზიით გაჯერებული. ბავშვობის ეპიზოდი – შამპუნით აცრემლებითა და აბაზანაში ჩაკეტვით, მაგრამ არცერთი სიტყვა არაა ნათქვამი, ამ უცნაური განმარტოების მიზეზზე, და აქ არის ჩამალული მთელი მუღამი ამ ლექსისა. ყოველივე ამის ფონზე – ფინალი – კარადისა და კაბით აუტირებლობის შესახებ, უფრო აძლიერებს თავდაპირველ ემოციას და განასრულებს კიდეც ლექსს. ყოჩაღ ადილია და ნათია!

ერთი შეკითხვა: ორიგინალში როგორია რიტმი, ალბათ თავისუფალი, მაგრამ შეუბორკავი, არა? როგორც წესი, დასავლურ ვერლიბრში, ენის თავისებურებიდან გამომდინარე, რაღაც დონეზე რიტმი ფუნქციურია და არ არის ისე „თავისუფალი", როგორც ქართულში, ანუ სრულიად უფუნქციო.

ჩემს შეკითხვაში პასუხიც იგულისხმებოდა. იმიტომ გკითხე, რომ ყურადღება გაგემახვილებინა ქართულ ვერლიბრში/არაერთ ავტორთან/

რიტმის სრულ იგნორირებაზე, რაც გაუმართლებელ ინერციად მიმაჩნია.

ქართულში სუსტია მახვილი, რაც განსაკუთრებით თავს იჩენს ვერლიბრში და, ამდენად, აუცილებელია მისი კომპენსირება სტრიქონიდან სტრიქონში რიტმული გადასვლით.

## პასუხი ახალგაზრდა პოეტს

ჩემს შემოქმედებაზე არაერთ პროფესიონალს გამოუთქვამს თავისი შეხედულება ბეჭდურად და ზეპირადაც, მაგრამ, ვაღიარებ, რომ არავის ასე ღიად და გულწრფე-

ლად არ გამოუხატავს თავის აზრი. ამ თვალსაზრისით შენი ნააზრევი ჩემთვის ძალიან საყურადღებოა. თითქოს უახლესი ლიტერატული თაობის განზოგადებული აზრი ჩამესმის, რომელსაც პატივით ვეკიდები, რადგან ეს არის უწყება, რომლის მიყურადება აუცილებლობად მიმაჩნია.

ესთეტიკური კლიშეებისა და შეხედულებების ბუნებრივი მსხვრევის ეპოქაში, ღირებულებათა გადაფასების მტკივნეულ პროცესში,ზოგჯერ ხელაღებით უარყოფენ იმასაც კი, რასაც მომავალში თვითონვე დაუბრუნდებიან ან სხვაგვარად შეხედავენ.

შენ საუბრობ ჩემს ახალ წიგნზე და მეუბნები, რომ უმეტესობა ლექსებისა მოგწონს და რამდენიმე ზეპირადაც ისწავლე, თან იმასაც შენიშნავ, რომ ზოგიერთი ლექსი მოხუცის დაწერილია, უმრავლესობა კი ჭაბუკის. ვერ შეგედავები, რადგან წიგნში შეტანილი ფსალმუნური ლექსები რელიგიური ხასიათისაა და სიბერე არაფერ შუაშია. ამ ტიპის ლექსები სულიერი წონასწორობისას ჩნდება და იმ სიმშვიდის მატარებელია, რასაც გრძნობს ავტორი ლოგოსთან სულიერი მიახლოებისას, რადგან იგი გარიდებულია „დროებითი რეალობის ავტონომია"-ს ანუ სოფელსა ამას და სოფლიური თემატიკის „აფეთქებას", „ამბოხს" ახშობს მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისიდან გამომდინარე, რადგან იგი/მე/ არც კი ფიქრობს წარმავალი პრობლემების სიმძაფრეზე. ეს ერთ ნაწილში, „ბებრულ" ლექსებში, შენ რომ ნაკლებად მოგწონს, ხოლო მთავარი ნაწილი, ანუ ლექსების უმრავლესობა, შენ რომ შემიქე, ურბანული პოეზიაა და იქ პოეტი სხვა რეალობას ასახავს და სხვა ამოცანას წყვეტს. ეს ორი ნაკადი ჩემთვის ერთი მთლიანობაა და, მიუხედავად სტილისტური სხვაობისა, ჩემს სულიერ მდგომარეობას გამოხატავს.

ახლა მთავარი: შენ მომიწოდებ გარკვეული ამბოხისა და აფეთქებისკენ. თუ ამაში გულისხმობ სოციალურ, პოლიტიკურ ამბოხს, თემატიკის აქტუალიზაციას, მოქალაქეობრივი თვალსაზრისის გათვალისწინებით, მაშინ უნდა გითხრა, რომ პრინციპულად ვერ დაგეთანხმები, რადგან ჩემთვის პოეზიის სრული სოციალიზაცია, პოლიტიზაცია კატეგორიულად მიუღებელია.

თუ შენ გულისხმობ ემოციის, მგრძნობელობის აფეთქებას, ვეჭვობ, ეს მაკლდეს. ემოცია მშვენიერია მაშინ, როცა სიტყვათა ჩრდილში ჩნდება, როგორც ბუნებრივი კონოტაცია იმ განცდისა, რაც ჰერმეტულობის ნახევრადღიაობიდან გადაეცემა მკითხველს. პედალირებულ ემოციას ვერ ვიტან, რადგან იგი ამხელს ავტორის პრიმიტიულობას და სუბლიმაციის საჩვენებელ გაკვეთილს ემსგავსება. ემოციას არ სჭირდება სიმულირება, სიმულაციური სიტყვები, ემოცია განუყოფელი ნაწილია „სულიერი გონებისა"/პავლე მოციქული/, რომელიც ზეემოციაა.

მე ზოგჯერ ვწერ ლექს-ეტიუდებს, როგორც სავარჯიშოებს, და ზოგიერთს ვაქვეყნებ კიდეც. ეს ლექსები შეტანილია ცალკე თავებში და არაა მხოლოდ სიტყვებით თამაში, კალმასობის ნაირსახეობაა, შეგნებული პაუზებია, სახალისო, მუსიკალური ფრაზებია.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია შენი მოსაზრებები და კიდევ ერთხელ ვიმეორებ საქვეყნოდ, რომ უფრო ღირებულია, ვიდრე ყავლგასული პანეგირიკების მთელი დასტა, რომლებშიც კრიტიკოსები უსირცხვილოდ ცდილობენ ავტორის გაკერპებას.

გმადლობ ხვიარა, ასე გულდასმით რომ წაიკითხე ჩემი წიგნი და გულღიად მითხარი რასაც ფიქრობ.

## „დე..."

**რა გვჭირს შვილებს ფსევდონიმში გასაქცევი...**
**ვკეცავ ლექსებს და უჯრაში ვდებ.**
**ჩემი შიში შენი დიდი სირცხვილია,**
**მათქმევინე, დე!**

**სამშობლო ხარ! – ამას აღარ ეშველება,**
**მაგრამ თუ არ მოგვიკითხავ დიდხანს,**
**იმ დღისათვის მებრალები, საქართველოვ,**
**როცა მოგვიკითხავ...**

*ელა გოჩიაშვილი*

არსებობს ზეპირი გადმოცემა/წერილობით ვერსიას ვერ მივაგენი/, თითქოს ჯოისისთვის უკითხავთ: ირლანდიისთვის განირავდი თავს?

ირლანდიამ განიროს ჩემთვის თავი, მე არაო.

ელას გულისტკივილი მესმის, მაგრამ ნუ მოვითხოვთ ზედმეტ ყურადღებას სამშობლოსგან, რომელიც ის „თამრო აღარაა".

ან რა ყურადღებას თხოულობდა კატულუსი რომის იმპერიიდან, ათასი წელი რომ მიკარგული იყო მისი ხელნაწერი და პარმის მონასტერში აღმოაჩინეს შემთხვევით.ან გონგორა, ყველასაგან მივიწყებული, თითქმის ოთხი საუკუნის მერე რომ ამოტივტივდა. ან ჰოლდერლინი, გოეთეს და შილერის თანამედროვე, ორი საუკუნით მიკარგული, ან გურამიშვილი, ბედად გადარჩენილი, ან დიკინსონი, შეგნებულად განაპირებული და განდეგილი.

ტყუილად ველით, რომ სამშობლო გვაღიარებს, თავსაც ნუ დავამადლით, ჩვენზე უკეთესებიც მიუვიწყებია.

არ მეგულება მსოფლიოში ქვეყანა, სადაც სახელმწიფო არ ზრუნავდეს

კულტურულ მემკვიდრეობაზე. კულტურულ სახელმწიფოებში მეტ-ნაკლებად ზრუნავენ თანამედროვე კულტურაზე, განსაკუთრებით ისეთ

პატარა ქვეყნებში, როგორიც საქართველოა. ჩვენთან ჩათვალეს, რომ კულტურაზე, კერძოდ კი ლიტერატურაზე ზრუნვა ზედმეტი ბარგია და მწერლობა ბაზარმა უნდა დაარეგულიროს.

არავინ თხოულობს სახელმწიფოსგან საბჭოურ პრივილეგიებს და დაფინანსებას, მაგრამ ვთხოულობთ პროექტების დაფინანსებას, როგორც ხდება დანარჩენ ქვეყნებში. რამდენიმე წელია კულტსამინისტროს არცერთი პროექტი არ განუხორციელებია მწერლობაში. მწერლობა რომ არ ენაღვლებათ, განურჩევლად ხარისხისა და მნიშვნელობისა, ეს მიზანმიმართული ქმედებაა. მწერლის და

მწერლობის ხსენებაც არ უნდათ არსად, არც ტელეარხებზე, არც პრესაში, არსად. აი, მწერალი თუ თავს მოიკლავს, ან თავის მოკვლას დააპირებს, მხოლოდ მაშინ მოცვივდებიან ჟურნალისტები და ისიც სენსაციის ხათრით.

ასე იყო, როცა დათო მჭედლურმა თავი მოიკლა, ასე იყო გოდერძი ჩოხელის სამწუხარო მცდელობისას, უფრო ადრე გურამ დოჩანაშვილის შეჭირვებასთან დაკავშირებით.

მერე ვინმემ ყური დაუგდო? არავინ. ერთხელ, ოქრუაშვილმა ისიც თქვა – დოჩანაშვილი თუ არ დაწერს, მე დავწერო. ასეთი მენტალობის ადამიანები სახელმწიფოს სამშობლოზე მაღლა აყენებენ. მთელი მსოფლიო ერთი დიდი ბაზარია და გლობალიზაციის ინტენსიური პროცესი თანდათან შთანთქავს მცირერიცხოვანი ერების კულტურას, ენებს, და დარჩება უკულტურო და უმწერლობო ბილინგვური ერები, როგორც საერთო ცივილიზაციის ნანილი. ნუ ავურევთ ერთმანეთში კულტურასა და ცივილიზაციას, ისინი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. მეტს არ გავაგრძელებ, რადგან ეს ძალიან ვრცელი და რთული თემაა. ვიტყვი მხოლოდ ერთს: როგორც ჩანს, ჩვენში კულტურა, კერძოდ კი მწერლობა, გულზე არავის ეხატება, არც სახელმწიფოს და არც გალატაკებულ მკითხველს, თორემ როგორ გავიგოთ არაადეკვატური დუმილი საზოგადოებისა და ჩინოვნიკებისა?!

არ უნდათ და არც ექნებათ. ამ თემაზე საუბარი, წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი.

ვერ ვხვდები ასეთ სახელმწიფოს, როგორ უნდა მიმართო „დე", თუ შემოკლებული სიტყვა არ იშიფრება, როგორც დედინაცვალი, ხოლო თუ სამშობლოს მიმართავს პოეტი, სად არის სამშობლო, გახსოვთ, ჯერ კიდევ როდის თქვა გალაკტიონმა: „ეს არ არის საქართველო". სამშობლო მიმქრალია და ჩვენგან მოელის დახმარებას, და ასეთ ვითარებაში ზედმეტს ნუ მოვთხოვთ. ის, სამწუხაროდ, ავადაა იმიტომ, რომ სახელმწიფომ ფეხზე დაიკიდა სამშობლოს კულტურა და საერთოდ სამშობლო.

ელას მხოლოდ ეს შევახსენე , თორემ მისი გულისტკივილი ჩემთვის გასაგებია და მეტიც.

## „მიუშვი ნებასა"

ამას წინათ ერთი ინტერვიუ წავიკითხე. ინტერვიუერი, როგორც ამბობენ, ერთი ახალგაზრდა ავტორი გახლდათ, ვირტუალურ და არა მარტო ვირტუალურ სივრცეში პოპულარული პოეტი.

ყველაზე საყვარელ პოეტთა შორის ელიოტი დაასახელა. განვაგრძე კითხვა და ნეტავ არ წამეკითხა.

იგი წერს, რომ ელიოტი პროფესიით ბუღალტერი და სარწმუნოებით პროტესტანტი, მისთვის ძალიან საყვარელი პოეტია. მივხვდი, ახალგაზრდა პოეტი ყურმოკრულ ამბებს იხსენებდა და წარმოდგენა არ გააჩნდა ელიოტის არც ბიოგრაფიაზე და არც შემოქმედებაზე. რამდენი სიტყვაც დაწერა ელიოტზე და მის შემოქმედებაზე, იმდენი ტყუილი დააბრეხვა, ანუ მტკიცებულება იმისა, რომ წაუკითხავად იცოდა ელიოტი და, ცხადია, წარმოდგენაც არ ჰქონდა დიდი პოეტის სამეცნიერო სტატიებზე, მისი ლექსების სრულ გამოცემას ბევრჯერ რომ აღემატება. ყველა სისულელეს, რაც მას ეწერა, აქ ვერ გადმოვიტან, მხოლოდ ერთს გავიხსენებ და შევეშვები. იგი წერს, „კათოლიკე პატრიარქებიო" და ამაყად განაგრძობს, რომ... კათოლიკურ სამყაროში პატრიარქის ინსტიტუტი არ არსებობს /გამონაკლისის გარდა/, მაგრამ ეს რა სადავოა, როცა ახალგაზრდა პოეტმა ისიც არ იცის, რომ ელიოტი ღრმადმორწმუნე კათოლიკე იყო და რომ მისი შემოქმედება გამსჭვალულია კათოლიციზმით და არა პროტესტანტობით.

მარტივი დასკვნა, მან რომ არ იცის ელიოტი კათოლიკე იყო თუ პროტესტანტი, მან რომ არ იცის ელიოტის სამეცნიერო კვლევები ლიტერატურაში და არა ბუღალტერიაში /ალბათ ყური მოკრა, რომ ელიოტი ოდესღაც ბანკის კლერკი იყო/, ჩანს, საერთოდ არ წაუკითხავს ელიოტი. რა რჯის ამ საბრალოს, ენაზე ვინ ექაჩება, რომ თქვას ის, რაზეც წარმოდგენა არ აქვს. მისთვის მთავარია გაუწვრთნელი და უნიგნური „საზოგადოების" მოტყუება, რათა თავი განსწავლულ ვინმედ წარმოაჩინოს. ასე იგი შორს ვერ გაცურავს, რადგან აბაზანაში ჭყუმპალაობს და თავის ფანებს უმტკიცებს – ეს ოკეანეაო, ალბათ მათაც სჯერათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ იყვირებდნენ, ჩვენი კერპი ტყუისო, მაგრამ ხმასაც არ იღებენ. თუმცა ვინ იცის, იქნებ ზოგიერთი მიხვდა კიდეც ყველაფერს, მაგრამ გაკერპებული ინერცია გრძელდება. მითხარით, სავალალო არ არის, რაც მე გიამბეთ?

არ რწმუნდებით, რომ უვიცობა და თავხედობა ერთ კონტექსტში მოიაზრება?!

ამავე ინტერვიუში, პატივცემული ავტორი ამაყად დასძენს, რომ სალადაო ობიექტებად ირჩევს კათოლიკე წმინდანებს და არამც და არამც მართლმადიდებლებს, ალბათ ფიქრობს, რომ პატრიოტიზმში ჩაეთვლება, ამავე დროს დარწმუნებულია, რომ ერესი შეიძლება მოხდეს კათოლიკურ სამყაროში და არა მართლმადიდებლურ ეკლესიაში, და ასახელებს /მისი აზრით/ გასაპამპულავებელ კათოლიკე წმინდანებს – ფრანცისკ ასიზელსა და თომა აკვინელს. ერესი შეიძლება ნებისმიერი ეკლესის წიაღში წარმოიშვას. სამაგალითოდ გავიხსენებ ბერძენი მართლმადიდებლების მიერ რუსთაველის ფრესკის გადაფხეკას და რუსეთის პატრიარქის „კაგებეჩნიკურ" ბიოგრაფიას.

ამის დამწერს, როგორც ჩანს, ჭკუა არ მოეკითხება. ჩვენში ამბობენ ასეთებზე:... „მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა."

## „აღმოჩენა"

ერთმა ახალგაზრდა ლიტერატორმა ახლახან მემილიონედ გაიმეორა ნიცშესეული „აღმოჩენა" – „ღმერთი მოკვდა". დიდი ხნის წინათ დოსტოევსკიმ ნიცშეს წაკითხვის შემდეგ უალრესად ლოგიკურად დაასკვნა: რადგან ღმერთი არ არის, მაშინ ყველაფერი ნებადართულიაო.

როცა ეს „აღმოჩენა" ხელახლა აღმოაჩინა ახალგაზრდა ლიტერატორმა, სიხარულისგან შეკუნტრუშდა. მისი ტანჯული და ამაო ძიებებით აღსავსე ცხოვრება განსრულდა და იგი აღივსო იმ უსაზღვრო ბედნიერებით, რასაც ანიჭებდა დასკვნა, რომ „ყველაფერი ნებადართუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია". არადა, დოსტოევსკის „ყველაფერი ნებადართულია" ღიად გულისხმობს უსაზღვრო ხიფათს, რასაც დღეს იმკის კიდეც ცივილიზებული სამყარო.

ამათ ჭკუის სწავლებას ვერ დაუწყებ, რადგან აირჩიეს გაიოლებული გზა და უარყვეს ტრანსცენდენტი, უმაღლესი ინსტანცია, და თვითვე იქცნენ პროფანულ უმაღლეს ინსტანციებად, ანუ შექმნეს ნეგატიური თეოლოგია, რომელიც დასავლეთში კარგა ხანია არსებობს და აგრძელებს თავის სავალალო საქმიანობას. ჯერ იყო და ლიბერალიზმი ჩაენაცვლა ღმერთს, მერე ლიბერალიზმით შეპყრობილი უმრავლესობა, და ნეგატიური „ქადაგებებით" იწყეს დამკვიდრება და გავრცელება მთელ მსოფლიოში. მოკლედ რომ ვთქვათ, ზოგიერთი ჩვენებური ახლებისთვის ეს ყურმოკრული იდეოლოგია მოდურ საქმედ იქცა და ერთმანეთს დაუფარავად აქებენ, როცა რომელიმე მათგანი ინტერპრეტირებული სახით გაიმეორებს, რომ „ღმერთი მოკვდა".

რელიგიური ფანატიზმი შობს ნეგატიურ რელიგიას, ისინი ერთმანეთს ასაზრდოებენ და არცერთს არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან. ეს კი ძალიან საშიში ჩიხია ფანატიკოსებისთვისაც და მათთან დაპირისპირებული ღმერთმებრძოლებისთვისაც. სავალალოა, როცა ლექსის მწერალი ვერ ერკვევა ამ ვითარებაში და თავი მოსწონს უცნობილესი კლიშეთი, რომ „ღმერთი მოკვდა", და თან ისე უხარია, თითქოს თვითონ აღმოაჩინა და არა ნიცშემ, ხოლო მკითხველი ბედნიერია ამ აღმოჩენის მემილიონე გამეორებით და აღფრთოვანებას არ მალავს: გენიალურია! რა არის გენიალური – რწმენის უარყოფა თუ ნიცშეს მონაფური გამეორება ოცდამეერთე საუკუნეში?! ან იქნებ ორივე ერთად და კიდევ ამას ნამატებული ლიბერალური ღირებულება, რომ კანონია უზენაესი და არა ღმერთი.

ჩვენში კი ჯერ ასე არ არის საქმე, რადგან მხოლოდ ღმერთმებრძოლობა და უნიგნურობაა მოდაში, რაც ძალიან სამწუხაროა.

## „ინტელექტუალური" გეტო
### /ერთი ბმულის გამოძახილი/

ინტერნეტსივრცეში, რასაც უნდა, იმას დაწერენ და არაა საწყენი, თუნდაც იმიტომ რომ აქ, შესაძლებელია გული მოიოხო, ჭორაობა აქციო „სერიოზულ" ტექსტად და ამ ილუზიით იარსებო. მე დავინახე სრულიად უპასუხისმგებლო ადამიანები, რომლებიც გაუცხოებასა და ღმერთმებრძოლობაში წამოიჩიტნენ და აღიარებენ მხოლოდ ნეგატივიზმს, როგორც ერთადერთ საყრდენს და უძლურების სამალავს, სადაც მოჩვენებითი „ნიგნიერება" აუქმებს ყველა ღირებულებას, გარდა საკუთარი პერსონებისა. ხმაშეწყობილი ნიჰილიზმი საბურველია, იმ „ექსტაზის" ზედაპირია, რითაც მხოლოდ თავს იმხნევებენ. ნეგატივიზმი იქცა ნეგატიურ რელიგიად, სიამოვნებით რომ მორჩილებენ, რადგან სხვა საზრდო დამალულია მათთვის და ამიტომაც მარადიულ ღირებულებათა „ნგრევა" უქცევიათ უმთავრეს საქმედ. აი, ამ ჭაობიდან იღებს სათავეს მათი „აზროვნების" მდინარე, არსად რომ მიედინება, რადგანაც არც კი არსებობს, როგორც მდინარე და იგი მხოლოდ ჭაობის სიზმარია.

შემებრალა ეს ხალხი, მსხვერპლი ჩვენი დროისა, გაბითურებული საზოგადოების უბედური შვილები, რომლებმაც ყველაფერი გასცეს, ან ყველაფერი დაკარგეს, ან სულაც წაართვეს, და ისღა დარჩენიათ, რომ მოიპოვონ ერთადერთი ღირებულება „ნიჰილე" და თაყვანი სცენ მას, როგორც უდიადეს კერპს – კერპთა შორის.

∴

დერიდამ დაიწყო ჰელიოცენტრიზმის, ეთნოცენტრიზმის დეკონსტრუქციით და შეუდგა ლოგოცენტრიზმის დეკონსტრუქციას /„გრამატოლოგია"/. დერიდას გარდაცვალების მერე, ერთმა ცინიკოსმა ასე იხუმრა:

**ლოგოსის დაშლას არ დაერიდა**
**და დაიშალა თვითონ დერიდა.**

∴

კურტ ვონეგუტმა გასული საუკუნის სამოციან წლებში, როცა უკვე მრავალი წიგნი ჰქონდა გამოცემული, დაასკვნა, რომ თავს ანებებს „პრომოუშენთან" უპატიოსნო თანამშრომლობას და შეეცდება გახდეს პროფესიონალი მწერალი.

დაუგდეთ ყური ვონეგუტს „პრომოუშენით" აცუნდრუკებულებო.

∴

**მასში ყოველი ნეირონი,**
**რატომღაც არის ნერონის.**

∴

მანდელშტამის ერთი ლექსიდან ორიოდე სტრიქონი მეთარგმნა სრულიად ბუნებრივად, ისე, რომ, მგონი, არაფერი დაკარგულა, არც აზრი და არც რიტმი:

**ველური კატა, სომხური ენა**
**მტანჯავს და ისევ მიკაწრავს სმენას.**

∴

**გოგონა ჟურნალისტი მყავს,**
**ვაჟიშვილი კი ჩეკისტი,**
**არ ვიცი, ღმერთი რით დამსჯის**
**ამათი გამოჩეკისთვის.**

∴

**ზოგიერთის გემოვნებას**
**მე დავარქვი გოიმოვნება.**

## თოთხმეტი აპრილი

„შევოლოგიით" დაინტერესებულ მკითხველს ვთხოვ გაეცნოს როსტომ ჩხეიძის წიგნს „ადათები ეშაფოტზე, ენა გილიოტინაზე." ამ წიგნით როსტომმა გამოააშკარავა საბჭოთა მითი, შევარდნაძეზე რომ შეიქმნა სამოცდაათიან წლებში და რომელსაც ირონიულად „შევოლოგია" უწოდეს. ეს ის დრო, როცა კომპარტია ცდილობდა თავისი დრომოჭმული იდეოლოგიის რეანიმირებას. სამწუხაროდ, ამ მითის დამკვიდრებასა და თხზვაში განუსაზღვრელი როლი შეასრულა ქართული ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა და უდიდესი სამსახური გაუწია საბჭოთა ხელისუფლებასა და საკუთარ კეთილდღეობას.

უსიამოვნოა მათი კონიუნქტურული „გარჯის" გახსენება და მოკლევადიანი მცდელობების კრახი, რომელმაც პიკს 1978 წლის მარტში მიაღწია. როსტომ ჩხეიძის წიგნი სრული დეკონსტრუქციაა ამ სამარცხვინო მითისა და ეყრდნობა უამრავ დოკუმენტურ მასალას, ლოგიკურ არგუმენტებს, ისე, რომ სიმართლე სრულიად ბუნებრივად იკვეთება და შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებს ფიქციაში მონაწილე ინტელიგენციის „ღვაწლი".

**P.S.**

იმ დღეს, 14 აპრილს, მთავრობის სახლისკენ ეშურებოდა ყველა და რა გასაკვირია, რომ ჩვენც – ნანა ჯაფარიძე, ციალა არდაშელია და მე, ჟურნალ „ცისკრის" რედაქციიდან დავიძარით იმავე მიმართულებით და იმავე მიზნით, როგორც მთელი ქალაქი. ვიდრე იქამდე მივაღწევდით, გზად ორი მწერალი შემოგვხვდა. შევჩერდით, გავისაუბრეთ და მათ დაბეჯითებით გვირჩიეს მთავრობის სახლთან არ მივსულიყავით. შიშობდნენ, რომ „ეს საქმე" სისხლისღვრით დამთავრდებოდა. არ შევისმინეთ, გზა განვაგრძეთ. გულში გავიფიქრე კიდეც, რა მშიშრები ყოფილან-მეთქი.

ხალხის ზღვას შევუერთდით. მთავრობის სახლს პირველი სკოლის მხრიდან მივაღწიეთ და იქ დავდექით გვერდიგვერდ. ორი საეჭვო ტიპი ერთმანეთს ხმამაღლა ესაუბრებოდა, ზიზღით გაჰყურებდა ხალხის ზღვას და ჩვენს გასაგონად ერთ-ერთმა მთელი ხმით ამოიხავლა: ნეტა, ახლა ტყვიამფრქვევი მომცა, რა სიამოვნებით ჩავცხრილავდი ყველას! სამივემ კარგად გავიგონეთ და ერთმანეთს გაოგნებულებმა გადავხედეთ. ახლაც ყურში ჩამესმის ის თავზარდამცემი სიტყვები და თვალწინ მიდგას სიძულვილით გადღაბნილი მზერა ნაცრისფერი ახალგაზრდა კაცის, მაგრამ სახე, საბედნიეროდ, არ მახსოვს. შევარდნაძე ხალხში გამოვიდა, იქვე მდგარ გურამ ფანჯიკიძესთან მივიდა და ჰკითხა: შენც აქ ხარ, გურამ?

იქ იყო ყველა, დიდი და პატარა, თითქმის ყველა სტუდენტი, ახალგაზრდობა – პროტესტის მთავარი მოთავე. კულუარული სინამდვილე ჩვენ არ ვიცოდით და მექანიკურად ჩაითვალა, რომ ცეკას პირველი მდივანი მომიტინგეებს თანაუგრძნობდა, თუმცა მერელა გავაცნობიერე, რომ საქართველოს ხელისუფლების ნამდვილი სახე ის ნაცრისფერი ტიპები იყვნენ, ხალხის ჩაცხრილვაზე რომ მოურიდებლად საუბრობდნენ და მისი ხალხში გამოჩენა მხოლოდ მოულოდნელობის ეფექტს ისახავდა მიზნად და თავდაპირველად გაამართლა კიდეც, ვიდრე ნამდვილი ზრახვები გამჟღავნდებოდა.

ის დღეები გამახსენა როსტომის წიგნმა და ჩავიწერე ერთი უმნიშვნელო ეპიზოდი, რომლის დაკარგვა, თუნდაც იმიტომ არ ღირს, რომ გვახსოვდეს, რა ჟამიანობა გამოვიარეთ.

ახლა ვხვდები, რატომ გვირჩევდა დაბეჯითებით ის ორი მწერალი, იქ არ წახვიდეთო. ორივე შემსწრე იყო 1956 წლის ცხრა მარტის ხოცვა-ჟლეტის და მათი შიში ამჟამად სრულიად გასაგებია ჩემთვის.

ასეა, კარგი წიგნი მრავალ საფიქრალს აღძრავს.

## მცდარი აზრის უარსაყოფად

„იმ საბჭოთა დროსაც, რომელსაც ჩვენი მამები ასე ხშირად გვახსენებენ ხოლმე, ძალიან ცოტა კითხულობდა ლექსებს, წიგნებს და ძალიან ცოტა იყო განათლებული ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით."

/ ბელა ჩეკურიშვილის ინტერვიუდან/

ბელა, მე საბჭოეთის ქომაგად ვერ გამოვდგები, თუნდაც იმიტომ, რომ არასოდეს ვყოფილვარ საბჭოთა მწერალი, მაგრამ უხერხულად ვიგრძენი თავი შენი მოსაზრების გამო, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, სიმართლეს არ შეესაბამება. განსწავლული ხალხი მაშინაც იყო და ახლაც არის. განსწავლა რომ დროის უპირატესობა იყოს – მე არისტოტელეზე მეტი უნდა ვიცოდე, შენ კი რუსთაველზე უკეთ ერკვეოდე არეოპაგელის ნააზრევში.

არც სისტემა, თუნდაც ტოტალიტარული, არ განაპირობებს ინდივიდების ცოდნისა და გემოვნების ხარისხს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ მე ფაშისტურ გერმანიაში მოღვაწე ჰაიდეგერზე უკეთ უნდა ვწერდე ჰოლდერლინზე, შენ კი საბჭოეთში მოღვაწე ლოსევზე, გასპაროვზე, ავერინცევზე უკეთ უნდა იცოდე რენესანსული კულტურა, პოეტიკა და ანტიკური ლიტერატურა. ჩვენ ახლაც ვსწავლობთ ამ ავტორებისგან, მე რომ ჩამოვთვალე, და მათი ცოდნა და გემოვნება უტყუარი ორიენტირია.

თუ შენ გულისხმობ ზოგადად ხალხს, მკითხველს, მაშინ იმასაც შეგახსენებ, რომ არავის ჩაუტარებია სოციოლოგიური კვლევები, რომელ ეპოქაში იყო უფრო განათლებული ხალხი. ჩვენში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ზოგადი განათლება, მითუმეტეს ფილოლოგიაში, ძველ ნიშნულს დიდიხანია ჩამოცდა.

არცერთ უმაღლეს სასწავლებელში არ არსებობს მასტერ-კლასები, რომელსაც ლიტერატურული ავტორიტეტები /თუკი არსებობენ/ ხელმძღვანელობდნენ. მაშ რატომღა ვლაპარაკობთ განათლების ბუმზე, კერძოდ, ლიტერატურაში, როცა ლიტერატურის ფრაგმენტაციის ხანა ახლაღა დადგა ჩვენში და სავალალო სურათი გამოიკვეთა.

ნებისმიერ თაობაში, ცხადია ახალგაზრდებშიც, ყოველთვის იყვნენ და არიან განათლებული და გაუნათლებელი ადამიანები, ეს უკანასკნელი კი ყოველთვის უმრავლესობაა, ხოლო იმის დადგენა, როდის, რომელ ეპოქაში უკეთ იცოდნენ პოეზია, ჩემთვის ნონსენსია და განცვიფრება ვერ დავმალე.

ვფიქრობ, ბელას სხვა რამის თქმა უნდოდა და საპირისპირო კი გამოუვიდა.

ვიმედოვნებ, თვითონ განმარტავს და მერე უკეთ გავიგებ, რა იგულისხმა.

## მურმან ლებანიძის ანდერძი

ბოლოს საავადმყოფოში ვინახულე ბატონი მურმანი. გაუხარდა ჩემი მისვლა, ბევრი ვისაუბრეთ. მერე ერთხანს გაყუჩდა და ქალბატონ ლენას/მეუღლეს, ლენს/ სთხოვა – რაღაც მაქვს სათქმელი გივისთვის და დაგვტოვეო. ქალბატონმა ლენამ გაიკვირვა და შეენინააღმდეგა კიდეც, რა გაქვს ჩემთან დასამალიო? ქალბატონი ლენა მაინც არ გავიდა პალატიდან, მოშორებით დადგა და მერე, როცა კარი გამოაღო და დერეფანში გაიხედა, მურმანმა ნამჩურჩულა: როცა წავალ ამ ქვეყნიდან, შეეცადე ისეთი ადამიანები მოძებნო და შეკრიბო, ვინც ჩვენი ფასი იცის და ჩვენი სადღეგრძელო შესვითო.

გული ამიჩუყდა და თავი ძლივს შევიკავე, მისი გამხნევება ვცადე, მაგრამ ამაოდ, სრულიად მკაცრი და მშვიდი იყო. პირობა მივეცი, რომ შევასრულებდი მის თხოვნას, სასწრაფოდ დავემშვიდობე და გავედი პალატიდან, აღელვებული ვიყავი და მეშინოდა თვალზე ცრემლი არ შეენიშნა.

ეს იყო მურმანის ანდერძი, რატომღაც მე რომ გამიმხილა და სხვას არავის.

შარშან მოვახერხე ვიწრო წრეში ამ ანდერძის აღსრულება.

ხშირად მოდიოდა ჩემთან „მერანში" თავის ოთხტომეულს დასტრიალებდა, თვითონ უკეთებდა ტექრედაქციას, თვითონ არჩევდა დიზაინს გოგი წერეთელთან ერთად. დიდ პოეტობასთან ერთად ბრწყინვალე მესტამბე იყო.

ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას მურმანმა მოულოდნელად მკითხა: რამდენი წლისა ხარ? მგონი 56 წლის ვიყავი მაშინ და ვუთხარი, ან რა მქონდა დასამალი. ჩაფიქრდა და: იცი რა უნდა გითხრა? დროზე დაიწყე არქივის დალაგება, მე რომ შენი ხნის ვიყავი, ამეებზე არ ვფიქრობდი, ახლა კი ყველაფერი თავზე მაყრია და ველარ აუდიორო.

ახლა ვზივარ და მურმანის რჩევას ვასრულებ, ვალაგებ არქივს, ვადგენ ჩემს რამდენიმე წიგნს და ხშირად მახსენდება ეს საოცარი ადამიანი და პოეტი, მამაჩემის თაობის კაცი, რომელსაც ჩემზე დიდი ამაგი აქვს.

1999 წელს სახელმწიფო პრემიაზე იყო წარდგენილი ჩემი ლექსების კრებული „გამოსვლა უდროობიდან". მაშინ პროზაში წარდგენილი იყო შესანიშნავი პროზაიკოსი ჯემალ ქარჩხაძე, სამწუხაროდ -უდროოდ გარდაცვლილი. იყვნენ სხვებიც და, როგორც ყოველთვის, პოეზიაში დიდი კონკურენცია გაჩაღდა. ერთ-ერთს მფარველობდა სამხარეო გუბერნატორი /არც კონკურენტს ვასახელებ, არც მხარეს, არც გუბერნატორს/.

როგორც მურმანმა მოგვიანებით მიამბო, შევარდნაძეს დაუბარებია და უთხოვია, რომ პრემია მიეცათ გუბერნატორის პროტეჟესთვის. მურმანს უთქვამს შევარდნაძისთვის, რომ თხოვნას ვერ შეასრულებდა და, თუ დააძალებდა, მაშინ დატოვებდა თანამდებობას, და რომ მავანისთვის პრემიის მინიჭებით თავი მოეჭრებოდა შევარდნაძესაც და ლებანიძესაც. თითქოს შევარდნაძე მანამდე არ ყოფილიყო მრავალგზის თავმოჭრილი. შევარდნაძეს აღარ გაუწევია წინააღმდეგობა და უთქვამს, როგორც ჟიური გადაწყვეტსო.

იმ წელს მე მივიღე სახელმწიფო პრემია და, რომ არა მურმან ლებანიძე, მაშინ გუბერნატორის პროტეჟე გაიმარჯვებდა. ყველაფერთან ერთად ვაჟკაცი იყო და უაღრესად სამართლიანი, საშინლად სძულდა აღზევებული უნიჭობა და ისიც, ამიტომაც, უნიჭოებს არ უყვარდათ, რადგან ჩალიჩში ხელს უშლიდა და პირშიც მიახლიდა – უნიჭო ხარ და რა ვქნაო.

გაანათლოს ღმერთმა მისი სული. ხოლო ანდერძს, ვიდრე ცოცხალი ვარ, ყოველთვის შევუსრულებ.

### ჩვენი ფოსტა

მართლა არ ვიცი, საიდან დავიწყო, ან საერთოდ როგორ გამოვხატო ჩემი თქვენდამი პატივისცემა, პირველ რიგში, მინდა ულრმესი მადლობა მოგახსენოთ ამ დიდი ჯილდოსა და ლაურეატობის მონიჭებისთვის, იმისთვისაც მადლობა, რომ თქვენ ხართ და ითვლებით ქართული სულიერების მედროშეებად. დღეს, როცა ასეთი სავალალო მდგომარეობაა არა მარტო ქართულ პოლიტიკასა და მოუბიზნესში ან თუნდაც ლიტერატურაში, არამედ მთელ საზოგადოებრივ ცნობიერებაში (მაპატიეთ ცოტა ხმამაღლა ნათქვამი გამომივიდა).

თქვენი ჟურნალი ერთადერთია, სრულიად განსხვავებული და ყოველმხრივ მიუკერძოებელი, ობიექტური და, რა თქმა უნდა, იმ იმედის მომცემი, რომ ყველაფერი რიგზეა. ქართული ლიტერატურა მარტო ამით გაიტანს თავს. „ჩვენი მწერლობა" იმ მლვიმეების წყვდიადში ის ერთადერთი ანთებული ჩირაღდანია, ყველას რომ აიძულებს ყურადღების მიქცევას;

როგორ არ უნდა ვიამაყო იმით, რომ ამ ჟურნალთან არა მხოლოდ ვთანამშრომლობ, არამედ მისი პრემიის ლაურეატიც კი გავხდი. და ცოტა მოულოდნელიც კი იყო ჩემთვის ეს პატივი, რადგან მე ყოველგვარ ლიტერატურულ წრეებს მოკლებული პოეტი ვარ, სრულ სიმარტოვეში მყოფი, რომელსაც ცხოვრების ყველაზე საინტერესო წლები სამშობლოს გარეთ მაქვს გატარებული, სრულიად არალიტერატურულ, განსხვავებულ გარემოში (ალბათ ეს ფაქტიც ადასტურებს ამ ჟურნალის ობიექტურობას).

ახლაც ამ სიშორიდან მიხდება სამადლობელი წერილის გამოგზავნა. გული მწყდება, რომ პირადად ვერ ვახერხებ რედაქციაში მოსვლას და იმ პატივისცემის გამოხატვას, რაც თქვენდამი გამაჩნია. კიდევ ერთხელ ულრმესი მადლობა. გფარავდეთ უფალი.

**სოსო მეშველიანი**
*ბილბაო*

ეროვნული ბიბლიოთეკა



იოჰან ვოლფგანგ გოეთე

# სცენა „ფაუსტიდან“

**აუერბახის სარდაფი ლაიპციგში**

*მხიარულ მოქეიფეთა სერობა.*

**ფროში**
არ სვამთ, არ მღერით, ვის ებღვირებით!
ჩამოგიშვიათ უბრად ცხვირები.
სულ არაფერზე კბილები გიჩანთ,
დღეს რა ეშმაკმა შეგიკრათ კრიჭა!

**ბრანდერი**
შენი ბრალია, თავს რაზე მალავ,
გამოაბრწყინე სიბრიყვის ძალა!

**ფროში**
გნებავს? ინებე!

*თავზე ღვინოსასხამს.*

**ბრანდერი**
შე მართლა ბრიყვო!

**ფროში**
რას მეშარები, თხოვნისა იყო!

**ზიბელი**
მოჩხუბრებს – ქიშტი! მიბრძანდეთ უნდა!
მთელი ფილტვებით, ბიჭებო, რუნდა!
აბა, ჰოლა ჰო!

**ალტმაიერი**
ავაიმე, გამისკდა თავი!
მიშველეთ, ბამბა, ყურში ბამბა! რამხელას ბღავის!

**ზიბელი**
ბასი ვარ, ბასი! ისეთი ვჭექო,
გრგვინვა გაჰქონდეს თაღებქვეშ ექოს!

**ფროში**
ვისაც ეწყინა – ცივი წყალი! ნებავს და – ცხელი!
ახ, ტარა ლარა!

**ალტმაიერი**
ტარა ლარა!

**ფროში**
მოვმართოთ ყელი!
*(მღერის)*
წმინდა რომის რაიხო,
დროა, ჭირი წაილო...

**ბრანდერი**
ფუ, პოლიტიკურ სიმღერებზე გული მერევა!
ილოცეთ, ხალხო, ნილად გვერგო ბედნიერება,
რომ წმინდა რომის ეგ რაიხი არ გვაბარია!
ან კანცლერისა რა მცოდნია, ან კაიზერის!
ლხინის პაპია ერთადერთი, ვინც მაგარია,
ავირჩიოთ და მისი ხმალი, ჩემი კისერი.
ვისაც ვმორჩილებ, ერთადერთი ლხინის პაპია,
მისი კურთხევით შეგვრგებია, რაც გვიყლაპია!

**ფროში,** *მღერის*
გაფრინდებოდე, ბულბულო,
საყვარელს მომიკითხავდე...

**ზიბელი**
შორს ჩვენგან სატრფოს მოკითხვები, ფუჭი ცრემლები!

**ფროში**
მოკითხვას ვუთვლი! კოცნას ვუთვლი! შემოვევლები!
*(მღერის.)*
ანეულა რაზა – ბინდი ჩამომდგარია!
ანეული რაზა სატრფოს ღია კარია!
დანეული რაზა დილის სისხამ-ცვარია...

**ზიბელი**
ჰო, ჰო, უმღერეთ, ბულბულები უგზავნეთ ხშირ-ხშირ!
ჩემი სიცილის დროც დადგება, შემოგჩრით ცხვირში!
ჩემს დღეში გნახავთ, საქალეთის ერთია ნირი,
თქვენც აყვირდებით, საყვარლებო, მე როგორც ვყვირი.
კაცი მაგათთვის არამია! რად უნდათ კაცი!
კობოლდი მაგათ! ბლოკსბერგიდან მომსრბოლი ვაცი!
ისეთ მოკითხვას გავუგზავნი შეფოფინებით,
სულ ქვაფენილზე წკრიალებდეს ფანჯრის მინები!

**ბრანდერი,** *მაგიდაზე ხელს აბრახუნებს*
გთხოვთ, სმენა იყოს! დაითმინონ, ვინ რასაც შფოთავს!
უცადი არ ვარ, ცხოვრებისა მეც მესმის ცოტა,
და მათ, ვინც ახლა სიყვარულის ინვის სახმილით,
სიმღერას ვეტყვი ახალთახალს, სწორედ იმდაგვარს,
მავანთ რომ გულზე მოეთბობათ. ვუმღერ ვირთაგვას!
ხმა მომაშველეთ, ბატონებო, თქვით მოძახილი!
*(მღერის)*
სარდაფს იყო ვირთაგუნა,
მაძღარი და უმტერული,
ლიპი ედო ბებერ მსუნაგს
დია დოქტორლუთერული.
შეაპარეს დარიშხანი,
აუხურდა სანყალს ტანი,
გინაც გვამში ტრფობა სდგმოდა!

**გუნდი,** *ზარ-ზეიმით*
გინაც გვამში ტრფობა სდგმოდა!

**ბრანდერი**
რბოდა შმაგი, ხლტოდა ხელი,
შემოერღვა კაბა-ჯუბა,
სათავსონი დაღრღნა მთელი,
სავსე ტბორიც ამოხრუპა.
უცებ თვალი დაეშრიტა,
მიებნიდა კაეშნითა,
გინაც გვამში ტრფობა სდგმოდა!

**გუნდი**
გინაც გვამში ტრფობა სდგმოდა!

**ბრანდერი**
ბოლოს შიშით არეულმა,
თავი სამზადს შეაფარა.
ქალმა ნახა მზარეულმა,
ვინც ის შხამი შეაპარა.
თქვა: რა მნარედ დაგესლულა,
ნრიპინ-ნრიპინ აღესრულა,
გინაც გვამში ტრფობა სდგმოდა!

**გუნდი**
გინაც გვამში ტრფობა სდგმოდა!

**ზიბელი**
რა უხარიათ მაგ სულელებს, ჩაბჟირდნენ ლამის!
ვიშ-ვიშ, მაღალი ხელოვნება გამოგვითარგეს,
ნამალი როგორ შევაპაროთ სანყალ ვირთაგვებს.

**ბრანდერი**
შენ რა, ვირთაგვის მხარესა ხარ? შენც შეგხვდა შხამი?

**ალტმაიერი**
გაგვიგულჩვილდა ჩვენი ბლენძი, გმინვა-დაგვა სჭირს!
უბალნო თავი ამოიცნო მკვდარ ვირთაგვაში!

*შემოდიან ფაუსტი და მეფისტოფელი.*

**მეფისტოფელი**
ჯერ ლხინის ხალხი, სუფრის ხალხი ვნახოთ ახლოდან,
აქ ყოველი დღე სურთ იქციონ დღესასწაულად.
შევსვათ, ყვირიან რა წაილო, ვინც ინაღვლოდა,
შევსვათ, მღერიან, მაინც სიკვდილს ვერსად ნავუვალთ!
მათი ყოფა და ცეკვა-როკვა ზუსტად ეგ არი,
კნუტი რომ დახტის კუდის ირგვლივ, დაუდეგარი.
ჭკუის პატარა სიტალკვესე საკმარისია
მომლხენი გერქვას, მხოლოდ იშტა გჭირდება დიდი.
თუ თავიც არ გვტეხს და პურ-ღვინოც არის ნისიად,
ჭირს იქით ყველა საზრუნავი! ცხოვრება მიდის!

**ბრანდერი**
უცხო სულები! მგზავრები შორი!
გზიდან მოსულნი ნუთისა ორის!
კითხვაც არ უნდა! ცხადზე ცხადია!
უკვირთ, სად ვართო! ზედ ახატიათ!

**ფროში**
ეს გაუმარჯოს ჩვენს ლაიპციგს, პატარა პარიზს!
სხვა პენის არის ჩვენი კაცი, სხვა მოდგმის არის!

**ზიბელი**
ვინ უნდა იყვნენ?

**ფროში**
რას დაითვლი მომსვლელს და ნამსვლელს!
ჭიქა მომეცი, მივანოდებ, გამოვჩხრეკ ნამსვე.
აზნაურები იქნებიან, თუ ჩემი გჯერა:
ამპარტავნული მიხრა-მოხრა, ამრეზით მზერა.

**ბრანდერი**
ბაზრის ხალხია, ნაძლევს დავდებ.

**ალტმაიერი**
ვერ გეტყვი ვერას.

**ფროში**
ნახეთ, რა ვუყო! მიყვარს კეხზე ბილანთა შესმა.

**მეფისტოფელი, ფაუსტს**
აბა, თუ ვინმემ სუნი იკრას, ვერ გრძნობენ ეშმას!
ერთი სული აქვთ, მიეტანონ გამოსახრავად.

**ფაუსტი**
ჩვენი სალამი, ბატონებო!

**ზიბელი**
სტუმრებს ვახლავართ!
*(თვალს ცერად გაადევნებს მეფისტოფელს.)*
ჰგავს, მიუფეხვავთ, ცალი ფეხით კოჭლობს ყმანვილი!

**მეფისტოფელი**
ნება გვიბოძეთ, დავიკავოთ სუფრის ნანილი.
ცოტა რომ ღვინოც გივარგოდეთ, მდარე ღვინო გაქვთ,
რა აჯობებდა თქვენთან ერთად სმას და ლხინობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ალტმაიერი**
გეტყობათ, ბედი განებივრებთ, მოგყვებათ თანხა.

**ფროში**
რიპახის მხრიდან გადმოხვედით? ნამგზავრნი ჩანხართ.
ის კაი კაციც შეგხვდებოდათ, ჰანს რიპახელი.

**მეფისტოფელი**
ჩვენით მოვძებნეთ, ყურში გვედგა მისი სახელი.
სწორი ბრძანდებით, რეგვენია ყოვლად ალალი.
ძმებად გახსენათ, პირზე კოცნით გიძღვნათ სალამი.
*(თავს მდაბლად ხრის ფროშის წინაშე.)*

**ალტმაიერი**, *ხმადაბლა*
მოგსხიპა? სეირს განახებთო, აქ ვილაც ხურდა!

**ზიბელი**
შენ რომ გეგონა, სულ სხვა ჩიტია,
გაჭრა და აქეთ შემოგვიტია.

**ფროში**
ჯერ ცოტა ხანი დამაცადეთ, ვაახლებ ხურდას!

**მეფისტოფელი**
ეს თქვენ მღეროდით? რა ხმა იყო, რა ჰარმონია!
თან ამ თალებქვეშ აკუსტიკაც რიგზე გქონიათ.

**ფროში**
მუსიკოსი ხართ? ვირტუოზი ხომ არ ბრძანდებით?

**მეფისტოფელი**
ჩემთვის ვცოდვილობ, არ მომეცა ნიჭი ამდენი.

**ალტმაიერი**
იქნებ გვიმღეროთ!

**მეფისტოფელი**
როგორც მეტყვით.

**ზიბელი**
ხელდახელ ბარემ!
ოღონდ ცინცხალი! არაფერი ძველი და მდორე!

**მეფისტოფელი**
კი, სულ ახლახან ესპანეთი დავლაშქრეთ სწორედ,
ნაკურთხი მიწა, ღვინისა და სიმღერის მხარე.
*(მღერის)*
მეფეს ერთი რწყილი ჰყავდა,
გამოზრდილი სათუთად...

**ფროში**
ჩახვდით, რა რწყილიც? მაღალზე გადის!
ზუსტად ერგება სამეფო ქათიბს!

**მეფისტოფელი**
მეფეს ერთი რწყილი ჰყავდა,
გამოზრდილი სათუთად,
სულის ბერვით ინახავდა,
შვილს ერჩია საკუთარს.
მკერავს უხმო: აბა, ჩქარა,
ჭრა და კერვა მალ-მალი,
აბრეშუმი შური-შარა,
მძიმე დიბის შარვალი!

**ბრანდერი**
გაფრთხილდი, თერძო, ემაგ შარვალს თან გადაჰყვები,
არ შენაოჭდეს რწყილის წელზე ერთი ნახევრიც!

**მეფისტოფელი**
გადიდკაცდა ჩვენი რწყილი,
დიდი პოსტი რგებია,
სტავრით არის შემოსილი,
ბაფთები და ჯვრები აქვს.
თავს ამაყად აზეზავებს,
მკერდზე ვარსკვლავს ატარებს,
შორით იკრებს ნათესავებს,
რწყილებს პატარ-პატარებს.

დადის ხალხი ტანის ფხანით,
წითელ-წითელ ხალებით,
ფხანად იქცა დედოფალი
თავის სეფექალებით.
შიშით საცვალს ვერვინ ხილავს
ნახდენიათ გუნება.
ჩვენთვის რწყილი რამც ყოფილა,
ერთი გატკაცუნება!

**გუნდი**, ალტაცებით
ჩვენთვის რწყილი რამც ყოფილა,
ერთი გატკაცუნება!

**ფროში**
ბრავო! კარგია! არ უნდოდეს, შუბლს გახსნის კაცი!

**ზიბელი**
ჩვენს ტილ-რწყილებსაც არ აწყენდათ ეგეთი ტკაცი!

**ბრანდერი**
ფრჩხილქვეშ და მუსრი! მთელი მათი მოდგმით და
ფესვით!

**ალტმაიერი**
თავისუფლებას გაუმარჯოს! გთხოვთ, ყველამ შესვით!

**მეფისტოფელი**
მაგ სადღეგრძელოს სავსე გულით ავუწევ ჭიქას,
მაგრამ შიგ ღვინო ისეთი გვქვს, არაფერს გვიგავს.

**ზიბელი**
მოვრჩეთ! მაგაზე აღარ გვინდა! ვინც ლხინობს, ლხინობს!

**მეფისტოფელი**
ვშიშობ, მანდ პატრონს ეწყინება, თორემ ახლავე
გაგასინჯებდით ჩემს მარნებში დაწურულ ღვინოს.

**ზიბელი**
თუ გაქვთ, ჩამოდგით! აქ ამაზე არ დაგვძრახავენ.

**ფროში**
უნდა გამოვტყდე, მე, ბატონო, ზნე მაქვს ამგვარი:
ვერ ვაჭაშნიკებ, სულ ბოლომდე თუ არ დავკარი.

**ალტმაიერი,** *ხმადაბლა*
მივხვდი, ვინც არის! მელვინეა რაინის მხრიდან.

**მეფისტოფელი**
იქნებ აქ სადმე ბურღი იყოს.

**ბრანდერი**
ვიშ, ბურღიც გვინდა?
ღვინის კასრები აქავე გაქვთ, კართ გიყუდიათ?

**ალტმაიერი**
ბურღს მანდ ვიპოვი, ხელსაწყოთა რაღაც ყუთია.

**მეფისტოფელი,** *ართმევს ბურღს*
ვის რა ღვინო გსურთ? მნებავს, იყოთ ჩემი სტუმრები.

**ფროში**
არჩევანიც გვაქვს? მართლა ამბობთ? არ გვეხუმრებით?

**მეფისტოფელი**
არჩევანიც და არადანიც! ნება ჩვენია!

**ალტმაიერი,** *ფროშზე ათითებს*
რას აჟუჟუნდა! ნახეთ, უკვე ტუჩებს ილოკავს!

**ფროში**
მე – რაინული! სხვა ყველაფერს ეგ მირჩევნია.
სამშობლო მიყვარს, ვერ ვეწყობი უცხო კილოკავს.

**მეფისტოფელი,** *იქ, სადაც ფროში ზის, მაგიდის კიდეს ბურღავს*
საცობებისთვის ცვილიც გვინდა, ცოტა სანთელი.

**ალტმაიერი**
ფოკუსებია! ოინბაზთა ძველი ფანდები!

**მეფისტოფელი,** *ახლა სხვა ადგილს ბურღავს და სანთლის საცობს არგებს*
თქვენ რა მოგართვათ?

**ბრანდერი**
ქაფიანი! შუშხუნა შხეფით!
შამპანს ვეწვევი, უცხო ქვეყნის მომნატრდა გზები!
როგორც ნამდვილი გერმანელი, ვერ ვიტან ფრანგებს,
ვერც რამე ფრანგულს, მაგრამ ღვინო სხვა საკითხია!

**ზიბელი**
მომკლა ამ მჟავემ! მხოლოდ ტკბილი! ეგ უკეთ მარგებს.
შევყვები ჩემთვის, აი დარდი, რასაც იტყვიან!

**მეფისტოფელი**
თუ ნებას მომცემთ, შეგირჩევთ თავად.
ტოკაიური, მე მგონი, ნავა.

**ალტმაიერი**
მომხედე, ვინც ხარ! აქ ეგენი არ გასაღდება!
რაღაცას ხლართავ! გნებავს ჩვენი მასხრად აგდება?

**მეფისტოფელი**
რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ! მაგის კაცი ვარ?
თან სალ-სალამათს ვის შერჩება თქვენი დაცინვა!
ჯობს, ეგ მიბრძანოთ, რას მიირთმევდით?
რომელი გნებავთ? თეთრი? წითელი?

**ალტმაიერი**
ახლა მაგაზე მალაპარაკე!
იყოს რაც გინდა, ოღონდ ჩქარა ქენ!

**მეფისტოფელი,** *უცნაური მოძრაობით*
ვაზის რქა და რქანი თხისა,
ვაზი ხეზე, ტაბლა ხისა.
თვალის ჩინო, არა ჩინდე,
ხმელი ხიდან, ღვინოვ, დინდე!
სასწაულო, უცხო რამ ხარ,
ის გიხილავს, ვისაც სწამხარ.

ახლა კი გახსენით!
შეუდგით თასები!

**ყველანი,** *მას შემდეგ, რაც საცობები ამოიღეს და ჭიქები აივსეს*
იფ, მირონია! მკვდარიც იყო, აღდგები მკვდრეთით!

**მეფისტოფელი**
ოღონდ გაფრთხილდით, არ დაგექცეთ არც ერთი წვეთი!

**ყველანი,** *მღერიან*
ვნეტარებთ მთელი ზედახორით,
როგორც ხუთასი დედალორი!

**მეფისტოფელი**
რას ხალისობენ!

**ფაუსტი**
გავეცალოთ!

**მეფისტოფელი**
ნუ ჩქარობ, დაცხრი!
თვალი ადევნე გაშიშვლებულ ცხოველურ საწყისს.

**ზიბელი,** *ერთი წვეთი ძირს ჩამოექცევა და აალდება*
მიშველეთ, ცეცხლი! ჯოჯოხეთის ამოსკდა ალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მეფისტოფელი**
დექ, მშობლიურო სტიქიონო, შენყვიტე დრტვინვა!
ჯერ გარესკნელის შხეფებია, მსგავსება მკრთალი.

**ზიბელი**
ძვირად დაგისვამთ! შენ, ეტყობა, არ იცი, ვინ ვართ!

**ფროში**
ახია ჩვენზე! არა, ნახე, რა გააკეთა?

**ალტმაიერი**
სანამ მრთელი ხარ, აიხვეტე! მოსხლტი აქედან!

**ზიბელი**
წესიერ სიტყვას გეუბნება, გზა ნახე, გვეხსენ!
ეგ შენი ჰოკუს-ფოკუსები მოსინჯე სხვებზე.

**მეფისტოფელი**
ჩუმად, ბებერო ღვინის რუმბო!

**ზიბელი**
შე ცოცხის ტარო!
არა, ამ თავხედს დამიხედე, თვითონვე ცხარობს!

**ფროში**
გონზე მოგიყვანთ! მოგითვლით მაგრებს!
ისე მოგაქცევთ, ველარვინ აგკრეფს!

**ბრანდერი,** *საცობს აძრობს და უეცრად ცეცხლი შიგ სახეში შეეფრქვევა*
ვიჰვი!

**ზიბელი**
გრძნება და ჯადო-მადო! გვეთამაშება!
ფუშეთ, ბიჭებო, არ იქნება მაგის გაშვება!
*(დანებს დააძრობენ და მეფისტოფელზე მიიწევენ.)*

**მეფისტოფელი**
უმზო-მზერით, უსმო-სმენით,
უსვლელითა სვლითა თქვენით
სად არა ხართ, იქ იყვენით!

*ყველანი გაოცებული დგანან და ერთმანეთს შესცქერიან.*

**ალტმაიერი**
რა ადგილია, სად მოვსულვართ?

**ფროში**
დიდი ზვრებია!

**ზიბელი**
სავსე მტევნები მზით გავსილან, ხელთ გვეწვდებიან!

**ბრანდერი**
ფანჩატურებად გაფოთლილა ვაზთა გრეხილი!
ვკრიფოთ მტევნები, მძიმე-მძიმედ ჩამოზნექილი!
*(ზიბელის ცხვირს წასწვდება. ყველანი ერთმანეთის ცხვირებს წაეტანებიან და დანებს შემართავენ.)*

**მეფისტოფელი**
განიხიბლენით! თვალთა ცთომავ, განვედ თვალთაგან!
ეშმაკი მხოლოდ გაგეხუმრათ, ხილვა დამთავრდა!
*(გადის ფაუსტთან ერთად.)*

**ზიბელი**
რა იყო? არა, ეს რა იყო?

**ალტმაიერი**
ვერც მითქვამს ენით!

**ფროში**
ხელთ შენი ცხვირი მიბლუჯია?

**ბრანდერი**
მე კიდევ – შენი?

**ალტმაიერი**
კეფაში დამკრა! დავბანცალებ ხელის ცეცებით...
ვილაცამ სკამი მომაშველეთ, ჩავიკეცები!

**ფროში**
რა მოხდა? არა, ამიხსენით, ხალხი არა ხართ?

**ზიბელი**
მინაში ჩავდებ! სად წავიდა? ცოცხლად დავმარხავ!

**ალტმაიერი**
თორემ ერთბაშად არ იპოვო! გაქრა ჩვენება!
კასრზე ამხედრდა, დაოთხებულს მიაჭენებდა.
ფეხს ველარ ვადგამ, გეგონება, ლოდები მბმოდეს!
*(თვალი მაგიდისკენ გაექცევა.)*
გემუდარებით, იქ ის ღვინო ჯერ ისევ მოდენს?

**ზიბელი**
ხიბლი იყო და თვალს ნაცარი! მოდენს კი არა...

**ფროში**
მაშ, რას ვყლურწავდი, რაზე გემომ არ გამიარა?

**ბრანდერი**
მშვიდობით, ზვრებო! ზმანებანო ფერად-ფერადო!

**ალტმაიერი**
კიდევ იტყვიან, სასწაულის ნულარ გჯერათო!

გერმანულიდან თარგმნა
დავით წერედიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუსტავ ფლობერი

# საყოველთაოდ მიღებული აზრების ლექსიკონი

**აშვება** – შეიძლება აუშვა საკუთარი ძაღლები ან ბოროტი ვნებები.

**დემოსთენე** – სიტყვას არ წარმოთქვამდა, თუ ენის ქვეშ კენჭს არ ამოიდებდა.

**დეკარტი** – „Cogito, ergo sum" („ვაზროვნებ, ე.ი. ვარსებობ").

**დილეტანტი** – მდიდარი კაცი, რომელსაც ოპერის აბონემენტი აქვს.

**დივა** – ყველა საოპერო მომღერალ ქალს დივა უნდა უწოდოთ.

**დიდრო** – მისი ხსენებისას დალამბერიც მიაყოლეთ.

**უფლება** – არავინ იცის, რა არის.

**ძილი** – დიდხანს ძილი სისხლს ასქელებს.

**დროშა ეროვნული** – მისი დანახვა გულს აძგერებს.

**სასაცილო** – ამ სიტყვის ხმარება ყოველ წუთს შეგიძლიათ: „რა სასაცილოა!"

**ჯინი** – აღმოსავლური ცეკვა.

**დიოგენე** – „ადამიანს ვეძებ... ჩამომეცალე მზიდან!"

**უდაბნო** – აწარმოებს ფინიკის პალმას.

**კბილები** – აფუჭებს სიდრი, თამბაქო, დრაჟე, ნაყინი, სითხის მიღება წვნიანის მირთმევისთანავე და პირღია ძილი. თვალის კბილი – მისი ამოძრობა სახიფათოა, რადგან თვალთანაა დაკავშირებული. კბილის ამოღება სიამოვნებას ნამდვილად არ გვანიჭებს.

**ღმერთი** – თვით ვოლტერმა თქვა: „ღმერთი რომ არ ყოფილიყო, საჭირო იქნებოდა მისი გამოგონებაო".

**მოვალეობანი** – სხვებისგან მოითხოვეთ მათი შესრულება, თქვენ კი ეცადეთ თავიდან აიცილოთ. სხვები დავალებული არიან ჩვენგან, ჩვენ კი მათი არაფერი გვმართებს.

**ერთგულება** – ვიწუწუნოთ იმაზე, რომ ერთგული ადამიანი სანთლით საძებარი გახდა. „ამ თვისებით ძაღლიც კი ჯობია ადამიანებს".

**ლექსიკონი** – „მხოლოდ უვიცებისთვისაა შექმნილი". რითმების ლექსიკონის გამოყენება? რა სამარცხვინოა!

**უცოლო კაცების სადილი** – მოითხოვს ხამანწკებს, თეთრ ღვინოსა და უხამს ხუმრობებს.

**დოკუმენტი** – ყოველთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

**დომინო** – რაც უფრო მთვრალია ადამიანი, მით უკეთესად თამაშობს.

**სისხლის გამწმენდი** – ჩუმ-ჩუმად სვით.

**საპატიო ლეგიონის ორდენი** – სასაცილოთ აიგდეთ, მაგრამ დღე და ღამ ინატრეთ. თუ გეღირსებათ, თქვით, რომ თქვენ არავისთვის არაფერი გითხოვიათ, თვითონ მოგანიჭეს.

**დიპლომი** – მეცნიერების ნიშანია, მაგრამ ვერაფერს ამტკიცებს.

**დიპლომატია** – მშვენიერი კარიერაა, მაგრამ სიძნელეებითა და იდუმალებითაა აღსავსე. მხოლოდ კეთილშობილ ადამიანებს შეეფერება. მეტად ბუნდოვანი დანიშნულების ხელობაა, მაგრამ ვაჭრობას ნამდვილად სჯობს. დიპლომატი ყოველთვის დახვეწილი და შორსმჭვრეტელია.

**ტკივილი** – ძირითადად, სასიკეთო შედეგის მომტანია. ნამდვილი ტკივილი უხილავია.

**საცხოვრებელი სახლი** – ამტკიცებენ, ხელშეუხებელიაო, თუმცა სამართალდამცავები და პოლიცია, როცა მოეპრიანებათ, მაშინ შეცვივდებიან. არსებობს გამოთქმები: „ვუბრუნდები მშობლიურ კერას", „წავედი ოჯახში". ორივე შინ დაბრუნებას ნიშნავს.

**ექიმი** – ყოველთვის წინ უძღვის სიტყვა „კარგი". თუ მარტო მამაკაცები საუბრობთ, ხშირად ისმის: „ის წყეული ექიმი, ისა!" თუ თქვენს ნდობას იმსახურებს, არწივია; თუ უსიამოვნება მოგივიდათ, ვირია. ყველა ექიმი მატერიალისტია. „რას ვიზამთ, სკალპელის წვერზე რწმენისთვის ადგილი აღარ რჩება".

**ქურქი** – სიმდიდრის მანიშნებელია.

**ფრესკა** – აღარ აკეთებენ.

**მოსამსახურე ქალი** – ყოველთვის უფრო ლამაზია, ვიდრე ოჯახის დიასახლისი; იცის ყველა მისი საიდუმლო და ყოველთვის აბეზღებს ქმართან. ბოლოს, ყველა მოსამსახურე ქალს ოჯახის ვაჟიშვილი აუპატიურებს.

**სიცივე** – ბევრად ჯანსაღია, ვიდრე სიცხე.

**თოფი** – რატომღაც ყველას სოფელში აქვს.

**დახურული** – წინ უსწრებს სიტყვა „ჰერმეტულად".

**ფეოდალიზმი** – მართალია, არავის და მათ შორის არც თქვენ, წარმოდგენაც კი არა გაქვთ რა არის ეს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მაინც გაილაშქრეთ მის წინააღმდეგ.

**ფუნქციონერი** – იწვევს გარშემომყოფთა პატივისცემას, მიუხედავად იმისა, თუ რა ფუნქციას ასრულებს.

**ყველი** – მოიყვანეთ ბრია-სავარენის* ციტატა: „დესერტი ყველის გარეშე იგივეა, რაც ცალთვალა მზეთუნახავი".

**ცოლი** – სქესობრივი არსება, ადამის ერთ-ერთი ნეკნი. ნუ იტყვით: „ჩემი ცოლი", თქვით: „ჩემი მეუღლე" ან კიდევ უფრო უკეთესია „ჩემი მეორე ნახევარი".

**ვაზის ფოთოლი** – მამაკაცურობის სიმბოლო ქანდაკების ხელოვნებაში.

**ფაბრიკა** – სამეზობლოდ საშიშია.

**ქაშანური** – უფრო მაგარია, ვიდრე ფაიფური.

**ხოხობი** – ბრწყინვალეა სადილში.

**ფაქტურა** – ყოველთვის ძალიან მაღალია.

**ფერუმარილი** – კანისთვის საზიანოა.

**ბედისწერა** – გამორჩეულად რომანტიკული სიტყვაა. საბედისწერო ითქმება ადამიანზე, რომელსაც ცუდი თვალი აქვს.

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა" №2

* ბრია-სავარენი (1755-1826) – ფრანგი მწერალი და გასტრონომი; ცნობილი გახდა ტრაქტატით: „გემოს ფსიქოლოგია ანუ მედიტაციები ტრანსცენდენტულ გასტრონომიაზე".

**ყალბი ფულისმჭრელები** – მუშაობენ იატაკქვეშ.

**შეცდომა** – „ეს დანაშაულზე უარესია, ეს შეცდომაა" (ტალეირანი). „არცერთი შეცდომა აღარ დარჩა ჩასადენი" (ტიერი). ეს ორი ფრაზა ძალიან ხაზგასმით უნდა გამოთქვათ.

**ბედნიერება** – ყოველთვის სრულყოფილია. თუ თქვენს მოსამსახურეს ფელისიტე („ბედნიერება") ჰქვია, დარწმუნებული იყავით, რომ მას ნაკლი არ აქვს.

**დედალი** – იხმარება მხოლოდ ცხოველებთან მიმართებაში. ადამიანის მოდგმისაგან განსხვავებით, დედალი ცხოველები ნაკლებად ლამაზები არიან, ვიდრე მამლები. მაგალითად: ხოხობი, მამალი, ლომი და ა.შ.

**ოაზისი** – სასტუმრო უდაბნოში.

**კვერცხი** – ამოსავალი წერტილი ორგანიზმთა გენეზისზე ფილოსოფიური დისერტაციისა.

**ჩიტი** – ისურვეთ ჩიტობა, თან ამოიოხრეთ: „ოო! ფრთები! ფრთები!" პოეტური სულის ნიშანი.

**ომეგა** – ბერძნული ანბანის მეორე ასო, რადგან ყოველთვის ამბობენ: „ალფა და ომეგა".

**ორიგინალური** – დასცინეთ ყოველივე ორიგინალურს, შეიძულეთ, გაამასხარავეთ და თუ შეძლებთ, სულაც გაანადგურეთ.

**ოპერის კულისები** – მაჰმადის სამოთხე დედამიწაზე.

**ორგია** – სულის ამაღლება ღმერთამდე.

**ოპტიმისტი** – სულელის სინონიმი.

**წესრიგი** – რამდენი დანაშაული ხდება მისი სახელით?!

**ორთოგრაფია** – გჯეროდეთ მისი, ისევე როგორც მათემატიკისა. თუ სტილი გაქვთ, ორთოგრაფია აღარ არის საჭირო.

**მუშა** – ყოველთვის პატიოსანია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამბოხებას აწყობს.

**ორიენტალისტი** – ადამიანი, რომელსაც ბევრი უმოგზაურია.

**ორკესტრი** – საზოგადოების სურათი: თითოეული საკუთარ პარტიას ასრულებს და ხელმძღვანელიც ჰყავთ.

**მადლიერება** – სიტყვიერ გამოხატულებას არ საჭიროებს.

**რესპუბლიკელები** – ყველა რესპუბლიკელი ქურდი არაა, მაგრამ ქურდები ყველანი რესპუბლიკელები არიან.

**რესტორანი** – მოითხოვეთ ის კერძები, რასაც, ჩვეულებისამებრ, სახლში არ მიირთმევთ. თუ არ იცით რა შეუკვეთოთ, გადახედეთ მეზობელ მაგიდებს და თქვენც იგივე მოითხოვეთ.

**რონსარი** – სასაცილოა თავისი ბერძნული და ლათინური სიტყვებით.

**კბილის პროთეზი** – კბილების ამოსვლა მესამეჯერ. ყურადღებით უნდა იყოთ, რომ ჭამის დროს არ გადაგეყლაპოთ.

**სიცილი** – ყოველთვის ჰომერულია.

**კაბა** – პატივისცემით განგმსჭვალავს.

**რადიკალიზმი** – მით უფრო საშიშია, რაც უფრო ფარულია. რესპუბლიკას რადიკალიზმისაკენ მივყავართ.

**რომანსები** – რომანსების შემსრულებლები მოსწონთ ქალბატონებს.

**რომანები** – რყვნიან მასებს. ნაწილ-ნაწილ დაბეჭდილი ნაკლებად ამორალურია, ვიდრე ერთ წიგნად გამოცემული. მხოლოდ ისტორიული რომანებია დასაშვები, რადგან ისინი ისტორიას გვასწავლიან. არიან რომანები, რომლებიც დაწერილია სკალპელის წვერით და რომანები, რომლებიც ნემსის წვერზე ეტევა.

**ნითური ქალები** – იხ. ქერა, შავგვრემანი და შავკანიანი ქალები.

**ნანგრევები** – ოცნებაში გადავყავართ და პეიზაჟს პოეზიის სულს შთაბერავენ.

**რასინი** – ეგ გარყვნილი, ეგა!

**რუსო** – უნდა გეგონოთ, რომ ჟან-ჟაკ რუსო და ჟანბატისტ რუსო ძმები იყვნენ, ისევე როგორც ორი კორნელი.

**ელენთა** (ტყირპი) – უწინ მორბენლებს ამოჭრილი ჰქონდათ.

**ბუხრის მწმენდავი** – ზამთრის მერცხალი.

**ოცნებები** – ამაღლებული აზრები, რომლებიც არავის ესმის.

**სიმდიდრე** – ყველაფრის ადგილს იკავებს. წინადახედულობისასაც კი.

**უნივერსიტეტი** – Alma mater.

**ტალეირანი** (პრინცი დე) – აუცილებლად გაკიცხეთ.

**ამინდი** – საუბრის მარადიული თემა. ყველა ავადმყოფობის უნივერსალური მიზეზი. გამუდმებით იწუწუნეთ ამინდზე.

**მოწმე** – არასოდეს ნახვიდეთ მოწმედ სასამართლოში. კაცმა არ იცის, რა შეიძლება ამას მოჰყვეს.

**თხუნელა** – არსებობს გამოთქმა: „ბრმა, როგორც თხუნელა". არადა, ორივე თვალი აქვს.

**ბუღა** – ხბოს მამა. როგორც ჩანს, ხარი მხოლოდ ბიძაა.

**ქალის ტუალეტი** – ამღვრევს გონებას.

**ბორდელი** (ფრანგულად la maison de tolerance – „შემწყნარებლობის სახლი") – ეს ის ადგილი არ არის, სადაც ერთმანეთის აზრებს შეიწყნარებენ.

**სტომაქი** – ქალბატონების თანდასწრებით თქვით „მუცლის ღრუ".

**მოგზაური** – რატომღაც ყოველთვის უშიშარი და შეუდრეკელია.

**მოგზაურობა** – უმჯობესია თუ მალე დაასრულებთ.

**ვალსი** – დაგმეთ სასტიკად. ავხორცული და უხამსი ცეკვა, რომელსაც მხოლოდ მოხუცი ქალები უნდა ცეკვავდნენ.

**გაყიდვა** – ცხოვრების აზრი ყიდვა-გაყიდვაა.

**მეზობლები** – ეცადეთ წვრილმან საქმეებში მოიმსახუროთ ისინი ისე, რომ მერე თქვენ არაფრით იყოთ დავალებული.

**ღვინოები** – მამაკაცთა საუბრის თემა. მათ შორის საუკეთესოა ბორდო, ვინაიდან ექიმები წამლად გვიწერენ. ღვინოს რაც უფრო ცუდი გემო აქვს, მით უფრო ნატურალურია.

**სახე** – სულის სარკე. როგორც ჩანს, მრავალ ადამიანს აქვს მახინჯი სული.

**ღამისთევები** – თუ სოფელში ხდება, მორალურია.

**აცრა** – მხოლოდ აცრილ ადამიანებთან იქონიეთ კავშირი.

**ბერიკაცი** – წყალდიდობის, ჭექა-ქუხილისა და სხვა ბუნებრივი უბედურებების შემდეგ სოფლელი ბერიკაცე-

ბი ირწმუნებიან, რომ მსგავსი რამ ცხოვრებაში არ უნახავთ.

**თამბაქო** – ფაბრიკის გამოშვება ახლოსაც ვერ მივა კონტრაბანდულთან. მისი მოწევა ძალზედ შვენის თანამდებობის პირს. ტვინისა და ხერხემლის ყველა დაავადება მისი ბრალია.

**ცამეტი** – მაგიდას ცამეტნი არ მიუსხდეთ: უბედურების მომტანია. განსაკუთრებით ჭკვიანებმა ეს შემთხვევა ხელიდან არ უნდა გაუშვან და უნდა იხუმრონ: „არა უშავს, მე ორი კაცის სამყოფს შევჭამ". თუ ქალებიც არიან მაგიდასთან, იკითხეთ რომელიმე მათგანი ფეხმძიმედ ხომ არ არის.

**წმინდა ელენე** – კუნძული, რომელიც ცნობილია მასზე მდებარე კლდით.

**სამარილე** – თუ გადაგიყირავდათ, უბედურების ნიშანია.

**ცხვირიდან სისხლდენა** – გაზაფხულზე სასარგებლოა.

**სატრაპი** – მდიდარი და თავაშვებული კაცი.

**თვითმკვლელობა** – სილაჩრის ნიშანი.

**ოხვრა** – ქალის სიახლოვეს უნდა მოხდეს.

**სიბარიტები** – მათ ხსენებაზე ალმფოთდით.

**ჯანმრთელობა** – მეტისმეტი ჯანმრთელობა ავადმყოფობის ნიშანია.

**პეიზაჟი** – ლექსების დასაწერი ადგილი.

**გველი** – ყველა შხამიანია.

**მეცნიერება** – ცოტა მეცნიერება რელიგიიდან გვაშორებს, ბევრს კი მასში შევყავართ.

**სევილია** – ცნობილია თავისი დალაქით. ერთი სევილია მანახა და მერე მოვკვდე! (იხ. ნეაპოლი)

**სენეკა** – ოქროს პიუპიტრზე წერდა.

**სალამ-ქალამი** – ყოველთვის ნაჩქარევია.

**თავგანწირვა** – ხელოვნებაში, მედიცინაში და ა.შ. სამსახური თავგანწირვაა.

**სიფილისი** – სხვადასხვა დოზით ყველას ჰქონია.

**მარია სტიუარტი** – მწარედ დასტირეთ მის ბედს.

**საყოველთაო ხმის მიცემა** – პოლიტიკური მეცნიერების უკანასკნელი ტერმინი.

**სტოიციზმი** – შეუძლებელია.

**მთვარეული** – ღამღამობით სახურავების კიდეებზე დასეირნობს.

**მკრეხელობა** – ხის მოჭრა მკრეხელობაა.

**სპირიტუალიზმი** – ფილოსოფიის საუკეთესო სისტემა.

**სკუდერი*** – დასცინეთ მას; აუცილებელი არ არის იცოდეთ კაცია თუ ქალი.

**მეცნიერები** – მასხრად აიგდეთ ისინი. მეცნიერობას რა უნდა! მხოლოდ და მხოლოდ მეხსიერება და შრომა!

**სამსახურის გაწევა** – ბავშვისთვის არის თავში ნამორტყმა, ცხოველებისთვის – ცემა, მოსამსახურეებისათვის – გაგდება, ბოროტმოქმედებისათვის – დასჯა.

**ნათლიმამა** – ნათლულის მამა.

**პოლიცია** – ყოველთვის დამნაშავეა.

**პოეტი** – სულელის კეთილშობილური სინონიმი, მეოცნებე.

**პოეზია** – ყოვლად უსარგებლოა, თანაც, მოდაშიც აღარ არის.

**პიანინო** – აუცილებელია მისაღებ ოთახში.

**პერუ** – ქვეყანა, სადაც ყველაფერი ოქროსია.

**პედერასტია** – ავადმყოფობა, რომელიც ყველა მამაკაცს სჭირს გარკვეულ ასაკში.

**პელიკანი** – გვერდებიდან ხორცს იწიწკნის საკუთარი პატარები რომ გამოკვებოს. ოჯახის მარჩენალის სიმბოლო.

**მენამული** – უფრო კეთილშობილი სიტყვაა, ვიდრე „ნითელი".

**ფენიქსი** – მშვენიერი სახელია ხანძრის საწინააღმდეგო სადაზღვევო კომპანიისათვის.

**ადგილი** – ყოველთვის მოითხოვეთ.

**მცენარე** – კურნავს ადამიანის სხეულის იმ ნაწილებს, რომლებსაც ჰგავს.

**სეირნობა** – გაისეირნეთ ყოველთვის სადილის შემდეგ. ეს ხელს უწყობს მონელებას.

**მეპატრონე** – ადამიანები იყოფიან ორ დიდ კლასად: მეპატრონეებად და მდგმურებად.

**პორტფელი** – იღლიაში ამოჩრილი მინისტრის იერს იძლევა

**პირამიდა** – არაფრის მომტანი ნამუშევარი.

**ქალწული** – მხოლოდ ჟანა დ'არკთან მიმართებაში იხმარება, წინ უნდა უძღოდეს სიტყვა „ორლეანელი".

**პროზა** – უფრო ადვილი დასაწერია, ვიდრე ლექსები.

**ბედისწერა** – რა დაგვემართებოდა მის გარეშე?!

**რეკლამა** – სიმდიდრის წყარო.

**მოკრძალება** – ყველაზე ლამაზი სამკაული ქალისთვის.

**შავქლიავა** – ათავისუფლებს მუცლებს.

**პრაქტიკა** – აღემატება თეორიას.

**პროგრესი** – ყოველთვის ცუდად გაგებული და ნაჩქარევია.

**პური** – კიდევ კარგი არ ვიცით, რამდენ ნაგავს ურევენ.

**პარიზი** – დიდი მეძავი. ქალების სამოთხე, ცხენების ჯოჯოხეთი.

**პანთეიზმი** – დაგმეთ. ნამდვილი აბსურდია.

**პრიაპიზმი** – ანტიკურობის კულტი.

**პრინციპები** – ყოველთვის უდავოა. ვერასოდეს იტყვი როგორი ან რამდენია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მაინც წმიდათაწმიდაა.

**პარალელი** – უნდა გაივლოს მხოლოდ შემდეგ სახელებს შორის: ცეზარი და პომპეუსი, ჰორაციუსი და ვირგილიუსი, ვოლტერი და რუსო, ნაპოლეონი და შარლემანი, გოეთე და შილერი, ბეიარი და მაკ-მაონი.

**პალადიუმი** – ანტიკურობის ციხე-სიმაგრე.

**ხელმოწერა** – რაც უფრო ჩახლართულია, მით უფრო ლამაზია.

**პაგანინი** – ვერასოდეს აწყობდა თავის ვიოლინოს. ცნობილია გრძელი თითებით.

**პალმა** – იძლევა ადგილობრივ კოლორიტს.

**სასქესო ორგანოები** – ზოგიერთებისათვის სასირცხვილოა, ზოგიერთებისათვის კი ბუნებრივი.

---

* სკუდერი (1605-1667) – ფრანგი პოეტი, რომელსაც ხშირად აკრიტიკებდა ბუალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მხატვრების პეიზაჟები** – მწვანე ფერმოჭარბებული ცუდი ნახატები.

**მინაზე მხატვრობა** – საიდუმლო დაკარგულია.

**მასწავლებელი** – ყოველთვის მცოდნეა.

**ნათესავები** – უსიამოვნების მეტი არაფერი მოაქვთ. ღარიბები საგულდაგულოდ დამალეთ

**პარადოქსი** – ძირითადად, იტალიელების ბულვარზე სეირნობისას ამბობენ, ნაფაზსა და ნაფაზს შორის.

**ფოტოგრაფია** – მალე მხატვრობის ადგილს დაიკავებს (იხ. დაგეროტიპი).

**სიბრალული** – კარგი იქნება თუ თავიდან აიცილებთ.

**ფიქრი** – მძიმეა. მიზეზებს, რის გამოც იძულებული ვართ ვიფიქროთ, ხშირ შემთხვევაში, ალარაფერი ეშველება.

**თანამდებობების გაცვლა** – ერთადერთი ზმნა, რომელსაც სამხედრო პირები აუღლებენ.

**პალმირა** – ეგვიპტის დედოფალი? ნანგრევები? ნეტავ რა იყო? თუმცა, რას გაიგებ.

**პლანეტები** – ყველა აღმოჩენილია ბ-ნ ლევერიეს* მიერ.

**ზანგები** – უნდა გაიკვირვოთ, რომ ნერწყვი თეთრი აქვთ და ფრანგულად ლაპარაკობენ.

**ნერვიული** – როდესაც ექიმები ავადმყოფობას ვერაფერს უგებენ. მას ნერვიულს უწოდებენ. ასეთი ახსნა ავადმყოფს ამშვიდებს.

**ნეოლოგიზმები** – ფრანგული ენის მტერი.

**ნესტოები** – თუ ანეულია, ავხორცობის ნიშანია.

**ნექტარი** – ამბროზიაში უნდა აგერიოთ.

**ნოტარიუსები** – ახლა უკვე ველარც მაგათ ენდობა კაცი.

**შავი** – წინ აუცილებლად უძღვის „აბანოზივით“ ან „გიშერივით“.

**ბუნება** – „რა მშვენიერია ბუნება!“ – წამოიძახეთ რამდენჯერაც კი სოფელში მოხვდებით.

**გორდიას კვანძი** – უკავშირდება ანტიკურ ხანას (იმდროინდელი მამაკაცების ჰალსტუხის განასკვის ერთ-ერთი ფორმა).

**ნუმიზმატიკა** – კავშირია დიდ მეცნიერებასთან, გვავსებს ღრმა პატივისცემის გრძნობით.

**ცუდი ფრანგული** – ნებისმიერი ეროვნების უცხოელს რომ გავაგებინოთ, საჭიროა ცუდი ფრანგულით დაველაპარაკოთ. გამოიყენება აგრეთვე სატელეგრაფო სტილში.

**საკვები** – კოლეჯებში ყოველთვის სალი და უხვია.

**მაესტრო** – იტალიური სიტყვაა და ნიშნავს „პიანისტს“.

**ხელი** – ლამაზი ხელის ქონა ლამაზად წერას ნიშნავს.

**მაგია** – სასაცილოდაც ნუ გეყოფათ.

**მაკარონი** – თუ იტალიურადაა მომზადებული, ხელით უნდა მიირთვათ.

**მაკიაველი** – გინდაც წაკითხული არ გქონდეთ, მაინც ავაზაკი უწოდეთ.

**მაკიაველიზმი** – ეს სიტყვა კანკალით წარმოითქმება.

**ვერცხლისწყალი** – კლავს ავადმყოფობას და ავადმყოფს.

**მელოდრამები** – ნაკლებამორალურია, ვიდრე დრამები.

**ღამის 12 საათი** – წესიერი გზით მიღებული ბედნიერებისა და სიამოვნებების საზღვარი. ყველაფერი, რაც უფრო გვიან ხდება, უზნეობაა.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

ფრანგულიდან თარგმნა
**თინა ღარიბაშვილმა**

---

* ლევერიე (1811-1877) – ცნობილი ფრანგი ასტრონომი, პარიზის ობსერვატორიის დირექტორი. კვლევების გზით პირველმა დაამტკიცა პლანეტა ნეპტუნის არსებობა.



ხოსე მარტინეს რუისი (ასორინი)

# პირველი საოცრება

*ბეთლემი; ქრისტეს დაბადების პირველი წელი*

საღამო ინურებოდა. სარდაფის ვიწრო ფანჯარაში მზის უკანასკნელი სხივი გაკრთა. ირგვლივ სიჩუმე ჩამოდგა. მოხუცმა მაგიდაზე გაშანშლულ ოქროს მონეტებს თავი მოუყარა. ბერიკაცს ჭალარაშერეული გრძელი წვერი და ჩაცვენილი თვალები აქვს. მზის სიკაშკაშე თანდათან მიინავლა და მხოლოდ სარკმლიდან გამოკრთოდა სინათლის სუსტი სხივი. ბერიკაცმა მონეტები მყარ, საიმედო სკივრში ჩაყარა; კარი ორი საკეტით ჩაგმანა და რკინის ურდული გაუყარა. მერე ნელი ნაბიჯით აუყვა პატარა ვიწრო კიბეს და აი, უკვე ზემო სართულზეა. მისი სახლი სოფლის შემაღლებულ ადგილზე დგას; გარს დიდი ბალი აკრავს. სახლს ერთი მხრიდან საგანგიო აქვს მიშენებული. მოხუცმა ნელი ნაბიჯით დაუარა იქაურობას; დერეფანში რომ გაიარა, შეამჩნია, ერთ-ერთი ოთახის კარი ღია იყო. არა და ნაბრძანები ჰქონდა, ეს კარი გალებული არ ვნახოო. ბერიკაცი ერთხანს შეყოვნდა, მერე კი მოულოდნელად საშინელმა რისხვამ შეიპყრო. ამ დროს იქვე მდგარი მსახური შენიშნა და უშვერი სიტყვებით დაუწყო ლანძღვა. საბრალო მსახური ერთიანად აკანკალდა, რაღაცას ლუღლუღებდა და თავს იმართლებდა, ბატონმა დერეფანში გზა გააგრძელა, მაგრამ მალე ისევ შეჩერდა. მაგიდაზე დაყრილ პურის ნამცეცებს მოჰკრა თვალი. გაუგონარი ამბავი იყო, თვალებს არ უჯერებდა. ასე ხომ მის ქონებას ერთიანად გაანიავებენ, მიწასთან გაასწორებენ მის ნაოფლარს. რაღა თქმა უნდა, ვიღაცამ პური

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუჭნაოდან გამოიტანა და ოთახში ჭამით შემოვიდა და იქაურობა ნამცეცებით მოშანშლა. ახლა კი ბერიკაცი მთლად აზვირთდა და მის ყვირილზე მთელი სახლი ფეხზე დადგა. დაბნეული, აკანკალებული ცოლ-შვილი და მსახურები გარს შემოეხვივნენ, მოხუცი კი ყვიროდა, შეურაცხყოფას არ აკლებდა არავის და უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა.

ვახშმის დრო მოახლოებულიყო. ბატონი ამ დროს ჩვეულებისამებრ ახლო-მახლო საძოვრებიდან დაბრუნებულ მწყემსებს ხვდებოდა. დასაძინებლად ისე არ დაწვებოდა, დაწვრილებით არ გამოეძია, რაში დაიხარჯა სულ მცირე თანხაც კი, ან რას საქმიანობდნენ მისი ხელქვეითები, რომლებიც ბატონის წინაშე შიშით ძრწოდნენ, რადგან მასთან შეხვედრა ყოველთვის ლანძღვა-გინებით მთავრდებოდა.

მწყემსს ამ საღამოს ცოტა შეაგვიანდა, არადა ახლო-მახლო საძოვრებიდან ყოველთვის მანამდე ბრუნდებოდა, ვიდრე ბატონი სავახშმოდ დაჯდებოდა. საძოვარზე თხები და ცხვრის პატარა ფარა გაჰყავდა. სამუშაოს შემდეგ კი საქონელს ბაგაში ამწყვდევდა და პატრონს ეახლებოდა ანგარიშის ჩასაბარებლად.

აღშფოთებული ბატონი მაგიდას მიუჯდა. მართლაც რომ უცნაური იყო. მოხუცი ცდილობდა, აეხსნა მწყემსის დაგვიანების მიზეზი. მსახური ვახშმის შემოტანას აგვიანებდა. მერე მოხუცმა ყვირილი ატეხა. მსახური დაიბნა, ხელები აუკანკალდა და თეფში იატაკზე დაუვარდა. ცოლშვილი შიშით დაიზაფრა. ეჭვგარეშეა, ამ ყველაფერს ბატონის ენითაუწერელი მრისხანება მოჰყვებოდა. ასეც მოხდა. ნახევარი საათი გაგრძელდა მისი ლანძღვა-გინება და სწორედ ამ დროს კარებში მწყემსიც გამოჩნდება.

ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეს-ესაა მსჯავრი გამოუტანესო. მართლაც ცუდ დროს მოუხდა მოსვლა.

– მოხდა რამე? – ჰკითხა მოხუცმა მწყემსს. მწყემსი პასუხს აგვიანებდა;

ხელში ქუდი ჩაებღუჯა და დაბნეული შეჰყურებდა ბატონს.

– უჩვეულო არაფერი მომხდარა, – მიუგო შეფიქრიანებულმა.

– ისე მპასუხობ, ვეჭვობ, რაღაც მოხდა...

– უჩვეულო არაფერი მომხდარა, – გაუმეორა მწყემსმა და ქუდი მოკეცა.

– იდიოტებო, სულელებო, გამოთაყვანებულებო! ლაპარაკი არ იცი? ენა ჩაგივარდა? თქვი რამე, თქვი!

მწყემსმა აკანკალებული ხმით კვლავ გაუმეორა ბატონს, მთელი დღის განმავლობაში არაფერი მომხდარა, ფარაც ჩვეულებრივად ბალახობდა საძოვარზეო. მოხუცი აშკარად კარგავდა მოთმინებას.

– კი მაგრამ, იდიოტო, აღარ მორჩები ყბედობას! – დაიღრიალა ბოლოს განრისხებულმა. მწყემსი კი ისევ ერთსა და იმავეს იმეორებდა. მერე მოულოდნელად უთხრა ბატონს, შინ რომ ვბრუნდებოდი, თქვენს ბოსელში, გზისპირას რომ დგას, ისეთი რამ შევნიშნე, რაც ადრე არასოდეს მინახავსო. ბოლოს კი დასძინა, ბოსელში ვიღაც-ვიღაცები დავინახეო. ამის გაგონებაზე მოხუცმა თავი ველარ შეიკავა, წამოხტა და მწყემსს ყვირილით მივარდა.

– რაო, გომურში ვიღაც-ვიღაცები იყვნენო? რას მოვესწარი, სულ არაფრად დაგიდევენ სხვის ქონებას. თქვენ რა, ყველაფრის განადგურებას მიპირებთ?

ნახევრად დანგრეულ ბოსელს ძველი ხის კარი მორყეოდა და ჩამოვარდნაზე იყო. ამიტომაც ადვილად გაალებდა კაცი. გომურის სიღრმეში გაჭრილი პატარა სარკმელი ბოსტანს გადაჰყურებდა. როგორ გაათიეს იქ ღამე ისე, რომ მისთვის ნებართვა არ უთხოვიათ?!

ბერიკაცი ენითაუწერელმა რისხვამ შეიპყრო. დიახ, ეჭვი არ იყო, მისი ქონების განადგურება უნდოდათ. ეტყობა, ვიღაც გაიძვერა მუქთახორებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ ბერიკაცს სილატაკეში ამოხდომოდა სული. მსგავსი რამ არასოდეს სმენოდა. მისი ქონება ყოველთვის ხელშეუხებელი იყო. ახლა კი გაუგონარი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა; მაშინვე გადაწყვიტა საკუთარი ფეხით მისულიყო იმ ადგილას, ის მაწანწალები გომურიდან გამოეყარა და ამით სამართლიანობა აღედგინა.

– ვინ იყო ბოსელში? – ჰკითხა მწყემსს.

– ვიღაცა კაცი და ქალი დავინახე.

– კაცი და ქალიო? აი, ახლა კი ნახონ სეირი!

მოხუცმა ხელჯოხი აიღო და ბოსლისაკენ დაადგა გზას. ნათელი და მშვიდი ღამე იყო. ვარსკვლავები ოქროს მონეტებივით ბრწყინავდნენ ცის კაბადონზე. ყველაფერი სასიამოვნო იდუმალებას მოეცვა. მოხუცი მარტო მიუყვებოდა გზას და აღელვებისაგან ერთიანად ცახცახებდა. ლურჯი ცის ფონზე გალენილი კალოს სითეთრე იკვეთებოდა და ბოსელს შორიდანვე ხილულს



მხატვარი ავთანდილ პოპიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდიდა. ბერიკაცი დანგრეულ კედლებამდე რომ მივიდა, დაინახა, კარი მიხურული იყო. მარცხენა ხელი რამდენჯერმე გრძელ ნვერზე ჩამოისვა. არ უნდოდა, მოულოდნელად შეჭრილიყო შიგნით. ერთი ნამით შეყოვნდა, მერე იმ პატარა სარკმელს მიუახლოვდა, ბოსტანს რომ გადაჰყურებდა. სარკმლიდან საოცარი ნათება გამოდიოდა. მოხუცი უფრო ახლოს მივიდა და ფანჯრის ღიობში შეიხედა. უეცრად ყვირილი აღმოხდა, ჯერ ძლიერი, მერე უფრო თავშეკავებული. დანახულმა ბერიკაცს თითქოს დამბლა დასცა, აღფრთოვანებული და გაოგნებული კედელს აეკრა და კარგა ხანს იდგა ასე. მძიმედ სუნთქავდა, რაც მან ახლა იხილა, მსგავსი რამ ალბათ არავის ენახა. ბერიკაცი თვალს ვერ აშორებდა ბოსელს. ასე გადიოდა წუთები და საათები. მოხუცი კი ფიქრობდა, რომ საოცრების მომსწრე გახდა. ნეტავ რამდენი ხანი გავიდა? როგორ უნდა განსაზღვროს დროის რბოლა ამგვარი საოცრების მნახველმა. მოხუცს ეგონა, მთელი საუკუნე გავიდაო... დიახ, დრო არაფერს ნიშნავდა ამ მინიერ საოცრებასთან შედარებით.

გულდამძიმებული და ჩაფიქრებული დაბრუნდა შინ. კარის გაღება დაუგვიანდათ, მაგრამ საყვედური არ დასცდენია. დერეფანში მსახურს სანთელი იატაკზე დაუვარდა. ბერიკაცს არც ამაზე დაუძრავს ხმა-კრინტი. თავჩაღუნული და ჩაფიქრებული ერთხანს მოჩვენებასავით დაბორიალობდა სახლში. სასტუმრო ოთახში შეშინებული ცოლი დახვდა. ქალს შემთხვევით მაგიდა გადაბრუნებოდა, ზედ მდგარი კერამიკის ფიგურები დამტვრეოდა და ახლა გულისფანცქალით ელოდებოდა ქმრის მორიგ რისხვას. მაგრამ ბერიკაცს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მისმა ასეთმა გულგრილობამ ცოლი გააოგნა და, ცოტა არ იყოს, შეაშინა. ბერიკაცი სავარძელში ჩაჯდა, თავი ჩაქინდრა და კარგა ხანს არ განძრეულა. ეტყობა, ჩაეძინა და, როდესაც გაალვიძეს, მორჩილად დაეთანხმა, ლოგინამდე მიეყვანათ და ტანისამოსი გაეხადათ.

მეორე დილით მოხუცი ისევ მშვიდი ჩანდა. მათხოვრებმა რომ დააკაკუნეს კარზე, ისინი ვერცხლის ფულით დაასაჩუქრა. ახლა მისი ლანძღვა-გინება კი არა, ხმამაღალი სიტყვაც აღარავის გაუგია. ყველა გაოგნებული იყო. შემზარავი ურჩხული მთლად დააბნია. გაოცებულები ფიქრობდნენ, იმ ღამეს, ბოსელში ნამდვილად რაღაც უბედურება შეემთხვაო. შინაურებს ბერიკაცის ამჟამინდელი თვინიერება და სიმშვიდე მის ადრინდელ მძვინვარებაზე მეტად აფიქრებდათ, რადგან ამგვარ მდგომარეობას, შესაძლოა, უფრო მძიმე და ცუდი შედეგები მოჰყოლოდა. მოხუცს ჩუმად ადევნებდნენ თვალს, მაგრამ ვერავინ ვერაფერს ეკითხებოდა. ბოლოს ცოლმა გაბედა და გამოელაპარაკა. დიდხანს საუბრობდნენ, მაგრამ ბერიკაცი არა და არ ტყდებოდა, არ ამბობდა თავისი ამგვარი გარდასახვის ნამდვილ მიზეზს. ბოლოს და ბოლოს ცოლმა თავისი გაიტანა და, როცა ქმარმა უამბო, რაც მოხდა, ქალი გაოგნდა.

– რაო, რა თქვი, იქ სამი მეფე და ბავშვი ნახე?! – შესძახა გაკვირვებულმა.

მოხუცმა მას ტუჩებზე თითი მიადო და ანიშნა, ხმაკრინტი არ დაეძრა. ქალი გაჩუმებით კი გაჩუმდა, მაგრამ ისევ და ისევ ერთი ფიქრი აჰკვიატებოდა: აღარ იცოდა, რა უფრო აუტანელი იყო, ქმრის ადრინდელი აღვირახსნილი საქციელი, თუ ეს შეშლილობა, დიახ, ეს ნამდვილი შეშლილის სიტყვები იყო; როგორ თქვა? ბოსელში სამი მეფე და ბავშვი იყოო?! იმ ღამით ბერიკაცს აშკარად რაღაც შემთხვეოდა.

შინაურები მალე მიხვდნენ, რომ ცოლმა უკვე იცოდა ქმრის საიდუმლო. შვილები ეკითხებოდნენ დედას, მაგრამ ის პასუხს თავს არიდებდა: ბოლოს კი მათ შემოტევას ველარ გაუძლო და ერთ-ერთ ქალიშვილს ჩურჩულით გაანდო მამის საიდუმლო. შვილის გაოცებულმა შეძახილმაც არ დააყოვნა:

– რა სიგიჟეა! საბრალო!

მსახურებიც ხვდებოდნენ, რომ შვილებს უკვე შეეტყოთ მამის საიდუმლო, მაგრამ კითხვას ვერ ბედავდნენ. ბოლოს ერთმა მსახურმა, რომელიც უკვე ოცდაათი ნელი ემსახურებოდა მათ ოჯახს, გაბედა და ბატონის ქალიშვილს ჰკითხა. გოგონაც ჩურჩულით მოუყვა, რაც მოხდა.

– ოჰ, რა სიგიჟეა! საბრალო, საცოდავი ბატონი! – შესძახა მოხუცებულმა მსახურმა.

ეს ამბავი ნელ-ნელა ყველამ შეიტყო. ახლა უკვე ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ბატონი ჭკუაზე შეშლილიყო და უცნაურ სიგიჟეს შეეპყრო. ბერიკაცზე საუბრისას თანაგრძნობით აქნევდნენ თავს და ნაღვლიანად იმეორებდნენ: „ეს რა უთქვამს, ბოსელში სამი მეფე და ბავშვი ვნახეო?!"

ბერიკაცს კი სრულიად დავიწყებოდა ყველაფერი, რაც ადრე ასე აღელვებდა. თავი მშვიდად ეჭირა. ბოსელში ნანახი სურათის შემდეგ საოცრად გულუხვი გამხდარიყო. ბოგანოებს ფულით ასაჩუქრებდა და გარშემომყოფთ მხოლოდ კეთილ სიტყვას თუ შეანევდა. გაოცებული ცოლ-შვილი ეჭვითა და გულისტკივილით ადევნებდა თვალყურს მოხუცის ამგვარ ფერისცვალებას. დიახ, ბერიკაცი აშკარად შეშლილიყო და ამის უარყოფა არ შეიძლებოდა. შენუხებულმა ცოლმა გადანყვიტა, გამოცდილი მკურნალი ეხმო, სამკურნალოდ ბალახებსა და მცენარეთა ფესვებს რომ იყენებდა და მათ თვისებებს კარგად იცნობდა. ბერიკაცს მკურნალის მოსვლა აუწყეს, და ისიც დაჰყვა შინაურთა ნებას. ახლა იგი უმწეო და მორჩილ ბავშვს ჰგავდა. როდესაც ექიმი სინჯავდა და თან არიგებდა, როგორი ცხოვრების წესი უნდა დაეცვა, მოხუცი კეთილად იღიმებოდა. მერე თავისი საიდუმლო მკურნალსაც გაანდო; ისიც ყურს უგდებდა მის სულელურ ნაამბობს, არ უნდოდა შეშლილი ბერიკაცის გაღიზიანება.

– დიახ, დიახ, ეს სავსებით შესაძლებელია. დიახ, დიახ, თქვენ ბოსელში სამი მეფე და ბავშვი იხილეთ! – ეუბნებოდა მკურნალი და თავს აკანტურებდა. როდესაც აღელვებულმა დიასახლისმა მას ნასვლისას კითხვები დააყარა, ექიმმა მიუგო:

– საშიში არაფერია, მშვიდი გიჟია, დიახ, მშვიდი. და რაკი მშვიდია, არც დიდ მოვლა-პატრონობას საჭიროებს და არც განსაკუთრებული ხელშეწყობა არა სჭირდება. დაველოდოთ რა მოხდება...

**ესპანურიდან თარგმნა**
**მაკა გოგოლაშვილმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სტატისტიკასაც მისდევდნენ

1092 წლის 16 ოქტომბერს ქალაქ ჰამადანის მახლობლად სუფის სამოსელში გადაცმული ტერორისტი მიუახლოვდა დიდვეზირის ტახტრევანს, რომელიც თავისი ჰარამხანის კარვისკენ მიემართებოდა და ბასრი დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ნიზამ ალ-მულქს. მერე გაქცევა სცადა, მაგრამ ფეხი წამოკრა კარვის თოკს და განბილებულმა მცველებმა თავიანთ პატრონს დააკლეს მკვლელი.

ნიზამ ალ-მულქი მულიდთა პირველი მსხვერპლი იყო. ჰასან იბნ საბაჰმა წარმოთქვა: ამ კაცის მოკვლა ჩვენი პირველი იღბალი არისო.

საუკუნენახევრის განმავლობაში მთელი აღმოსავლეთი და ზოგჯერ დასავლეთიც ძრწოდა მულიდთა წინაშე.

სპარსელმა ისტორიკოსმა რაშიდ ად-დინმა შთამომავლობას შემოუნახა მულიდთა მიერ გულდასმით შედგენილი სიები, სადაც ზედმიწევნით ზუსტად არის აღნიშნული ამა თუ იმ ტერაქტის მსხვერპლის სახელი და სახელო, ტერორისტის ვინაობა და სადაურობა; მითითებულია მკვლელობის წელი და თვე.

რაშიდ ად-დინის თხზულებაში გვხვდება სამი სია იმ პირთა, რომლებიც მულიდთა ტერორს შეეწირნენ.

პირველ სიაში ჩამოთვლილია ჰასან იბნ საბაჰის მმართველობის ჟამს (1090-1124) მოკლული 49 კაცი; მეორე სიაში – ქია ბუზორგომიდის მმართველობისას (1124-1138) მოკლული 12 კაცი; მესამეში – მუჰამედ იბნ ბუზორგომიდის მმართველობისას (1138-1162) მოკლული 14 კაცი. შემდგომში სიები, ალბათ, აღარ შეუდგენიათ ანდა დაკარგულა.

სიებს ამშვენებენ საზოგადოების ზედა ფენის წარმომადგენელნი: ხალიფები, სულტნები, ფადიშაჰები, ვეზირები, სპასალარები, სამხედრო თუ სამოქალაქო დიდმოხელენი, უმაღლესი სასულიერო პირნი, მსაჯულნი.

ამ ელიტურ საზოგადოებაში თითო-ოროლა მდაბიოც გარეულა, რენეგატად რომ შეურაცხავთ და სიკვდილით დაუსჯიათ ღალატის გამო. საერთოდ კი უბრალო მოკვდავთ, ეტყობა, ამგვარ უკვდავებას არ ანიჭებდნენ.

მულიდთა ტერორის გეოგრაფია ფრიად შთამბეჭდავია: ბაღდადი და კაირო, დამასკი და მექა, ისპაანი და თავრიზი, განჯა და თბილისი (!); დასავლეთ ევროპამდეც მიუღწევიათ: მილანი, პარიზი, ლონდონი...

მულიდთა ასავალ-დასავალი ჩინებულად უწყოდნენ საქართველოში.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის" ქაჯთა პროტოტიპად სწორედ ეს მულიდები არიან ნაგულისხმევი.

საფუძვლიანად ემზადებოდნენ, გულმოდგინედ ზვერავდნენ ირანის სხვადასხვა რეგიონებს, რათა შეერჩიათ და მერე ხელთ ეგდოთ ყველაზე მიუვალ მთებში მდებარე ყველაზე მიუდგომელი ციხე-სიმაგრენი, რათა იქიდან წარეგზავნათ თავგანწირული ტერორისტები ქვეყნის ოთხივე მხარეს, შიში და ძრწოლა დაეთესათ მოსახლეობის ყველა ფენაში და საბოლოოდ დაემხოთ ცენტრალური აზიიდან ვიდრე ხმელთაშუა ზღვამდე გადაჭიმული თურქ-სელჩუკთა იმპერია.

იყო კაცი, რომელმაც წინასწარ განჭვრიტა, თუ რა საფრთხე ელოდა მაჰმადიანურ სამყაროს ამ იდუმალ და მოუხელთებელ ეშმაკის კერძთაგან.

თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს სახელგანთქმულმა დიდვეზირმა ნიზამ ალ-მულქმა თავის პოლიტიკურ ტრაქტატში („სიასეთ-ნამე"), ხელმწიფეთა სახელმძღვანელოდ რომ შეადგინა, საგანგებო თავი მიუძღვნა მულიდებს (ანუ მწვალებლებს) – სახელმწიფოსა და ისლამის მტრებს.

აი, რას წერდა ნიზამ ალ-მულქი მულიდთა შესახებ:

„არ არსებობს ადამიანთა არც ერთი ფენა უფრო ავბედითი, უფრო ავმორწმუნე, უფრო ბოროტმოქმედი, ვიდრე ესენი. დაე, იცოდეს ხელმწიფემ, რომ ამ წყეულებს სახელმწიფოს მიმართ ავი ზრახვები უდევთ გულში – ლამობენ, ზიანი მიაყენონ სარწმუნოებას. ყოველ ჩქამს აყურადებენ, თვალის ყოველ დახამხამებას აკვირდებიან. ალაჰმა ნუ ქნას, რომ ამ ძლევამოსილ სახელმწიფოს რაიმე მარცხი შეემთხვას ანდა ამბოხებამ იფეთქოს სადმე. ეს ძაღლები საიდუმლო თავშესაფრებიდან თავს გამოყოფენ და აღსდგებიან ამ სახელმწიფოს დასამხობად. ეს წყეულნი გააჩაღებენ განხეთქილებას, წარმოიქმნება ქიშპი, მწვალებლობა, პარტახი. არაფერს დატოვებენ ხელუხლებლად. მე რომ სახურავი ავხადო ამ ქვაბს, ჰოი, როგორი სიმყრალე ამოიფრქვევა! როდესაც ამქვეყნად აღარ ვიქნები, გაცხადდება მათი ხრიკები და მიზნები სახელმწიფოს ნგრევისა."

დიდვეზირი დაჟინებით ლამობდა მულიდთა წინამძღოლის ჰასან იბნ საბაჰის შეპყრობას. მაგრამ ეს უკანასკნელი თვალნათლივ ხედავდა, რომ სულისჩამდგმელი მულიდებთან ბრძოლისა სწორედ ნიზამ ალ-მულქი იყო. ამიტომაც მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ფიზიკურად მოესპო თავისი მთავარი მტერი.

ჰასან იბნ საბაჰმა ასე მიმართა თავის ქვეშევრდომთ: „ვინ არის თქვენში ის, ვინც ბოლოს მოუღებს ნიზამ ალ-მულქის ავკაცობას?"

ვინმე აბუ თაჰირ არანიმ, სპარსული წყაროს გამოთქმით, „თანხმობის ხელი მიიდო მკერდზე".

## კიდევ ერთი თეთრი ყვავი

სტუმარი გაოგნებული იყო მოსკოველთა ამგვარი სტუმართმოყვარეობით. ერთ მშვენიერ დღეს „მეტროპოლის" სასტუმროში სართულის მორიგემ დღისით, მზისით, საკუთარი ცოლის ნომერში არ შეუშვა. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ საბჭოთა მოქალაქეთა პასპორტში დაკანონებული შტამპი ქორწინებისა უცხოელებს თურმე არა ჰქონიათ. გაშმაგებულმა ქმარმა მაინც შეაღწია ცოლის ნომერში და სართულის მორიგემ დაუყოვნებლივ გამოიძახა მილიცია. სტუმარი გმირულად იგერიებდა მომხდურთ, მაგრამ ძალები უთანასწორო იყო. წესრიგის დამცველებმა შებოჭეს, მილიციის განყოფილებაში წააბრძანეს და მთელი ღამე იქ აყურყუტეს. მეორე დღეს ინოკენტი სმოკტუნოვსკიმ „შეძრა ცეკა და ჩეკა" და პატიმრობიდან გამოიხსნა ძვირფასი კოლეგა და სტუმარი – რიჩარდ ჰარისი.

გამოხდა ხანი და ჰარისმა, მადლიერების ნიშნად (ვხუმრობ!), კოზინცევის ფილმში სმოკტუნოვსკის მიერ განსახიერებული ჰამლეტი მთელს მსოფლიოში საუკეთესო ჰამლეტად გამოაცხადა. რის ოლივიე, რომელი ოლივიეო...

რიჩარდ ჰარისი ზოგს ინგლისელი ჰგონია, ზოგსაც ამერიკელი. სინამდვილეში ირლანდიელი ყოფილა. მისი დიდი პაპა წისქვილთა მსხვილი ქსელის მეპატრონე გახლდათ, შემდგომში ინგლისელებმა მოუხრჩვეს ბიზნესი. ჰარისი ამბობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი დიდი პაპა ძალზე მდიდარი იყო, პაპა – მხოლოდ მდიდარი, ხოლო მამა გაკოტრდა ინგლისური კომპანიების წნეხქვეშ და ოჯახი ლამის გამათხოვრდაო.

სიყმაწვილეში ჰარისს ერთადერთი ოცნება და მიზანი ჰქონია – ეთამაშა ირლანდიის რეგბისტთა ნაკრებში. ამ ნატვრის აღსრულებას ბევრი არაფერი აკლდა, უკვე თამაშობდა ჭაბუკთა ნაკრებში, მაგრამ ბედმა უმუხთლა. უეცრად ჭლექით დასნეულდა და სამი წელიწადი წაიღო მკურნალობამ. სპორტულ კარიერას, ცხადია, წერტილი დაესვა.

იდგა 1952 წელი. ოცდაორი წლის ახალგაზრდა ერთხელ შემთხვევით მოხვდა თეატრში, პირანდელოს „ჰენრიხ IV" ნახა და გადაწყვიტა, მსახიობი უნდა გავხდეო.

დიდებულ პედაგოგს ჩაუვარდა ხელთ. ქ-ნ ჯოან ლიტლვუდის მოწაფენი ყოფილან პიტერ ო'ტული, რიჩარდ ბარტონი, შონ კონერი, ალბერტ ფინი. ჰარისს სამი წელი გაუტარებია თეატრში, რომელსაც ლიტლვუდი ხელმძღვანელობდა. თამაშობდნენ შექსპირს, ჩეხოვს, ბრეხტს, ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვეს პარიზის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე.

ჰარისის დებიუტი კინოში შედგა 1957 წელს, ჰოლივუდში – 1960 წელს.

ეკითხებიან, თეატრს თავი რომ დაანებეთ, არა ნანობთო? ერთადერთს იმას ნანობს, რომ ჰამლეტის როლი არ შეუსრულებია. სამჯერ მიუწვევიათ და სამჯერვე, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ხელი მოეცარა. ახლა კი ძალზე ხნიერი ვარ, რადა დროს ჩემი ჰამლეტიაო.

რიჩარდ ჰარისს სძულს ჰოლივუდი და იქაური თავშეყრანი. ამბობს, ჰოლივუდის მსახიობები მედიდურნი და ამპარტავანნი არიანო. თავს იწონებენ ათმეტრიანი ლიმუზინებით, შოფრებით, მცველთა არმიით, მზარეულთა, მასაჟისტთა, პარიკმახერთა, კოსტუმერთა, მდივანთა და ასისტენტთა გაბერილი შტატებით – ჩემთვის ყოველივე ეს სისულელეაო.

ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს. შემთხვევით წამოსცდენია ნიუ-იორკში გამართულ ტელეშოუზე. მიუპატიჟიათ ლიტერატურულ კლუბში. მოსწონებიათ. 1972 წელს გამოსცა ლექსების კრებული, რომელიც წლის ყველაზე პოპულარულ ბესტსელერად აღიარეს.

ერთხელაც ჰოლივუდში თვით მარლონ ბრანდოსთან ერთად მოუწია თამაში. ჰარისს ვერ აუტანია სუპერვარსკვლავის გაუთავებელი ტრაბახი: „მე მარლონ ბრანდო ვარ! მე დიდი მსახიობი ვარ! რაც გამიხარდება, იმას ვაკეთებ! მიმიფურთხებია ყველასთვის!"

ვერავინ ვერაფერს უბედავდაო.

ჰარისმა გაუბედა (ტყუილად როდია ირლანდიელი!): „ნადი, შენი... არაფერი დიდიც არა ხარ, არაფერი გამორჩეულიც არა ხარ, შენ უბრალოდ მძღ... ხარ! აღარ გაბედო ადამიანთა შეურაცხყოფა!"

ბრანდოს უმალვე მიუტოვებია გადასაღები მოედანი. ფილმის გადაღება, რა თქმა უნდა, შეწყდა.

ჰარისი დაიბარეს „მეტრო-გოლდვინ-მაიერის" თავკაცთან. როგორი ჩხუბისთავი ყოფილხარო. შენ რომ ბრანდოს შეასკდი, კამერა არ გამოურთავთ, ფირი დამიბეჭდეს და ყველაფერი ჩემი თვალით ვნახეო. შენა ხარ პირველი კაცი ჰოლივუდში, რომელმაც ბრანდოს ჭკუა ასწავლაო.

თავის ინტერვიუში ჰარისი გვაუწყებს: რა ვქნა, ღირსებაა ჩემთვის მთავარი, ღირსებას ვერ ვულალატებ, არავის მივცემ ნებას, რომ დამამციროს, თავზე დამაჯდესო.

ნიუ-იორკში მადონას უზომო ნარცისიზმი და თავის აგდება არ მოსვლია თვალში. მოურიდებლად უთქვამს მისთვის: თავი დიდი ვინმე ნუ გგონიაო. იმას თავი გამოუდია: მე ხომ მადონა ვარო! ჰარისმა: მე კი – რიჩარდ ჰარისიო! და ასე გაუგრძელებია: შენ გგონია, ჩვენ რომ დავიხოცებით, მსოფლიო დარდით მოკვდებაო? რამდენიც გინდა გაიბერო, ათიოდე წუთით თუ ვემახსოვრებითო. ჰარისის აზრით, სამუდამოდ ემახსოვრებათ ბეთჰოვენი, ვერდი, ლეონარდო, აინშტაინი, პასკალი, შექსპირი, ჯოისი, დოსტოევსკი და ა.შ.

ჰარისის საყვარელი ფილმები: ბუნიუელის „ვირიდიანა", ვისკონტის „სიკვდილი ვენეციაში", ბერგმანის „მარწყვის მდელო", ეიზენშტეინის სამი ფილმი (არ ასახელებს), ტარკოვსკის „მსხვერპლშეწირვა".

რიჩარდ ჰარისმა სახელი გაითქვა ლინდსეი ანდერსონის ფილმით „ასეთია სპორტული ცხოვრება". ირლანდიის ნაკრების ნაცვლად ფილმში მოუწია რეგბის თამაში.

ბრიტანეთის, და არა მარტო ბრიტანეთის, ახალგაზრდები კარგა ხანს ჰბაძავდნენ „სპორტული ცხოვრების" მთავარ გმირს. წელში ოდნავ მოხრილნი და მხრებაწეულნი დადიოდნენ. მოდამ აიტაცა ჰარისის შავი სვიტერი, მჭიდროდ რომ ჰქონდა მორგებული ტანზე. წინ გამოწეულ ქვედა ყბას და შეკრულ წარბებს სესხულობდნენ ღირსებაშეულახავი კერპისგან, არავის არაფერს რომ არ უთმობდა.

## ქრონიკა

გამომცემლობა „ინტელექტმა" მშვენიერი პროექტი განახორციელა: დააარსა ქართველ პოეტთა 100 ლექსის სერია. ამჯერად არჩევანი შეაჩერეს ფრიდონ ხალვაშზე, მისი ლექსები ერთ წიგნად ბატონმა მიხეილ მახარაძემ დაალაგა. „უპირველესად ლექსები პატრიოტიზმის ანუ ეროვნულობის ნიშნით დავალაგე", აღნიშნა წიგნის შემდგენელმა პრეზენტაციაზე, რომელიც 2008 წლის 23 იანვარს „ინტელექტში" გაიმართა.

ეს უკვე ოცდამეხუთე გამოცემაა, სამომავლოდაც იგეგმება მსგავსი კრებულები სხვადასხვა პოეტებისა. პროექტი ოთხწლიანია, შესაბამისად გამომცემლობა მკითხველს ბევრ საინტერესო წიგნს შესთავაზებს.

საღამოზე ითქვა, რომ ამ გამოცემებს ძირითადად ახალგაზრდები ეტანებიან, სწორედ ეს პროექტი გახდის შესაძლებელს, რომ მათ უფრო ღრმად გაიცნონ თავიანთ საყვარელ პოეტთა შემოქმედება. აღინიშნა აგრეთვე ფრიდონ ხალვაშის პოეზიის მომხიბლაობის თავისებურებაც, მისი ლექსები პატრიოტიზმით, აზრის სიღრმით, მოყვასის სიყვარულით, ზნეობის სიწმინდით და რელიგიური ფილოსოფიით არის შთაგონებული.

საღამოს უძღვებოდა „ინტელექტის" ხელმძღვანელი კახმეგ კუდავა. სიტყვით გამოვიდნენ: ჯანსუღ ჩარკვიანი, ემზარ კვიტაიშვილი, დავით გოგიბედაშვილი, ლევან ბრეგაძე და აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ მახარაძე, გამომცემლობის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ნინო ყულოშვილი სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს „ინტელექტს", რადგან ამ უბადლო საქმეს ემსახურებიან. აქვე აღნიშნეს, რომ ფრიდონ ხალვაში არის საქართველოსთვის თავშეწირული კაცი და ნამდვილად იმსახურებდა ამ წიგნის გამოცემას.

პრეზენტაცია ტრიო „საფირონის" სოლისტებმა თინათინ ბეროშვილმა, ბაჩანა მარკოზაშვილმა და იოსებ მახარაძემ კიდევ უფრო გაალამაზეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისი ქართულ პოეზიაში

სად არის პოეტების სამეფო?
რა თქმა უნდა, საქართველოში.
რომელია ამ სამეფოს დედაქალაქი?
რა თქმა უნდა, თბილისი!
ჩვენს წინაშეა უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული
წიგნი **პოეტების სამეფო — თბილისი ქართულ პოეზიაში.**

**არჩილ მეფიდან დღემდე**, გზა ისტორიიდან მომავლისაკენ:
ყველა ცნობილი ქართველი პოეტის ლექსი რჩეულთა ქალაქს.

სამაგიდო წიგნი ყველა თაობის მკითხველისათვის.

იდეის ავტორები
**პაატა ბურჭულაძე** და **გურამ ახალაია.**
გამოცემის გენერალური სპონსორი
საინვესტიციო კომპანია **„მეტეხი ჯგუფი“.**
გამომცემელი პაატა ბურჭულაძის
საერთაშორისო ფონდი **„იავნანა“.**

წინასიტყვაობა **ჭაბუა ამირეჯიბისა.**
რედაქტორ-შემდგენელი და ბოლოსიტყვაობის ავტორი **ემზარ კვიტაიშვილი,**

მხატვარი **გიორგი წერეთელი,**
გამომცემლობის რედაქტორი
**რუსუდან მოსიძე,**
მხატვრული რედაქტორი **ბონდო მაცაბერიძე,**
კომპიუტერული უზრუნველყოფა
**ლევან ბეგლარიშვილი.**
გამომცემლობა **„ბაკმი“.**




*და მეხამრება შენ, ვისაც ქარი*
*ხაშურის გმოსავს ხნეულ ღინებით*
*და არ შეირყევა თბილისის ცქერა,*
*ხაზეც ქართული მარჯანხნებით.*

**გალაკტიონ ტაბიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს145/2



სერიიდან "ქალდეა"

გია იაშვილი